

114  
1952.

საქართველოს  
საბავშვო  
საბავშვო

# მნათობი

8

აგვისტო



1952

# ენათობი



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეცხეა

12494 5032



8

★

ა ბ ვ ი ს ტ ო

19

სახელგამი  
თბილისი

52



## ნიკსილი ა. შ. შ.

★

### უწყინარი დასაწყისი

1949 წლის აგვისტოს მე და ჩემმა მეუღლემ გადაწყვიტეთ დასვენება, რაც ორივესათვის აგრე აუცილებელი იყო. მეუღლე ევროპაში გაემგზავრა, მე კი მდინარე გუძონის ნაპირას მდებარე კროტონში ვიჭირავე აგარაკი და ორი ბავშვითა და ძიძით იქ დავბინავდი. იმ დროს მე ვწერდი წიგნს ლიტერატურის სინამდვილესთან დამოკიდებულების შესახებ. ვიფიქრე, ჩემთვის სასარგებლო იქნებოდა, თუ ერთ თვეს მაინც გავატარებდი სიწყნარესა და სიმშვიდეში, ვიქნებოდი რა შრომაში და ბავშვებთან, იმ პოლიტიკისაგან მოშორებით, რომელსაც ესოდენ დიდი ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში.

ანგარიშში არ მოვტყუებულვარ. აგვისტო დადგა რბილი და ნათელი, მზიანი დღეებითა და გრილი საღამოებით, და მე აშკარად ვგრძნობდი გარემოცვის შეცვლის კეთილმოქმედებას ჩემზე. პატარა სახლი, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობდით, მჭიდროდ იყო მიკრული ხეებით დაბურული ბორცვის ფერდობზე; ზემოსართლის ფანჯრებიდან თვალწინ იშლებოდა მდინარე გუძონის წარმატვი ხედი. დილაობით, როცა მე წიგნზე ვმუშაობდი, ბავშვები დაბლა მდებარე თამაშობდნენ; სადილის შემდეგ ჩემი დრო მათ ეკუთვნოდათ; უფრო ხშირად საბანაოდ დავდიოდით, მერე ერთად ვვახშმობდით; შემდეგ ბავშვები იძინებდნენ, მე კი საღამოს კითხვაში ვატარებდი, იშვიათად კი ესაუბრობდი შემთხვევით მოსულ რომელიმე ამხანაგთან, ერთის სიტყვით, რო-

გორც უკვე მოგახსენეთ, ცხოვრება მშვიდად მიმდინარეობდა. მე ბევრს ვკითხულობდი, ვმუშაობდი; ჩემი წიგნი დასასრულს უახლოვდებოდა.

ერთხელ — ეს იყო დაახლოებით თვის შუა რიცხვებში — ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. მე მილი ავიღე, ქალის ხმა იყო: „პოუარდ ფასტია ტელეფონთან?“, — და, მიიღო რა დადებითი პასუხი, შემეკითხა, ხომ არ დავთანხმდებოდი იმ კონცერტის თავმჯდომარეობაზე, რომელიც ჩვენთან უნდა გამართულიყო ორიოდ კვირის შემდეგ...

— რა კონცერტია? — დაინტერესდი.

— ჩვენი ტრადიციული ყოველწლიური კონცერტი.

— ვისი „ჩვენი“?

— სახალხო მსახიობების. მონაწილეობენ პიტი სიგერი და პოლ რობსონი. თქვენ გსმენიათ ოდესმე სახალხო მსახიობების შესახებ?

მე არა მარტო მსმენოდა სახალხო მსახიობთა შესახებ, არამედ ძალიან მომწონდნენ კიდევაც ისინი და დიდი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული იმ საქმისადმი, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ. ამ ადამიანებს, უმთავრესად ახალგაზრდებს, შეუგროვებიათ ამერიკის უამრავი სახალხო სიმღერები, გადმოცემები; ამღერებდნენ რა ყოველივე ამას გიტარაზე, გამოდიოდნენ კრებებზე, მასიურ მიტინგებზე, სოფლებში, სააგარაკო ქალაქებში და ამ სახალხო სიმდიდრეს ხალხსავე უბრუნებდნენ, ისინი ძველ მელოდიებზე ახალ სიტყ-

ვებს იგონებდნენ და აგრძელებდნენ სახალხო მუსიკის იმ საუკეთესო ტრადიციებს, რომელთა დასაბამიც ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროიდან მოდის. ადვილი არ იყო ასეთ კონცერტში მონაწილეობაზე უარის თქმა, მაგრამ მე ხომ მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი ამ თვის განმარტოებასა და სიწყინარეში გატარება.

— მე, რასაკვირველია, მსმენია სახალხო მსახიობთა შესახებ, — ვუპასუხე, — მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემიძლია...

— მისმენთ? — შემაწყვეტინა სიტყვა მოსაუბრემ, — მე ვიცი, თქვენ გყავთ გოგონა, რომელსაც უყვარს პოლირობსონის სიმღერების მოსმენა და ამიტომ... ეს ხომ ღია ცის ქვეშ იქნება, ლამაზ ადგილას, პიენის მსგავსად, და ათი საათისათვის, საერთოდ, ყველაფერი მოთავებული იქნება, — რატომ ხართ უარზე? გემუდარებით, თქვით „კარგი“.

ჩვენ ცოტა კიდევ ვიდავეთ, და ბოლოსდაბოლოს იძულებული გავხდით დავთანხმებოდით.

ჩემმა თანამოსაუბრემ მითხრა, რომ წერილით შემატყობინებს ყოველივეს დაწვრილებით, თუ რა უნდა გავაკეთო და როგორ, და ჩამოკიდა მილი. მხოლოდ ამის შემდეგ მოვედი გონს, რომ მე მას გვარიც კი არა ვკითხე. რამდენიმე დღის შემდეგ მივიღე დაპირებული წერილი. იტყობინებოდნენ, რომ კონცერტი გაიმართებოდა ლეიკენდ ეიკერის ქალაქგარეთა პარკში, პიესკილიდან ჩრდილოეთით რამდენიმე მილის დაშორებით, და რომ კარგი იქნებოდა, თუ მე იქ შევიდი საათისათვის ვიქნებოდი, იმ ვარაუდით, რომ პროგრამის წინასწარი განხილვა მოგვესწრო. ნათქვამი იყო ისიც, რომ ეს იქნებოდა პოლ რობსონის მეოთხე გამოხსენება აქაურ მცხოვრებთა წინაშე. პირველი გამოხსენება შემდგარიყო 1946 წელს, მოხეგენ კოლონში, სააგარაკო დაბაში, რომელიც მეზობლად მდებ-

რებოდა, მეორე — ერთი წლის შემდეგ, პიესკილის სტადიონზე, ხოლო მესამე — ოდნავ მოშორებით მდებარე დაბა კრომპონდში. *გეზლინგის*

უნდა ითქვას, რომ პიესკილი ჩრდილოეთით მდებარე მთელი ებრაიონი, რომელიც გადაკიპულია ათი მილის მანძილზე კროტონიდან მდინარე გუძონის აყობებით, აღრიდანვე წარმოადგენდა საფეიქრო მრეწველობაში მომსახურეთა დასვენების ადგილს. ამ მიდამოებში განლაგებულ სააგარაკო დაბებსა და ბანაკებში არ არის განსხვავება ზანგსა და თეთრს შორის, ზანგებს მშვიდად შეუძლიათ გაატარონ ზაფხულის რამდენიმე კვირა ქალაქის გეტოს მშვენიერებათაგან მოშორებით. დაბები ჩამალულია დაბალ ბორცვებში, მოფარებულ ტაფობებში და არ არღვევენ პეიზაჟის სილამაზეს. პიესკილიც კი, ოლქის ერთადერთი დასახლებული პუნქტი, რომელიც ქალაქის სახელწოდებას იმსახურებს, არ წარმოადგენს რაიმე სამრეწველო ცენტრს, იგი პროვინციული, მივარდნილი ადგილია, სადაც ძირითადად წერილი ვაჭრები ცხოვრობენ. აქ ღუქების, სადგურების საბილიარდობის, სასაუზმეებისა და უძრავი ქონებით მოვაჭრე კანტორების უსისტემო განლაგებაა; ეს ქალაქი-გადანაშთია, საცოდავი, მიხრწნილი, არავისათვის გამოსადეგი, ოდესღაც მარჯვე სამდინარო ნავსადგომი, რომელიც ამერიკის მრეწველობის სწრაფი განვითარების პროცესში დავიწყებულ იქნა.

აი, ასე, სრულიად შემთხვევით, აღმოვჩნდი პიესკილის ინციდენტში ჩათრეული. რაკი ფიქრადაც არ მომსვლია, თუ რით დამთავრდებოდა კონცერტი, გადაწყვეტიე ჩემი ქალიშვილის წაყვანა პოლ რობსონის მოსასმენად. საღამოხ კარგი, სასიამოვნო პირი უჩანდა. მივიღე რა ეს გადაწყვეტილება, ისევე ჩემს საქმეს დაეუბრუნდი და კონცერტს აღარც კი გამხსენებია შაბათამდე — 27 აგვისტომდე.

შაბათდღით მე დამირეკა დე. ნ. — ჩემმა ძველმა მეგობარმა, გაზეთ „ნიუ მესსეს“ ყოფილმა რედაქტორმა, ამჟამად კი გაზეთ „დეილი უორკერის“ თანამშრომელმა. იგი შემეკითხა, წაიყვანდი თუ არა ჩემს ქალიშვილს კონცერტზე. მან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ მითხრა — ერთად წავიდეთ. შევთანხმდით, რომ გამოგვივლიდა, იგი ახლოს ცხოვრობდა. როცა ლაპარაკი დაეასრულე, უკან მოვიხედე და დაინახე მისის მ., ჩემი ბავშვის ძიძა. ეტყობოდა, მას მთელი ჩვენი საუბარი მოესმინა. მისის მ. — ზანგია, მეტად გონიერი, წინდახედული და სავსე დედობრივი სათნოებით, მაგრამ ზოგჯერ მეტის-მეტად ჯიუტია — თავისნათქვამა. ახლაც სწორედ ასეთი სიჯიუტე ჰქონდა გამოხატული სახეზე.

— მე ვფიქრობ, რეიჩელის წაყვანა კონცერტზე საჭირო არ არის, — თქვა მან.

— რატომ?

— ისე, არა ღირს.

— კი, მაგრამ, რატომ? მას ძალიან უყვარს პოლი, მოისმენს მის სიმღერას ასეთ მშვენიერ გარემოში, ღია ცის ქვეშ, ეს საშუღამოდ დაახლოებდა მას! მე მგონია, იგი აუცილებლად უნდა წამოვიდეს ჩემთან.

— მე კი მგონია, იგი აუცილებლად უნდა დარჩეს სახლში — მიპასუხა მისის მ-მ.

— კი, მაგრამ, რატომ?

— შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ მე ზანგი ვარ, თქვენ კი თეთრი.

— აი, კიდეც ახალი ამბავი! რა დამოკიდებულება აქვს ამას საქმესთან?!

— თქვენ მაინც ნუ წაიყვანთ რეიჩელს, — თქვა მისის მ-მ მტკიცედ, და მე დავრწმუნდი — აღარაფერი შეთქმოდა.

— კეთილი, არ წაიყვან, — ეუბასუხე მე, — მაგრამ, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ შეიძლება რაიმე მოხდეს, ძალიან ცდებით. აი, აფერიც არ მოხდება.

ეს იყო დღით, ზოლო საღამოს მე მდებარე ვიჯექი, სახლის წინ და გვეცქეროდი ჩემს პატარა მშვენიერ მელიც იქვე შორიანლოს თამაშობდა. ამ დროს ეზოში მანქანა შემოსრიალდა და ჩემს შორიანლოს გაჩერდა. ორნი გადმოვიდნენ — თეთრი და ზანგი. ისინი ჩემთან მოვიდნენ და მომესალმნენ. ზანგი სახალხო მსახიობთა ჯგუფიდან იყო, თეთრი — ადგილობრივი საზოგადო მოღვაწე.

— მე ვფიქრობ, არაფერი დაშავდება, თუ წინასწარ მოგელაპარაკებით, კონცერტის დაწყებამდე, — თქვა ზანგმა, — თქვენ, რასაკვირველია, იცით, რა ხდება ირგვლივ?

— რაშია საქმე? რა ხდება? სად ხდება?

— პიკსილში, — მიპასუხა მან. — განა თქვენ არ კითხულობთ პიკსილის გაზეთებს?

— გულახდილად უნდა გითხრაო, არა. რამდენიმე დღეა, რაც მე ნიუ-იორკის გაზეთებიც კი არ წამიკითხავს.

— მაშინ, მით უკეთესი, რომ ჩვენ მოვედით თქვენთან მოსალაპარაკებლად. როგორც ეტყობოდა, არეულობის გარეშე საქმე არ ჩაივლის.

მე არ დავუჯერე. მთელი ამ თვის — მშვიდი, წყნარი ცხოვრების — განძავლობაში მე გადავეჩვიე ყოველგვარ არეულობათა შესახებ ფიქრს და ეს განსაკუთრებით ნაკლებ შესაძლებლად წარმომედგინა აქ, მშვიდი ბუნების წილში. ვერც კი მივხვედრილიყავი, ვის შეეძლო აქ არეულობის გამოწვევა? საკითხი ეხებოდა არა პოლიტიკურ მიტინგს, ან დემონსტრაციას, არამედ კონცერტს, რომელიც უნდა ჩატარებულიყო ქალაქგარეთ მდებარე პარკში, ზაფხულის წყნარ საღამოს; ეს სრულიადაც არ იყო არეულობის გამომწვევი საბაბი. ეს აზრი გავუზიარე კიდეც მოსულთ.

— ცდებით, ძნაო ფასტ, — მიპასუხეს მათ. — მწარედ ცდებით!

— არა მგონია, — ეუბასუხე მე.

— აბა ერთი მოგვისმინეთ. — და ზანგმა ხმამალა წამიკითხა: „ლაპარაკობენ, რომ ცნობილი ზანგი მომღერალი პოლ რობსონი ამზადებს თავის მორიგ გამოსვლას და ამით პიკსიკლს გაბედნიერებას უპირებს. იყო დრო, როცა ამას ჩვენ პატივისცემად მივიღებდით. ახლა კი, როცა ასეთი მდგომარეობაა შექმნილი, ჩვენთვის, ისევე როგორც ყველასათვის, ვისთვისაც ამერიკაა უპირველესყოფლისა, ეს პატივისცემა საეჭვოა...“ გაგრძელებაც ასეთივე სულით იყო განმსჭვალული.

— აი, კიდევ, — თქვა მან — ერთი მოუსმინეთ: „დროა ბოლო მოვლოთ სამოწყალო სიჩუმეს, რომელიც თანხმობის ნიშანია“. აი, რას წერენ „პიკსიკლ იენინგ სტარში“. — ისიც გაითვალისწინეთ, რომ ნომერი სამშაბათს გამოვიდა, ხოლო ამ ხნის განმავლობაში მათ მოახერხეს საკუთარი თავის უფრო მეტად გაავრცელება.

მზადდება „ამერიკული ლეგიონის“<sup>1</sup> აღლუმი და აქაური ხელოვნები დღეს დილიდანვე იწყებებიან ვისკით. თუმცა ადგილობრივი მცხოვრებთა ჯგუფმა პროტესტის დეპეშით მიმართა საოლქო პროკურორს — ფანელის და მოითხოვა ადგილზე საკმარისი რაოდენობით საოლქო და საშტატო პოლიციის ძალების ყოფნა. მაგრამ—ძნელია იმის თქმა, ყურადღებას მიაქცევს თუ არ ამას; ყოველშემთხვევაში, ჩვენ სიფრთხილე ვეპირებთ.

ამ უკანასკნელზე მე დავეთანხმეთ. თუმცა, უნდა ითქვას, მე უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში მესმის მსგავსი მუქარები და დაერწმუნდი

<sup>1</sup> „ამერიკული ლეგიონი“ — ფაშისტური ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია ულ-სტრიტის მესვეურთა მიერ. კერძოდ მის შემადგენლობაში შედიან ორი ომის რეაქციული ვეტერანები. „ამერიკული ლეგიონის“ მოღვაწეობა ძირითადად განისაზღვრება კაპიტალისტური მონოპოლიების ინტერესთა პროპაგანდით, შტრეიკბრუკერობით, პროგრესული ელემენტის დევნით, ნაციონალური და რასობრივი სიძულვილის გავრცელებით (რედ. შენიშვნა).

იმასი, რომ ძალადობით მუქარის მოყვარულნი უფრო გამბედედენ დაფრიან სიტყვით, ვიდრე საქმედ.

— არა მგონია, რომ ნამდვილად მოხდეს რაიმე. არა, არა მგონია.

ჩვენ რვის ნახევარზე დავთქვით შეხვედრა! (მაგრამ, როგორც თქვენ დინახავთ ქვემოთ, ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ მოახერხა რვის ნახევრისათვის ლეიკლენდ ეიკერსში მოხვედრა). დამითოვეს რა „პიკსიკლ კინინგ სტარ“-ის რამდენიმე ნომერი, ისინი მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ, რის შემდეგაც მე კიდევ დიდხანს ვათვლიერებდი გაზეთებს. შიგადაშიგ თვალი მიჩერებოდა ცალკეულ ფრაზებზე, რომლებიც საესე იყო იმ ჩლუნგი, თითქმის პათოლოგიური სიძულვილით, ყოველივე პროგრესულის მიმართ, რითაც გაზეთის ყოველი ფურცელი სუნთქავდა. აქ იყო ძალადობის მუქარაც და მის გვერდით — ძალადობის ფაქტების უარყოფაც; იყო უხეში, უტიფარი გამოსვლები ებრაელთა და ზანგთა წინააღმდეგ. ამ ბინძურ გაზეთუნაის მინიატურებში აღიქმებოდა ომის შემდგომი ანტიკომუნისტური, ანტიპემანური პროპაგანდის მყვირალა ფრაგელოგია. სიტყვიერი ზიზილ-პიპილების ქვეშ ბინძური არსის დამალვის ეს ცდა სასაცილოდ ჩანდა, მაგრამ ეს გაცილებით ნაკლებ სასაცილო იყო, ვიდრე მისი უფროსი თანამომკმეების — ნიუ-იორკის დიდი გაზეთების ამგვარი ცდა.

აი ნიმუშიც: „თუმცა სამწუხაროა, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ ჩვენს შორის არიან სულით მდაბალნი, რომლებიც შეიძლება მოექცნენ ყალბი მოძღვრების გავლენის ქვეშ, თუ ამ რაიონში მცხოვრები პატიოსანი ამერიკელები ხელს არ შეუშლიან ამას. რამდენიმე წლის წინათ ზოგიერთმა ორგანიზაციამ, „ეკლესიას-კლანმა“, გამოსვლების მოწყობა სცადა და ღირსეული პასუხიც მიიღო. თქმა არ უნდა, ასეთი ცდები აღარ განმეორდება. ჩვენ იმის თქმა არ გვსურს, რომ ამ შემთხ-

ვევაში ძალადობაა საჭირო, მაგრამ აუცილებელია შექმნილი ვითარების სერიოზული განსჯა და იმ ზომების გამოწახვა, რომლებიც არანაკლებ ეფექტური იქნებიან. ვიდრე ისინი, რომლებიც მიღებულ იქნენ ვერპლანკში და რომლებიც ჩვენ ისევე საშუალოდ გაგვათავისუფლებენ ამ ადგილებში არასასურველი ელემენტების სტუმრობისაგან“...

ყოველივე ეს მეორდებოდა ნომრიდან ნომერში. იმისათვის, რომ ბოლომდე გასაგები ყოფილიყო ინგლისური ენის ეს თავისებური გამოყენება, საჭირო იქნებოდა სხვის თუ არავის, მარკ ტრენის დახმარება მაინც. მე ამაზე ვფიქრობდი და ჩემი ნეტარი ზაფხულის მზის სხივებით გასხვივონებული რწმენა თანდათან ჰქრებოდა. ჩემ წინ გადაშლილი იყო უმეცარ ადამიანთა სასწაულებრივი ფარისევლობის ნიმუში, იმ ადამიანთა, რომელთაც სიბრძნევე გადმერთებინათ და დოლარის მსგავსად თავიანი ეცათ მისთვის.

ჩემი შეშფოთება იზრდებოდა, და მე გადავწყვიტე მიმელო ზომები, რათა არავითარ მოულოდნელობას არა დაეზარებოდა ჩემი პარკში შესვლა. იმ შემთხვევაშიც, თუკი ყველა მაყურებელი ვერ მოიყრიდა თავს, თავმჯდომარე მაინც ადგილზე უნდა ყოფილიყო. ამიტომ, სახლიდან გასვლა საჭირო იყო არა უგვიანეს შვილის ნახევრისა. ლეიკენდ ეიკერსამდე მანქანით ოც წუთზე მეტი სავალი არ იყო. მე არა მქონდა საკუთარი მანქანა, მაგრამ ამ თვეში ერთი ძველი, 1940 წლის ნიმუშების, ოთხკარიანი პლიმუტი მქონდა ნაჭირავეები; მას პატარა როლი არ უთამაშია მომდევნო კვირის განმავლობაში.

გამოთხოვებისას მე გაეფრთხილე მისის მ., რომ შესაძლებელი იყო ჩემი შეგვიანებით დაბრუნება: საეჭვოა, რომ ყველაფერი ზუსტად განრიგების მიხედვით ჩატარდეს.

— როცა დე. ნ. მოვა, — დავუბარე, — გადაეცით, რომ მე ადრე წასვლა გადავწყვიტე. ჩვენ იქ შევხვდებით ერთმანეთს.

## II

### სისაძაბლეთა საღამო

ის აგვისტოს ოქროსფერი საღამო დღემდე არ ამომშლია მეხსიერებიდან; ისეთი წყნარი, ნათელი საღამოები მხოლოდ ქორე ინნესის<sup>1</sup> ტილოებზე შეიძლება ნახოთ და, უნდა ითქვას, განსაკუთრებით ემარჯვებოდა მას ამ ნაზი სევდის გადმოცემა სწორედ მაშინ, როცა ის გუძონის წარმტაცი ველის რომელიმე კუთხეს ხატავდა. მე განგებ ავირჩიე მოსავლელი შარავნები, რომლებიც დაბალ ბორცვებსა და ვიწრო დაბლობებს შორის მიიკლავებოდნენ. პიქსილში გზა განგებ მოვიმრუდე, რათა გვერდი ამეელო ქალაქის სავაჭრო ნაწილისათვის, და მის ჩრდილო-

თით მთავარ გზატკეცილზე გავდი. მე მანამდე არასოდეს ვყოფილვარ ლეიკენდ ეიკერსის პარკში, ამიტომაც მანქანა ნელა მიმყავდა, რომ არ გავცილებოდი მის შესავალს, — ვიცოდი, ეს შესავალი დივიენ-სტრიტის მხრიდან იყო.

მაგრამ ამ გზიდან აცდენა ძნელი იყო. შორიდანვე შევნიშნე ათიოდე მანქანა, რომლებიც შარავნის ორივე მხარეზე ჩაემწყრივებინათ, (ამან ძალზე გამაყვირვა, რადგან კონცერტის დაწყებამდე, სულ ოცთა, ერთი საათი მაინც, იყო დარჩენილი), ხოლო თვით შესასვლელთან შეგგუფული იყვნენ მამაკაცები, რომელთა გარეგნობა კარგის მაუწყებელი არ იყო. მათ თუმცა არ უცდიათ ჩემი შეჩერება, ოღონდ

<sup>1</sup> ქორე ინნესი — (1825 — 1894) — ამერიკელი მხატვარი — პიზაუისტი.

იმანქებოდნენ და ყიფინა დამცეს, მაგრამ ჩემს შემდეგ მხოლოდ ერთი მანქანა გამოუშვეს, მერე კი პარკის შესავალი ჩაჰკეტეს.

შემოვედი რა პარკის ტერიტორიაზე, მანქანა გავაჩერე. ცოტა მოშორებით იდგა ახალგაზრდების ჯგუფი — ხუთიოდე ჰაბუკი და ქალიშვილი შეჯგუფულიყვნენ. ემჩნეოდით, რომ ისინი დაეფრთხო გზაზე მშფოთვარე ბრბოს ხმაურს, თუმცა ცდილობდნენ დაემალათ ეს განცდა; ნიუ იორკიდან იყვნენ ჩამოსული ბილეთების გასასინჯად და მაყურებელთათვის სამსახურის გასაწევად. მე ვაუწყე მათ ჩემი ვინაობა; გაუხარდით, მაგრამ შიში მაინც არ გაუნელდათ.

— რა ვქნათ? — იკითხეს მათ.

— ვინ არის აქ განმკარგულებელი?

არ იცოდნენ, რა ეპასუხათ. ჯერ ხომ კიდევ აღრე იყო — ალბათ არავინ მოსულა. შეიძლება იქ, ქვემოთ, იყოს ვინმე.

— მაშ, კარგი, — ვთქვი მე, — იდექით აქ და არავინ არ გამოატაროთ, იმათ გარდა, ვინც კონცერტზე მოდის. მთავარია სიმშვიდისა და გულცივობის შენარჩუნება და არაფერც ცუდი არ მოხდება.

— ახლავე გავაჩერებ მანქანას და მოვინახვე მას, ვინც წესრიგის დაცვას შესძლებს.

იმისათვის, რომ გაიგოთ ყველაფერი, რაც მოხდა ამ წუთიდან დაწყებული, საჭიროა კარგად იცოდეთ ლეიკენდ ეიკერის პარკისა და იმ ადგილის მდებარეობა, სადაც კონცერტი უნდა ჩატარებულყო. თუ პიკსკოლიდან წახვალთ, პარკში შესავალი მარცხენა მხარეზეა. მისასვლელი გზა ორია, რომლებიც მერე ერთიან გზად ერთდებიან ასო „V“ მსგავსად. შესასვლელიდან დაახლოებით ოთხმოციოდე ფუტის დაშორებით იწყება ოცი ფუტის სიმაღლეზე დაყრილი მიწა (მიწის დანაყარი, რომლის ფერდობიც თითქმის ჩამოსწვრივ ებჯინება წყლით გავსებულ

არხებს). აქ მიდის ორმოც ფუტზე მეტი სიგრძის გზა, რომელიც შემდეგ თანდათან ეშვება ველზე. მიმდევარით ყოველ მხრივ დაეულბნენ ხმები. ეს ხეივანი მობიზინე მწვანე ბალახით არის დაფარული და ერთგვარ ბუნებრივ ასპარეზს წარმოადგენს; იგი შარაგზიდან არა ჩანს, ბორცვებით გარს შემორტყმულია. აქ ყველაფერი მოშადებული იყო კონცერტისათვის: ფართო ესტრადა, ორიათასი ხის საკეცი სკამი და რამდენიმე პროექტორი, რომლებიც მოძრავ გენერატორიდან იღებენ დენს.

საათს დავხედე, შეიღს ათი წუთი აკლდა. ჩამოვედი ხეივანში, გავაჩერე ჩემი პლიმუტი ესტრადის გვერდით, ხეების ქვეშ, გადმოვედი და დავიწყე წინ და უკან სიარული. ესტრადა დალაგებული იყო, სკამები — გამზადებული, პროექტორები — გაწყობილი; გრძელ მაგიდაზე ნოტები და ბროშურები ელაგა. რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა ავტობუსიც, რომელმაც ახალგაზრდების მთელი რაზმი მოიყვანა; ისინი უმეტესად ზანგები იყვნენ; მათ უნდა შეესრულებინათ კაპელდინერთა მოვალეობა და ამიტომ აღრე მოვიდნენ. ავტობუსი შემოტრიალდა და გზაზე დამდგარ მტერის კორიანტელში მიიმალა. ჰაბუკები და გოგონები მიითანტ-მოითანტნენ. უკვე ასასოც კაცამდე შეგროვდა, მეტწილად იყვნენ ქალები და ბავშვები, რომლებიც კონცერტის მოლოდინში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც პიკსკოზე: ერთნი ბალახზე წამოწოლილიყვნენ, მეორენი ფიცრის მაგიდებს შემოსხდომოდნენ, სხვებს ესტრადის წინ უკვე დაეკავებინათ ადგილები. გოლდენს ბრიჯის სახატხულო ბანაკიდან მოსული მოზარდები ესტრადის განაპირზე ჩამომსხდარიყვნენ და გადმოკიდებულ ფეხებს ათამაშებდნენ. ესენი ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, ყველაზე უფროსი დაახლოებით თხუთმეტი წლისა თუ იქნებოდა. ზოგი მაყურებელი მანქანი



მოსულიყო, უმეტესობა კი — ქვეითად ახლომახლო აგარაკებიდან. გოლდენს ბრიჯის ბანაკის ბავშვები მოეყვანათ სატიერთო მანქანით, რომელიც ჩემი მანქანის გვერდით იდგა; ამ მანქანას სალამოს მომხდარ ამბებში მნიშვნელოვანი როლის შესრულება ზედა წილად. ბედნიერ შემთხვევას სავაჭრო ფლოტის ექვსი მეზღვაური და ადგილობრივი პროფკავშირების ოთხი აქტივისტიც აღრე მოეყვანა, — ამისათვის მე ბედს უნდა ვუმაღლოდე.

კონცერტის მომწყობნი მაინც ვერ ენახე; როგორც შემდეგ გამოირკვა, იმათ სულაც ვერ შესძლეს პარკში შემოსვლა. მე კარგა ხანს ვეძებე ისინი, მაგრამ, როცა ვერაინ ვიპოვე, ძებნას თავი მივანებე, მაგიდას მივუჯექე და ლოდინი დავიწყე. უკვე შეიღი საათი იყო და აქედან, ხეივნიდან, ყველაფერი მოჩანდა.

პირველი შემაშფოთებელი ცნობა ერთმა ბიჭუნამ მოიტანა. იგი მთელი სისწრაფით მორბოდა. ჩვენ მას მაშინვე შემოვხვებით გარშემო; ბიჭუნამ გვითხრა, რომ ზევით რაღაც უსიამოვნო ამბავი მზადდება და საჭიროა, რომ ვინმე ავიდეს იქ, თორემ რაღაც უბედურებაა მოსალოდნელი. ემჩნეოდა, ძალზე შეშინებული იყო.

ჩვენ—ოცდახუთი, ოცდაათი კაცი— მაშინვე გაყვეით მას; ასეთ წუთებში საერთოდ არ ითვლი, თუმცა გვიან მე ამ საქმესც მივყევი ზელი. იქ მყოფნი, თითქმის ყველა მამაკაცი და ჯაბუი, ზევით წავედით. რამდენიმე ქალიშვილიც გამოგვიყვა. თითქმის მივრბოდით მტკრიან გზაზე. მე ჯერ კიდევ დარწმუნებული ვიყავი, რომ საშინელ გინებასა და შეურაცხყოფას ვერ აცდებოდით, რადგან ისეთი ადამიანები, ზევით რომ შეკრიბილიყვნენ, მხოლოდ მაშინ იჩენენ მამაცობას, როცა ერთის წინააღმდეგ ოცნი არიან.

თითქმის ავედით, როცა უცებ თავს დაგვესხა სამასამოი ვაიბატონი, „ამერიკული ლეგიონის“ ქულებში გამო-

წყობილები. ისინი შეიარაღებული რყენენ კეტებით, კასტეტებით, ქვეებით — ყველა ერთმანეთში აფრიალებდნენ ხროვად იქცა და ამ სურათმა ჩემი ოპტიმიზმიც გააქრო.

ასეთი შეჯახება, საერთოდ, დიდხანს არა გრძელდება; მან სამ-ოთხ წუთს გასტანა და ჩვენ იმის წყალობით, რომ გზა ვიწრო იყო, შევევლით მათი შეოკება და უკანაც კი დავახეინეთ, თუმცა ამ დახევით ყრულ ჩაგვიკეტეს გასასვლელი. თუ თქვენ არასოდეს ყოფილხართ მომწყვდეულ ხაფანგში და არ გინახავთ თქვენდამი სიძულელით დამანქული ბოროტი სახეები, ძნელად წარმოიდგენთ იმას, რაზედაც მე მოგახსენებთ, მხოლოდ ახლა მივხვდი იმას, თუ რატომ შეგროვდა კონცერტის მოსასმენად ესოდენ ცოტა ხალხი. ერთი გზა გადალობილი იყო ქვების ბარიკადებით, ხოლო მეორე გზაზე გარდიარდმო იდგა სატიერთო მანქანა „ამერიკული ლეგიონის“ ნიშნით. ამრიგად, ჩვენ გარშემომწყვდეული აღმოვჩნდით; უკან დასახევი გზა აღარ გვქონდა; თითოეულ ჩვენთაგანზე ოცი ლეგიონერი მოდიოდა, სწორედ ისეთი შეფარდება იყო, როგორსაც მათი ნორმები მოითხოვდნენ.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენ მათ უკან დავახეინეთ, და ახლა დამტკერილნი და ოფლში გაწურულნი, ზოგიც დასისხლიანებული, გზის აქეთა მონაკვეთს ვიცავდით. ისინი ხელმეორედ დაგვესხოდნენ. თავს, შერიფის სამი თანაშემწე რომ არ გამოჩენილიყო. მადლობა ამ სამ საზიზღარს! ისინი გამოძვრნენ ბრბოდან, სპირტის სუნით გაქლენთილი ბურუსიდან; მათი მოოქროვილი ბალთები ამაყად ბრჭყვიანობდნენ ჩამავალი მზის სხივებზე, ხოლო ქამრებზე მასიურ ბულებებში ჩადებული რევოლვერები ეკიდათ.

მოგვიბრუნდნენ რა ზურგიით, გულკეთილად შლიდნენ ისინი ხელებს და ბრბოს შეოკებას ცდილობდნენ:

— აბა, აბა, ბიჭებო, — ამბობდნენ ისინი, — ცოტა მშვიდად! ყოველივე ეს შეიძლება მოგვარდეს წესის, კანონის თანახმად; ხომ იცით, კანონის მიხედვით ყოველი საქმე კარგად სრულდება.

— მოგვეცით ხუთი წუთი — და ჩვენ ამოველგებთ ამ არამზადებს, — გააკითხდნენ „ბიჭები“.

— წყნარად, წყნარად, ბიჭებო. რა საჭიროა ხმაური. როცა შეიძლება ყველაფრის გაკეთება ყოველგვარი ხმაურის გარეშე?

ამის შემდეგ ხელისუფლების სამივე წარმომადგენელი მოგვიბრუნდა ჩვენ და ეწადა გაეგო, თუ რომელი ეშმაკის შთაგონებით დაგვიჭირდა საზოგადო წესრიგის ეს დარღვევა.

წამლადწუმ საათს დავყურებდი. ახლა უკვე რვის ათი წუთი იყო. ამ ხნის განმავლობაში მოვახერხე დამეთვალეობინა ლეგიონერთა ქულებში გამოწყობილი „ბიჭები“ (ისინი სრულიად არ ეკუთვნოდნენ „საზოგადოების ნაძირალებს“, მათ შორის იყო ბევრი დარბაისლური შეხედულების მამაკაცი), რომლებიც უკვე საკმაო ასაკისანი იყვნენ — ბევრი მათგანი გადაცილებული იყო ოცდაათ, ორმოცსა და ორმოცდაათ წელსაც კი. მათ შორის იყვნენ დარბაისლური შესახედაობის, ჩასუქებულები, სუფთად ჩაცმული მამაკაცებიც; ისინი იქნებოდნენ უძრავი ქონების გამყიდველი აგენტები, მებუფეტეები, საბაკალო დუქნების გამყიდველნი. პიკილისა და შრამ-ოუკის ყოველ ლუბხანაში შეგაძლიათ შეხვდეთ ამ ტიპის ადამიანებს. მიუმატეთ მათ რიცხვს ასიოდე სხვა „წესიერი“ მოქალაქე, ასიოდე ახალგაზრდა ბიჭუნკალა, რომელთა გოგრებიც გატენილია ანტიკომუნისტური პროპაგანდით, აქვე ანგარიშში ჩააგდეთ კათოლიკური ეკლესიის ასიოდე ბურჯი, მთელი რაიონის ორას-სამასიოდე რჩეული ხელიგანი და ორმოცდაათიოდე გზასაყდენილი მუშა, და თქვენ მიიღებთ საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იმ ბანდის შემად-

გენლობაზე, რომელიც ჩვენ წინ იდგას. სითამამის მოსამატებლად ეს ბრბო ვისკით გაქვიებთ, უზრუნველყავით ისინი რიცხობრივი უპირატესობით — ოცი ერთის წინააღმდეგ — ზურგი პოლიციით გაუმაგრეთ — და თქვენ წინ გადაიშლება სრული სურათი.

აი, ამ „ბიჭებს“ აკავებდნენ შერიფის თანაშემწეები სწორედ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იყო ჩვენი სიცოცხლის გადასარჩენად. ისე კი არ გაიგოთ, რომ ისინი სპეციალურად ზრუნავდნენ ჩვენი სიცოცხლის გადარჩენაზე. არა, ეს იყო სრულიად უნებლიეთ, იმდენად, რამდენადაც თვით ასეთი შემთხვევა ნიუ-იორკის შტატის უესტჩესტერის ოლქის ისტორიაში უპრეცედენტო იყო და ოქროსბალთებიანმა კანონის სამმა დამცველმა ჯერ კიდევ არ იცოდა კარგად — როგორ მოქცეულიყო ასეთ შემთხვევაში. აი, რატომ შეეცადნენ ისინი თავაწყვეტილი „ბიჭების“ შეოკებას და მუქარით გვეკითხეს ჩვენ — რომელი ეშმაკის შთაგონებით დაგვიჭირდა საზოგადოებრივი წესრიგის ეს დარღვევა.

მე გავეცი მათ პასუხი — ამან განსაზღვრა ჩემი შემდგომი მოქმედება; ეს კი უმთვრესად იმიტომ მოხდა, რომ მე ყველაზე უფროსთაგანი ვიყავი ჩვენს მცირერიცხოვან რაზმში. ბოლოსდაბოლოს მე ხომ თანხმობა მქონდა მიცემული ამ საღამოს თავმჯდომარეობაზე; თუმცა კონცერტის პროგრამა რამდენიმედ შეიცვალა და პოლ რობსონისა და პიტი სიგერის მიერ შესრულებული საამო სახალხო სიმღერების ნაცვლად ჩვენ იძულებული ვიყავით გვესმინა ის მუსიკა, რომელიც უკვე დიდი ხნის დამღერებული იყო გერმანიასა და იტალიაში.

ამრიგად, მე ვუპასუხე, რომ ჩვენ წესრიგს კი არ ვარღვევთ, არამედ შევიკრიბეთ კონცერტის მოსასმენად და ვთხოვე მათ, რომ გაეწმინდათ გზა, რათა ჩვენს ხალხს პარკში შემოსვლა

და კონცერტის მშვიდად მოსმენის საშუალება მისცემოდა.

— როგორც კი გავიგებ ამგვარ აბღაუბლას, მაშინვე მუცლის გვრემა მეწყება, — ჩარობროხა შერიფის ერთერთმა თანაშემწეთაგანმა.

დანარჩენი ორი კი ხმაგაკმენდილი მოგვჩერებოდა; ახლაც კი თვალწინ მიდგას სამთავე. ჩვენთან, ამერიკაში, ყველა შერიფი და მისი თანაშემწე ერთი ჯურისაა: შარვალზე მობჯენილი ღიბი, არეული სახე და ბრანზორეული გადმოხედვა; ერთად ერთი, რაც ამ სამეულს აწუხებდა, ის იყო, რომ პასუხისმგებელნი არ გამხდარიყვნენ იმაზე, რაც აქ შეიძლებოდა მომხდარიყო. ერთადერთი, რის მიღწევასაც ისინი ცდილობდნენ, ის იყო როგორმე ყოველივე მათ გარეშე მომხდარიყო. ამიტომაც მათ ბრძანეს:

— შეწყვიტეთ უწესრიგობა! გასაგებია? ჩვენ უწესრიგობის წინააღმდეგი ვართ და მშვენივრად ვიცით, როგორ უმასპინძლებიან უწესრიგობათა გამომწვევთ.

მე კიდევ ერთხელ ვცაღე ამეხსნა მათთვის საქმის ვითარება. მოთმინებით განუშარტე, რომ ჩვენ არავითარი უწესრიგობა არ განგვიზრახავს და არ წამოგვიწყია, რომ ეს სამასიოდე „გულუბრყვილო პატრიოტი“ აქ არ მოგვიწვევია იმისთვის, რომ თავს დაგვსხობდნენ და რომ მხოლოდ ერთს ეთხოვლობთ: გაათავისუფლონ გზა, რათა ხალხს კონცერტზე შემოსვლის საშუალება მიეცეს.

— აბა, ერთი მითხარით, როგორ შეგვიძლია ჩვენ გზის გაწმენდა? შეხედეთ ერთი, რა ხდება, — თქვა ერთმა მათგანმა.

— უთხარით, რომ დაიშალონ და ისინიც დაიშლებიან.

— თქვენ ნუ მასწავლით ჩემს საქმეს.

— დაიხსომეთ, მისტერ, — ვუბახუხე მე, — რაც კი აქ რამე მოხდება,

ყველაფერზე თქვენა ხართ პასუხისმგებელი.

— აქედან გამეცალეფულა მოწყობა კანონის მცველმა.

— კარგი, ჩვენ მოველაპარაკებთ ბიჭებს, — თქვა მეორემ.

მათ დაიწყეს მოლაპარაკება და ჩვენ ხუთწუთიანი სულისმოთქმის საშუალება მოგვეცა. მე ყური არ დამიგდია იმისთვის, თუ რას ელაპარაკებოდნენ ისინი „ბიჭებს“; უკვე მივხვდი, რომ ისინი სრულიადაც არ აპირებდნენ მათზე სერიოზული ზეგავლენის მოხდენას და, როდესაც შეეხედე ბარიკადებს და კედელსავეთ ჩახირულ ლეგიონელთა ბრბოს, ჩემთვის ნათელი შეიქნა ის, რომ რომელიმე ჩვენთაგანი არა თუ აქ შემოსვლას მოახერხებდა, არამედ, იქ მყოფთაგანიც ვერც ერთი ვერ მოახერხებდა გარეთ გასვლას. ეს იყო ჩემში იმ საღამოს კეშმარიტების პირველი სხივის გაელევა, მხოლოდ გაელევა.

საშინელების ნათელი სურათი გაცილებით გვიან აღიქვი. დღის სინათლე ჯერ კიდევ არ გამქრალიყო; მდინარე გუძონის ველს ოქროსფერი ელვარება გადაჰფენოდა; ჩვენ ჯერ კიდევ ის აღამიანები ვიყავით, რომელთაც კონცერტის მოსასმენად მოგვეყარათავე. აზრს, მოახლოვებული სიკვდილის შესახებ, არც თუ ისე ადვილად ვურიგდებოდით. ჩვენ განსაცდელში ვიყავით.

როგორც კი შერიფის თანაშემწეები მოსალაპარაკებლად მიბრუნდნენ, უცებ ბრბოდან ვიღაც კაცი გამოვიდა. სრულიად მშვიდად გამოიარა გამხეცებულ აღამიანთა კრებული და ჩემ წინ შეჩერდა. სწორედ იმიტომ, რომ იგი ასე მშვიდად მოდიოდა და თავი ისე ეჭირა, როგორც სხვა ქვეყნიდან მოსულს, ბრბომ იგი თავისუფლად გამოატარა... ასეთ წუთებში აღამიანებს ყოველგვარ უცნაურობათა ჩადენაც შეუძლიათ. ეს კაცი ოცდახუთიოდე წლის თუ იქნებოდა. იგი იყო მაღალი, პატარა წვერებიანი, თავზე ბერეტი ეხურა და

განიერი ღიაფერის შარვალი ეცვა; ის ლეონარდო მერიკეს<sup>1</sup> ერთ-ერთი ნოველის შეყვითლებულ ფურცლებიდან ამოკითხულ გმირს ჰგავდა; თუ როგორ მოხვდა აქ ძნელი გასაგები იყო. მაგრამ ასეთი თუ ისე, იგი ჩემ წინაშე იდგა, და მეც შევეკითხე — ვინ იყო და რა უნდოდა.

— მე მუსიკის მოყვარული ვარ, — მიპასუხა მან.

— ჩხუბი თუ იცით, მუსიკის მოყვარული? — შევეკითხე მე.

— არ ვიცი და არც ვიჩხუბებ, — მიპასუხა მან გულისწყრომით.

— შეძლებთ და იჩხუბებთ კიდევ, მუსიკის მოყვარული; თუ არა და იქვე წაბრძანდით, საიდანაც მოსულხართ. ეს კი იცოდეთ, რომ ახლა კი ისინი უმალ ნაწილ-ნაწილ დაგგლეჯენ, ვიდრე მშვიდობით გაგატარებენ. იმათ, ვინც მაშინ ჩემთან ერთად იყო, კარგად ახსოვთ ეს სცენა და უცვლელად დამიდასტურებენ ამას. იმ საღამოს ერთხელ კიდევ მერგო მუსიკის მოყვარულთან შეხვედრა. მისი ვინაობა ჩემთვის დღემდე უცნობია, და ის ჩემს მეხსიერებაში დარჩა, როგორც მუსიკის მოყვარული. როცა მას იმ საღამოს მეორედ შევხვდი, თავზე ბერეტი აღარ ეხურა, შარვალი შემოიფხრინათ, დასისხლიანებულ პირისახეზე მხოლოდ ბრძოლის წყურვილით მოელვარე თვალები მოუჩანდა.

— თურმე მცოდნია ჩხუბი! — რაღაც გმირული ხმით წარმოთქვა მან. ეს უნარი მან თავის თავში მხოლოდ იმ საღამოს აღმოაჩინა, ისევე როგორც მრავალმა ჩვენთაგანმა, და, კერძოდ, ერთმა თექვსმეტობდე წლის ზანგმა ჭაბუკმა. რვის ნახევარზე, როცა ჩვენ საბრძოლო რაზმებად ვიყოფოდით, უცებ შევამჩნიე, რომ ამ ჭაბუკმა გზას გადაუხვია და, როგორც ეტყობოდა, მინდორზე პირდაპირ გაე-

ლით გაქცევა და თავის შველა დააბი-რა. მე მას დაუეძახე, ეგვი შეჩერდა. ამერიკელი ლინჩის იმ სუბინფლუენციონით შეძრწუნებულს, რომელიც ოდესღაც მხოლოდ ზანგების მიმართ იხმარებოდა, ხოლო ახლა პროგრესულ თეთრებზეც ადვილად ვრცელდებოდა, ენა ჩავარდნოდა და დარცხვენილი ლულულით მეუბნებოდა:

— მე ჩხუბის თავი არა მაქვს, მისტერ ფასტი; არ შემიძლია... მე აუცილებლად უნდა დავაღწიო თავი, აუცილებლად...

— მერე და იცი, რას გიზამენ, თუკი მათ ხელში ჩაუვარდები ტრიალ მინდორზე?

— ვიცი, მაგრამ სულერთია, ჩხუბის თავი არა მაქვს.

— შეგიძლია — და არც თუ ჩემზე ნაკლებ, ჩემო ბიჭუნავ. ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ კარგად შეგეძლოს, მაგრამ ჩხუბი ორივეს შეგიძლია. სჯობს დარჩე და ჩვენთან ერთად იბრძოლო.

მას ერთხელ კიდევ ველაპარაკე, მაგრამ უკვე სხვა ვითარებაში: თავი გახეთქილი ჰქონდა ზედ კეფასთან და ჭრილობიდან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა. ვერ წარმომედგინა, რა ძალა აკავებდა მას ფეხზე. როგორც კი დამინახა, სრულიად მშვიდად მითხრა:

— მე დაჭრილი ვარ, მისტერ ფასტი. თუ თქვენი აზრით ჩემი ჭრილობა სერიოზულია, მაშინ დაეწვეები ცოტა ხანს. მაგრამ თუ თქვენ იტყვით, რომ არაფერია, მაშინ მე გავაგრძელებ ჩხუბს.

შერიფების თანაშემწეები ბრბოსთან მოლაპარაკებას განაგრძობდნენ, მე კი შიშის ზარს მგერიდა იმ ქალებზე და ბავშვებზე ფიქრი, რომლებიც ქვევით იყვნენ დარჩენილნი; რა ბედი ეწვეოდა მათ, თუ ბრბო ჩვენს გათელვას მოახერხებდა. ამასობაში ჩვენი კაცებიცა და ქალებიც, რომლებიც ზემოთ იყვნენ და შესეგნებით სული მოიტყვეს, გარს შემომეხვივნენ. როგორც

<sup>1</sup> ლეონარდო მერიკე (1874 — 1939) — ანგლისელი მწერალია, რომელიც თავის შემოქმედებაში ღიად ადგილს უთმობს არტისტული წრის ზნე-ჩვეულებების ასახვას და აღწერას.

ჩანს, მათ ეგონათ, რომ რაღაცა სასწაულებრივს მოვიმოქმედებდი. — მე ხომ იმ მრავალი წიგნის ავტორი ვიყავი, რომელთა გმირებიც ყოველთვის პოულობდნენ მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევას. მე მათ შევეკითხე — უნდათ, თუ არა, რომ ჩემს თავზე ავიღო მათი ხელმძღვანელობა. ისინი მაშინვე დამეთანხმნენ.

— მაშინ, აი, რა: ჩვენი მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა, მაგრამ სულთ არ უნდა დავეცეთ. მალე შემოგვეშველება ნამდვილი პოლიცია და ამ უმსგავსოებას ბოლო მოეღება. მანამდე კი ჩვენი ვალია, ეს ბრბო აქ შევკავოთ; ამ ვიწრო გზაზე ხომ უფრო აღვილია თავის დაცვა. ჩვენ ისინი სწორედ აქ უნდა შევკავოთ იმიტომ, რომ იქ, ქვევით, ქალები და ბავშვები არიან. აი, ეს არის ჩვენი ტაქტიკა. თანახმა ხართ?

— თანახმა ვართ, — მიპასუხეს ერთხმად.

— ძალიან კარგი. ახლა კიდევ ერთი რამ. შეეთანხმდეთ, რომ ყველა მოლაპარაკებას მე ვაწარმოებ და, როცა რაიმე იქნება სასწრაფოდ გადასაწყვეტი, მე ვიმოქმედებ ერთპიროვნულად იმდენად, რამდენადაც თათბირის დრო აღარ იქნება. წინააღმდეგი ხომ არავინ არის?

უყოყმანოდ დამთანხმდა ყველა. ამა-სობაში დრო გადიოდა; საჭირო იყო სასწრაფო და გადაშტრელი ზომების მიღება. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ქალიშვილებს ვუთხარი, რომ ქვევით ჩაერბინათ და იქ მყოფთათვის გადაეცათ, რომ ქალები და ბავშვები ჯერჯერობით ესტრადაზე შეგროვილიყვნენ, ხოლო ყველა ჯანმრთელი მამაკაცი, მიუხედავად ასაკისა, ჩვენთან ამოსულიყო. შემდეგ იქ დარჩენილთ მიემართე:

— საჭიროა, ერთმა ჩვენთაგანმა მოახერხოს, აი, იმ ბუჩქნარით შარავნაზე გასვლა, მონახოს ტელეფონი და შეატყობინოს აქაური ამბების შესახებ,

უპირველეს ყოვლისა, შტატის პოლიციას, შემდეგ „ნიუ-იორკ ტაიმსსა“ და „დეილი უორკერის“ რედაქციებს და, ბოლოს, თვით რედაქციებს გუბერნატორს. ვინ იყისრებს ამ საქმის შესრულებას?

მსურველი აღმოჩნდა. მე ამ კაცის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცოდი, მხოლოდ ის კი შემიძლია ვთქვა, რომ ვაქაცობა და სიმამაცე მასში ჭარბად მოიპოვებოდა. მისი საშუალო სიმაღლის ტანი და ნათელი თვალები სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში, თუმცა იმ საღამოს შემდეგ მე ის აღარ მინახავს. სამჯერ გაარღვია მან ალყა, სამჯერ დაბრუნდა და გამოარღვია ეს გამხეცებული ბრბო; მან თავისი დავალება პირნათლად შეასრულა.

ამასობაში ქვევით მყოფი მამაკაციებიც შემოგვიერთდნენ და მე ჩვენი ძალების აღრიცხვის საშუალება მომეცა. ჩემიანად ორმოცდაორი კაცი ვიყავით, რომელთა შორის ოციოდე ზანგი ერია. დაახლოვებით ნახევარი ახლგაზრდებისაგან შედგებოდა, აქ იყვნენ მოზარდები და ჭაბუკები. ისინი შეიდრახმად დავყავი; თითოეულში ექვს-ექვსი კაცი იყო, რომელთაგან ერთს მეთაურის უფლება მივეცი; სამი მწყობრი, თითოეულ მწყობრში ორორი რაზმი, ე. ი. თორმეტ-თორმეტი კაცი, ისე განვალაგე, რომ გზა გადავლობათ სწორედ იმ ადგილას, საიდანაც მიწადაყრილი გზა იწყება. ფლანგებიდან წყლით გავსებული არხებით ვიყავით დაცულნი; მეშვიდე რაზმი ჩვენი ზურგის თადარიგი იყო.

მე კიდევ დახედე საათს. რვის ნახევარი გამხდარიყო. შერიფის სამივე თანამემშვე სადღაც გამჭრალიყო; ჩვენ ისინი აღარ გვინახავს. ბრბომ იერიშის მოტანა სცადა. ყველა იმ შეტევითაგან, რაც კი ჩვენ ვიგემეთ იმ საღამოს, ეს ყველაზე საშინელი იყო; თუნდაც იმიტომ, რომ დღის სინათლე ჯერ კიდევ არ მიმჭრალიყო და ჩვენი ხალხი კარგად ხედავდა ამ საშინელ ბანდას, ქვე-

ბით, კეტებით, ბოთლებითა და დანე-  
ბით შეიარაღებულ ბრბოს, რომელიც  
სისხლის მსმელი მხეცივით მოიწევდა  
ჩვენზე. ეს უდაოდ უარყოფით ფსი-  
ქიკურ ზეგავლენას ახდენდა ყოველ  
ჩვენთაგანზე; მათი წინამძღოლები უკა-  
ნასკნელ წუთამდე არ ეშვებოდნენ თა-  
ვის ჯიბის ფლიაგებს — ალკოპოლით  
გამობრუქულნი ალკოპოლითვე ამაგ-  
რებდნენ თავის მხნეობას. თავდასხმის  
დაწყება და ყვირილისა და გინების გა-  
ასკეცება ერთი იყო. აღოლფ ჰიტლერი  
ამ ბრბოს სულიერ მამოძრავებელ  
ძალას წარმოადგენდა; ისინი გაჰკიო-  
დნენ:

— ჰიტლერი ჩვენთანაა!

— ჩვენ მივიყვანთ მის საქმეს ბო-  
ლომდე!

— დიდება ჰიტლერს! გაანადგურეთ  
შავები და ურები!

— ლინჩი რომსონს! მოგვითრიეთ  
რომსონი! მოიყვანთ აქ, თქვე მ-ბო, ჩვენ  
მოუფლეთ მას!

იმ წუთში მე ერთს ვნატრობდი: ბო-  
ლი რომსონი რაც შეიძლება შორს  
ყოფილიყო აქედან — ამ გზიდან, ჩვენ-  
გან, ამ ბრბოდან.

— ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ მედი-  
ნას დაწყებულ საქმეს! — ღრიალებდა  
ბრბო.

— არც ერთ კომუნისტს ამერიკაში  
ცოცხალს არ დაეტოვებთ!

დიღ, იმათ იცოდნენ, კარგადაც  
იცოდნენ, რა უნდოდათ და რას აკე-  
თებდნენ!

ძნელია ზუსტად იმის თქმა, თუ რამ-  
დენ ხანს გასტანა ამ მეორე თავდასხ-  
მამ. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ბოლო  
არ უჩანსო, თუმცა, დაახლოვებით, ეს  
თავდასხმა თხუთმეტ წუთზე მეტს არ  
გაგრძელებულა. ამასობაში მზეც მიე-  
ფარა გორაკებს და პარკს დამის სიბ-  
ნელე გადაეფარა.

ჩვენ ერთადერთი აზრი გვიტრია-  
ლებდა თავში — არ მიგვეცა მათთვის  
ჩვენი დაცვის გარდევვის საშუალება.  
შემოტყვის მთელი სიმძიმე პირველმა

რიგმა მიიღო თავის თავზე, ყველაზე  
მეტი იმათ მოხვდათ. მეორე და მესა-  
მე რიგში მდგომნი ცოცხალ ნაკვალად  
იქცნენ, გამხეცებული ბრბოს მარჯვლას  
აკავებდნენ. წინა რიგში ოთხნი და-  
გვიტრეს მძიმედ. დამავებულნი მა-  
შინვე გამოგვეყავდა მწყობრიდან და  
მის ადგილს შემდგომ რიგში მდგო-  
მი ამხანაგი იკავებდა. ჩვენებმა ორ-  
განიზებულობისა და დისციპლინის  
ბრწყინვალე მაგალითი გვიჩვენეს. ორ-  
მოცდაოთხი აღამიანი, რომელთაც მა-  
ნამდე არასოდეს ენახათ ერთმანეთი,  
ისე მოქმედებდა, როგორც ერთიანი  
აწყობილი მექანიზმი, და სამასზე მეტ-  
მა გამხეცებულმა ვიგინდარამ ვერ შეს-  
ძლო მათში პანიკის შეტანა. ბრბოს  
მოზღვაების გამო ჩვენ იძულებული  
ვიყავით ორგანიზებულად უკან დახევა  
დაგვეწყო, მაგრამ ჩვენი დაცვის ერთი-  
ანობა ურყევი რჩებოდა.

ნახეს რა, რომ ვერაფერს გახდნენ,  
ისინი იძულებული შეიქნენ შესვენება  
მოეწყოთ — საბრძოლო სული დროე-  
ბით მიუხედავად, უკან დაიხიეს, რის  
შედევადაც ჩვენსა და იმათ შორის და-  
ახლოებით ოცნაბიჯიანი თავისუფა-  
ლი ადგილი აღმოჩნდა. ბანდიტთა ზრო-  
ვა თანდათან იზრდებოდა.

ჩვენ შორის იყვნენ დაჭრილები, მაგ-  
რამ მწყობრიდან არაიენ არ გამოსულა.  
პირველი რიგის დაჭრილთა შეცვლის  
შემდეგ ჩვენ ისევისე გადაიხვიეთ  
ერთმანეთს ხელი მომავლის მოლო-  
დინში.

«არაფერია, — ვუთხარი მე ჩემს  
თავს, — ჩვენ ყველანი ცოცხლები  
ვართ და ყველაზე საშინელიც უკან  
მოვიტოვეთ. ცოტა კიდევ და პოლიცია  
მოგვისწრებს».

რამდენჯერ გავიმეორე ეს გამამხნე-  
ებელი სიტყვები მთელი საღამოს გან-  
მავლობაში! მაგრამ პოლიცია არსად  
ჩანდა. სამაგიეროდ ქვემოდან მოირ-  
ბინა გულგახეთქილმა ჩვენმა გოგონამ  
და მღელვარებისაგან გულამოვარ-  
დნილმა ძლივს ამოიძახა:

— ისინი ზემოდან, ბორცვებიდან ძვრებიან. ჩქარა მიხედეთ იმ ადგილს!

— ბევრი არიან?

— არ ვიცი. მე ათიოდე კაცი შევნიშნე, შეიძლება თხუთმეტიც იყოს. ჩვენი მეშვიდე — სათადარიგო — რაზმი მოვხსენი და იქ გაგზავნე; ახლასულ ოცდათექვსმეტნი დავრჩით. მაგრამ ხალხის გაგზავნისას ერთ-ერთ ჩვენთაგანს — გოლდენს ბრიჯის ბანაის სატვირთო მანქანის შოფერს ვუთხარი, რომ თავისი მანქანა ამოეყვანა ზემოთ, თავდაღმართის დასაწყისთან და ისე ჩაეყენებინა, რომ გზა ჩაეკეტა. ეს იმისათვის გადაწყვიტე, რომ უკანასკნელი შეტაკების შემდეგ ჩვენ იძულებული ვიყავით ოციოდე ფუტით უკან დაგვეხია; ცოტა კიდევ რომ გაგრძელებულიყო ეს ბრძოლა, ჩვენ გაშლილ დაბლობამდე დაგვახვევინებდნენ და მაშინ ყველაფერი გათავდებოდა — გარს შემოგვერტყმოდნენ და ამოგვეტლებდნენ. სატვირთო მანქანის საშუალებით კი ჩვენ შევძლებდით ზურგის გამაგრებასა და პოზიციების შენარჩუნებას.

დაღამებისას, როცა დღის სინათლე უკვე საბოლოოდ მიიწურა და იქაურობას ღამის სიბნელე გადაეფარა, ფაშისტურ ბანდაში რაღაც გარდატეხა მოხდა: მათმა მოქმედებამ ორგანიზაციულობის ხასიათი მიიღო. წინა პლანზე გამოჩნდა სამი, როგორც ეტყობოდა, „წინამძღოლი“; ერთი მათგანი, საშუალო ხნის ყოყლოჩინა კაცუნა, ჩვენებმა იცნეს — იგი პიკსილის შეძლებული მაკლერი გახლდათ. მათ კიდევ ერთი კაცი შემოემატათ და ოთხივემ გაცხოველებული კამათი გამართეს. ცდილობდნენ ჩურჩულით ელაპარაკათ, მაგრამ არ გამოუდიოდათ — ვისკანაყლაპი კაცისთვის ჩურჩულით ლაპარაკი თითქმის შეუძლებელია. ამასობაში შარავზე გაწყობილი მანქანები ისეთნაირად მოაბრუნეს, რომ ფარების სინათლეებმა ჩვენ პროექტორებივით

მოგვანათეს. თუ პოლიცია უცნაურ გულგრილობასა და აღუქმარებლობას იჩენდა, სამაგიეროდ პრესის გამოჩნდა ოპერატიული: ყოველის შესრულების მოდა ფოტორეპორტიორთა აპარატების ტაკუნნი. რეპორტიორები, რომლებიც სინათლის ახლოს მოკალათებულიყვნენ, გაფაციცებით სერავდნენ უბის ბლოკნოტებს. ჩემი ყურადღება მიიქცია სამმა წარმოსადგემა, კარგად ჩაემულმა და მეტად მშვიდი გამოუმეტყველების მქონე, ადამიანმა, რომლებიც ნეიტრალური ზონის ნაპირში იდგნენ; ორ მათგანს ბლოკნოტი ეჭირა ხელში და გულგრილი მეთოდოკურობით სტენოგრაფიულ ჩანაწერებს აწარმოებდა. პირველად ისინი გაზეთის მუშაკები მეგონა და ყურადღება აღარ მივაქციე. მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ძალაუნებურად მეჩხრებოდნენ თვალში, იძულებული შევიქენი, არათუ ყურადღება მიმექცია მათთვის, არამედ გამოვლაპარაკებოდი კიდევ ბოლოს გავიგე, რომ ისინი იუსტიციის სამინისტროს აგენტები იყვნენ. მე არ ვიცი, რისთვის გამოგზავნეს ისინი აქ — „ემმარცხენე“ მსახიობთა კონცერტზე საზედამხედველოდ, თუ ადამიანთა მასობრივი განადგურების ორგანიზებული ცდის საყურებლად. თავი ეჭირათ მეტად ცივად, ზრდილობიანად და განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ თავის ნეიტრალიტეტს. ბოლოს მათ სამსახურიც კი გაგვიწიეს, მაგრამ ნეიტრალიტეტს განუხრელად იცავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ თვალწინ ადგილი ჰქონდა კაცთა მასობრივი ქლეტის მხეცურ მცდელობას.

ბრბოს წინ გამოსულმა ოთხეულმა დავა შესწავლიდა და ერთი მათგანი ჩვენსკენ წამოვიდა. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო; იგი ჩვენ წინ შეჩერდა და გვეთხა:

— ვინ არის აქ უფროსი?

— შეგიძლიათ მე მელაპარაკოთ, — ვუპასუხე.

— მე მიიდა ვიცოდე: თანახმა ხართ თუ არა თქვენ ყოველივე ამის შეწყვეტაზე, თუ ჩვენ თავს დაგანაბებთ?

— ჩვენ არაფერი წამოგვიწყია.

— კი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. თანახმა ხართ თუ არა?

— მერე რა გინდათ?

— მერე-და ის, რომ წახვიდეთ.

— თუ თქვენ გზას დაგვიცილით და საბოლოო დაცვის გამოძახების საშუალებას მოგვცემთ, მაშინ ჩვენ წავალთ. ქვევით ასორმოცდაათამდე ქალი და ბავშვი გვყავს. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია, რომ ისინი ამ მგლების ხროვას დაუტოვოთ დასაგლეჯად!

— კარგი მოითმინეთ, ჩვენებს მოველაპარაკები, — მიპასუხა მან.

იგი თავისიანებთან დაბრუნდა და ოთხეული ხელმეორედ აჩოჩქოლდა. ამასობაში ჩვენი სატვირთო მანქანაც მოგვადგა უკანიდან. როცა ყველაფერი მოვაწესრიგეთ, მანქანის საშუალებით გზა მაგრად ჩავკეტეთ. სასწრაფოდ მოვეთათბირე პროფკავშირების ორ წარმომადგენელს. გადავწყვიტეთ, რომ ახლა მთავარი იყო დროის მოგება და ამიტომ მე მოლაპარაკების წარმოება უნდა განმეგრძო. იმასთან დაკავშირებით, რომ პოლიცია არსად სჩანდა, ერთ-ერთმა აქტივისტმა ვალდებულება აიღო — კიდევ ერთხელ გასხლტომოდა ალყას და პოლიციის გამოძახება ეცადა. მაგრამ, ის იყო დაიწყო მან განზრახულის სისრულეში მოყვანა, ბრბო ხელმეორედ გადმოვიდა შეტევაზე. ჩვენთან მოლაპარაკების მწარმოებელი სადღაც გაქპრა და აღარ გამოჩენილა.

ამჯერად შემოტევა უფრო მოფიქრებული იყო. ბრბო აუჩქარებლად გადმოდიოდა შეტევაზე და მთელი თავისი მასით უკან გვახვეინებდა, რის შედეგადაც, ბოლოსდაბოლოს, ჩვენი დაცვის სამივე რიგით სატვირთო მანქანის ბორტზე მიკრული აღმოვჩნდით. ვანსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო პირველი რიგი. ბანდიტებმა ერთი

მსხვერპლი ამოიჩემეს — მალაღა, წარმოსადგე ტანის ზანგი მუშა, რომელმაც წინა ბრძოლებში უკვე მოაწერო თავის გამოჩენა. ისინი მას ავსულივით ესხმოდნენ ყოველი მხრიდან, ის კი თავის მძიმე, რკინისებურ მუშტებით იგერიებდა მეოცე საუკუნის კაციკამიებს. მე ეს სურათი ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში, თუმცა საერთოდ ვერაფერზე ვერ ვაჩერებდი თვალს: საჭირო იყო, რომ გექცირა მხოლოდ წინ; ამას ითხოვდა სტრატეგია. უკვე თხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე აღარ მიჩხუბია, რაც მე ბავშვობის ასაკს გამოვცდი. მაგრამ ეს არ იყო ქუჩის ბიჭების ბლლარძენი—ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა! გარშემო ფოტოგრაფთა მაშხალები ფეთქდებოდა, ხოლო რეპორტიორები ყოველ დარტყმას იწერდნენ დეტალურად იმისათვის, რომ ხეალ ჭაზეთებში ყველას წაკითხა იმის შესახებ, თუ როგორ მოუწყეს ლინჩი წითელ ბანდას. მაგრამ ჩვენ არ გვინდოდა, რომ ლინჩის მსხვერპლი გავმხდარიყავით. ჩვენ კიდევ ერთხელ შევძელით მათი მოგერიება.

ლამის უკუნი იდგა. მხოლოდ ახლა მივხვდი საბოლოოდ, რა უნდოდა თავდამსხმელ ბანდას და მხოლოდ ახლა დავრწმუნდი იმაში, რომ ვერც ერთი ჩვენთაგანი აქედან ცოცხლად ვერ გავიდოდა. ჩვენ მანქანაზე ვიყავით მიყრდნობილი და მძიმედ ვსუნთქავდით. ბევრს ჭრილობიდან სისხლი გადმოსდიოდა შადრევანივით, ტანისამოსი ყველას შემოგველეჯოდა, ნაკეში სახეებზე ჩალურჯებული გექონდა და გვეგონა, ცხვირ-პირის ეს საშინელი მტვრევა არასოდეს არ გათავდებოდა.

— დიდხანს გასტანს ეს საშინელება?—ხმდაბლა იკითხა ვილაყამ. ბრბოდან გამხეცებულთა ღრიალცელი ოსოდა, ღრიალცელი, რომელშიც არეული იყო გაბოროტებული სიძულვილით გამოწვეული გამხეცება. არამზადებმა



სიკვდილის სუნი იყნოსეს, იგი ათრობდა მათ.

— აქედან ვერ გახვალთ! ღრიალებდნენ ისინი, — დღეს ჩაძლდებით აქ ყველანი—შავი მაიმუნებიცა და ურიებიც!

რეპორტიორები და იუსტიციის სამინისტროს აგენტები მშვიდად ავსებდნენ ბლოკნოტის ფურცლებს.

საათს დახვდევ — მთელი საუკუნე მეგონა გასული. მხოლოდ ცხრა იყო დაწყებული. სულ საათნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც მე ჩემი გოგონა გადავკოცნე და აღუთქვი, რომ ხვალ დაწვრილებით ვუამბობდი იმის შესახებ, თუ როგორ იმღერა პოლმა. მაშინ იგი შემეკითხა: „ჩემს სიმღერასაც იმღერებს?“ მისი სიმღერა იყო სიმღერა წყლის დამტარებელის შესახებ, რომელსაც პოლი უმღერდა მას ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი სულ პატარა იყო და რომელიც პოლის ძლიერ მკლავებზე ტბილად სთვლემდა ხოლმე. მე კი ახლა ვიდექი და გამხეცებული ბრბოს ღრინაცელში კარგად ვარჩევდი იმ ამოძახილებს, რომლებიც, როგორც რომსონს, ისე ჩვენ ყველას სიკვდილით გამასპინძლებას გვპირდებოდნენ.

ახლა, როცა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ვერც კი წარმომიდგენია, რომ სიკვდილი აგრე ახლოს იყო და ყველა ჩვენთაგანი — ოცდათექვსმეტი ადამიანი — ასე ახლოს ვგაძნობდით მის სი-ახლოვეს. ეს კი აგრე იყო ნამდვილად. ხსნა არსაიდან ჩანდა. სისხლიდან ვიცლებოდით და ჩვენი ძალები თანდათან ილეოდა. ერთი შეხედვით, თითქოს უაზრობა იყო ჩვენი სიკვდილი, სადღაც — უესტჩესტერის მიდამოებში — მაგრამ ამ თავგანწირვაში იყო აზრი, ლოგიკა; ამის შესახებ რამდენიმე ხნის შემდეგ მე ველაპარაკე ზოგიერთ იქ მყოფთ — ყველა მათგანი გრძნობდა ამ აზრსა და ლოგიკას.

დაბლიდან სამმა ზანგმა გოგონამ ამოიბრინა და შეგატყობინა, რომ ყველაფერი რიგზე იყო; ჩვენს მცირე

რიცხოვან რაზმს წარმატებით მოუგერიებინა თავდამსხმელები. მაგრამ სამივე გოგონა გაშეშდა და უნდა განთვალეები გადმოეკარკლათ, როცა ჩვენს მდგომარეობას შეხედეს, გამხეცებული ბრბოს ღრინაცელი გაიგონეს. ბრბო შეტევაზე გადმოდიოდა კიდევ.

— ჩასხედით მანქანაში და გაწეკით, — ვუთხარი გოგონებს. — ყველაფერი რიგზეა აქაც და იქაც, მაგრამ თქვენი დაბრუნება შეუძლებელია. ადით მანქანაზე.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ ისევ ხელჩართულ ბრძოლაში ჩავებით. ფაშისტები განსაკუთრებული გააფთრებით ეტყერნენ პირველ რიგში მყოფ მალალ ზანგ მუშას. ისინი შეიარაღებული იყვნენ ქვეებით, კეტებით, დანებით, მაგრამ ჩვენ მაინც შეეძლოთ ამ შემოტრევის მოგერიება, ისინი ბევრნი იყვნენ, მაგრამ ლაჩრების ხროვას წარმოადგენდნენ და ამიტომ შეეძლოთ მათი უკან დახევა ოცდაათიოდენ ნაბიჯით. ჩვენც სულის მოსათქმელად სატვირთო მანქანის ბორტებს მივეყრდნენ. ამჯერად სამი ჩვენთაგანი ისე მძიმედ იყო დაჭრილი, რომ ფეხზე დგომა აღარ შეეძლო; ისინი ჩვენი დახმარებით მანქანაზე აბობლდნენ და იატაკზე გაწვენენ; ჭრილობები ვერც კი შევუხვიეთ: არც მასალა გაგვარჩნდა და არც დრო.

უცებ იქაურობა მკვეთრმა სინათლემ გაანათა; ერთი წუთით ყველაფერმა იელვა. სიჩუმე ჩამოვარდა. ერთ-ერთი ჩვენგანი მანქანაზე ახტა და იქიდან გადმოგვცახა:

— ჯვარი აანთეს, ჯვარი! ჩვენ მხოლოდ აღის წვერებს ვხედავდით, მაგრამ მისი სიმბოლური მნიშვნელობა ნათელი იყო. ეს იყო უკანასკნელი დეტალი, რომელიც ამ ბარბაროსებს აკლდათ — ანთებული ჯვარი ყოველივე ბოროტების, სიმუხთლესა და სისაძალოს სიმბოლოა ჩვენს ქვეყანაში.

შეგატყობინა, რომ ყველაფერი რიგზე იყო; ჩვენს მცირე რაზმს წარმატებით მოუგერიებინა თავდამსხმელები. მაგრამ სამივე გოგონა გაშეშდა და უნდა განთვალეები გადმოეკარკლათ, როცა ჩვენს მდგომარეობას შეხედეს, გამხეცებული ბრბოს ღრინაცელი გაიგონეს. ბრბო შეტევაზე გადმოდიოდა კიდევ.

Handwritten notes in the left margin.

ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

Handwritten notes and stamps in the bottom right corner.

აღარ იყო. ჩვენ ერთადერთი გზა დაგვარჩენოდა — ფეხქვეშ ჩავეარდნოდით ახალ ამერიკულ „პატრიოტებს“.

მაგრამ ჩვენ არ დავიჩოქეთ, პირიქით, უფრო მაგრად ჩავეიდეთ ხელი, ზურგი გავუმაგრეთ ერთმანეთს და, როცა ამ გამხეცებულმა ბრბომ ჩვენზე შემოტევა განაახლა, სიმღერა წამოვიწყეთ.

წარმოდგინეთ სურათი: ჩვენი სამი მწყრივი — ახლა უკვე ოცდაათობზეტი კაცისაგან შემდგარი — სატვირთო მანქანაზე მიკრული და ჩვენს წინ გზის პატარა მონაკვეთი ავტომობილების ფარებით და პროექტორებით, რომლების მოტანაც უკვე მოასწრეს, განათებული. ყოველივე დანარჩენი დამის სიბნელეში იყო გახვეული. და, აი, გზის განათებულ მონაკვეთზე გამოჩნდნენ „ახალი ამერიკელები“ ღობეებიდან ამონაგლეჯი მარგილებით, დანებითა და ჯოხებით ხელში. ისინი ვეებერთელა ტალღად მოგორავდნენ ჩვენსკენ. დედა და ლინჩისა და კაცთა ქლეტის სპეციალისტთა ბანდა, რომელსაც ყველაფრის უფლება აქვს ჩვენს სამშობლოში, სამშობლოში, რომელიც თავისუფალია ყველასათვის, გარდა იმისა, ვინც რაიმეში არ ეთანხმება ვაშინგტონელ ვაებატონებს. უკვე საათნახევარი გავიდა ამ ხელჩართული ძალადობისა და ხულიგნობის დაწყებიდან, და ეს საკმარისი დროა იმისათვის, რომ ცნობას, თუ რა ზღბა პიკსილში, მიეღწია ამერიკის ყველაზე მივარდნილ კუთხემდეც კი. პრესის წარმომადგენლები, როგორც უკვე მოგახსენეთ, დიდი ხანია აღვიღზე იყვნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ არაფერი გამორჩენოდათ; ნიუ-იორკის ყველა გაზეთმა მოახერხა საუკეთესო რეპორტიორებისა და ფოტოკორესპონდენტების გამოგზავნა — მხოლოდ პოლიცია არსად ჩანდა!

ამრიგად, ისინი დასახოცავად მოდიოდნენ, მაგრამ ჩვენმა სიმღერამ შეაჩერა, ადგილზე გააშეშა. ის, ვინც იმ

დროს იქ არ იყო, ძნელად წარმოიდგენს ყოველივე ამას, ჩვენს მწყრივებს, ადვილად გავიგეფთვებულ ჩვენთვის სასწაული კი არა, ლოგიკური მოვლენა იყო — ტყუილად კი არ გავვიქრა შიში და მივედეთ ლოცვა-ვედრებას. ჩვენ ვიღებთ მშვიდად, სამ რიგში ჩაწყობილნი და ვმღეროდით ამერიკის ყველა დემოკრატიული ძალების ჰიმნს.

მრავალი წლის მანძილზე მე ბევრჯერ მომესმინა ეს ჰიმნი, მაგრამ არავის ისე არ უმღერია, როგორც ჩვენ ვმღეროდით იმ საღამოს. სიმღერა დიდდებოდა და ზედ ევლებოდა აბობოქრებულ ბრბოს, გზებს, ბორცვებსა და მთელ არემარეს. „ლეგიონელ“ ყაჩაღებისათვის ეს იყო გამოუცნობი ფსიქოლოგიური გამოცანა; ჩამოგლეჯილი და დასისხლიანებული ოცდაათიოდე ზანგი და თეთრი ხელობელ ჩაკიდებული იდგამათ წინაშე და მშვიდად მღეროდა. ამან გაახევა ისინი. ჩვენგან ათიოდე ნაბიჯზე მოშორებით იდგნენ ყბადალებულნი. ხმაგაყმენდილნი გვიყურებდნენ, ყურს უგდებდნენ ჩვენს სიმღერას და გონებას ძალას ატანდნენ — ცდილობდნენ იმის მიხედვარას, თუ რა აღამიანები ვიყავით ჩვენ. ამის უნარი კი მათ არ შესწევდათ.

უცებ ვილაცამ პირველი ქვა გამოისროლა. ხელის შეხება რომ ვეღარ გაბედეს, ქვებით დაიწყეს შემოტევა. პირველს პეორე მოჰყვა, მეორის მესამე და ზოლოს სეტყვასავით წამოვიდა. ჩვენ სიმღერა არ შეგვიწყვეტია. მოზრდილი ლოდი მოხვდა მუცელში ჩემს გვირდით მდგომ ზანგს, სწორედ იმას, რომელიც აგრე გამეტებით იბრძოდა წინა შეტაკებებში; ერთი ამოიკვნესა და მოკვეთილი დაეშვა მიწაზე. მანქანაში ავთარივით გაქირვებით. ჩვიდმეტოდე წლის ზანგ ბიჭუნას ვივებერთელა სიბი ქვა მოხვდა პირისახეში და საშინელ სისხლის ნიღბად აქცია იგი. ჩემ მარცხნივ მდგომ თეთრს საფეთქელში მოხვდა ქვა და მოწყვეტილივით დასცა დედამიწაზე. ასე, რიგრიგად მეორდებოდა ერთი

და იგივე: ყრუ მოხვედრა, გატეხილი ძელის ქახანი, და ჩვენ ვატყობდით, ჩვენს რიგებს კიდევ ერთი მებრძოლი აკლდებოდა. ქვა სეტყვასავით მოდიოდა, გასაკვირველი იყო მხოლოდ ის, რომ მიზანს ცოტა ხედებოდა. პირველად ვითვლიდი დანაკარგს, მერე თავი მივანებე და მანქანას მივეყრდენი ერთ-ერთი მეზღვაურის გვერდით.

— კიდევ ხუთი წუთი და ჩვენი აღსასრულიც დადგება, — მითხრა იმან. ვერც კი მოასწრო ამის დამთავრება, რომ ქვა მოხვდა ფერდში და მწარე ტკივილმა ოთხად მოკაცვა, სახე დაუ-მანჭა.

უცებ ერთმა აზრმა გამიელვა თავში და მე მაშინვე გავუზიარე მას ჩემი ფიქრი. ახლა მთავარი იყო ქალებისა და ბავშვების ბედი — რას უშველიდა მათ ის, თუ ჩვენ ყველანი გმირული სიკვდილით დავიხოცებოდით აქ? ვიდრე საშუალება იყო, რომ გზის ეს მონაკვეთი დაგვეცვა და ამით ისინი შეგვეკავებინა, ჩვენ აქ უნდა ყოფილიყავით და ვიყავით კიდევ. ახლა ნათელი შეიქნა, რომ ეს საშუალება მოისპო და ყოველი ჩვენთაგანის (რომელსაც ჯერ კიდევ ფეხზე დგომა შეეძლო) ვალი იყო — დაბლა ჩასულიყო, იქნებ კიდევ შევძლებდით ბრბოს შეკაეებას რამდენიმე ხანს. ასეთ შემთხვევაში წუთებსაც კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვეკარგა პოლიციის გამოჩენის იმედი. საქმე მხოლოდ ის იყო — როგორ ჩავსულიყავით დაბლა; საკმარისი იყო საბრძოლო წესრიგი დაგვეშალა და ჩვენ მაშინვე გავგანადგურებდნენ. ამიტომაც საჭირო იყო გამოგვეყენებინა სატყირთო მანქანა, როგორც დახვეის მომწესრიგებელი და მაორგანიზებელი საშუალება. ჩვენ უნდა განვლაგებელიყავით მანქანის წინ და გავქცეულიყავით ქვემოთ, ხოლო მძღოლი წამოიყვანდა მანქანას ნელა და დაფარავდა ჩვენს დახვეას.

— ვცადოთ, — დამეთანხმა მეზღვა-

ური. — აქ სულერთია, ვერას გავაწყობთ.

მეზღვაურის

მე მძღოლთან მივედი მეზღვაურმა ჩვენი გადაწყვეტილება ჩურჩულით გადასცა დანარჩენებს. და, აი, მოტორიც ამუშავდა. ჩვენთაგან მწყობრში დგომა მხოლოდ ოციოდე კაცს თუ შეეძლო. ვიდრე მანქანა მობრუნდებოდა, ჩვენ სწრაფად შემოვუარეთ მას და წინ მოვექეციით. მაგრამ მძღოლს დაავიწყდა შექვის ანთება. არაფერია აქ გასაკვირველი, თუ წარმოვიდგენთ იმ მძიმე გარემოს, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით; სიბნელეში იგი ჯერ გზას ასცდა, მერე სულ დაჰკარგა მიმართულება და მანქანა რახრახით დაქანდა ფერდობზე. დავრჩით ჩვენ გზაზე უმანქანოდ, გამხეცებული ბრბოს პირისპირ.

დაბლობის მიმართულებით დავეშვიით, ხოლო, სადღაც, ჩვენს გვერდით, გზას აცდენილი მანქანა მირახრახებდა.

არასოდეს დამავიწყდება ის სურათი — ვეებერთელა სამტონიანი მანქანა მირახრახებს ოღროზოღრობებში მძიმე ტანკის მსგავსად. როგორ არ გადამბრუნდა და არ დაიმხვრა, პირდაპირ საოცარია! მაგრამ შოფერმა მოახერხა მანქანაში მწოლიარებისა და გზადაკრეფილი ორი დაჭრილი ფაშისტის საავადმყოფომდე მიყვანაც კი.

ხელოვნულ ჩაკიდებულნი მივბროდით; მოსახვევიდან ჩემს წინ უკვე ნაცნობი სურათი გადაიშალა: დიდი ბუნებრივი ამფითეატრი, ფიცრებისაგან შეკრული ესტრადა, რომელზედაც ახლა ბავშვები და ქალები ასულიყვნენ, ორასი სკამი, რომლებიც ვერ ეღირსნენ იმათ მოსვლას, ვისთვისაც ისინი იყვნენ მომზადებულნი, მაგიდა ბროშურებითა და ნოტებით — და ყოველივე ამას პროექტორების კაშკაშა სინათლე მოფენოდა. მათგან არემარე დღესავით იყო განათებული. ფაშისტთა გამხეცებული ბრბო ღრიანცელით ფეხდაფეხ მოგვლევდა.

რამდენიმე წამს შეეჩერდით, სული მოვიტყვიოთ; ერთმანეთზე ისე ვიყავით მიკრული, თითქოს გათბობა გვინდაო. ფაშისტთა პირველი რიგები უკვე დაბლობში იყვნენ ჩამოჭრილნი. არ ვიცი, რას ფიქრობდნენ სხვები იმ წუთს, მე კი ვფიქრობდი, რომ ჩვენი აღსასრული გარდაუვალი იყო. ჩემთვის უკვე სულერთი იყო ყველაფერი: ყველა გრძნობა ჩამქრალი იყო, გარდა ზიზღისა და სიძულვილისა იმ კაცთმადგვართა მიმართ, რომლებიც ასეთი ბრწყინვალე დატყინებით ცდილობდნენ ჩვენს დახოცვას და რომლებმაც აქ მოგვიმწყვედიეს იმისათვის, რომ სისრულეში მოეყვანათ ის, რისკენაც მათ მოუწოდებენ გაზეთის, რადიოსა და ეკლესიის ბილწი მონაწიორები. ნუთუ მათ არ გააჩნდათ ოჯახები, სიკეთის გრძნობა, წესიერების შეგნება, წმიდათაწმიდა, რასაც შეეძლო ამ ბნელ განზრახვიდან მათთვის ხელის აღებინება? ამ ფიქრებთან ერთად იმ მომენტში ისიც გადავწყვიტეთ, რომ, ვიდრე ძალ-ღონის ნატამალი გაგვაჩნდა, უნდა დაგვეცვა ბავშვები და ქალები; ეს გადაწყვეტილება ყველა ჩვენთაგანს სიტყვის უთქმელად გამოეტანა და ამიტომ მოლაპარაკების გარეშეც კარგად ვიცოდით, როგორ უნდა გვემოქმედა.

ჩვენ მათ შევეუბნეთ. სოლივით შევიჭირით ბრბოში და რაღაც განსაკუთრებული გააფთრებით სულ უფროდაუფრო ღრმად შევედიოდით. დადგა ჩვენი დრო, დრო, რომელსაც აგრერიგად ველოდებოდით, აქამდე ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავდით, თავსმოხვეულ ბრძოლას ვიღებდით, მაგრამ ახლა ჩვენც ისეთივე სიძულვილით ვსუნთქავდით, როგორც ისინი და, მიუხედავად იმისა, ჩვენს ოცდართზე მათი ათასი მოდიოდა, ჩვენ ამას ანგარიშს აღარ ვუწევდით. არაფერი ფასი არა აქვს ამ პირუტყვთა ბრბოს, თუ მათ ხელში რევოლვერები არ უკავიათ და ზურგს პოლიცია არ უმაგრებთ. ორი სამი წუთიც არ გასულა, რომ ბრბო შედრკა და

ზურგი გვიჩვენა; არ მოეწონათ ჩვენი შეტევა და თავისი რიცხვობრივი უპირატესობა პატარად მოეჩვენათ; მათ მოქუსლეს.

ვიღაცა ოხერმა მარგილი მომიჭინა, მაგრამ ამ დროს მას ხელი უტაცა სწორედ იმ ზანგმა მუშამ, რომელიც პირველ რიგში იბრძოდა და მუცელში მოხვედრილი ქვით დროებით მწყობრიდან იქნა გამოსული; მარგილი ხელიდან გამოპვლიჯა და გვერდზე გადაისროლა; მანშინ მე ხელჩართულ ბრძოლაზე გადავედი და ორივენი მიწაზე დავეცი. ჩვენ ზევიდან სხვები დაგვეცნენ და ერთ წუთში აღამიანთა ისეთი გროვა წარმოიქმნა, რომ ხელის მოქნევაც კი შეუძლებელი შეიქნა. როგორც იყო გროვიდან გამოძრომა მოვახერხე და სწორედ ამ დროს ვიღაცის ყვირილი შემომესმა:

— ბიჭებო! ფასტს გვიკლავენ, ფასტს! მოკვლით კი არ მოუკლავარ, მაგრამ სათვალე კი დამაკარგვინეს. პერანგი შემომეფხრიწა. სისხლი ღვარივით გადმომდიოდა. მტერი კი უკვე გარბოდა და ჩვენ ერთი წუთით ვიგრძენით შეტევის დიდი სიამოვნება. ერთმა ჩვენთაგანმა, რომელმაც ზომიერება შეინარჩუნა, შეგვძახა:

— უკან! უკან! ესტრადასთან!

ჩვენ ესტრადასთან მივიჭირით და ქალებსა და ბავშვებს ჯაჭვად შემოვერკალეთ. გატანჯულნი, დაჩეჩქილნი, დასისხლიანებულნი ძლივს ვიდექით ფეხზე, მაგრამ ჩვენს საქმეს მაინც განვაგრძობდით.

ქალებმა და გოგონებმა, რომლებმაც იფიქრეს, რომ მათ წინაშე მაინც აღამიანების შოდგმის არსებანი იყვნენ, რომელთაც კაცური გრძნობები სრულიად არ ჰქონდათ გამქრალი, სიმღერა «ვარსკვლავებიანი ბაირალი» წამოიწყეს, მაგრამ ანთებული ჯვარის პატროლები სახელმწიფო ჰიმნის მიმართ მაინცა და მაინც ვერ იყვნენ პატივისცემით გამსჭვალულნი; მოითქვეს რა

სული, ისევ ჩვენსკენ წამოვიდნენ შეტევით. ისინი ისევ უკუიქცნენ.

უცებ პროექტორები ჩაქრა. ვილამ მათელი გადასკრა და ჩამოწვა უკუნი. უკუიქცეული ფაშისტები უარესად გაშმაგდნენ და ჩვენთან რომ ვერაფერს გახდნენ, სკამებზე დაიწყეს ჯავრის ამოყრა. სკამების მსხვრევისა და ლაწალუწის ხმა იქაურობას აყრუებდა. ეს იყო არა მარტო უბრალო უახრობა, არა, ამ მოქმედებაში იყო რაღაც პათოლოგიური, რაღაც მხეცური სიმახინჯე, ის, რაც მათი მოქმედებისა და აზროვნების განუყრელ ნაწილს შეადგენდა.

ესტრადიდან ოცდაათიოდე ნაბიჯის მოშორებით ცეცხლის ალი ავარდა: პირველყოფილმა ბარბაროსებმა კოცონი დაანთეს. ანთებულ ცეცხლში ერთი-მეორეზე გადადიოდა პიესკილის პარკის მფლობელის საკუთრება — სკამები. ფაშისტები წააწყდნენ მაგიდას, რომელზედაც ნოტები ელაგა და... აქ განმეორდა ნიურნბერგის არნახული ჭურთღაფე, რომელიც კაცობრიობამ ფაშისტების სიმბოლოდ აღიარა. იმიტომ რომ ფაშისტების აზროვნება ყოველთვის შაბლონურია, თუ იმიტომ, რომ ფაშისტი ადამიანების გონებაზე ყოველთვის მომაჩლუნგებლად მოქმედებს, არ ვიცი, ეს კი ურყევი ჭეშმარიტებაა, რომ მისი გამოვლინების ფორმები ყველგან ერთნაირია. ჩვენს წინ ნიურნბერგის მოჩვენებანი აღდგნენ — ცეცხლი გიზგიზებდა და მის ირგვლივ მოცეკვავე „ამერიკული ყოფის“ დამცველნი ბლუჯაბლუჯა აყრიდნენ მას ჩვენს წიგნებსა და ნოტებს. ჩვენ სიბნელეში ვიყავით, ისინი კი ცეცხლის ალით იყვნენ გაშუქებულნი და წაგავდნენ იმ მსახიობებს, რომლებიც მრავალი რეპეტიციის შემდეგ ასრულებდნენ ცივილიზაციის დაღუპვის მომასწავებელ სიმბოლურ ცეკვას.

ცეცხლი თანდათან მიჩეხდა — ცეკვით გატაცებულთ. ცეცხლში სკამების

შეკეთება დაავიწყდათ — და იქაურობა ისევ ბნელეთის წყვედიადმა მოიქცა.

უცებ გზის მხარეს მანქანა გაჩნდა. ლრიანცელი შეწყდა, სკამებსკენ მიჩნეულნი ჩამოვარდა. ამ მყუდროებას მხოლოდ ქალების ნერვიული ქვითინი და ბავშვების ტირილი თუ დაარღვევდა. ჩემს განათებულ ციფერბლატიან საათს დავხედე. ათს თხუთმეტი წუთი აკლდა. უცებ შეძახილი გაისმა:

— ვინა ხართ მანდი! — ეს იყო ჩვენი მხევერავის ა. კ. ხმა, რომელიც თავის მესამე რეისიდან დაბრუნდა.

— რა მოხდა, რაშია საქმე? — შევეკითხეთ ჩვენ.

— არ ვიცი. მე გასაძრომად ხერხიან მომენტს ვუცდიდი და უცებ დავინახე, რომ ისინი მიდიან. ჯერ რაღაცას ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ჩურჩულით და მერე ერთიანად გაიკრიფნენ. ერთი კაციც არ დარჩენილა — ირგვლივ სრული სიციარილეა.

— ჩვენი მანქანა სად არის? არ გინახავთ?

— როგორ არა. იგი დაბრუნდა პირველი შეტაკების ადგილზე, მოიყვანა ორი დაჭრილი ფაშისტი, რომლებსაც გვარიანად მოხვდათ; ისინი ჩვენს დაჭრილებთან ერთად მოვათავსეთ მანქანაში და მძლოლმა გადაწყვიტა მათი საავადმყოფომდე მიყვანა. მე არ ვფრჩევი ამას, მაგრამ მას ეშინოდა იმისა, რომ ზოგიერთი დაჭრილი შეიძლება ვერ გადაარჩენილიყო, თუ დროზე არ აღმოუჩნდებოდათ სამედიცინო დახმარება. მან თქვა, რომ აიძულეებს ფაშისტებს თვითონვე გასწმინდონ გზა და რაკი გააგებინებს, რომ მანქანაში ორი იმათგანია, მოახერხებს საავადმყოფომდე მისვლას.

(გვიან გავიგე, რომ ფაშისტები მანქანას არ უშვებდნენ. მაშინ მძლოლმა წინააღმდეგობის მიუხედავად მანქანა დამძრა, გადაატარა ბარკადებს და ფაშისტების ბრბოც გაარღვია — ძალით გაიკვლია გზა საავადმყოფოსაკენ. ერთი კვირის შემდეგ თვითონ შემხვდა

მძლოლი და ყველაფერი დაწვრილებით მიაშობი).

— ის რაღა მამხალა იყო?

— არ ვიცი.

— მოახერხეთ ოლბენში დაგერეკათ? აცნობეთ გუბერნატორს? პოლიციას? გაზეთებს?

— მე ტელეფონზე ვიყავი მიკრული რვის ნახევრიდან, — თქვა ა. კ.-მ. — ყველას დავეურეკე სამსამგერ და ოთხ-ოთხგერ. მათ კარგად იციან, და მთელი საღამოს განმავლობაშიც უჩემოდაც კარგად იცოდნებ, აქაური ამბების შესახებ.

— თქვენ ამაში დარწმუნებული ხართ?

— საესებით. მე თვითონ პირადად ველაპარაკე შტატის პოლიციის უფროსს. ყოველივე დაწვრილებით ვუამბე. დამპირდა კიდევ რაზმის გამოგზავნას. მაგრამ ლაპარაკშივე შევატყვი, რომ მან ყველაფერი გაცილებით ადრე იცოდა.

— კარგი, — ვუთხარი მე, — თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, რაც შეგეძლოთ. ახლა კი დაისვენეთ.

ამხანაგები შეეკრიბე სათათბიროდ, ძნელი იყო იმ უკუნეთში ყოფნა და ლოდინი. ზოგიერთმა ქალმა ხეიწნა დაგვიწყო, რათა ბავშვების გაყვანის უფლება მიგვეცა მათთვის. საერთო დამაბულობამ საზღვარს მიაღწია. საჭირო იყო სიმტკიცისა და გულცივობის გამოჩენა, რათა სისრულეში მოგვეყვანა ჩვენი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არც ერთი ადამიანი არ დატოვებდა ესტრადას, ვიდრე არ მოვიდოდნენ სამოქალაქო, ან სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლები. ჩვენ მხოლოდ დისციპლინისა და ერთსულოვნების წყალობით გადავრჩით, რაც ბოლომდე უნდა შეგვენარჩუნებინა. ახლაც მაგონდება ერთი ქალი, რომლის ქმარი თავიდანვე ჩვენთან ერთად ამოვიდა ზევით და ახლა კი აღარსად ჩანდა; იგი თვალცრემლი-

ნი მემუდარებოდა, რათა ქმრის მოძებნის ნება მიმიცეა.

უცებ ავტომატურად შევარეგებე — შემოგვანათეს — დაბლობში წელიწადით მანქანა ჩამოდიოდა. იგი ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით შეჩერდა. ლიმუზინიდან სამი გადმოვიდნენ და ჩვენთან მოვიდნენ. ჩემს წინ შეჩერდნენ, თავი დამიკრეს და ერთ წუთს ხმის ამოუღებლად იდგნენ. მე ისინი ვიცანი: ისინი იყვნენ სწორედ ის კარგად ჩაცმული ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენს სეირს მშვიდად უყურებდნენ და უბის ბლოკნოტებს ჩანაწერებით ავსებდნენ.

— ბარაქალა თქვენს ვაჟკაცობას! — მოულოდნელად წარმოთქვა ერთმა, — ლომებივით იბრძოდით! მე პირდაპირ განცვიფრებული ვარ, განსაკუთრებით თქვენი ურყევი დისციპლინით.

— რა გინდათ ჩვენგან? — მოვუქერი სიტყვა; სულაც არ ვიყავი მათი ხოტბის მოსასმენად განწყობილი.

— ჩვენ დასახმარებლად მოვედით. თქვენს შორის არიან მძიმედ დაჭრილნი და, თუ თანახმა იქნებით, ჩვენ შეგვიძლია მათი საავადმყოფოში მიყვანა.

— თავი დაგვანებეთ, ერთი! — ვუპასუხე მე, მაგრამ ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა სახელოზე მომწია და ყურში ჩამჩურჩულა:

— მე ვიცნობ ამ ხალხს. ისინი იუსტიციის სამინისტროს აგენტები არიან. შეიძლება, რომ ვენდოთ.

— რა იცით?

— ვიცი, რომ ამ საქმეში ისინი არაფრით არიან დაინტერესებული. თქვენ ხომ თვითონ ხედავდით, როგორ ეჭირათ თავი, მიუდგომლად რომ გვიყურებდნენ. ეს მათთვის საინტერესო შემთხვევა იყო, რომელსაც მხოლოდ უყურებდნენ და მეტი არაფერი. ჩვენ კი მართლაც გვყავს ისეთები, რომელთაც ბევრი სისხლი დაჰკარგეს და ერთს მგონია თავის ქალაც კი აქვს ჩამსხვრეული. წაიყვანონ საავადმყოფოში, რახან ასე სურთ.

— საიდან იცით მაგათი ვინაობა? რა იცით ვინ არიან? — არ ვთანხმდებოდი ადვილად.

— მე ხომ დიდი ხანია ამ მხარეში ვმუშაობ, წინათ მაგათთან საქმეც მქონია. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ ეგენი იუსტიციის სამინისტროს აგენტები არიან. ყოველ შემთხვევაში, ვცადოთ, ჩვენები მძიმე მდგომარეობაში არიან.

მე მიუღებრუნდი აგენტებს, რომლებიც იქვე იდგნენ. ეს სამი კაცი იყო, რომელთაც მთელი საღამოს განმავლობაში აღშფოთება ახლოსაც არ გააკარებიათ. ახლაც ჩვეული სიმშვიდით იდგნენ, ხელები ჯიბეებში ჩაეწყობთ და გულმოდგინედ ათვალეერებდნენ ჩვენს დატანჯულსა და სიტყვაგამოცლილ ხალხს.

— რამდენი კაცის წაყვანა შეგიძლიათ? — შევეკითხე.

— სამის.

— კი მაგრამ — როგორ გახვალთ აქედან?

— ამაზე თქვენ ნუ წუხართ. ჩვენ ადვილად გავალწევთ და თქვენს დატარილებს მშვიდობით მივიყვანთ საავადმყოფოში.

ჩვენებს შემოუღებრუნდი და ვუთხარი, რომ არსებობს სამი, ყველაზე მძიმედ, დატარილის საავადმყოფოში გაგზავნის საშუალება. სახიფათო არაფერია, ისე რომ, ვინც ყველაზე ცუდად გრძნობს თავს, შეუძლია წინ წამოდგეს.

ჯერ არავინ დაიძრა ადგილიდან. პირში წყალდაგუბებულებით იდგა ყველა და უტყვად შეჰყურებდა ამ გამოპრანჭულ ინტელიგენტებს. სიჩუმე ახალგაზრდა ზანგმა დაარღვია. მან მხარში შემდგარი მეზობლები ჩამოიშორა და ბარბაცით ჩემთან მოვიდა. „ჯანდაბა მაგათ თავს, წაეალ...“ — წაიღულღულა მან. სახე დაფარული ჰქონდა შედედებული სისხლით, ხოლო პერანგი სისხლში ამოვლებულ მჩვრების ნაგლეჯებს უგავდა. მე ნიშანი მი-

ვეცი და აგენტებმა იგი მანქანაში ჩასვეს.

მას მეორე ზანგი მიჰყვა, ჩანგმა მანქანის სინათლეზე დასისხლინა მტელი, გასიებული ტუჩი აიწია და წინა კბილების ადგილზე საშინელი სიცილიერე მაჩვენა. მე კიდევ ვანიშნე და მანაც პირველის გვერდით დაიკავა ადგილი. მესამე — თეთრი ბიჭუნა იყო; იგი მხარს ვერ ანძირედა. „ეტყობა, ძეალი მაქვს გადატეხილი“, — თქვა მან.

აგენტებიც ჩასხდნენ მანქანაში. ჩვენ ისევ სიბნელეში დავრჩით. მე ჩემს ადგილზე ვიდექი და ვფიქრობდი იმ ადამიანებზე, რომლებმაც დამტყვევული ძვლებითა და გახეთქილი თავებით მწყობრი არ დატოვეს, ბოლომდე იბრძოდნენ თავგამოდებით ისე, რომ კრინტიც არ დაუძრავთ.

ამ ფიქრებით ვიყავი გართული, რომ უცებ ღამის სიბნელე სამმა მაშხალამ გაანათა. (რამდენიმე ხნის შემდეგ მე მელაპარაკა დე. ნ., რომელმაც იმ დროს შარავზაზე გაიარა და მიაპბო, რომ ამ მაშხალების სინათლეზე პოლიცია გვამებს ეძებდა). ესტრადა განათების არეში არ მოხვედრილა. ჩვენ ისევე ისე გაუნძრევლად ვიდექით და ველოდებოდით, ამ დროს მთელი დაბლობი გამოცოცხლდა და ამოძრავდა.

ჯერ გამაყრუებელი საყვირების ხმით შემოგრილდნენ წითელფარნიანი სანიტარული მანქანები. მათ პოლიციელებით გავსებული მანქანები მოჰყვა. აქ იყო როგორც შტატის, ისე ადგილობრივი პოლიცია. რამდენიმე წუთში ჩვენს წინ თხუთმეტობედ მანქანა ჩამწყრივდა და მდგლო პოლიციელების მუნდირებით აჭრელდა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს საღამო ამით დამთავრდებოდა. პოლიციამ ვერაფერი გვიშველა და გაჭირვების დროს არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია. პირიქით, რამდენიმე ხნის შემდეგ დაეაზუსტეთ, რომ პოლიცია პარკში მომხდარი ამბების თაობაზე ადრე იყო გაფრთხილებული და სრული შესაძლებლობა ჰქონ-

და, რომ გაცილებით ადრე მოსულიყო, მაგრამ ვილაც განზრახ აჭიანურებდა მის ამოქმედებას, რათა ტრაგედია „წარჩინებით“ დაგვირგვინებულყო; და მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულიად ნათელი გახდა, რომ მასობრივი ლინჩის ჩატარების წინასწარ გულმოდგინედ გამომუშავებული გეგმა ჩაიფუშა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა არენაზე გამოჩენა ინებეს. მიუხედავად ყოველივე ამისა, დარწმუნებული ვიყავით, ჩვენ წამებას ბოლო მოვლო.

მაგრამ ამ კომპარულ საღამოს ჩვენ კიდევ ერთი განსაცდელი გველოდა. ეს განსაცდელი იმით დაიწყო, რომ ჩვენთან გაბლინძული პოლიციის ოფიცერი მოვიდა და გვკითხა:

— ეი, თქვენ! რომელია თქვენ შორის მეთაური?

„ყველაფერი დასრულდა, — ვფიქრობდი მე. — იგი უხეშია იმდენად, რამდენადაც პოლიციელია, მაგრამ ჩვენს წამებას მაინც ბოლო მოვლო“, და ამ ფიქრებით ვუპასუხე, რომ შეუძლია ჩემთან იქონიოს საქმე.

— შენ რომელი ფრინველი ხარ?

— მე ფასტი ვარ, პოლარდ ფასტი, — ვუპასუხე ბრახმორეულმა.

მთელი საღამოს განმავლობაში ჩვენმა ხალხმა პირველად დაშალა მწყობრი და მე და პოლიციელს გარს შემოგვეტყა რკალად. მაგრამ დანარჩენმა პოლიციელებმა ისინი მიფანტ-მოფანტეს, ხოლო ჩემმა თანამოსაუბრე პოლიციელმა დაიღრიალა:

— დაუყოვნებლივ დაამყარეთ წესრიგი! დასხდნენ და არ გაბედონ ადგილიდან დაქერა!

— კი მაგრამ, რას ნიშნავს ყოველივე ეს, — ვკითხე მე ოფიცერს, — გაბვიყვანთ, თუ არა ჩვენ აქედან?

— არავითარი შეკითხვები! შეკითხვებს აქ მხოლოდ მე ვიძლევი!

— განა საკმარისი არ არის, რაც ჩვენ გადავიტანეთ?

— კიდევ უფრო მეტს გადაიტანთ, თუ უყოყმანოდ არ შეასრულებთ ყოველივე იმას, რასაც ჩვენ გიმტყუნებთ. ვინა ხართ თქვენ? *გენერალი*

მე აეუხსენი, რომ უნდა ვყოფილიყავი იმ კონცერტის თავმჯდომარე, რომელიც არ შემდგარა.

— ვინ აწყობდა ამ კონცერტს?

— მისმა ორგანიზატორებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

— მაშასადამე, თქვენა ხართ აქ მთავარი?

— ჩვენ ყველანი თანაბრად ვართ აქ მთავარი.

— კარგი, — თქვა მან, — უთხარით თქვენს ხალხს, რომ წყნარად ისხდნენ. ვინც განძრევას, ან წასვლას დაპირებს, ინანებს. გასაგებია?

— ჩვენ აქ პატარა ბავშვები გვყავს. წარმოგიდგენიათ, რა განვიცადეთ ჩვენ მთელი ამ საღამოს განმავლობაში?

— თქვენ რა გინდათ? გინდათ, რომ ძალის საშუალებით დაგაწყნარონ?

— მე არაფერი არ მინდა. ჩვენ საკმაროდ გვაწყნარებდნენ დღეს. გაგვიყვანეთ აქედან. აი, რა გვინდა ჩვენ.

— მოიქეცით ისე, როგორც გითხარეს. თქვენს ხალხს წყნარად ჯდომა ურჩიეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქუას გასწავლიან.

იძულებული ვიყავი ჩვენებისათვის ჩამომველო და განკარგულება გამეცა, წყნარად მსხდარიყვენ.

— იქონიეთ მოთმინება, — ვეუბნებოდი თითოეულს, — სადაც აქამდე მოვითმინეთ, კიდევ ცოტაც ავიტანოთ. აღვლევება მხოლოდ ზიანს მოგვტანს.

მაგრამ ეს ლოდინი, ჩემი აზრით, მთელი საღამოს განმავლობაში ყველაზე მტანჯველი გამოცდა იყო: იჯდე აქ, გაბლინძული პოლიციელების მეთვალყურეობის ქვეშ და არ იცოდე რაშია საქმე, რაც მე სულ მალე გავიგე. ადგილობრივ პოლიციელებს შორის აღმოჩნდა ერთი პოლიციელი, რომელიც ლაპარაკის გუნებაზე იყო. მან ყურში ჩამჩურჩულა, რომ ერთ-ერთი ფაშისტ-



თავანი — ვინმე უილიამ სეკორა, როგორც შემდეგ გამოირკვა, ვილაცამ დანით დასჭრა. იგი საავადმყოფოში წაიყვანეს და სულ მალე გავრცელდა ხმა, რომ მოკვდაო. ამ ამბების შემდეგ მე ხშირად მიფიქრია, ეს ხმა რომ არ გავრცელებულიყო, პოლიცია ახლოსაც არ გაგვეკარებოდა; მაგრამ ამ აზრის დამტკიცება მე არ შემეძლო. ასეა თუ ისე, სეკორა რომ ნამდვილად მომკვდარიყო, ჩვენ ყველას, ვინც კი ფაშისტთა თავდასხმისაგან თავი დავიცავით, წამოგვიყენებდნენ მკვლელობის ბრალდებას. აი, რატომ არ გვიშვებდნენ აქედან — ელოდებოდნენ ცნობას საავადმყოფოდან, რათა, თუ საჭირო იქნებოდა, ყველანი დავეპატიმრებინეთ.

(არც ერთ ჩვენთაგანს დანა არა ჰქონდა. მოგვიანებით დადასტურდა, რომ სეკორა შემთხვევით დაჭრილი იქნა თავისიანისავე მიერ).

მე ხმამალა მივმართე ამხანაგებს:

— კი, მაგრამ, არც ერთ ჩვენთაგანს დანა არა ჰქონია.

— სამაგიეროდ იმათგან დანა თითქმის ყველას ჰქონდა.

— ნუთუ შეუძლიათ მკვლელობაში ბრალი დაგვდონ?

— თუ ისინი გულით მოინდომებენ, შეუძლიათ ბრალი დაგვდონ ყველაფერში, რაც კი მათ მოესურვებათ. ყოველივე იმის შემდეგ, რაც დღეს აქ იყო, კიდევ ჩვენვე გავგასამართლონ მკვლელობისათვის? ორმოცი კაცი?

— თუ ინებებენ, გავგასამართლებენ კი არა, რაიმეს მოგისჯიან კიდევ. ეს ზომ წინასწარ იყო მოწყობილი. ძნელი წარმოსადგენი იყო ყოველივე ეს. ჩვენ ცოცხალი გადავრჩით. მთელი საღამო გააფთრებულ შეტევებს ვიგერიებდით, ვცდილობდით რა, რომ თავი აგვერიდებინა ლინჩის მოწყობის ისეთი საშინელი ფორმებისა და მასშტაბებისათვის, როგორც ჩრდილო ამერიკის შტატებს ჯერ არა სცოდნიათ; ამა-

ვე დროს, ეს ბრბოს სტიქიური გამხეცება კი არ იყო, არამედ წარმოსადგენდა ორასიოდე ადამიანის სამტოვსტლზე წინასწარ გაანგარიშებულ თავდასხმას; და იმის წყალობით, რომ სულით არ დაეცემულვართ, არ დაგვიკარგავს სიმამაცე, ჩვენ შეეძელით ამ თავდასხმის ჩაფუშვა; ჩვენ ცოცხალი გადავრჩით, თუმცა არც ერთ ჩვენთაგანს ამის იმედი არა გექონდა. და, აი, ახლა აღმოჩნდით პოლიციისა და კანონის მფარველობის ქვეშ, იმ ძლიერი და საიმედო დაცვის მფარველობის ქვეშ, რომლის იმედი და უფლებაც აქვს ყველა ამერიკელს, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეს. და, აი, ბედის დაცინვა! ჩვენვე გვკავებენ და გვამზადებენ იმისათვის, რომ ბრალი დაგვდონ მკვლელობაში და გაგვხადონ გრანდიოზული ინსცენირების მოქმედ პირებად, აბუჩად ასაგდებ ვიგინდარებად იმ საქონლის მსგავსი არსებების მიერ, რომლებმაც ჩაიფიქრეს და ცდილობდნენ სისრულეში მოეყვანათ ამ საღამოს ბოროტმოქმედება!

ყოველივე ეს მაშინ შეუძლებლად გვეჩვენებოდა, მაგრამ დღეს უკვე შესაძლებლად მიგვაჩნდა. უცნაურობა მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ყოფაში და ყალბი ბრალდების საშიშროება ემუქრება ყველა პროგრესულად განწყობილ ამერიკელს; დაკარგეს რა სინდისის ნატამალი, ბინძური პროვოკატორები იძლევიან ყალბ ჩვენებებს ჩვენი ქვეყნის ყველა სასამართლოებში და მათ პირიდან სიყალბე გადმოდის ისე, როგორც იდიოტის პირიდან ღორბლი. მაგრამ, მაშინ, 1949 წლის აგვისტოს ყოველივე ეს უჩვეულო იყო. და ჩვენთვის, რომლებსაც ფაშისტი ბანდიტების მიერ მოყენებული ჭრილობებიდან ჯერ კიდევ გადმოგვდიოდა სისხლი, განსაკუთრებით ძნელი იყო ამის დაჯერება და ამასთან შერიგება.

ასე გავიდა ოცი წუთი — გრძელი, იდუმალი წუთი, რომლის განმავლობაშიც მე დაძაბულად ვფიქრობდი, ვცდილობდი რა კავშირის პონას დღევანდელ საღამოს მოვლენებსა და ყოველივე იმას შორის, რაც კი გერმანიის შესახებ ვამეგო და წამეკითხა. ჩემთვის ვამბობდი: „აი, რა ამბები ხდება... ჩვენი ქვეყნის ხალხს კი სძინავს და არაფერი არ იცის და არც არაფერი უნდა, რომ იცოდეს. და ყოველივე ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ გონიერსა და პატიოსან ადამიანებს არ ძალუძთ გამოიტანონ დასკვნები იმ ქვეყნის გაკვეთილებიდან, სადაც ყოველივე ეს უკვე აღრევე იყო, იმიტომ, რომ ხალხს ანტიკომუნისტური პროპაგანდის შხამით სწამლავდნენ, იმიტომ რომ ჩვენს ქვეყანაში ძარცვა და კაპიტალი გაღმერთებული იქნა, იმიტომ რომ უკვე მზადდება ახალი საშინელი დანაშაული, რომლის მოსამზადებლადაც საჭიროა ხალხში შიშის დათესვა, რათა მათ ეს დანაშაული მიიღონ, როგორც აუცილებელი გარდაუვალობა“.

მთელი ტაფობი ამოძრავებული იყო. მანქანები მიდიმოდიოდნენ, ლურჯი და ნაცრისფერი მუნდირები ერთმანეთში ირეოდა; ახმაზი ჰაბუკები — ტომას დიუის<sup>1</sup> პირადი დაცვიდან — ამაყად დააბობებდნენ მაღალ ჩექმებში გამოწყობილ გრძელ ფეხებს, თითქოს თავს გვაწონებდნენ წერწეტა ტანითა და ლამაზი პირისახით. „დიდ უფროსებს“, რომლებიც ჩვენს წინ პატარა არმიად შეკრფილიყვნენ და საუბრობდნენ, თავი ისე ეჭირათ, როგორც სამხედრო საბჭოს სხდომაზე. ამ დროს თვალი ჩამიკრა სწორედ იმ პოლიციელმა, რომელიც წელან მელაპარაკა — ქალაქიდან გამოსულ პროპინციულ პოლიციელს ადამიანის ნიშნები შერჩე-

ნოდა ჯერ კიდევ. როცა მიუახლოვდით, მან ჩურჩულით მითხრა: ყველაფერი რიგზეა. ის ქოფაკი არ ჩამოვლებულა. უბრალოდ დანა უტაკებიათ შუცელში, მაგრამ ვის უტაკებია, გაურკვეველია. თქვენ კი აღარაფერი გაქვთ სადარდო.

მე ჩვენებთან მივედი და ეს სასიხარულო ცნობა გადავეცე, ყველას სახე გაუბრწყინდა. ამასობაში პოლიცია ჩვენს მიმართ უცნაურად გამოიკვალა: ისინი სათნო, ლმობიერ, ზრდილობიან და მხიარულ ადამიანებად იქცნენ, ზუსტად ისეთებად, როგორთაც მათ ჩვენს წიგნებში აღწერენ. მათში მთავარი კი ჩემთან მოვიდა, მამური მზრუნველობით დამადო ხელი მხარზე და მითხრა:

— ახლა კი, ფასტ, ყველას ისე გაგიყვანთ აქედან, რომ არც ერთ თქვენგანს ერთი ღერი თმაც არ ჩამოგვარდებათ თავიდან. თქვენ დღეს დიდი განსაცდელი გადაიტანეთ, მაგრამ არა უშავს — რა, ყოველივე უკვე წარსულს ეკუთვნის და შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ. მე მხოლოდ ერთსა გთხოვთ: საცხოვრებელი ადგილის მიხედვით დაჰყავით თქვენი ხალხი ჯგუფებად და ჩემი ჰაბუკები ყველას თავთავის სახლებში მიიყვანენ.

ეს თხოვნა დაუყოვნებლივ შევასრულე, ჩვენი ხალხი დატანჯული და დაქანცული იყო, მაგრამ ყველას თავი მაინც კარგად ეჭირა. ქალებმა საკმაო ვაჟაყობა და მოთმინება გამოიჩინეს, ბავშვებმა კი დედის მკლავებზე ჩასთვლინეს. პიესკილის ტრაგედიის პირველი მოქმედება დასასრულს უახლოვდებოდა.

ახლა კი ყველაფერი სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა. პოლიციამ გვიჩვენა ზუსტად და ორგანიზებულად მოქმედების უნარი, რაც ეს მას უფროსებისაგან მოეთხოვებოდა. ხალხით დატვირთული საპოლიციო მანქანები

<sup>1</sup> ტომას დიუის — ნიუ-იორკი შტატის გუბერნატორი.

ძვიროდნენ ადგილიდან. ერთი საათიც კი არ გასულა და დაბლობი სრულიად გაიწმინდა, — იმ საღამოს განსაცდელს გადარჩენილი ბავშვები, ქალები და კაცები ან უკვე სახლში იყვნენ, ან სახლისკენ მიმავალ გზაზე იმყოფებოდნენ. ბოლოს დაერჩით რამდენიმე პოლიციელი, მე და სამი ქალი; ერთი ზანგი, ჩემი ძველი მეგობრის მეუღლე და ორი თეთრი. სამივე კროტონთან ახლოს ცხოვრობდა და ამიტომ მე მელოდებოდა. პოლიციელებს ვთხოვე, რომ არ დაეტოვებინათ ისინი, მე კი ჩემი მანქანის სანახავად წავიდე: მინდოდა მენახა — გადარჩა თუ არა. გადარჩენილიყო; როგორც ეტყობა, ბედმა გამილიმა, ბევრის მანქანაც კი უსაშველოდ იყო დამსხვრეული. მანქანაში ჩავსხედით და იქაურობას მოვშორდით.

საოვალებების გარეშე ცუდად ვხედავდი და იძულებული ვიყავი მანქანა მეტად ნელი სვლით მეტარებინა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მშვიდობით ვიგზავრეთ და სამივე თანამგზავრი უვნებლად მივიყვანე თავთავის სახლში.

შუალამე გასული იყო, როცა მე კროტონს მივალწვი, მანქანა გარეშე შევიყვანე და სახლში შევედი. მისის მს არ ეძინა. მთელი საღამოს განმავლობაში განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი — მკითხულობდნენ, იგებდნენ ჩემს ამბავს — ცოცხალი ვიყავი თუ არა. დამინახა თუ არა მისის მ-მ, გახარებულმა წამოიძახა:

— მადლობა ღმერთს, ცოცხალი ხართ!

სხვა არაფერი გამოუვიტხავს ჩემთვის — მას უკვე ყველაფერი გაეგო ტელეფონით. ერთადერთი შეკითხვა, რომელიც მან მომცა, ეს იყო პოლირობსონის შესახებ — რა დაემართათ?

— თვითონაც არ ვიცი, — ვუპასუხე მე, — მაგრამ ვფიქრობ, რომ მას არაფერი არ შემთხვევია.

(შემდეგ გავიგე, რომ მისმა მანქანამ პარკამდე ვერც კი მიიღწია ისე, რომ საფრთხე ახლოსაც არ გაჰკარებია მას).

მისის მ-მ დაკვირვებით დაშთაბულიერა, ყურადღებით შეხედა ჩემს დასისხლიანებულ პერანგს, მსხვერპლად ხელზე შემხმარ სისხლს, შერეულ ტყვამობრუნდა და „ლამე მშვიდობისა“ მომაძახა, დასაძინებლად წავიდა. მძიმე იყო მისთვის იმის შეგნება, რომ ის იყო ზანგი, ამერიკაში მცხოვრები ზანგი.

ვისკი დავისხი, მაგრამ ვერ დავლოე — არ შემეძლო. ერთხანს მაგიდას ვუჯექი და ჭიქას შევეკეროდი, მერე ისევ ვცადე დალევა, მაგრამ ვერ შევძელი, გვერდზე გადავდგი. ტელეფონის ზარმა დაიწვრიალა.

ეს იყო დე. ნ., მის სიხარულს სახლეარი არა ჰქონდა, როცა ჩემი ხმა გაიგონა. მან იმ საღამოს განცილები თავგადასავალი მიამბო: როგორ უვლიდნენ პარკს ისა და ჩემი მეგობარი ზანგი, რომლის მეუღლეც მე წამოვიყვანე სახლში, იმ იმედით, რომ ჩვენს გვამებს მაინც იპოვნიდნენ; როგორ შემოიარეს ახლომახლო მდებარე საავადმყოფოები, როგორ აღმოაჩინეს რვა ჩვენიანი, მაგრამ მათი ვინაობის აღდგენა ვერ მოახერხეს; როგორ აღმოჩნდნენ ისინი პარკის შესასვლელთან სწორედ მაშინ, როდესაც იქიდან ფაშისტები გამოცვივდნენ (ალბათ ხელისუფალთა მიერ მიცემული სიგნალის მიხედვით) და დაინახეს რა, რომ ქვემოთ ბნელოდა, გადაწყვიტეს, რომ ჩვენ იქ აღარ ვიყავით.

მე ჯერ კიდევ ვერ გავთავისუფლებულიყავი იმ საშინელი გრძნობისაგან, რომელსაც ერთი წუთით არ დაუტოვებია ვარ მთელი საღამოს განმავლობაში, იმ გრძნობისაგან, რომ ჩვენ მარტონი ვართ, გონიერი ადამიანების არსებობა სამყაროს მოწყვეტილნი. მე შევეკითხე მას — იცოდა თუ არა ვინმემ იმის შესახებ, რაც პიასკილში მოხდა.

ეს ამბავი მთელმა ქვეყანამ იცის, — მიპასუხა მან. როცა ლაპარაკი დავასრულე, ზევით ავედი, მინდოდა დამეხედა ბავშვებისათვის. რეიჩელის ოთახში ღამის ნათურა ენთო და, როგორც კი შევედი, ბავშვმა თვალი გაახილა, გამიღიმა, მითხრა: „მამიკოს

გაუმარჯოს!“ და განაგრძო ტეზილი ძილი. მეც ტანთ გავიხადე და ღონემიხდილი საწოლზე კბრქვე დავემხე-დაქანცული და დაბეგვილი სხეული მყისვე წაიღო მშფოთვარე ძილმა.

თარგმანი ინგლისურიდან შპან. ბავთარაძისა

## „დავითიანი“ დღესგანში



ისევ მთები დაღესტანის  
და სიმინდის ყანები,  
მიდიოდა ვით ტიტანის  
ნისლში ლამისყანელი.

მიდიოდა თოვლზე ცივი  
და მზესავით მცინარი —  
ის კლდეებზე გატყორცნილი  
ჩანჩქერები მდინარის.

არა მართლა ჩანჩქერები,  
შუქი ფერად მკულისა!  
ირგვლივ იდგა სურნელება  
ახალ გაზაფხულისა.

და ვით მზეში სუნთქვა რთველის,  
აფრა — ზღვაზე გაშლილი  
ველად რეკდა ხმა რუსთველის  
და ხმა გურამიშვილის.

უკან დარჩა ლამისყანა  
საგურამო, ყვარელი.  
შვიდი ქალი ყანას მკიდა,  
შვიდივე საყვარელი.

მიდიოდა... მთებს ესმოდა  
სიმღერები ფრთიანი,  
და ვით მართლა ცისარტყელა,  
შუქი „დავითიანის“,

ირგვლივ სხივებს აერცვლებდა...  
გაპქრა სუსხი დეკემბრის!  
შორი გზიდან დაბრუნებულს  
კარს უღებენ ლეკები.

დავით შედის დაღესტანში  
ტყვედყოფილი, ეული,  
და მე, მტვერი დავითისა  
მთელი ჩემი სხეულით,

ვგრძნობ, თუ ახალ ქართველის დილას  
როგორ ხატვენ მთიები,  
როგორ ლალად ამოდინ  
ენძელები, იები...

ველი როგორ იქორჩება,  
იკვირტება ხეხილი,  
ფანჩატურის თავზე ჩნდება  
ვაზი გადაგრეხილი,

როგორ ერთვის ივრის ტალღებს  
ტოროლების წკრიალი,  
როგორ ალებს სოფლის თაღებს  
ლექსი ნაპერწკლიანი,

როგორ წვება ხნულზე ხნული,  
ხარობს მზარე მთიანი,  
და ვით მართლა გაზაფხული,  
მღერის „დავითიანი“.

## ლესია უკრაინკას



თრთოლევით დავტოვე თბილისი,  
ხაშურში ქართან ვდაობ,  
იქნებ შეჩერდეს ივლისი,  
იქნებ მოგისწრო, დაო.

ქერა თმა აგიკეცია,  
მოვალ, დაგხურავ საბანს.  
საშობლო გიყვარს, ლესიაე,  
გეტყვი საშობლოს ამბავს.

შენი თვალები ვიხილე,  
შენს სიციცხლეზე ვზრუნავ,  
წამოდექ, შევხვდეთ ციხიდან  
ყანებში გასულ ზურაბს.

პატარა გული გიღელავს,  
თვალანთებული ჰგალობ,  
მასწავლე შენი სიმღერა,  
უკრაინელო ქალო.

## ვაზის ყვავილობა \*

რომანი

★

ზმანებანი ნასმურბიშისა

პურობა მოთავებული არ იყო, შე-  
მოიტანეს ტელეფონოგრაჲმა, ციხისთა-  
ვი საჩქაროდ გაიძახეს ყვარელს, მამა-  
კაცებმა, თითქმის ყველამ, უსასელო  
თავკოპალას გარდა, მანქანამდის მია-  
ცილეს რაიკომის მდივანი.

თამადამ ბრძანა და ცისთვალამ და  
მეზობლიანთ ლევანამ აივანზე გაშა-  
ლეს ახალი სუფრა.

ამ აივანიდან, როგორც ხელისგულზე,  
ისე მოსჩანდა ალაზანი, ხოლო მის გა-  
დაღმა კავკასიონი. ვარსკვლავებით მო-  
ჭედილი ცა ჩრდილოეთით გადაეტიზ-  
რათ მალაქიტისფერ მთებს.

ბნელში დამზობილ მყინვარებს თეთ-  
რი ღრუბლების ყაბალახებით შემოე-  
გრავნათ ამაყად ზეაწეული თავები.  
აღმოსავლეთიდან მოდიოდნენ ღრუბ-  
ლის ფრთილები, რომელთაც ისეთი  
ხასხასა სიწითლე გადაჰკრავდა, კახური  
ზოხბების ნაკრტენს რომ გადასდის.

კორინთელი მონუსხულივით შესც-  
ქროდა ამ სანახაობას.

„შენ, ჰეი, მეოცნებევე, ხელადა გიცი-  
დის.“

დაიბუხუნა თამადამ. კორინთელმა  
ხმადამლა უთხრა მას:

„გემულარები, ძია ნიკო, მაკმარე,  
რაც დავლიე, კარგადაც რომ ვეყო,  
უხერხულია ჩემი მდგომარეობის კა-  
ცისათვის საზოგადოებაში დათრობა.“

მე თავად ვქირდავ ჩემს სტუდენტებს  
სმის გამო.“

„ეს ნადიმი შენთვისაა გამართული,  
პირიქით, უხერხული ის იქნება, შენ  
რომ არ დალიო შენს სახლში. ცოტა  
დალიე, მაინც და მაინც არ დაგაძალბე,  
შენმა მზემ.“

საქმე სულ სხვარივად წარიმართა.  
კნეინა ვარამ თავისი აღგილი დასთმო,  
ადგა, საკმაოდ გრძელ სუფრას ირგე-  
ლიე შემოღუარა და გვერდით მიუჯდა  
კორინთელს. ძია ნიკოს არ ეპაე ეს,  
ერთი გადახედა ამ დედაკაცს, რაღაც  
უსიამო რამ უნდოდა ეთქვა, მაგრამ  
დუმილი არჩია.

ახლადმოსულმა ფრანგულად უთხრა  
კორინთელს:

„ეგებ არცთუ გესიამოვნათ ჩემი მო-  
სვლა, მონ შერ ჟანდრ? !“

„რასა ბრძანებთ, პირიქით“...

„ეჰ, ვინ იცის, მუსიო პროფესორ,  
თქვენ ევროპაში გავრდილი კაცა  
ხართ, კარგად გესომებათ, ალბათ,  
ფრანგული კალამბური ერთი იეზუიტ-  
ეპისკოპოსისა: „ლე მო სონ დონე, პურ  
კაშე ლო პანსე.“<sup>2</sup>

„მე იეზუიტების სკოლაში არ გავზრ-  
დილვარ, მოგეხსენებათ, და არცთუ  
იეზუიტური კალამბურები მიჯდება  
ტკუაში.“

„მე კი მგონია, მონ შერ ჟანდრ, ისი-  
ნი, ვინც თქვენ გზრდიდათ, იეზუი-

<sup>1</sup> ჩემი ძიართისი სიძვე.

<sup>2</sup> სიტყვები აზრის დასაფარავი საშუალებააო.

ტებთან შედარებით ანგელოზებათ გამოჩნდებოდნენ უთუოდ.“

„ამაოდ მიგინებთ ჩემს ძველ პროფესორებს. ისინი ჩინებული ადამიანები იყვნენ, პოზიტიურად მოაზროვნე მეცნიერები, რომელთაც ჭირის დღესაც ვით სძაგდათ როგორც იეზუიტები, ისე ფაშისტები.“

„ნუთუ ამგვარად მოაზროვნე ფრანგები კიდევ არსებობენ სადმე?“

„როგორც ჩანს, თქვენ გაზეთებს არაკითხულობთ.“

„მე უკვე აღარაფერს არაკითხულობ, მონ შერ ეანდრ.“

„რათათო ვითომ, ღირსად არასთვლით, ჩვენს დროში დაწერილს, ჰა?“

„მგ არა, მაგრამ საკითხავად სადა მკალია!“

„აბა რას აკეთებთ, მადამ?“

„მე რევოლუციამ დამსაჯა, კოლმეურნე ქალების ტრიკოებს მაქსოვინებენ დადიანის ქალს.“

„ოჰო, მერე თქვენ ამას სასჯელად სთვლით. ჩვენი მთავრობის ადგილას, მე ასეთ ღმობიერ სასჯელს არ გაკმარებდით,“ — ღიმილით უთხრა კორინთელმა ვარას.

„ჰა, ჰა, ჰა,“ გულის გარეთ ხარხარებდა შეზარბოშებული დედაკაცი და ზედიზედ აბოლებდა ჰაპიროსს.

„მამაჩემი უბრწყინვალესი თავადი იყო, განჯის ვიცე-გუბერნატორი, მე კი აი რა დღეში ვარ, და თქვენ ეს მიგაჩნიათ ჰუმანურ სასჯელად?“

„ვიმეორებ, ეს დიდი ჰუმანიზმია, უდიდესი ღმობიერება — თქვენ მიმართ გამოჩენილი. თუ ამას შეიგნებთ, ეს აგრეა.“

ამ ორთა დიალოგში, მხოლოდ ზოგი რამ ითქვა ქართულად, გულშიერი თამადა მაინც მისწვდა ამ უსიამო საუბრის შინაარსს, ვარასკენ თავი გადასწვია, გაუღიმა და ხმადაბლა უთხრა ქალს:

„ამ ტყბილ პურმარილს თუ არ დავამწარებ, მე დავანიშნინებ თქვენს

თავს მოსაცეთის ვიცე-გუბერნატორად, ბახუსს გეფიცებით.“

„შენ შენი საქმე განაგრძე, სქელო,“ — ღიმილითვე მიუგო ვარასმა თამადას და, რადგან ხელადის დაცლის ჯერმა მოაღწია, ხელი წამოუსვა სავესე ხელადას, უკლებლად დასცალა და ალავერდი უთხრა კორინთელს.

ეს უკანასკნელი შეყოყმანდა, არ აპირებდა ხელადის დაცლას, მაგრამ ამ წვეროსანმა დიაცმა დაასწრო და გესლიანი ღიმილით უთხრა:

„მე ვხედავ, თქვენ ფრიად ანემიური მამაკაცი ხართ, ვაეკაცი ვარბისისხლიანი უნდა იყოს, კამეჩის მოზვერით ამტანი და გამძლე.“

„მე მაღალი სისხლის წნევა მაქვს.“

„თქვენ ისეთი დუნე ტემპერამენტისა ჩანხართ, მუსიო, არც კი შეგონა, სისხლი თუ გქონდათ საერთოდ.“ (ამ სიტყვებსაც ღიმილი დაატანა მთქმელმა).

კორინთელი ოდნავ მოიღუშა და მიუგო:

„ცხადია, მე ცისფერი სისხლი არ მაქვს, მე გლეხური სისხლი მაქვს და შესაძლოა ამტანობაში კიდევ ვაჯობო ბევრს.“

„დალოცვილო, თუ ეგრე გძულდათ ეს თქვენ მიერ ყბადაღებული ცისფერი სისხლი, რად ჩამოეკიდეთ ვანძაძის ქალს? ბარემ დროზე მოგეძებნათ თქვენებრ მოაზროვნე გლეხის ქალი.“

„თქვენ სცდებით, მე არავეს ჩამოეკიდებივარ კისერზე.“

„ე: მოვეშვათ პოლემიკას. Bibamus“<sup>1</sup> ამასობაში მედიკო მიუახლოვდა თავის დეიდას, ყურის ბიბილოსთან მიუტანა ტუჩპირი და რალაც უჩურჩულდა მას.

„არ გამოეჯერდეთ, მონ შერ ეანდრ“, ესეცაა შენიშვნა მივიღე ჩემი დისწულისაგან, ჩემს ქმარს არაფერი აწყენინოო. მინდა გულახდილი ვაყო თქვენთან, რადგან გეთამამებით, როგორც სიძესა და მახლობელს.

<sup>1</sup> დაელოთ.



რა საჭიროა ფლიდობა და სიცრუე, მე საესებით არ ვეთანხმები იმ იეზუიტ ეპისკოპოსს, რომელმაც თქვა: სიტყვებში იმისთვისაა მოცემული, რომ აზრი დაეფარათო.“

თამადამ გამხიარულება უბრძანა სუფრის წვერებს. ჭალარა ჭალი სასტუმრო ოთახში შევიდა, პიანინოს მიუჯდა და ფორტეპიანო დაუკრა. მან ნიკომ სუსქია მინდელს სთხოვა ამდგარიყო და რომელიმე კავალერი საცეკვაოდ გამოეწვია. სუსქია კორინთელს მიუახლოვდა.

ეს უკანასკნელი ყმაწვილივით გათიშდა და უარი თქვა ცეკვაზე.

მამინ უთხოვნელად წამოდგა უსახელო თავკობალა, ცეკვა დაიწყო მინდელის ქალთან.

ვარამ ღიმილით უჩურჩულა კორინთელს:

„თქვენ ბევრი წააგეთ ძვირფასო სიძვე, საერთოდ გამოტეხილად უნდა ვთხოვოდ მეცნიერები მოკლებული ხართ ერთგვარ გალანტობას. მამაკაცი კიდევაც უნდა ცეკვაოდეს, უკრავდეს და სვამდეს.“

ახალგაზრდობაში, ბარე ორი პროფესორი მეარშიყებოდა, მაგრამ არ მიყვარდა ეს ჩამოჩაჩული მამაკაცები, რომელთაც მუდამ აკლიათ ერთი ღილი პიჯაკზე“.

„უნდა მოგახსენოთ, მადამ, მე არ ვიცი, თუ როგორ მეცნიერად მთვლით მე თქვენ, მაგრამ ნამდვილ მეცნიერს მანჭვა გრეხისათვის არა სცალია“.

ვარამ შთაბეჭდილების შესამსუბუქებლად ჩაიხითხითა:

„გეხუმრეთ, ძვირფასო სიძვე, მოგეხსენებთ, საუბარსაც ისევე ესაჭიროება პილიპილი, როგორც ნაირნაირი სურნელით შეკაზმულ კერძს. და არც არაფერია ისე მოსაწყენი ამქვეყნად, როგორც საუბარი, რომელიც პარადოქსებსა და წინააღმდეგობებს არ შეიცავს.“

აბა რა გამოვა, რომ დავსხდეთ გუგულისა და მამალის დარად, ვაქოთ

ერთიმეორე და ყველაფერში დავეთანხმოთ ურთიერთს“.

ამასობაში მორიგი მინდელის წარმოთქვა თამადამ. ზურაბ არაღელმა ხელადა გამოსცალა, კორინთელს გადაულოცა და დასძინა:

„რატომღაც დაღვრემილი მეჩვენები, ვახტანგ, გახედე ჩვენს ალაზნანს, ჩვენს შეუღარებელ კავკასიონს, ზომხედავ, მთვარე ნათლისმფენელად თავს წამოდგომია მყინვარებს, რამდენჯერ გვინატრია მე და შენ ალაზნისა და კავკასიონის კიდევ ერთხელ ნახვა, როცა გუნგლებში დაებობდავით მოსაცეთში საღდაც. მაშ, მოვილხინოთ, თუ ძმა ხარ, ვახტანგ.“

ისევე დაასწრო ვარამ ხელადის დაცლა თავის სიძეს. ამ წვეროსან დიაცის ქედმალღურმა საუბარმა და არანაკლებად თავხედურმა სმაში გამოწვევამ ერთობლივი მობილიზება მოუწყო კორინთელის მთელ ორგანიზმს. ეს ხელადაც გამოსცალა მან და ახლა უკვე აღარც წნევა აწუხებდა და აღარც უგუნებობა.

კორინთელმა ერთხანს დაისვენა ვარას მოსაბეზრებელი ლაყბობისაგან, რადგან მას ერთ-ერთი შავოსანი ბიცოლა მიუჯდა და საუბარი გაუბა.

კორინთელს თვალი გაექცა სასტუმრო ოთახისაკენ, სადაც პიანინოს გადმოღმა სუსქია მინდელი და უსახელო თავკობალა ცეკვაოდნენ. ამ ბოზლია, თავმოტვლებილსა და კისერმოკლე მუხმუხელას, სუსქიას წელზე შემოეხვია ცალი ხელი, მაგრამ ისუტებდა ტანზე მის სიმეტრიულ, ოდნავ ფაშაშა სხეულს, გაწითლებულ თვალის თეთრონებს უბრაილებდა მის სახეს და ენერგიულად ეჩიჩინებოდა რაღაცას.

დანჯღრეული პიანინოს ბრაგაბრუგში მისი სიტყვები აივანზე აღარ ისმოდა, მაგრამ ყველანი ხელავდნენ, სუსქია წითლდებოდა და ცდილობდა, შე-

საძლებლად განზე გადებარა მაჯის სისხო ნაწნავეებით შემოგრაგნილი თავი.

კორინთელს აღელვებდა ამ თმებისაგან ანდგარი ლაბლაპი, ზუსტად ისეთი აღისფერისა, რომელსაც ცეცხლმოდებული ვაზის წალამი გამოსცემს ხოლმე.

კორინთელი მონუსხულივით აკვირდებოდა სუსქიას სავესე მკერდის ყოველ შეტოკებას.

მაკცერალი ამჩნევდა, რომ ზემადგარი და მოძრაობაში მოყვანილი მისი სხეული გაცილებით უფრო მეტ ეფექტს იძლეოდა, ვიდრე მაშინ, როცა იგი უძრავად იჯდა სუფრის გადღამა.

კორინთელი ნანობდა, რატომ არ წამოვდექი და სუსქიასთან არ ვიცეკვეო, თუნდაც მცირე ხანს.

ამ წუთში მას არაფრად მიაჩნდა, თუ როგორ შეხედავდა ამას მედიკო, ან მისი წვეროსანი დეიდა, რომლის ფიზიკურ სიახლოვეს და რეაქციულ აზრებს კორინთელი განიცდიდა, როგორც ქეზაფის სუნს.

ამას ფიქრობდა კორინთელი და სწორედ ამ დროს დეიდა ვარამ წაიგრძელა თავისი ისედაც გრძელი, დამტკნარი კისერი და უჩურჩულა მას:

„ჩემო ძვირფასო სიძე-ბატონო, მე ისეთი შეგრძნობა მაქვს, თქვენ ოდნავ ექვიანობთ ამ წუთში.“

„რასა ბრძანებთ, ვის მიმართ?“ — ფრანგულად მიუგო დეიდა ვარამ:

„მე ყველაფერი ვიცი, მონ შერ ეანდრ, რაც კი რამ მომხდარა ამ ოცი წლის მანძილზე თელავში. ისიც ცნობილია, რომ თქვენ ჩემს დისწულზე აღრე სუსქია მინდელი მოგწონდათ, ლუკა მეთონის ქალი. ჰა, ჰა, ჰა...“

ნუ გეშინიათ, მედიკოსთან არ გაგამხელთ. კიდევაც რომ ეუთხრა, მერმე რა. დარწმუნებული ვარ, არც ეწყინება ჩემს მედიკოსს.

თქვენ პარიზში ხართ გაზრდილი და ალბათ ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, თუ პირადი განცდის მიხედვით არა, პიკან-

ტური ფრანგული რომანებიდან მიინც, თუ თქვენი ცოლი დარწმუნდა, რომ თქვენ მხოლოდ მასზე ამოგლით მზე, იგი მოდუნდება და ცუდად მოზულრო ცოცხს დაემსგავსება. ჰი, ჰი, ჰი.“

კორინთელმა ერთი გადახედა ამ ქოსა სატანას, რომელსაც მოხარშულ ქარხალსავით შეწითლებულ ლოყებზე ვაცისწვერასფერი მეჩხერი წვერი ამოსვლოდა.

„მე მათებს თქვენი ეგზომ უეცარი ფამილარობა ჩემდამი და დღევანდელი პარადოქსები, რომელთა საბაბი მე თქვენთვის არამცდარამც არ მომიცია. მინდელის ქალს ამ ათიოდე წლის წინათ ვიცნობდი შორიდან და ჯერაც არ გამოვლამარაკებია. ამიტომაც ჩემთვის სავესებით გაუგებარია ყოველივე ეს.“

„მონ შერ ეანდრ, ნუთუ სიფხიზლე-შიაც ასეთი ანჩხლი ხართ? მე გეხუმრებით, ჩვენ ხომ ნადიმზე ვართ და არა ქელეხში.“

ძია ნიკო ისმენდა ამ საუბარს, თუმცა მას არც ერთი სიტყვა არ ესმოდა ფრანგულად გამართული დიალოგიდან, მაგრამ კორინთელის ოდნავ გაღიზიანებული ტონი თამადას საბაბს აძლევდა დაეცვინა, რომ ეს ქალი პირდაპირ შემოჩენილივით მინდობილი იყო, რათა ეს საგანგებოდ გამართული ნადიმი როგორმე წაემწარებინა კორინთელისათვის. ამიტომაც მოიხმო ცისთვალა, კისერზე ზელი მოხვია, ტუჩპირი ყურთან მიუტანა და უჩურჩულა:

„მიდი მედიკოსთან და ჩუმიდ უთხარი ჩემ მაგივრად, აქ მოვიდეს და მოუაროს თავის გადარეულ დეიდას.“

თამადა უკვე გრძნობდა, რომ სუფრა მოუდუნდა. ეს შავოსანი ბიკოლები, რომელნიც ეკლესიის ყვავებივით გარს მოსხდომოდნენ მაგიდას ცალ კიდევზე, მხოლოდ მთქნარების განწყობილებას ბადებდნენ.

თბილისელი მეჯინიბე ვაჩნაძე უსახელო თავკოპალას ეკამათებოდა წმინ-

და სისხლიან კვიცების შესახებ, ხოლო ზოტტქენიკოსი დადიანი, რომელსაც თრობის აღმური წაჰკიდებოდა სახეზე, თავგამოდებით ცდილობდა ამერიკისა და ევროპის პოლიტიკის ახალ-ახალი ამბები გამოეძალა არადელი-საგან.

თამადამ საჭიროდ დაინახა: უკვე მოშვებული და აღრევის ზღურბლამდის მისული სუფრა სერიოზული ამბებით გამოეფხიზლებინა, ამიტომაც გადასძახა არადელს:

„ზურაბ ბატონო, შენ ისეთი საინტერესო რამეები გვიამბე წელან, რომ დიდად გვასიამოვნე, ნუთუ ჩვენ ღირსი არა ვართ გაგვაგებინოთ იგივე, რასაც გივი დადიანს მოუთხოვობ მანდ?“

„მე კი მგონია, ნიკო ბატონო, თავი მოგაბეზრეთ ამდენი ლაყვობით. მე არც ისე მკერამტყველი და განსწავლული ვარ, რომ ჩემი საუბრით ვინმე გავართო, ან გავაკვირო. ჩვენ აქ ესაუბრობდით ამერიკული პრესის გამო, მე და ამხანაგი გივი.“

მე ვამტკიცებ, ძია ნიკო, ევროპისა და ამერიკის ეურნალისტებს, „გაზეთის კაცებს“, ვინმე თავს რომ დაჰკრიდეს არამცდაარამც არ ატყდებოდა ომი“.

არა, შენ სცდები, ჩემო ზურაბ, — სიტყვა ჩაურთო კორინთელმა, — მათი პრესა ჰინკების სამზარეულოა ერთგვარი, მათი გაზეთის კაცები — მზარეულებია, ამათ გარდა კიდევ ვილაცხებ მთუხდებოდათ თავების დაჭრა, ამ მზარეულების პატრონებს, მათ, ვისაც ფრანგები „ლ'ომ დუ პოლიტიკა“, ე. ი. პოლიტიკოსებს, უწოდებენ.“

„არაფერი ისე არა მძულს, როგორც ეგრეთწოდებული სუფრის პოლიტიკოსები, — უჩურჩულა დეიდა ვარამ თავის დისწულს ქართულად. — აბა რა აზრი აქვს ამ ლაყვობას?“

„ეჰ, თქვენ ყველა გაქვთ, დეიდა ვარა, ყველა, თქვენი ნათესაების გარდა. ჩვენ ეს ამბები ტკივილებს გვაყე-

ნებს და დიხაც გვაწუხებს, ამიტომაც სუფრაზედაც არ ვიშლით მათ ვაშლსა-უბარს“, — სიტყვა ჩაურთო მისი მსგავსი.

„მე ვხუმრობ, ძია ნიკო მოგესხენება, საკუთარი გვარისა და ნათესავების წინ წამოწევა არისტოკრატების ძველი ჩვეულებაა.“

თამადამ მზერა ესროლა მის იდაყვ-გამოცვეთილ სამოსს, გუნებაში გაეცი-ნა — ეს მათხოვარი „არისტოკრატობას“ ახლაც არ იშლისო.

„ყოველი ევროპელი და ამერიკელი ყოველდღე ბარე ოციოდე გაზეთს კითხულობს, — განაგრძო არადელმა, — წარმოგიდგენიათ, რა ძნელი იქნება ამდენ გაზეთში დასტამბული ტყუილების მონელება შუათანა ჰკუის იდამიანისათვის!“

არსად ისეთი უარყოფითი ზეგავლენა არა აქვს პრესას, როგორც ამერიკაში. თქვენ უნდა ნახოთ, შელაშვულ-ზე როგორი ისტერიული ყვირილით მოედებიან ვაშინგტონისა და ნიუ-იორკის პროსპექტებს ეს „ნიუს-ბოის“ — მეგაზეთე ბიჭები.

გაზეთებს ჯერაც არ გადასვლიათ სპეციფიური სტამბური სუნი და ამ პროსპექტებზე მოლაშლაზე მილიონები ისე მივარდებიან მათ, როგორც ზოოპარკის ლომები გალიებში გაყოფილ ზორცის ნაგლეჯებს.

მოგესხენებათ, ამერიკის დიდ ქალაქებს თავიანთი მანიაკები ჰყავთ, ზოგი კინოს მანიაკია, ზოგი ფეხბურთისა, ჰადრაკისა, არიან სხვებიც, — ტოტალიზატორის, ჰოკეის, პინგ-პონგის, კროკეტის, ფრენბურთისა და კალათბურთის მანიაკები.

ზოგს ყოველგვარ საქმიანობაში მოცარევიან ხელი და ლოტარიის ბილე-თებზე ამოდის მზე, ზოგი აეტომანქანის მანიაკია, გაზეთებში მხოლოდ იმ ადგილს ამტერდება, სადაც რომელიმე სააეტომობილო ფირმა თავისი აეტომანქანის ახალი კონსტრუქციით ტრამბოზობს.

ზოგიც გაზეთებს იმისათვის ათვალ-  
ერებს, რათა უკანასკნელ გვერდზე  
ამოიკითხოს — რამდენი ათასი დოლარ-  
ი აქვს მზითვად რომელიმე ამერიკის  
დედაქალაქს, რომელიც პრესის საშუალებ-  
ით ლამობს ვინმეს მიასაღოს თავი.

ზოგი საფოსტო მარკების მანიაკია.  
ასეთი პირები გაზეთებს მხოლოდ იმის-  
თვის კითხულობენ, რათა გაიგონ, სად-  
მე ახალი სახელმწიფო, ან რესპუბლიკა  
ხომ არ გამოჩეკილა, რათა მათ მიერ  
ახლადშემოღებული საფოსტო მარკე-  
ბი შესძინონ თავიანთ კოლექციას.

მე და ვახტანგს ერთი ქარხვეტია  
ბარონი გაგვეცნო ვაშინგტონის სას-  
ტუმრო ექსცელზიორში. მას ყური მო-  
უყრავს: საქართველოში რუსთაველის  
სახელობის საფოსტო მარკა გამოუცია-  
თო, დაგვეღრიჯა: ეგებ მიშველოთ და  
ეს მარკა მასოვნინოთო. ჩემს მდი-  
დარ კოლექციას მხოლოდ ეს აკლიათ.

მერე მოჰყვა იგი თავისი კოლექ-  
ციის ქებას, დაასახელა უელსის პრინ-  
ცი, რომელიდაც ფრანგი გენერალი და  
ერთიც ამერიკელი მილიონერი, რომ-  
ელთაც ნიცაში ოციათასი დოლარი  
მძღიესო.

მთელი მსოფლიო შემოუფლია თურ-  
მე ამ ჩერჩეტს, თავის თავსვე წერდა  
წერილებს პარიზში. მე დავპირდი:  
ერთ ღია წერილს მოგწერდით, მაგრამ  
რა მოგწეროთ-მეთქი, რაც გნებათ ის  
მოიწერეთ, ოღონდ ფოსტაში ჩააგდეთ  
და თქვენებურმა ფოსტამ თავისი დამ-  
ლა დაასვასო. — ეს თქვა არადელმა  
და სიცილი აუტყდა.

„რა გაცივებთ, რა გაცივებთ?“ —  
ჩააცივდნენ არადელს. იგი იცინოდა,  
მაგრამ არ ამხელდა მიზეზს.

ბოლოს ვახტანგმა გასცა საიდუმლო:  
„იცი, რა დააწერა იმ ღია წერილს  
ზურაბმა? ბარონ მანსფელდს ვაშინგ-  
ტონში, სასტუმრო „ექსცელზიორ“.  
თქვენ ყოფილხართ უდიდესი შტერი“.

როცა სიცილი მოთავედა, ზურაბ არა-  
დელმა განაგრძო: „კოტის ნელსურ-

ნელება ისე საამური არაა ამ მწიბრე-  
ბისათვის, როგორც ახლადგამოცული  
გაზეთების სუნი, რამდელიც<sup>(\*)</sup> მინურ  
ტუშს მოგაგონებთ. ეს სუნი ათრობს  
და უბრუებს ამერიკელ ბურჟუას გო-  
ნებას, ეს სუნი შეუზღუდველად მოქმე-  
დებს დოლარის მანიაკების შემეცნე-  
ბაზე.

კორინთელმა გაიღიმა და თქვა:

„აქ სხვა ფაქტორიც უნდა ვიგულის-  
ხმობ, ზურაბ. სისულელეებს ძველ სა-  
უკუნეებშიაც ბევრს წერდნენ, მაგრამ  
ხელით ნაწერი სისულელე, ნაკლებად  
მოქმედებდა თვით რეგვენებზედაც.

ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენია,  
თუ როგორი მონური სათნოებით კით-  
ხულობს ამერიკელი წვრილი ბურჟუა  
რომელიმე ვირეშმაკას მიერ რედაქტი-  
რებულ გაზეთს, ან მისი ქარხვეტია  
კორესპონდენტებისა და რეპორტიორე-  
ბის მიერ მოჭორილ ამბებს, საესებით  
დარწმუნებული, რომ ეს ყოველივე  
იქმეიუტანელია.

სწორედ აქაა საძებარი ამერიკული  
„რევოლუერის პრესის“, „ჰაობის პრე-  
სის“, „ყვითელი პრესის“ ზეგავლენათა  
ზამბარები.

ამერიკულ პრესაზე არანაკლები ბო-  
როტებაა ამერიკული კინოფილმები.

ამერიკელი „გაზეთისკაცი“ „კინოსკა-  
ცი“ — ორი ავაზაკია, ერთს სატევირი-  
ვით წამახული ავტოკალამი უჭირავს  
ხელში, მეორეს რევოლუერით შეწყი-  
პული ფოტოაპარატი.

ზურაბ არადელმა ღვინო მოსვა და  
კორინთელმა განაგრძო:

„რომის იმპერატორები განგებ აბრ-  
ძოლებდნენ გლადიატორებს ლომებ-  
თან და გეფხვებთან. საშინელი სანახა-  
ობის მონატრული ბრბო აღტაცებული  
ხარხარებდა, როცა რომელიმე ლომი  
გლადიატორს დაგლეჯდა.

ეს იმიტომ სვიროდათ იმპერატო-  
რებს, რათა ომებში გამოსაყენებელ  
მასებს მხეცური ინსტიქტები არ დახ-  
შობოდათ.

ამერიკულმა ბულვარის ლიტერატურამ, კინომ და პრესამ სწორედ ეს გეზი აირჩიეს, უარყვეს ჰუმანური ტრადიციები ინგლისური კლასიკური მწერლობისა, რომელიც, პირიქით, ადამიანში მხეცის გაღვიძების, ბნელი ინსტიქტების მხილებას წარმოადგენდა.

შექსირი ათახსირებს ადამიანის ზორცით მოვაჭრე შეილოკს და გაიძვერა იაგოს. ამ ტრადიციას განაგრძობდნენ ტეკერი და სტივენსონი, ხოლო თანამედროვე ამერიკის მწერალთა უმრავლესობა, პრესა და კინო სადისტურ, მიზანტრობულ, კაცთმოძულე ინსტიქტებს აღვიძებენ მასებში, რათა ომებში გამოსაყენებელი მილიონები გამოწრთვნან.

როცა რაიმე საშინელი, კერიოზული, ან საძაგელი მოხდება სადმე, „გაზეთისკაცი“ და „კინოსკაცი“ ყველაზე ადრე იქ გაჩნდებიან გახარებულნი.

ერთს სატევარივით შემართული ავტოკალამი უჭირავს ხელში, მეორეს — რევოლვერივით შეწყობული კინოაპარატი.

მე რომ მწერალი, ან მხატვარი ვყოფილიყავი, ამ ორ ავაზაკს უთუოდ გამოვსახავდი.

არსად მსოფლიოში იმდენი უმუშევარი არაა, რამდენიც ამერიკაში. მე და ზურაბი დავესწართ ვაშინგტონში ასეთ სანახაობას: უმუშევრებმა რომელიღაც პავილიონი დალუწეს, სატევრებივით გამოქრილი შუშის ნამსხვრევებით შეიარაღდნენ, უზარმაზარი აბრები გააკეთეს და ზედ დააწერეს: I want Work. — „მე სამუშაო მინდა“. მოცივიდნენ პოლიციელები, რევოლვერები და რეზინის ტუყები დაუშინეს დემონსტრანტებს.

მუშებმა შუშის სატევრები იშიშველეს. ასზე მეტი მუშა მიძიმედ დასჭრეს, მრავალ პოლიციელს შიგთვალის თეთრონებში მოახვედრეს შუშის სატევრები, ისე როგორც სჩვევოდათ ძველ მო-

ხიზბრებს ჩვენში სატევრების დიდ მანძილზე გასროლა. პოლიციელებს მხარაშულ თევზებსავით გადმარტყვივდათ თვალები.

ექიმებსა და სწრაფდამხმარე კარტებს მოასწრეს გაზეთისა და კინოსკაცებმა, ისინი გახარებულნი იყვნენ, ეგზომ „პიკანტური“ სურათების გადაღება სხვებს რომ დაასწრეს“.

კორინთელი ადგა და ზურაბ არადელს მიუჯდა გვერდით.

მედიკო გამოვიდა საწოლი ოთახიდან და ქმრის ადგილი დაიკავა.

თუმცა თამადა ყველაზე მეტსა სვამდა, მაგრამ მისი გონება ჯერაც სავსებით ფხიზელი იყო. მას ხალისიანი ფერებით ჰქონდა წარმოდგენილი ვახტანგისა და მედიკოს ცოლქმრული ცხოვრება. სიყრმის შეგობრებმა მრავალი დაბრკოლება გადალახეს და ოჯახი შეჰქმნეს.

ამ ნადიმამდისაც იცოდა ძია ნიკომ, ვარა კარგი ხანია ეშაღებოდა მედიკოს ახალ ოჯახში ხანგრძლივად სტუმრობისათვის. ძია ნიკო შიშობდა: თუ ეს ვეშაბი ბერმუხას წავიდა, იქაურობას მაგრად აურევსო.

გამოსავალსაც ვერ ხედავდა ყოფის საკითხებში მრავალნაცადი მოხუცი: არც ვახტანგს და არც მის მახლობლებს არ შეეძლოთ ეთქვათ მედეასთვის: ოჯახში დედის დას ნუ მიიღებო.

თამადას დინჯად მიჰყავდა სუფრა. მისი გულისყური აქეთოკენ იყო მიქცეული, მიუხედავად ამისა, მას არ გამოპარვია მედიკოს მიერ ნაჩურჩულევი:

„ღვიდა ჩემო, ნუ ლაპარაკობ ფრანგულად“.

ვარამ ახლა რუსულად მიუგო:

„მე საერთოდ არაფერი მაქვს დასამალავი, შეილო, დედაშენი, ჩემი და უცხოეთშია, ამიერიდან მისი მაგივრობა მე უნდა გაგიწიო. ეს რა მოგსვლია, ქალო, კომუნისტს რომ გაპყოლიხარ ცოლად! პარიზში, ვაჩნაძიანთ პრინცესამ

კომუნისტი რომ გამოსჩხრიკოს, „სე კელკ შოზ რიდიკულ.“<sup>1</sup>

პაი გიდი, სად ვიყავი მე დასამიწებელი, აბა როგორ დაგანებებდი მაგ სისულელეს. თქვა ქართულად ვარამ ნუთუ პარიზშიაც ამ ჰქუაზე იყო შენი ქმარი?“

„ვინ გითხრა, დეიდა, რომ ვახტანგი კომუნისტია?“

„არა, ჯერ ეს მითხარი, პარიზშიაც ასეთ რამეებს როშავდა?“

„ღეთის წინაშე, იქაც ასეთ აზრებს გამოთქვამდა ვახტანგი.“

„შენ ამბობ, მუსიო კორინთელი კომუნისტი არ არისო? არ დაიჯერო, შენ გიმაღავს ალბათ.“

„არა, რად დამიმაღავს, იგი პარტიის წევრი არაა.“

ძია ნიკო ამას ისმენდა, მაგრამ ისეთ გამომეტყველებას იღებდა, თითქოს მას სუფრის სხვა წევრებისაკენ ჰქონდეს მიტყეული მთელი ყურადღება.

შედიგოსა და დეიდამისს საუბარი შეაწყვეტინა ერთმა უცეარმა შემთხვევამ. ზოოტექნიკოსი დადიანი და უსახელო თავკოპალა წალაპარაკდნენ, დადიანმა სპეკულანტი უწოდა მას.

არადელმა გარეთ გაყვანა მოუნდომა უსახელოს, მაგრამ იგი ორივე ხელოთ მოეჭიდა თავის სკამს. გივი დადიანმა თავისი გრძელი მკლავი ტუყივით ზეაღმართა, მაგრამ მასწავლებელმა ჩხეტიანმა ჯერ დააშოშმინა იგი და მერმე, როგორც იქნა, გარეთ გაიტყუა.

სუფრაზე უსიამოვნების ჩამოვარდნამ შავოსანი ბიკოლები ისე დააფრთხო, რომ სათითაოდ წამოდგნენ და გაიპარნენ. ზურაბ არადელს მეორე დღეს ლექციები ჰქონდა ინსტიტუტში, შავოსანი მანდილოსნების გაცილება მოიმიზეზა, და გაჰყვა მათ.

მეჯინიბე ვაჩნაქემ რა გაიგო, დადიანი გააპარესო, ისიც მის სამებნად გაემართა. ამრიგად, სუფრის მეორე მხარეს დარჩნენ სუსქია მინდელი, ვახტანგ

კორინთელი, თავკოპალა უსახელო და შოფერი ანდრო.

ისევე როგორც მამაც სარდალს რომელსაც მხდალი მეომრეში შემოეცალნენ, გუნება გაუფუჭდა თამადას. სუფრაზე დარჩენილთა შორის უკვე აღარავის ჰქონდა გამწე სმის თავი. შოფერი ანდროს ღვინის სმა ჰქონდა კორინთელისაგან აღკვეთილი.

უსახელო თავკოპალა ნამეტნავად აგრესიული გახდა. იგი წარამარა ეპოტინებოდა სუსქიას იდაყვის ქვემოთ გამიშვლებულ მკლავს. როგორც კი შენიშენას მიიღებდა მკლავის პატრონისაგან, გაბრაზდებოდა და გივი დადიანის ლანძღვას მოჰყვებოდა. ამაგებდა მას, როგორც აყლაყუდას და თავმოტკვლებილს, ხოლო თანაც ივიწყებოდა, რომ მას თავად გოგრის ქერქივით გასიბული კეთა ჰქონდა, მხოლოდ საფეთქლებსა და ქედზე შერჩენოდა ისეთი ქინკლი, როგორიც ბატების მიერ მოძოვილ მინდორზე დარჩება ხოლმე.

ძია ხიკოს არ მოსწონდა მისი ასეთი უტიფრობა, მაგრამ არ ივიწყებდა ვადაგასულ ხალხურ სენტენციას: „სტუმარი ღეთისაა“.

იომინა, იომინა და ბოლოს ასეთი სასჯელი გამოიგონა ამ აბეზარი სტუმრის დასაოკებლად: მოზრდილი საშაქრე მოატანინა ცისთვალას, ღვინით გაავსო, თავათაც გამოსცალა და უსახელოს გადაულოცა.

როცა მან ეს მორიგი სასმისი დალია, ისე დარეტიანდა, როგორც თხიპაშეყრილი ქათამი. ხუთი წუთიც და მაქარივით ტკბილ ძილს მიეცა.

აგრესიული გახდა ვარაც, რომელიც განსაცვიფრებელი სიჯიუტით ეჯიბრებოდა სმაში ვახტანგ კორინთელს, და არა მარტო მას, „უთრობელ თამადას“ — ძია ნიკოსაც.

ვარა უკვე არ ერიდებოდა საუბარში გესლიანი რეპლიკების ჩაყვრებას, იმ შეგონებათა მიუხედავად, რომელთაც

<sup>1</sup> ეს სასაცილო რამეა.

დაუცხრომლად ისმენდა მხარმარცხნით მკდარ თავისი დისწულისაგან.

ბოლოს, როგორც იქნა, მოეშვა კორინთელს და მოჰყვა ზურაბ არადელის ძაგებს, „ხოკოების პროფესორს“ უწოდებდა მას, „სულითა და ხორციით მახინჯს“, (მხოლოდ იმიტომ რომ ეს უკანასკნელი ოდნავ ელამი იყო). ბოლოს მოჰყვა მტკიცებას ფიზიკურად მახინჯნი, უცილოდ სულიერადაც მახინჯები გამოდიანო.

ახლა იმისთვისაც ჰქირდავდა არადელს, როგორ თუ მან გაბედა და ამერიკის „დიდი ცივილიზაცია“ აუგად ახსენა და მამაცი მგზღვაურის — ქრისტეფორე კოლუმბის ღვაწლი ჯეროვანად ვერ შეაფასაო.

კორინთელი თავადაც გრძნობდა ღვინის მოძალეებას, ბრაზობდა ყოველივე ამის გამო, მაგრამ კოლის ხათრით, ძია ნიკოს ხათრით ითმენდა, ეშინოდა, სტუმარი არ შემომელანძლოსო, ამიტომ უბრალო რეპლიკებითაც არ ამღებდა მას პასუხს.

ამ ამბავმა უარესად გააკაპასა წვეროსანი დიაცი, როგორ თუ პასუხის ღირსადაც არა მთვლიანო.

უკვე გადავიწყდა მედიკოს გაფრთხილება ფრანგულად ლაპარაკის გამო, საკმაოდ უხეშად აძაგებდა მას, აყვედრიდა: „კეთილშობილი“ დედ-მამის „შვილმა უკეთესი ვერაფერი გამოიგონე, „გალანტობისა და ბომონდის“ ამ სატახტო ქალაქში, პარიზში თელაველი დიაცუნების ნაშიერი, გამოგენხრიკაო.

მედვას შეეშინდა, ფრანგულიდან ქართულად ლაპარაკზე არ გადასულიყო დეიდამისი, და უარესი რამ არ წამოეროშა, ამიტომაც უჩურჩულა:

„შენ უკვე დაიქანცე, დედა, საზოგადოებაში ყოფნით. წამო, ბალში გავიდეთ ცოტა ხანს, სიტყვა მაქვს შენთან“...

„სხვათაშორის, მეც მაქვს ზოგი რამ შენთვის სათქმელი, მე იმიტომაც გვედრებოდი თელავს ჩამოსვლას, მამი-

დაშენის — ეფემიას წერილი მომივიდა ამ ერთი თვის წინათ“.

ვარას გაყვანამ გუნებამ გამოუკეტა ძია ნიკოს. იგი ახლა მოვიდა ნამღვრილი, გამწე, ქეიფის გუნებაზე, მაგრამ ღვინის სმა ჩვენი თამაღების მიერ ერთგვარი „დახელოვნების“ რანგზე აყვანილი, უცილოდ ოკუმენტური მოვლენაა, მასში შეჯიბრების მომენტია მთავარი მამოძრავებელი ზამბარი.

შეჯიბრება პერსონების სიმრავლეს მოითხოვს და იგი რომელიღაც თელსაზრისით ოდნავ მაინც წააგავს იაპონიურ „ჩაის ცერემონიებს“ — რამდენადაც როგორც ღვინით, ისე თეატრით თრობა შუასაუკუნეთა რიტუალებს უნდა მიეკუთვნონ.

რაინდები ომებში ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს ხმლით, სიფხიზლითა და ჩაუქობით, ხოლო მშვიდობიანობის დროს — მათრობელი საშუალებებით.

ძია ნიკო ზედავდა, რომ უკვე აღარავის ყოფნიდა მასთან შეჯიბრების ძალა.

სწორედ ამიტომაც უკვე არ იცოდა თამაღამ, როგორ დაემთავრებინა ნაღიმი.

ამასობაში უსახელო თავკობალას გამოძინება მოესწრო. უწინარეს ყოვლისა იგი მისწვდა სუსქია მინდელის მშვენიერ ხელს და მაშინაღურად აკოცა ზედ.

სუსქიამ ხელი წაართვა და დაბეჯითებით უთხრა: ასეთი უკადრისი საქციელი თქვენვე გამცილებთო.

უსახელომ სიტყვა მისცა: აწი არ გავიმეორებ ასეთ რამეს, ოღონდ ამას გთხოვ: მე უნდა გაგაცილო შინ, ეს უთხრა და ისევ წაებოტინა საკოცნელად მის ხელს.

სუსქიამ ერთი ცარიელი სკამი გამოსტოვა და გაეცალა უსახელოს.

ხდება ხოლმე ცხოვრებაში, ადამიანის დასასჯელად ყოველთვის ძმარს როდი ხმარობენ, ზოგჯერ უტკბილეს საშუალებებსაც მიმართავენ.

ამიტომაც, ძია ნიკომ რა შენიშნა, უსახელო დაცხრომას არ აპირებდა, ქინძმარეულით გაავსო იგივე საშაქრე და, როცა უსახელო თავკობალამ ესეც გამოსცალა, იგი უკვე აღარ იყო ამსოფლად, ორივე მკლავი მალა ატყორცნა, ისე როგორც მორევში გადამხტარი ადამიანები ჩადიან ხოლმე ამას და ნიყვივით გადაეარდა სკამიდან.

მეზობლიანთ ლევანამ და შოფერმა ანდრომ მას ხელ-ფეხში წააქლეს ხელი და სამზარეულოში გაათრიეს.

როცა სუსქია მინდელი წასვლას დადგა, ძია ნიკომ ანიშნა კორინთელს: გაეცილებინა მარტოხელა ქალი, რადგან ეშინოდა — ვაითუ სამზარეულოდან გამოძვრეს უსახელო და მინდელის ქალს გაცილება მოუხდომოსო.

როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, ძია ნიკომ შენიშნა: პიანინოზე თავისი რედიკული დავიწყებოდა სუსქიას, თავდაც ბაღში აპირებდა გასეირნებას, ხელი წაავლო რედიკულს, სრულიად დარწმუნებულმა, რომ ვახტანგი და სუსქია კიშკრამდისაც არ იქნებიანო მისულნი.

ვერდის კარი ღრიკედ დაეტოვებინათ ახლადგასულთ, ძია ნიკომ დახედა დაღმართში მიმავალ ბილკს, მაგრამ ადამიანის ბაიბური არსად იხმოდა.

ბაღში გამოსულს იამა ირგვლივ დავანებელი სიგრილე და სიჩუმე. უზარმაზარი ხეების სქელი ჩრდილები გაწოლილიყვნენ.

ლევნიანში ძია ნიკოს, პაწია სკამი ეგულებოდა, ერთი გაიფიქრა ნასმურევემ: ცოტა ხანს ჩამოჯდები და გავგრილდებიო.

ამ სკამის უკან ბებერი ლევნის ხე იდგა, ჯგროდ ამოსული, აურაცხელი, ამონაყარებით გარსშემორტყმული. დაჯდომაც ვერ მოასწრო ნიკომ, ისე მოესმა უსიამო მამაკაცური ხმა კნენის ვარასი. ამჯერად რუსულად ლაპარაკობდა იგი:

„მოუთმენლად მოველოდი შენს ჩამოსვლას მედიკო.“

„როდის მიიღე მამიდა ეფემიას წერილი?“

„გასულ კვირას“, — მიუგო კნენის ვარამ.

„აქამდის რად არ მაცნობე მისი შინაარსი?“

„შემეშინდა, შენს ქმარს არ ჩავარდნოდა ხელში.“

„რაო, რას იწერება?“ — მოუთმენლად იკითხა მედიკომ.

„ლუსიენი ავად ყოფილა, აპრილში დაბრუნებულა ნიცადან.“

მედია გაილურსა ამ სიტყვების გაგონებისას, ბოლოს ხმადაბლა თქვა:

„რაო, რას იწერება მამიდა ეფემია, რა ამბებიო პარიზში?“

„პარიზში რაცა ხდება, ამას გაზეთებშიაც ამოიკითხავდი. შენ სხვა რამეები იკითხე, ბალო. მამიდაშენი ეფემია მწერს: ლუსიენი მედიკოს წასვლას ძლიერ დარდობსო. მელანქოლია შეპყრია, მიტომაც ნიცას წასულაო. ამ ზაფხულში მონტე-კარლოს აპირებსო წასვლას.“

ეფემიას წერილიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა...“

„სსუ, არვინ გვისმენდეს, რას ამბობ, დეიდა, მე მგონია, ეს ნონსენსია.“

„შენ ჯერაც ბაღი ხარ, შეილო და საკმაოდ გაბრუებული იმ სისულელეებით, რომელთაც ყოველი მამაკაცი შერთვის უმალვე უცილოდ შთაუწერავს ხოლმე თავის ცოლს. შენ ვერც იმაში გარკვეულხარ კარგად, როგორი უგუნური ნაბიჯი გადადგი, ძვირფასო. Ты не даешь себе отчета, что ты накуролесила“<sup>2</sup>.

იკოლდე, მედიკო, ახალგაზრდა ადამიანების სამი მეოთხედი სომნაბულის-

<sup>1</sup> უზრობა, გაუგებრობა.

<sup>2</sup> შენ შენს თავს ანგარიშს არ აძლევ თუ რა მიქარე.



ტია<sup>1</sup>. ვინ იცის, რამდენ სისულელებს სტენიან ჩვენს შემეცნებაში სკოლა და რომანები, გაზეთები, მეგობრები და ამხანაგები. რომელთაც „გარემოცვას“, „წირს“ უწოდებენ ხოლმე. აქ არ შესდგა ეს ამარი დედაკაცი და განაგრძო ჩმახვა:

„მერმე ჩვენ ავტროკლებით და ავყვებით ხოლმე ამ მირაჟებს და ვივლით ასე დაბანგულნი, სანამ საფეთქლები არ შეგვიფლალდება.“

რალა შენ გაყვედრი, მეც ასეთი სომნაბულიზმის მდგომარეობაში დავლუბე ჩემი ბედი. არ გეგონოს, ახალგაზრდობაშიაც ასეთი უსახური ვყოფილიყავ, როგორიც დღესა ვარ. ეგ შენც იცი, ყუავილი გათხოვების შემდეგ შემეყარა ჩემი გამდელისგან. სამეგრელოს დიდი თავადისა და გენერლის ქალი ვიყავი. ზომ იცი, ეს გარემოებანი განსაკუთრებულ შარავანდს ანიჭებენ გასათხოვარ ქალებს.

ჩემ გარშემო ტრიალებდნენ ნიჟეგორადის პოლკის უბრწყინვალესი ქართული ოფიცრები: ბაგრატიონები, ამილახვრები, ამირეჯიბები და ფალავანდიშვილები.

იმ ხანებში გამიმიჯნურდა ამავე პოლკის ოფიცერი, დიდი მემამულე, ბალტიელი ბარონი მანტოიფელი, რომელიც ჩემი გულისათვის დუელში მოკლა თავადმა მუხრან-ბატონმა.

ჩვენი დიდებები, მამიდები და დედები ქალიშვილებს მუდამ ასეთ რამეებს გვიჩიჩინებდნენ: ყველა გამიჯნურებული მამაკაცი მაგრად გასწურეთ და დასტანჯეთ, მაჯის ზემოთ არ აკოცინით მათ, სანამ მშვილდივით არ მოიღრიკებთან თქვენს წინაშე, განა ერთგზის, — შეიდგზის... და იცოდეთ, მხოლოდ იმით აღირსეთ თქვენი ცოლობა, ეისაც მოთმინება ეყოფა და ხელის თხოვის განმეორება არ მოსწყინდება, როგორც დიაკვნებს თავიანთი ლოცვების ღეჭვა.

მერმე ის იყო, ჩემზე გამიჯნურებულმა ულამაზესმა კორნეტმა, თავადმა მჩაბელმა ტყვია ფეხს შემბლწი, მხოლოდ იმიტომ, რომ მე უფრო ვიყო ხარი ცოლობაზე. მამაჩემს შეეშინდა, მჩაბელის ნათესავეებს შური არ ეძიათ, და სოხუმში წამიყვანა მამიდაჩემთან.

სოხუმში ყოფნის დროს შევეყვარდი ერთ ბერძენ მილიონერს, დიმიტრიადის, თამბაქოს ქარხნების პატრონს, რომელსაც დიდძალი აქციები ჰქონდა ოტომანის საიმპერიო აქციონერთა საზოგადოების „ტაბაკ-რეჯიისა“ კონსტანტინოპოლში.

ეს ბერძენი ისე გაგიჟდა, დააპირა მიტოვება თავისი ულამაზესი ცოლის, იტალიელი ქალის მარჩაისი და სამი ვაჟისა, მაგრამ მე ამოკითხული მქონდა სულელურ რომანებში, ახალგაზრდა პრინცესა მხოლოდ სიყვარულით უნდა გათხოვდესო. იმ კაცს კარგა მოზრდილი ღიბი ჰქონდა და ფურუცკულები კისერზე.

ამიტომაც მანქვა-გრეხა დავიწყე და შევეყოყმანდი.

ის ბერძენი ფრიად თავმოყვარე მამაკაცი აღმოჩნდა. როცა მას მამაჩემმა ჩემი დაქინებით თავაზიანი უარი უთხრა, მან უკვე აღარ მოინდომა ჩვენი დიდებებისა და დედების მიერ დათქმული რიტუალები.

არამცთუ შეიდგზის, ერთხელაც არ მოდრეკილა წელში, ერთ საღამომს ოფიცერთა კლუბიდან შინ მიმაცილა, ხელზე მემამორა და თითქმის გულგრილად მითხრა:

„მე და თქვენ ამიერიდან ვეღარ შევხვდებით ერთიმეორეს, მადემუაზელ.“

მერმე ის იყო, თბილისში გადამეკიდა ერთი გულდამშიერი ქართველი თავადი ჯორჯაძე, საწყალი ბიძაშენი, რომელსაც ყვარელში ორმოციოდე ჰქეტარი მიწა ჰქონდა, თბილისში ერთი ულაზათო სახლიც, რომელიც წამამარა ბანკში იყო დაგირაგებული;

1 მთვარეული.

ალაზანზე ორიოდ წისქვილიც გააჩნდა.

განსვენებული ჩემი ქმარი ქართული გაზეთების რედაქციებში დაეხეტებოდა დღენიადაგ, ჯიბეები სავსე ჰქონდა სოციალისტური გაზეთებითა და პროკლამაციებით.

მიუხედავად ამისა, იგი გარეგნულად თავადობდა, სააზნაურო ბანკის არჩევნებსა და ბანკეტებს ესწრებოდა, მაგრამ, როგორც გვიან გავიგე, შენიღბული კაცი აღმოჩნდა, თავის წისქვილებში სოციალისტებს მალავდა და თავის უკანასკნელ ლუქმას მათ აქმევდა.

რაკი მას ისე შეეუყვარდი, რომ შეიდგახის კი არა, ათვჯის მოდრიკა ქედი, ჩემ წინაშე, მეც აყუყუი ჩვენი დიდებულების და დედების შეგონებებს და მას გაეყუვი ცოლად.

მას შემდეგ რაც მოხდა, შენც კარგად იცი. მე არ მიყვარდა გრძელთმიანი სოციალისტები, დღენიადაგ უსიამოვნება მქონდა მათ გამო ქმართან.

მოვიდნენ ბოლშევიკები, მამულები ჩამოგვართვეს და წისქვილებიც ზედ მიაყოლეს მათ.

მე აგრე, ნზვათა სამადლოდ, დავრჩი და გლეხის დედაკაცების ტრიკობს მაქსოვიებენ.

მე ამას ვირჩევ, შეილო, ჭკუას უხმე, სანამ ლამაზი ხარ და ახალგაზრდა. შენ ევროპაში ხანგრძლივად ნაცხოვრები ქალი ხარ და გეცოდინება: სილამაზე ის უშრომლად და უეშმაკოდ მიღებული კაპიტალია, რომლის პროცენტებით ლამაზი ქალები არამცთუ ცხოვრობენ, თავიანთ სიბერესაც უზრუნველყოფენ ხოლმე.

შენს ქმარს კომუნისტები ენდობიან. ჩააგონე მას, სთხოვოს მთავრობას, ხელახლა მიავლინონ საზღვარგარეთ, სამეცნიერო საქმეები მოიმიზეზოს. შენც თან წაჰყუვი როგორმე, ავადყოფობა ისაფრე.

როგორც მამიდაშენის — უფემიას წერილებიდან ჩანს, მუსიო შარკუტიე ხელებგაშლილი მიგიღებენ. წარმოდგენილი მაქვს, შენ რაც ამ მოკლე ხნის მანძილზე განიცადე ბერმუხაში, უფრო მეტად დააფასებ იმ ბედნიერებას, რომელიც შენი ახალგაზრდობისა და დაუფიქრებლობის მეოხებით ისე გააგდე ხელიდან, როგორც მთვრალ ოფიციალტს ძვირფასი ჭურჭელი გაუეარდება ხოლმე ხელიდან.

„რას ამბობ, დეიდაჩემო, ეს რა საკადრისია, მართალია, მე ძველებურად აღარ მიყვარს ვახტანგი, მაგრამ ეს ხომ ლალტია, ან მუსიო შარკუტიე როგორღა მიმიღებს უკან?“

ძია ნიკომ მედიკოს ხმა შეიცნო და სუნთქვა მოიპარა.

„მიგიღებს, სიამოვნებით მიგიღებს, იცოდე. მე ხვალვე მივწერ ეფემიას დაახუსტოს ის ორიოდე გადაკრული ფრაზა. შენ ხომ იცი, ფრანგი და გერმანელი მამაკაცები ველურები როდი არიან ამ საკითხში.“

ევროპელ მამაკაცებს საერთოდ ასე სჩვევიათ: როგორც კი ცოლები უღალატებენ, მომეტებულად აფასებენ მათ. შენ ბალღი ხარ და გეშინია ლალატისა.

მას შემდეგ, რაც ლუსიენი დარწმუნდება, რომ შენ თვით შენს თვისტომს უღალატე მისდამი სიყვარულის გამო, ხელის გულზე დაგისვამს, იცოდე.

შენ ნაკითხი ქალი ხარ და ისიც გეცოდინება ალბათ, რომ ლალატი ისეთი ვალუტაა, რომლის ფასი ჯერაც არაა დადგენილი საქონლის მცოდნეთა მიერ.

ეს კარგად იციან იმ ცოლებმა, რომელნიც რქებს ადგამენ თავიანთ ქმრებს. ისეთი მომენტებიც ყოფილა წარსულში, როცა ერთგულებს ეშაფოტებზე გასვლა უწყევდათ, ხოლო მოღალატენი ტახტსა და დიდებას ლებლობდნენ ლალატის საფასად.

ეს არც მინისტრებს ავიწყდებოდათ არასოდეს, არც პოლიტიკოსებსა და არც მწერლებს:

შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და არ იცი, მამაკაცები რქოსანსავით უხეშები არიან მანამდის, სანამ ჭკვიანი ცოლები მართლაც არ დაადგამენ მათ რქებს. როცა ეს მოხდება, ისინი იმდენ ჭკუას შეიმატებენ, დედალ ცხვრებს დაემსგავსებიან ხოლმე. და მოლაღატე ცოლები ისე დაასხდებიან თავიანთ ქმრებს თავზე, როგორც ინგლისელი პლანტატორი ირიქშაში შებმულ ჩინელ ყულის.

გარდა ამისა, ყოველ მამაკაცს ერთი-დაიგივე უბედურება სჭირს: რაც უფრო ხანში შედის, მით უფრო დაეინებით იყურება სხვა ქალებისაკენ.

შენი ქმარი ხომ საკმაოდ სოლიდური პროფესორია, ყოველშემთხვევაში, გარეგნულად ასე მეჩვენება. იგი თავიდანვე მოღონებულად და უგუნებოდ იჯდა სუფრასთან, მაგრამ, როგორც კი ეს ეჭიმი, ლუკა მეთონის ქალი მოვიდა, ლეინის სმასა და მჭერმეტყველებას უმატა. მერწმუნე: ქალები რომ არ გავეჩინეთ იმ დალოცვილ ღმერთს, მამაკაცები ნაკლებად იუბედებდნენ.

ცნობილია: არც დედალი შაშვი, არც დედალი ბულბული არა მღერიან, მამლები მღერიან და გალობენ, რათა დედლებს თავბრუ დასხან“.

მცირე ხანს სდუმდნენ ორივენი, ძია ნიკომ კისერი წაიგრძელა, მზერა დაძაბა, რათა როგორმე შეენიშნა, იდგნენ თუ ისევ იჭავე ისხდნენ ლედვებს ვადალმა ისინი.

შეეშინდა: ვაითუ აქეთკენ წამოვიდნენ და გადამეყარონო, წინ წასვლა დააპირა, მაგრამ ისევ მოისმა მამაკაცური ხმა:

„შენ თუ არ შეგაწუხებ, ცოტა ხნით, წამოვალ ბერმუხას, შენსას. მე აქ ერთი პარტკომის მდივანი გადამეკიდა,

გასაქანს არ მაძლევს. მინდა ცოტა ხანს დავასვენო ნერვები.“

„რასა ბრძანებ, დედალ, შენ რა გინდა რომა მე როგორ შემაწუხებ.“

„არა, მე სოხუმში მეპატიეებიან დედაჩემის ნათესაეები, მაგრამ მე ისე მაწუხებს შენი მღვთმარეობა, მინდა წამოვიდე, დაგხედო, მაგ შენ პროფესორსაც უკეთ დავაკვირდები.“

ისევ დადუმდა ვარა და დასძინა:

„შენ უფროხილდი იმ ძია ნიკოსაც, არც ისაა კაი კაცი, ვგონებ, ისიც ბოლშევიკია. მე ასე თუ ისე კიდევ მითმენენ აქაურები, აგრე ვარაუდობენ ალბათ: მაგ დედაბერი რას დაგვაკლებსო. შენ კი უცხოეთიდან ახლადჩამოსული ხარ, ისიც თავადის ქალი, გენერალ ვაჩნაძის შვილიშვილი.“

გულს ნურავის გაუხსნი, შვილო, მეშინია, არადფერი მოგწიონ. „ილ ფოფერ ლატანსიონ“. <sup>1</sup> ეს ფრაზა ვერ გაიგო ძია ნიკომ.

„მე განზრახ ვუთხარი შენ ქმარს — გაზეთებს არა ვკითხულობ-მეთქი, — განაგრძობდა ვარა, — პირიქით, მე წალმა-უკულმა ვკითხულობ მათ გაზეთებს, ქვეტექსტსაც კარგად ვკითხულობ და ვიცი, ომი იქნება უთუოდ და ეს იქნება მათი წითელი პარასკევი, რა თქმა უნდა, კომუნისტებს არ უნდათ ომი, სამაგიეროდ, ევროპას უნდა ომი, არისტოკრატისა და ბურჟუაზიას სჭირდებათ ომი.“

ძია ნიკომ მედეას ჩურჩულიც გაიგონა:

„ვგონებ, ვილაც მოდის, დედა. ვახტანგი ხომ არ დაბრუნდა ნეტაე?“

„ვინც უნდა ის მოვიდეს აწი, ჩვენ უკვე მოვიხებთ გული. არ დაგავიწყდეს, მე დადიანის ქალი ვარ. დადიანის ქალები მუდამ მამაკები იყვნენ, თავიანთ ქმრებზე უფრო მამაკები, მათ წინაშე ცახცახებდნენ ქმრები.“

<sup>1</sup> სპიროს სიფროსილი.

ძია ნიკომ ფეხის ხმა გაიგონა, ადგა, ლელვის ხის გარშემო ნაბარტყევ ყლორტების ბუჩქებს შეეხიზნა და იფარა მათგან დამდგარი ჩერო...



ამასობაში სუსქია და ვახტანგი მიჰყვებოდნენ დაღმა მიმავალ ბილიკს. მაღალ ქუსლებზე შემდგარი ქალი დიდი გაჭირვებით მიდიოდა ბნელში. კორინთელს მკლავი ჰქონდა მის მკლავში გაყრილი და ამ მაღალ ქუსლებზე შემდგარი ქალის არცთუ მსუბუქი ტანი მას აწევებოდა. მზრისთავზე მჭიდროდ მიკრული, ჩაჰყავდა იგი დაღმართში. ნასმურვეი მამაკაცი გრძნობდა ამ ქალის სხეულის გამაბრტყებელ სურნელებას, მისი სუნთქვა ისე ახლოს მოდიოდა მასთან.

როგორც კი ბილიკზე ჩამოვარდნილი ლოდები ან თხრილი წინ გადაეღობებოდათ, კორინთელი შემოხვევდა ხოლმე ზემოტანზე ხელს და უნებლიეთ ახლოს იხუტებდა მის ფაშფაშა სხეულს, ღელავდა, თანაც ფრთხილად ჩაჰყავდა სუსქია დაღმართში.

ქალმა თქვა:

„მე სიზმარში მგონია თავი, ვახტანგ.“

„რატომ?“

„მე არ მეგონა, თუ ოდესმე შეგეყრებოდი სადმე. შენ ისე შორეული და მიუწვდომელი მეჩვენებოდი შორიდან“...

„რადაო, ვითომ?“

„როგორ თუ რადა, შენ ასეთი სახელმოხვეკილი, მსოფლიომოვლილი მეცნიერი ხარ, მე საწყალი პროვინციელი ექიმი“.

კორინთელმა მიუგო:

„რატომ? ჩვენს ქვეყანაში ყველას თავისი ხელობა აქვს, ყველა პატივისცემის ღირსია, ვინც თავის საქმეს კარგად უძღვება“.

მცირე ხანს მდუმარედ მიდიოდნენ, ბოლოს ქალმა დაარღვია დუმბილი:

„მე ახლა მავონდებანი რუიოდე წლის წინათ, შენ თბილისელი გიმნაზიელი იყავი, მე წ. ნინოს სასწავლებლის მოწაფე. აღდგომა დამეს ერთად წამოვედით ერთკლე მეფის კარის ეკლესიიდან, ამხანაგების მთელი ჯგუფი მივდიოდით სიცილ-კისკისით, დანარჩენები გზადაგზა ჩამოგვცილდნენ.“

მე მეშინოდა მარტოკა შინ წასვლისა, ვერ გამებედა მეთხოვა გაგეცილებინე. გულწრფელად გითხრა, ისიც მაფიქრებდა, მარტოხელა გავეცილებინე ვაჟს.

ბოლოს გადავწყვიტე, მეთხოვა გაცილებო, მაგრამ გამბედაობამ მილატა და, როცა თქვენ ჰიშკარს გავუსწორდით, მე გავინაბე, თანაც ვცახცახებდი: როგორღა წავალ-მეთქი შინ, შენ შემომთავაზე — გაგაცილებო. ეს ზეკვი მოკრძალებულად, ყმაწვილურად. მე ცალყბად გითხარი: რა საჭიროა მეთქი.

შენ ჰიშკარს წაებოტინე, რადგან ჯერ უწვერული ყმაწვილი იყავი და არც კი იცოდი, როცა ხანდახან ქალი „უარს“ ამბობს, „ჰოდ“ უნდა იგულისხმო.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, უკანასკნელად მე და შენ შეგხვდით ერთმანეთს რუსიკო ბილანიშვილის დღეობაზე.

შენ სწორედ იმ საღამოს მიმაცილე შინამდის, მეორე დღეს პარიზს წახვედი. როგორი ბედნიერი ვიყავი მაშინ მე, შენ კი ალბათ ახლაც ბედნიერი ხარ...“

კორინთელს უნდოდა ეთქვა, მე შენზე მეტად უბედური ვარო, მაგრამ სათქმელი ხორხის არეში გაეხირა... და სუსქიამ განაგრძო:

— შენ იმ საღამოს, თუ გახსოვს, დამპირდი კიდევაც, პარიზს ჩასვლის უმაღლვე მოგწერო წერილს და არც არაფერი მოგიწერია მას შემდეგ.

ო, ღმერთო, რა ნათლად მახსოვს ის შემოდგომის მშვიდი საღამო. ვენახებიდან გადმოცვენილი გამზმარი ფოთლები ფაჩუნობდნენ ჩვენს ფერხით, ამ ბილიკს მიეყვებოდით ისე კმაყოფილნი და ბედნიერნი, რომ ათასგვარი იმედებით ფრთაშესხმულნი ვიყავით, ხომ ასე იყო, ვახტანგ?”

ვახტანგმა კავკასიონს გახედა, მთვარის შუქით გაბრწყინებულს, პორცელანისფერი ღრუბლების დეკორაციებით დამშვენებულს და თქვა:

„მართალია, სუსქია, მე დაგპირდი, ბარათს მოგწერ-მეთქი და არც არაფერი მომიწერია, მაგრამ ვინ გაიგებს ამ ცხოვრების დაბურღულ ამბებს. განა ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ჩვენ ყოველთვის შეგვეძლოს დანაქადნებისა და დანაპირების შესრულება?”

ჩვენ გვეჩვენება მხოლოდ, თითქოს ჩვენ ვქმნიდეთ და ვმართავდეთ საკუთარ ცხოვრებას, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოდის, ზოგს თავთ ცხოვრებაც გვატარებს ხოლმე თავის გზებზე, რადგან გარემოებანი ჩვენზე მეტად ღონიერ ნებისკაცებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდება ხოლმე.

იმ უშველებელ წნევის ქვეშ, რომელსაც გარემო ახდენს ხოლმე ჩვენზე, ვიცვლებით და განვიცდით პერმანენტულ ცვალებადობას, და მაინც ისე გვეჩვენება, თითქოს ჩვენ ერთი და იმავე გზით მივდიოდეთ და იგივე ვიყოთ, რაც გუშინ და გუშინწინ ვიყავით.

მეც მახსოვს ის საღამო, როცა რუსიკოს დღეობიდან შინ მივაცილე უკანასკნელად, მაშინაც ოდნავ ნალვინევი ვიყავი, ასე ხელგაყრილი მომყავდი ამავე ბილიკზე და ასევე ვღელავდი.“

სუსქიამ გაიცინა:

„მართლა თუ ღელავდი, ვახტანგ? მე ვერ გამჩნევდი.“

„ღელავდი, მაგრამ ვერ ვხედავდი ამის გამხელას“.

ვახტანგი სდუმდა მცირე ხანს, და მერმე თქვა:

„ერთადერთი, რაც მას შემდეგ შეუცვლელი დარჩენილა, ეს არის კავკასიონი. ზუსტათ ასეთი წყნარი საღამო იყო, ასეთ მრუმე ზღვისფერი იყო კავკასიონი და ის ღრუბლებიც ასეთივე ფერისა, როგორც ესენი, თითქოს ქარს მას შემდეგ ერთხელაც არ აულაგებიაო ის ღრუბლები კავკასიონის მოდრეკილ ზურგიდან.“

სუსქიამ მკლავი გაითავისუფლა ვახტანგის ხელიდან, ოდნავ უკან დაიხია და წინდები გაისწორა.

ვახტანგს გაეცინა:

„სწორედ აქ, საღლაც, შესდგეკი, განზე გაიწიე და წინდები გაისწორე და ისევ დაეყვებით დაღმართს, მაგრამ არც ერთი არაფერს ვამბობდით, მე მოკრძალებულად მიყიდა ხელი შენს მკლავზე, სუსქია“.

ამ საუბარში ვახტანგმა თვალი მოპკრა ლუკა მეთონის თეთრად შელესილ ქოხს. ორი პაწია განათებული ფანჯარა გამოჩნდა შორიდან.

„ჩვენ ეუახლოვდებით შენს სახლს და მე, ვგონებ შენც, გეშინოდა, მაშენს არ დაენახა, როგორ მოვაცილე.“

ეს თქვა კორინთელმა და უფრო ახლოს მიიკრა ქალის სხეული მხრის თავზე, ამ ადგილას ძლიერ დაცვრებული იყო დაღმართი და მაღალ ქუსლებიან ქალს უჭირდა ძირს ჩასვლა.

„შენ ეს იკითხე, ზამთარში ამ აღმართში ასვლა-ჩამოსვლა, რამდენჯერ წაქეციულვარ აქ, ამ ადგილას“.

თქვა და მართლაც დაუცდა ფეხი და მისი საკმაოდ მძიმე სახეული წასაქევეად გადაიზინქა, კორინთელმა მეორე ხელი მიამშველა და, როცა ქალის გულმკერდს მოხვდა მთრთოლვარე მკლავი, კორინთელი აღელდა, მაგრამ არ შეიმჩნია ეს.

უკვე სამშვიდობოს გასულნი იყვნენ, შავი ფინია ბურთივით გამოვარდა ვახტანგისკენ გამოჰქანდა ყეფით.

სუსქიამ ჯიბიდან გასაღები ამოიღო, სწორედ ისევე, როგორც უკანასკნელ საღამოს, დიდხანს უკრიკიტა ჩაქანგულ საკლიტეს.

არავითარი ცვლილება არ დაუხვდა კორინთელს ამ დაბალტყერიან ოთახში, ოღონდ ეს იყო, ტლანქად გარანდული ხის იატაკი წითლად შეეღებათ, ელექტროს სინათლე გამოეყვანათ, ბუხრის თავზე ძველმოდური მალვიძარა საათი წიკწიკებდა, პირსაბნიდან წყალი წვეთავდა, კედლებზე გახუნებული ფოტოსურათები ეკიდა. მხარმარცხნივ წითელსაფარიანი ტახტი იდგა, პლუშის მუთაქებითა და ბალიშებით მორთული.

როგორც მაშინ, ისე ახლაც, ტახტზე ჩამოსხდნენ ორივენი.

ვახტანგს მოაგონდა: მან მხრის თავზე ხელი წააგლო სუსქიას, აკოცა მკერდზე და სწორედ იმ წუთში აივანზე აყვფდა ძაღლი, ათრთოლებული ვაჟი ზეწამოიჭრა, მაგიდას მიუჯდა და გაზეთს დაუწყო განგებ კითხვა.

ორ წუთსაც არ გაუვლია, თონეში მორიგეობიდან შინ მობრუნებული ლუკა მინდელი წამოადგა თავზე შეცფუნებულ ვაჟს. ეს მოხდა ოცი წლის წინათ.

ახლა უფრო გაბედულად წააგლო ხელი კორინთელმა სუსქიას, და ზედიზედ აკოცა.

ჩამიჩუმი არ ისმოდა, შავი ფინია ხმას არ იღებდა, მაგრამ ორივენი ლლავედნენ მაინც.

ქალი წელში გაიმართა და ენერგიული ხმით უთხრა:

— „არა.“

მერმე ბუხრის თავზე მოწიკწიკე საათს მიხედა და თქვა:

„სადაცაა, უნდა მოვიდეს მამა“. ვახტანგი ისევ მინწვდა ქალის ტუჩებს, მაგრამ შავი ძაღლი უკვე აყვფდა აივანზე.

უკვე აღმართს მიჰყვებოდა ვახტანგ კორინთელი. იგი ბედნიერად გრძობდა თავს რომ ასე შემთხვევით, ასე უცაბედად მას შეეფეთა ეგზომ დაუმსახურებელი სიბზო და სიყვარული, მონიჭებული სწორედ იმ ადამიანისაგან, რომლის მიმართ უყურადღებობის მეტი არაფერი გამოუჩენია, ვისაც დაპირებული, უბრალო ღია ბარათიც არ მოსწერა უცხოეთიდან.

მხნე ნაბიჯებით მიდიოდა კორინთელი აღმართ-აღმართ, თითქოს მას ოთხი ათეული წელი აღარ ეკიდა უკვე მხრებზე და არც მაღალი წნევა ჰქონოდა ოდესმე.

შესცქეროდა ოქროს ვარსკვლავებით მოოქვილ ცას, ღრმად ისუნთქავდა წარურყვნილ ჰაერს, შეყვარებული თვალთ გასცქეროდა მარად საყვარელ კავკასიონს და ასე ეოცნებებოდა, თითქოს იმ ღამესა და ამ ღამეს შორის მას ერთხელაც არ ეგრძნოს ბედნიერება, თითქოს ეს ორი ღამე უწყვეტლივ ყოფილიყო ერთიმეორეზე გადაბმული.

მამისეული კიშკარი შეალო, ერთი შეხედა ერეკლეს სასახლეს. გამოცივებული ფანჯრებიდან გარეთ იმზირებოდა ამ სასახლეში გამომწყვდეული ღამე.

გალავნის ბნელი სილუეტები გარს ერტყნენ მას და, როგორც თავის სიკაბუქეში, ისე ახლაც მღვევების გაპარტახებულ ბუნაგად ეჩვენა იგი. მღვევები დახოცილან და უბატრონოდ დარჩენილა სასახლე, რომელშიაც წარმავლობას და ღამეს დაუვანებიათ სამარადქამოდ.

„ო, მწუხარებაე ვავერანებულ კაცთა სამყოფელს სარკმელებიდან გამომზირალო, შენ უფრო ბნელი ხარ, ვიდრე უმთვარო და უვარსკვლავო ღამე.“

ასე ფიქრობდა ვახტანგ კორინთელი. ღვინისა და ვნებისაგან აღგზნებული

მიდიოდა ასწლოვანი ხეების ჩრდილებს ქვეშ. ლეღების წვეროკინები ხატადნენ თვალსაწიერის კიდევ ირაციონალურ აეურებს.

აქაც ყოველივე უცვლელად ეჩვენებოდა კორინთელს. მის ძარღვებში დღლდა ქინძმარეულისაგან მოგერილი მხურვალება, სავსებით გაჭაბუკებულად სთვლიდა თავის თავს და იგივე ღვინო, რომელიც იწვევს ჩვენში ფანტაზირებისა და მითების შეთხზვის უცილებლობას, ამსუბუქებდა გასულ წელთა მანძილზე განვილილ შრომასა და სიმძიმის.

აგრე ეგონა კორინთელს, თითქოს ჯადოსნური რამ წამალი ესვას, კვლავ მოეხვევოს სიჭაბუკე, რომელიც მუდამ მზადაა დაბრკოლებათა მთებს შესქედეს მკერდით.

კორინთელს უკვე მაგრად მოკიდებოდა ღვინო. ესეც აგონებდა მას თავის სიჭაბუკეს, რადგან წლების განმავლობაში მას არ დაუღვევია ერთ საღამოს ამდენი ღვინო.

მამისეული სახლის წინ შედგა იგი, მაგრამ აღარ უნდოდა შინ შესვლა, რადგან იქ ეგულებოდა მიცვალებულთა გამოხუნებული ფოტოსურათები და ცოლი, რომელსაც აღარ აღმოაჩნდა მის კეთილშობილ ზრახვათა ბოლომდის გაგების უნარი.

ეს მამისეული კარმიდამო, ეს ჰორიზონტზე განჩრდილული ხეთა წვეროკინების აეურები ამზობდნენ, თითქოს ამ ორ ღამეს შორის არაფერი მომხდარიყოს ვახტანგ კორინთელის გრძნობათა სამყაროში, მაგრამ ნასმურევის შეშენებაში უკვე შემოჭრილიყო მწვავე შეგნება იმისა, რომ მედიკო და მისი წვეროსანი დეიდა შინ დაუხვდებოდნენ მას და საყვედურებით დაგესლავდნენ, რათა წაეშხამებინათ მისთვის სუსქია მინდელთან გატარებული ორიოდ ბედნიერი წუთი...

და ახლა აგონდებოდა ვახტანგ კორინთელს მოხუცებული მამის შეგონებანი, ჯერ კიდევ მაშინ თქმულა, რუცე კორინთელიანთ თელაველი ნათესაეები ხუმრობით უწოდებდნენ მას „ვაჩნაძიანთ სასიძოს“.

უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა ბედშავი მიწისშომელი:

„შრომაში წელგაწყვეტილი ოჯახის ნაშიერი ხარ, შვილო, რა ხელი გვაქვს ჩვენ თავადებთან, რომელთაც შრომა მხოლოდ გლეხების მოვალეობად მიაჩნიათ. იგავიც თქვა მან ერთხელ ასეთი:

თურმე ბუს მოუნდომებია არწივთან დამოყვრება. თავისი ქალი შეუძღვევია მისთვის. დასთანხმებია არწივიც ბუს, ქორწილიც გაუმართავთო თურმე, მაგრამ ღამით გამართულ ქორწილში არწივის მართვეს ვერ უცენია თავისი საცოლე, ხოლო დღისით გამართულ ღრეობაში ბუს ბახალას არწივის მართვე.

რამდენიმე საათის წინ სუფრაზე ჯდომისას კორინთელის ჩმენას მისწვდა რამდენიმე ფრანგული ფრაზა, ვარას მიერ ნათქვამი. თუმცა მედიკო მდუმარედ უსმენდა მას, მაგრამ კორინთელი მთლად დარწმუნებული არ იყო, ეს ღუმილი თანხმობას რომ არ ნიშნავდა.

ყოველივე ამან მოაგონა კორინთელს განსვენებული მამის მიერ ნათქვამი იგავი. ქორწილი შემდგარი იყო უკვე ორიოდ წლის წინათ, მაგრამ კორინთელისათვის მთლად ცხადი არ იყო, არწივისა და ბუს მართეეები საბოლოოდ თუ შეიცნობდნენ ოდესმე ერთმანეთს.

როცა კიბის თავზე მწოლარე ძალი აყეფდა, კორინთელი გამოერკვა ფიჭრიდან. ოთახებში ჩამიჩუმი არ იყო, მხოლოდ ძველებური საათი აედრიალდა და სამჯერ დარეკა. პიანინოს წინ მდგარ სავარძელში თჯდა ძია ნიკო, მისი უმარჯვოდ მოდრეკილი გოლიათური სხეული ძილს მინებებოდა.

საწოლის ტალანიდან ზროტინი ის-  
მოდა დივანზე პირალმა გაშხვართული-  
ყო ვარა და ზვრინავდა.

ჩაცვენილი თვალის უბეები და შე-  
ბერტყილი ლოყები უკვე ვეღარ ფა-  
რავდნენ ოსტენიური<sup>1</sup> საბის კუნთო-  
ვან მონახაზებს და სიგრძეზე გაჰიმუ-  
ლი მისი სხეული ჩონჩხს მიაგავდა, ანა-  
ტომიურ მუზეუმში სადემონსტრაციოდ  
გამოტანილს.

მისი ზროტინი იმას მოწმობდა, რომ  
თვით ძილსაც ვერ დაეშოშმინებინა  
მისი აფორიაქებული სული, რომელიც  
ყოველ წუთს აფრქვევდა პირიდან სი-  
ვის ჩქერალებს.

საწოლის კარი შეაღო კორინთელმა,  
სალამური ელნათური ჩაუქრობელი  
ღარჩენოდა კმრის მოლოდინში მედეას.  
კარისაკენ პირშექცეული იწვა, სანახე-  
ვროდ შიშველს საბანი გადახდოდა.

კორინთელი იღვა და შესცქეროდა  
ძილნასვამ სხეულს. არც ერთი ნაოჭი  
არა ჩანდა მის სახეზე ან სხეულის სხვა  
ნაწილზე.

რადაც უცნაური სითეთრის ელვარე-  
ბა გადასდიოდა მის შუბლზე, ლოყებ-  
ზე, მკერდზე, მხრის თავებსა და გრძელ  
მკლავებზე, ისეთი სითეთრე, მეღვინ-  
დებოდა როგორც ლაპოტის მარმალი-  
ლოს თან ახლავს ხოლმე.

ახლადმოსულის ნაბიჯების ჩქამზე  
ოდნავ გასაგონი კვნესა ამოუშვა მძი-  
ნარემ, უნებლიეთ ხელი ჰკრა საბანს და  
პირალმა დაწვა.

ვახტანგმა ტანზე გაიხადა, სალამური  
ლაშპა ჩააქრო, მაგრამ ძილი გაუბრბო-  
და თავლებს. ისევ აანთო იგი. იწვა და  
ფიქრობდა.

კონტრასტულმა ასოციაციამ სუსქია  
მინდელის სხეული თვალწინ დაუყენა  
კორინთელს. სუსქიას ტანს გადაჰკრაე-  
და მოწითაო იერი, მთელს მის სხეულს  
ამობორცვილობისა და სიმგვრალისკენ  
ჰქონდა მიდრეკილება.

<sup>1</sup> ძელიანი, ვ. ა. ისეთი სხეული, რომელზე-  
დაც ძელების მონახაზები ამკარად ჩანან.

ხელფეხის კიდურები მასაც გრძელი  
ჰქონდა, ოდნავ მომრგვალებულნი მხრე-  
ბისა და თქმოს თავებზე და იქმნებოდა  
ლივეს აგვირგვინებდა მისი ნაწნაეების  
ლაპლაპი ზუსტად ისეთი ალისფერისა,  
რომელიც ცეცხლშემოგზნებულ ვაზის  
წალამს შეუდგება ხოლმე.

ტალანიდან მოისმა ვარას ზვრინვა,  
იგი ისე ზვრინავდა თითქმის ათასი ეშ-  
მაკი ჩასვლიათ გვაშში.

კორინთელს მოაგონდა ამ უკანასკ-  
ნელის მიერ ფრანგულად ნათქვამი გეს-  
ლიანი სიტყვები და ისიც, თუ როგორ  
დადუმებული იშენდა ყოველივეს ამას  
ოდესდაც მისთვის სათაყვანებელი შე-  
დიკო.

უეცარმა ბრახმა გაჰკრა კორინთე-  
ლის გულს, სამართებელსავეთ წამახუ-  
ლი ჰანგი. ამ წუთში იგრძნო მან თუ რა  
უცხო ყოფილა მისთვის მის გვერდით  
მწოლარე ქალი, რომლის სიღამაზე უფ-  
რო დაზატულს წააგავდა, ვიდრე ხორც-  
შესხმულს.

ადგა, ისევ ტანთჩაიცვა, ლაშპა ჩააქ-  
რო და აივანზე გავიდა. ერთადერთი  
მამალი ყიოდა სადღაც. გარინდებულნი  
იღვნენ ხეთა კონტურების ბნელი მო-  
ნახაზები ირგვლივ მოჯარულ ჩრდი-  
ლების ზღვაში.

კორინთელი ეზოში ჩავიდა და ვაზის  
თალარს ქვეშ დაფენილ ჩეროს შეე-  
სიზნა.

მას ეწადა — ამ ჩრდილების ზღვაში  
ყოფილიყო ყელამდის ჩაფლული. ამ  
წუთში მას არავის სიახლოვე არ ენატ-  
რებოდა. მთვარე ჩამქრალიყო თითქმის.

ნაზამთრალი ცხვრის მატყლისფერი  
ღრუბლების ბლონდს შენთებოდნენ  
მისი შაბუნი სხივები. კორინთელი იჯ-  
და გარინდებულო, მზერას უმართავდა  
გარსმოწოლილ სიბნელეს. ღვინისაგან  
მოგვრილი მზურვალემა ჯერაც არ გა-  
მონელებოდა, საყელო მოიხსნა, ვაზის  
ღერწზე გადაჰკიდა, მკერდი გაიღელა  
და ნიავეს შეუშვირა.



ადგა, მის გასწვრივ მდგარი სკამი მოსწია და ფეხები ზედ დაალაგა. აგრე იჯდა კარგა ხანს, კი არ იჯდა, თითქმის წამოწოლილი იყო და მისჩერებოდა იმ ადგილს ცაზე, სადაც მთვარის დისკოზე გადაფოფრებული ღრუბლის ნინევი ნელ-ნელა იცრიცებოდა.

ამოდ ლამობდა ღამის მნათობი სასპარეზოდ გამოსვლას. აღმოსავლეთიდან მოდიოდა ახალი ღრუბლების გალა. ზოგი მთვანი ნიღვრის ფერისანი იყვნენ, ზოგნიც იმ ფერისა, გაზაფხულის პირზე ჯერაც დაუბანელ ცხვრის ფარას რომ გადაკრავს ხოლმე.

და ეზმანებოდა მთელმარეს ორიოდე წლის წინათ განცდილი მგზავრობის ეპიზოდები.

ზღვა სალამანდრასავით იცვლიდა იერს, ხან ასფალტისფერი იყო საეცებით, ხანაც ცინკისფერი.

გემი მიჰყვებოდა ელასტიურად მოლიკლივე შიფერის ტალღებს, თეთრი მეთალოები დაჰფარფატებდნენ მოტორტმანე წყალთა უდაბნოს.

გემის შუაგულში მდვრინავი მანქანა ქუსქუსებდა ოხრადა და კშინავდა, დაუცხრომელად იკაფავდა აღმოსავლეთისკენ გზას. და ეს იწვევდა არა მარტო რიტმულ როკვას, არამედ დაუცხრომელ კრიალს, ჯახუნს, ტოკვასა და ტლაშუნს.

რაკრავებდა კაიუტებში ჰურტული და ავეჯი... ცაზე მიჰქროდნენ ღრუბლები დგანდგარით, ძლიერდებოდა ქარი, თითქოს ათასი ჰინკა ცეკვავსო ანძების წვეროკინებზე.

გემი ნელ-ნელა უმატებდა ტოკვასა და როკვას, და უკუნეთიდან ამოხეთქილი ქარბორბალა გადაიჯირითებდა ზღვის ზედაპირზე.

შეიძახებდებოდა, აძუნძულდებოდა ეს მდვრინავი, მქშინავი მახინა, ატყდებოდა დაჟინებული კრიალი და კაკუნი. კაიუტებში და კედელზე დაკიდული ინვენტარის რიტმული რაკუნი, რომე-

ლიც მაინა პოსეიდონის უეცარი განრისხებისა.

მომქროდა

არა ერთი მომქროდა არა ერთი მომქროდა არა ერთი მომქროდა და ტყვიის ფურცელივით გაშლილ ზღვაზე ატორტმანდებოდა, აცეკვდებოდა ეს უზარმაზარი სახლი და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა მგზავრს, თითქოს ვიღაცა ამ მანქანებზე, ამ გემზე უფრო ძლიერი, უკანიდან წამოუვლიდა ამ ვეებერთელა მახინას, ზეასწევდა, ისევ ხელს შეუშვებდა, ერთბაშად ჩაჰყვინთავდა გემის ჰინტი მრავალ ათას მარგალიტებად დამსხვრეულ ტალღათა უფსკრულებში.

ისევ შეიძარბებოდა გემი და ერთხანს რიტმული ქუსქუსით, ქშენითა და ბუბუნით გაჰქანდებოდა წინ.

ახლა გვერდიდან წამოუვლიდნენ გემს კალასფერი ქალარა ტალღები და გაჰკრავდნენ მას ტლაშუნა ფრთებს.

მომქროდნენ უფსკრულიდან ამოხეთქილი ბორცვები, ერთიმეორეს ზედახორად ზედ ასხდებოდნენ, ბორცვები კორდებად იქცეოდნენ, კორდები გორმახებად და გორებად, ისევ გამოჰქნდებოდა ვიღაც ქარსა და გემზე უფრო ძლიერი, დაეჯახებოდა ამ კორდებსა, ბორცვებსა და გორმახებზე ხტომით მიმქროლავ მახინას. ისევ ატყდებოდა კრიალი, გრიალი, კაკუნი და რაკუნი და მანქანების რიტმული ქუსქუსი იჩქმალდებოდა უსაშველო დვრინვაში, რომელიც პოსეიდონის განრისხების მაინა ზღვაზე.

და ამ წყალთა უდაბნოში სასოწარკვეთილად ზმუოდა გემის სირენა და ტყვიისფერ ცისკენ აიჭრებოდა ზღაზნია, კლაკნია კვამლი, რომელიც ისე დაიგრაგნებოდა ხოლმე ეთერში, როგორც თავმოკვეთილი ურჩხულის ბოლო.

კორინთელმა თავი წაართვა თელემას. მთვარე უკვე გამოსულიყო მდვრინე ტალღების მორევიდან, კავკასიონისკენ ზანტად მიდიოდნენ აბრეშუმევიით ხან-

ხასა ღრუბლები, ლოპოტის მარმალ-  
ლოსავით თეთრი.

ისევ ჩასთვლიმა ვახტანგ კორინთელ-  
მა. გემი უკვე დარბაისლურად მიგო-  
გავს ნეფრიტისფერ ზღვის ზედაპირზე,  
შორეთის ზღურბლამდის გაგებულია  
ატლასის ფარდაგები ცაზე, ვრცელი და  
ნათელი, როგორც ბედნიერების საუფ-  
ლოში მიმავალი თემშარა.

ორანჯისფერ ღრუბლებს დაუბუ-  
რავთ სუმატრას მთის მწვერვალები,  
პლანტაციების განუზომელი სივრცე-  
ები, მფრინავი თევზების ლითონისფე-  
რი ფრთები ლაპლაჰებდნენ ზანტად  
მოტორტმანე ოკეანის ტალღებზე.

მალახიტისფერი ზვირთები გოგვით  
წინ ეგებებიან გემს, დელფინები ცეკ-  
ვავენ გემის მიერ გავლებულ რძისფერ  
ორნატზე.

მზის ამოსვლისას მრავალი მილიონი  
შავი ფრინველი გარს შემოესევია სუმ-  
ბინგის მწვერვალს... კრატერიდან ამო-  
მავალი კვამლი დაკიდებულა ცაზე, რო-  
გორც უშველებელი შავი ჯაჭვი პლა-  
ნეტებზე ზედასასვლელი.

და ეზმანება ვახტანგ კორინთელს,  
თითქოს სკამდეს მანგოს ეგზოტიკურ  
ნაყოფს, აჰა დურიონები მოართევს მა-  
ლაელი ქალების შოკოლადისფერმა ზე-  
ლებმა დურიონები — ნამღვილი სამო-

თხისხილი. მათი სურნელებით გაქდენ-  
თილია ჯუნგლი. აგერ მოფრინავს ფო-  
ლადისფერი თევზი და მთაპარაკებს  
სადაფის თვალებს.

კორინთელმა იგრძნო მძიმე ხელის  
მხარზე დადება.

თვალი გაახილა მთელემარემ.

„მე შენ გიცდიდი, ვეეო, სავარძელ-  
ში ჩამძინებია ამასობაში. ადექ, წავი-  
დეთ შინ“.

კორინთელმა ძია ნიკო შეიცნო, ანაზ-  
დად ზეწამოდგა და თან გაჰყვა. როცა  
ისინი სასტუმრო დარბაზში შევიდნენ,  
კორინთელმა თვალი გადაავლო აულა-  
გებელ სუფრას, უკვე გამოფხიზლდა  
და სავარძელში ჩაჯდა.

„ვახტანგ, — ეუბნება მას ძია ნი-  
კო, — შენ ხვალ ნუ წახვალ, გეთყავა“.

„რატომ ამბობ, ძია ნიკო, ამას?“

„გრძელი სასაუბრო მაქვს შენთან“.

„ვინ გვიშლის, ახლა რომ ვისაუბ-  
როთ?“

„ახლა გვიანია უკვე. ხვალ შენმა შო-  
ფერმა მედიკო და დეიდამისი ბერძუ-  
ხას წაიყვანოს ბარემ. შენ როგორმე  
ერთ ორ დღეს დარჩი“.

„მაშ, ხვალ დავსხდეთ სალაპარაკოდ  
ძია ნიკო, ჰა?“

„შესაძლოა, განმარტოებაც არ და-  
გვაცალონ“.

(გავრძელება იქნება)

## თბილისთან მიმავს იორი

★

სამგორის მშენებელი ვარ,  
შრომაში დაუღალავი.  
მზედადუღებულ ველზედა  
ქარების საბერველზედა  
დავდგი სიცოცხლის კარავი.  
ძალა გამომყვა მთებური,  
დამცქერის გაკვირვებული  
მაღალი კავკასიონი,  
ზეიადი მთების ნაეური  
ქაფიან ტალღის ტყლაშუნით  
თბილისთან მიმავს იორი.  
რას ათქარუნდი იორო,  
ნეტავ რა გამესაუბრე? —  
როგორ შეადრებთო არტახებს

იორს — მთების ვეფხეს დაუბმელს.  
იქ, მთებში აქუხებულო,  
გარეჯის ველზე მგორავო,  
ისე შეგბოქო სიონთან,  
ჩაკეტო, დაგამდორაო,  
მთების ქვეშ გამოგატარო,  
თბილისის ზღვაში შეგაგდო  
და მერე ყარაიისკენ  
ფრთალაღად გაგაშევარდნო.  
ურწყავში გაგათქარუნო  
გაუცვეთელი ნაღებით,  
ურიცხვ ვარსკვლავად აგანთო  
ცის ვარსკვლავთ მოსქრა თვალები.

### ჩამრებში ერთი წყაროა

ჩქერებში ერთი წყაროა,  
ზეცის თვალივით წმინდა,  
მიწის გულიდან წამოვა,  
მზის ღიმი აწეიშს ციდან.  
სიმღერით ღამის მთეველი  
არ ჩაიმუხლებს არსად,  
დასწედება მიწის მნგრეველი,  
მკერდზე შეისხამს წყალსა.

ექრიალ-წყრიალით წყარუნობს  
დაუღვეგარი მუღამ:  
— ქართული მიწის წყარონო,  
ჩემს ბედს შენატროთ უნდა.  
წყალს ვასმევ დევა-გმირ მშენებელთ  
ასე მკვირცხლი და ჩქარი,  
რომ მათ ხვალ მწყურვალ სამგორსა  
დაალევიონ წყალი.

### ჰეი იორმა იორა

სამგორის ველზე მოვიდა  
ნორჩი ნერგების ლაშქარი,  
შეკრთა და გადაიკარგა  
სამგორის ქარი აექარი.  
დინჯი და უჯავრელები  
ნერგს რგავენ უჯარმელები.  
მზეში გარუჯულ ხელებით  
მოდიან გარეჯელები.  
მტერთან ნაომარ მარჯვენით  
სამგორს წერაქვი დავკარი,

იერის ტალღებში ჩავკალი  
სამგორის ქარი აექარი  
— ჰეი, დაიძრა იორი,  
ჰეი, იორმა იორა!  
კაკლის ხის ნერგზე შემჯდარი  
ვლურტულებს ჩიტი ჩიორა.  
ომგადახდილო დევკაცო!  
მაგ შენი ტაიჭივითა  
სამგორის ველზე სიცოცხლემ  
ფრთალაღად გაიჯირითა.

## ახალი კორიზონში

რომანი

★

წიგნი პირველი

I

სამი წლის ბიჭუნას მარცხენა ხელი დედის კაბის აკეცილი კალთისათვის ჩაეველო, მარჯვენათი კი საპნის ქაფზე მოსეული ლიფსიტების დაჭერას ლამობდა; პაწაწინა ხელს ხან ფრთხილად ჩააპარებდა წყალში, ხანაც სწრაფად ჩაჰყოფდა; თვითონაც უნებლიეთ ნახევრად ჩაიჩოქებდა თუ არა, კალთებდასველებული პერანგი მის გარშემო ბუშტივით იბერებოდა. ბავშვის ხელის ყოველ მოძრაობაზე თევზები სწრაფად ქრებოდნენ. ბიჭუნა დამუშტულ ხელს ფრთხილად ამოაპარებდა წყლიდან; თითებს გაშლიდა, გულდაწყვეტილი და გაკვირვებული ჯერ დედას შეხედავდა, მერე ისევ გაშლილ ხელისგულს დააქერდებოდა და, თევზების მიუკარებლობით გულმოსული, ერთი წუთის შემდეგ უფრო მეტი გულმოდგინებით ეპარებოდა ხელახლა ჯგროდ მოსეულ ლიფსიტებს. დროდადრო ზოგი მათგანი წყლის სიღრმეში ისე მარჯვედ თვალისმომკრელად გაივლებდა, რომ ბავშვს გული შეუფანცქალდებოდა. რაც უფრო მეტად ცდილობდა თუნდაც ერთი მათგანის ხელში მოგდებას, ლიფსიტები მით უფრო მიუკარებელი და ლამაზი ეჩვენებოდა.

მაიას ბავშვისათვის არ ეცალა გულმოდგანედ რეცხავდა ქმრის ტანსაცმელს — ქვანახშირის მტვერით გაშავე-

ბულ ბრეზენტის პიჯაკსა და შარვალს; ხანდახან თუ შეუწყრებოდა ხოლმე ბავშვს, როცა იგი ღონივრად დასწევდა კაბის კალთას — გადი, გია, ნაპირზეო — მაგრამ გიას წყალში დგომაც ეხალისებოდა, ლიფსიტების დაჭერის სურვილიც არ ასვენებდა. დედის შეწყრომას ყურადღების არ აქცევდა. ბოლოს, როცა ლიფსიტების დაჭერის იმედი გადაუწყდა, გულმოსული ფეხით წყალს აადგაფუნებდა და თან რაღაც გაუგებარს გაჰყვიროდა. მიეშხეფებოდა თუ არა წყალი სახეზე და გულმკერდზე, მაია მოუბრუნდებოდა ბიჭს და სველ ხელს მსუბუქად შემოჰკრავდა ლოყაზე; ბავშვი გაბუტულივით წაიშვერდა წინ ტუჩებს, ლოყასაც მალულად შეიმშრალებდა დამუშტული ხელით. ალბათ დიდხანს გაგრძელდებოდა ასე, მაიას რომ მწყრალად არ შეეცია ბავშვისათვის — ბიჭო, გაჩერდი, წყალს ნუ მიმღვრევო.

წყალს თითქოს ერთ წამში მართლაც შესამჩნევად ეცვალა ფერი, გამუქებულიყო. ახლა შორეულმა უჩვეულო მზულიმაც, წყლის დინების ჩვეულებრივ ხმას რომ არ ჩამოჰკავდა, უნებლიეთ მიიქცია მაიას ყურადღება. ერთი წუთის წინ ანკარა წყალი, რომლის ფსკერზე რიყის ქვებიც და აქა-იქ მუქმწვანედ აღივლივებული ხავსიც მკაფიოდ მოჩანდა, ახლა ისე ამღვრულიყო, მის სიღრმეში არაფრის გარ-

ჩვეა არ შეიძლებოდა. მაიამ სველი შარვალი მუხლებს შუა სწრაფად მოიგდო, ტოტების ბოლოდან მის გრეხას შეუღდა, გასწორა პიჯაკიც, ორივე ნაქერი მხარზე გადაიკიდა და სწრაფად წამოღდა. ახლა მდინარეს რომ აღმა გახედა სახეზე შიში აღებუქდა; ბავშვი მარჯვედ აიტაცა და ნაპირს მიაშურა. ნაპირზე, კუნძვის ფესვებზე, გადაყენილი სარეცხი მოაგროვა, ბრეზენტის გაწურულ-დაგრეხილ პიჯაკ-შარვალითან ერთად წულ ჩელტზე დაჰყარა. ერთი პირობა იფიქრა, ჩელტისა და სარეცხისათვის თავი დაენებებინა, ბავშვისათვის ეშველა, მაგრამ, თითქოს ამ განზრახვამ გამოაფხიზლავ, გუნებაში უმაღლად ცინივით შეესიტყვა თავისთავს — „რამ შეგაშინა, ქალო, ჯერ ხომ ისეთი არაფერი იყო“, მაგრამ ერთხელაც აღმა რომ გახედა მდინარეს და ერთი წუთის წინ რიყით მოფენილ ვრცელ ნაპირს, წელანდელზე უფრო გაოცდა. ალაგ-ალაგ, ჩაღრმავებულ ადგილებში მღვრიე ნაკადი უკვე შემოჭრილიყო და სწრაფად მატულობდა, მთელ ნაპირს ეღებოდა, ორმოები და ნაპრალები უკვე ამოევსო. რაც კი ნაპირზე ხმელი ნაფოტები და თუნუქის ცარიელი, ჟანგიანი კოლოფები იყო, კუქუციან ქაფში სულ წყლის ზედაპირზე ტიტიკებდა და დონების მიხედვით ზოგან სწრაფად მიექანებოდა, ზოგან ერთ ადგილზე ბრუნავდა. ის ადგილი ნაპირზე, სადაც მაია გამოვიდა, ოდნავ ამალღებულ იყო, პატარა ბორცვივით ჩანდა და წყალი ჯერ ვერ წვდებოდა. ქალი გულს იშვილებდა: ვიდრე იმ ორმოციოდე ნაბიჯს გაივლიდა და გორაკის ფერდობს მიაღწევდა, წყალი ისე ვერ მოიმატებდა, რომ გზა მოეჭრა; მაგრამ გადადგა თუ არა მაიამ რამდენიმე ნაბიჯი, დაინახა, რომ მოტყუედა; წყალი სწრაფად მატულობდა.

მაიამ ერთი-ორჯერ წაიბორძიკა — წყლით დაფარულ რიყეზე ძალიან სკივრდა ფეხის ისე დაბიჯება, რომ წონასწორობა შეგნარჩუნებინათ. გორაკის

ფერდობს რომ უახლოვდებოდა, ერთგან ორმოში ფეხი ჩაუფიქრდა და წყალი წელამდე შემოსწვდა. *შეგნარჩუნებ* უფრო მაგრად მოხვია ბავშვს და დაიკილა, მაგრამ მის ძახილს არაფერი გამოხმაურებია. ირგვლოვ მდინარის მოღონიერებული ტალღების ტლაშუნის და იღუმალი შხუილის მეტი არა ისმოდა რა.

ბავშვი მაგრად ჩაეკროდა დედას, მკლავები კისერზე შემოეკლო, ყელით მხარზე დაბეჯნოდა, ხოლო ფეხები ისე მარჯვედ შემოესალტა წელზე, რომ ქალს თავისუფლად მოძრაობას და სუნთქვას უშლიდა. მაიას სწორედ იმ მხარეს ჩაუფარდა ფეხი უხილავ ორმოში, საითაც ჩელტით სარეცხი ეჭირა. ჩელტი წყლის ზედაპირს დაენარცხა და ქალი წაქცივისაგან იხსნა. წელან გადაგდებდას რომ აპირებდა, მაია ახლა უფრო მაგრად უჭერდა ხელს თეძოზე მიბჯენილ ჩელტს, მაგრამ ერთბაშად მოვარდნილმა ტალღამ იგი უეცრად ხელიდან გამოსტაცა. ცალი ნაპირით დაყირავებული ჩელტი ერთხანს კიდევ ჩანდა წყლის ზედაპირზე, შემდეგ სწრაფად ჩაიძირა. ქალს ახლა ბავშვის გადარჩენის მეტი აღარაფერი ახსოვდა.

მან კიდევ გადადგა გაჭირვებით რამდენიმე ნაბიჯი და სამშვიდობოს გავიდა. მახლობელი ღობის ძირას დასვა ბავშვი, და თვითონაც უღონოდ დაეცა მიწაზე. თმაგაწეწილს და გაფითრებულს, კიდევ არა სჯეროდა, რომ სტიქიას თავი დააღწია.

მაიამ მდინარეს გახედა თუ არა, იმ შიშისა და განსაცდელის შემდეგ, რაც გამოიარა, ახლა უჩვეულო სიხარულმა გაუბრწყინა თვალები; უცებ ბავშვს სტაცა ხელი, გადაკოცნა და, გულში ჩაიკრა. ბავშვი ხმას არ იღებდა, გაბუტულივით შუბლს ქვემოდან ერთთავად მდინარისაკენ იცქირებოდა. მას ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა მოხდა. ასე უეცრად მოზღვაებულ წყალს პირველად ხედავდა.

## II.

მაიას თავისი უფროსი ვაჟი — გურამი ჯერ კიდევ მაშინ მოაგონდა. წყალმა რომ ადიდება იწყო. წელან, მაია რომ მდინარეში სარეცხს რეცხავდა, გურამი ტოლებთან ერთად მდინარის პირას, გივის ეზოში თამაშობდა. ახლა, რახან გურამი ახლომახლო არსად ჩანდა, მაიამ იფიქრა, შინ თუ დაბრუნდო.

მაიამ შუბლზე ხელი მოიჩრდილა და მდინარეს ერთხელ კიდევ გახედა. ერთოლის მომგვრელი და თავბრუდამხვევი სანახავი იყო ახლა ამოდენა სიერცხვზე გაშლილი მდინარე.

წყლის მოდიდებად, სადაც რიყის ქვით მოფენილი მდინარის ნაპირი იწყებოდა, ძველი არხის, მიწით ნახევრად ამოვსებული, კალაპოტი ჩანდა. არხის გაღმა ნაპირს წყვეტილად გასდევდა პატარა გორაკისებური მიწაყრილი. მიწაყრილიდან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით რამდენიმე ხე იდგა. არხის გაყვანის დროს ჩამოჭრილი ზოგი ეზოს ბოლო გადაღმა მოექცა. ეზოს პატრონები ხეხილს მაინც თავისად თვლიდნენ და კიდევ იცავდნენ მეზობლების გათამაშებულ ბავშვთაგან. განსაკუთრებით გულმოდგინედ დარაჯობდა პატრონი არხის გადაღმა დარჩენილ ლეღვის ხეს. რადგან ლეღვის ხის პატრონი ახირებულ იყო იყო, მშობლები ბავშვებს ყოველთვის აფრთხილებდნენ, რომ მაქსიმელს ლეღვს არ გაჰკარებოდნენ; მაგრამ, რაწამს თავის ეზოს გასცდებოდნენ, ბავშვებს მშობლების დარიგება ავიწყლებოდათ, ლეღვის ხეზე ასვლა გმირობად მიაჩნდათ და, თუ გამბედაობაში ერთმანეთის გამოცდა უნდოდათ, პირველად იმას წამოიძახებდნენ: თუ ბიჭი ხარ, მაქსიმელს ლეღვზე ადიო.

გურამი ახლა სწორედ იმ ლეღვის ხეზე იჯდა და ტოტებს და ფოთლებს ისე ეფარებოდა, რომ ნაპირიდან შეუძლებელი იყო მისი დანახვა.

მდინარემ უკვე გადმოლახა არხის სათავე და ჯერ ნელა იკვლევდა გზას მის კალაპოტში, შემდეგ, რთულად დაღვრულ მატა, შხულით წამოვიდა და სწრაფად იწყო მატება. მაია გაფაციცებით აღევნებდა თვალს არხში შემოჭრილ წყალს, გორაკის ფერდობისაკენ რომ შეუშინებლად მოიწევდა. არხში წყლის გამოჩენის უშალ დედა-შვილმა ადგილი მოინაცვლა, საურმე გზაზე გავიდა; მალე წყალი მდინარის პირას მობინადრეთა ეზოების ღობესაც მისწვდა, სარები უკან მოიტოვა და ბოსტნის კვლებს მოედო.

უცებ მაიას ზურგს უკან, გივის ეზოში, ბავშვების ეჩილ-ხივილი ატყდა; ისინი მდინარისაკენ იცქირებოდნენ, თან ხელებს იქნევდნენ და, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, გასჟყვიოდნენ — ნუ გეშინია, ნუ გეშინიაო.

მაიამ უშალ იმ მხარეს გაიხედა, საიდანაც ბავშვების ხმა ისმოდა. ჯერ ეგონა, წყალში ვინმე დანახეს და ამხნევებნო, მაგრამ მდინარის ვერც გაღმა, ვერც გამოღმა ნაპირის გასწვრივ რომ ვერაფერს შენიშნა, გაუკვირდა. ვერ გაეგო, რას ნიშნავდა „ნუ გეშინიას“ ძახილი. მოულოდნელად სამი ბიჭი ერთმანეთის მიყოლებით გამოძვრა ღობეში; მაიას დანახვაზე მათ თავიანთი ჯოხის ცხენებით ისე მოკურცხლეს, თითქოს ერთმანეთს სირბილში ეჯიბრებინათ. სწრაფად აირბინეს გორაკისაკენ, საურმე გზაზე. მაიას დაძახებაზე — გურამი სადღააო, პასუხი არ გაუციათ. ვერ გაიგონეს, რას ეკითხებოდა მაია. პირველ მოსახვევთან გზა მოკლედ მოჭრეს. ერთი მოსახლის ეზოდან მეორე მოსახლის ხელისგულისოდენა სიშინდის ყანაში გაიშლიგინეს, გახვითქული მხედრები რამდენიმე წუთში უკვე გორაკის თავზე გაჩნდნენ, მათი ხმა ჯერ კიდევ ესმოდა ქვემოთ მაიას.

მირბოდნენ ბიჭები და თან, ვინც შემოხვდებოდათ, ყველას ამცნობდნენ — მოდიდებულმა წყალმა მაქსი-

მელას ლელვის ხეზე ზიბზიბაძის გურამი მოიმწყვდია და მიეშველეთო.

მაიამ ამასობაში ერთხელ კიდევ გახედა მდინარეს, მერე ვიას ხელი წამოაგლო და საურმე გზით კი არ გაეშურა სახლისაკენ, მეზობლის ეზოში გადავიდა, მდინარეს ნაპირ-ნაპირ აპყვია. თან ისე მწყყრალად, შემფოთებით და ხმამალა გასძახებდა ხოლმე „გურამო“, თითქოს ბავშვი იქვე სადმე მიმალული ეგულებოდა.

### III

პირველ ცვლას მუშაობა ესეცაა დამთავრებინა. ცენტრალური შტოლნიდან თითო-თითოდ, თუ ჯგუფ-ჯგუფად, განუწყვეტლივ მოედინებოდნენ მეშახტეები. ხელის გადასმისაგან ფართო ლაქებით დასერილ ოფლიან სახეზე მარტო თვალის გარსი უჩანდათ თეთრად; გაღიმების დროს კი კბილები ისე უელავდათ, გეგონებოდათ, ანათებნო. საკვირველი ის იყო, რომ ხელები თითქმის ყველას თეთრი ჰქონდა. ეს შეუსაბამობა არც ისე ძნელი მისახვედრი გახლდათ, ზოგ მეშახტეს ცალ ხელზე ჯერ კიდევ ეკეთა ბრეზენტის ხელთათმანი. მეშახტის ქული ყველას მჭიდროდ ეხურა. ბრეზენტის შარვალი ზოგს ლაფიმშხარ რეზინის ჩექმაში ჰქონდა ჩატანებული, ზოგს ზემოდან გადმოშვებული. მართალია, დაღლილი იყვნენ, მაგრამ მაინც ჩქარი ნაბიჯით ეშურებოდნენ, რათა დროზე განთავისუფლებულიყვნენ ლამპისა, მეშახტის ქულისა, ბრეზენტის გამურული სპეცსამოსისა, რეზინის ჩექმებისა და შავი მტვერისაგან.

კაკო ზიბზიბაძის კომკავშირული ბრიგადის წევრებთაგან, რომლებიც ახლა ერთად მიეშურებოდნენ სალამპესაკენ, მარტო ერთი მიაბიჯებდა მდუმარედ. შტოლნიდან სალამპემდე ამხანაგების ოხუნჯობაზე მას ერთხელაც არ გაუცინია. შესამჩნევი სიღინჯე და ლაპარაკის დროს აუღელვებელი კილო, ყოვე-

ლი სიტყვის, თითქმის ჩურჩულით, მაგრამ ბეჯითად და მკაფიოდ გაერთქმა, საგრძნობლად გამოარჩევდა მას ამხანაგებისაგან, იმათგან, რომლებიც ხმამალა ლაპარაკსა და ხმამალა სიცილს იყვნენ ჩვეულნი. ისიც შესამჩნევი იყო, რომ ამხანაგები მას ყურადღებით ებყრობოდნენ, მის სიტყვას ბოლომდე და მოთმინებით ისმენდნენ, შეკითხვაზედაც მყის უპასუხებდნენ. თვითონ ეს ახალგაზრდა — შატბია არაბიძე, ერთი შეხედვით სულაც არ იმსახურებდა ასეთ ყურადღებას. ისიც სხვებსავეთ გამურული და იერშეცვლილი გამოიყურებოდა.

მეშახტეთა სახელოვან ოჯახში შატბიას ყველა კარგად იცნობდა. მართალია, ის ახლა შახტში მუშაობდა, საქმეც ემარჯვებოდა, წარმატებაც ჰქონდა, მაგრამ თავს მეშახტედ მაინც არა თვლიდა. ზოგი ამხანაგი ვისაც შახტში მუშაობის დროს თავი უფრო მეტად ჰქონდა მობეზრებული შატბიას უცნაური ხილვებისა და გატაცებისაგან, ადვილად უჭერდა მხარს მის გულახდილ აღიარებას.

თავისუფალ დროს, როდესაც ზიბზიბაძის ბრიგადის წევრები კლუბში, ან სასადილოში შეიყრებოდნენ, უმალ შატბიას ახალ ახალ „აღმოჩენებზე“ ჩამოაგდებდნენ სიტყვას. ერთმანეთს არ აცლიდნენ ამბის მოყოლას.

— ის იყო შუტრები დაეტენეთ და, — წამოიწყებდა ერთი, — ამფეთქებელიც გამოვიძახეთ, რომ მოულოდნელად შატბიას ხმა მოგვესმა — ნეტავი შეიძლებოდა ეს ამ ფენის ასე დატოვება — რა საუცხოო ბარელიფიოა!

შატბია, კედელივით ამართული ქვანახშირის ფენის შორიახლოს იდგა სანგრევეში და გვერდიდან აკუმულატორით ანათებდა მას. შატბიამ სხვებსაც უნებლიეთ მიაქცევინა ყურადღება — ქვანახშირის აბრჭყვიანულ კედელზე მოფენილ ჩრდილებს რომ უცნაურ გამოსახულებათა სახე მიელო, ნათურის

მოდრაობაზე იცვლებოდნენ და მოძრაობდნენ ჩრდილებიც. რამდენადაც ეს სანახაობა შატბიასათვის უცნაური და წარმტაცი იყო, დანარჩენებისათვის ასაფეთქებლად მომზადებული ნახშირის ახალი ფენის მეტი არა იყო რა. ნახშირის კედელზე ვერც უცნაურს ხედავდნენ რასმე და, მით უმეტეს, ვერც წარმტაცს.

ახლაც საგარდერობოსაყენ ბრიგადის წევრებთან ერთად მიმავალი ზიბზიბაძე გატაცებით ჰყვებოდა, როგორ მიაშვავესა შატბიამ გადმონგრეული ნახშირის ერთი დიდი ფენა ატოტებულ დათვს.

ვიდრე სალამქემდე მიადწევდნენ, მეშახტეებს გზაში ჯოხის ცხენებზე შემჯდარი ბავშვები შემოეფეთნენ. ისინი ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, მაგრამ მაინც შეიძლებოდა კაცს შეეტყუო, რომ მდინარე მოდიდებულყო. ბავშვების გარშემო მოგროვილმა მეშახტეებმა სასწრაფოდ წრე შეკრეს. წრის შიგნით მყოფნი ამაოდ ლაპობდნენ ამბის უფრო დაწერილებით შეტყობას.

ამხანაგების წრედშეკრული ჯგუფიდან განზე მდგარმა კაცო ზიბზიბაძემ ხმამაღლა დაიძახა:

— არაფერია, როგორც მოდიდებულა, ისევე დაიკლებს! მის შენიშვნაზე ზოგს გაეცინა, ზოგმა კი უფრო შეიკრა შუბლი. კაკომ ზურგი შეაქცია ბავშვების გარშემო თავმოყრილ მეშახტეებს და, ის იყო სალამქესაყენ გზა უნდა განეგრძო, რომ უცებ გივის ძახილი მოესმა.

— კაკო ბიძია, კაკო ბიძია!... — კაკო მობრუნდა,

— რა იყო ბიჭო?

— გურამი წყალმა მოიმწყვდია, ხეზე დარჩა, მაქსიმელას ლელვის ხეზე!..

კაკომ ერთი კი გადახედა მეშახტეთა ჯგუფს და უცებ დაიძახა, არიქა, ბიჭებოო, და შატბიას მივარდა, აკუმულატორული ნათურა ხელიდან გამოსტაცა,

თავის ნათურასთან ერთად სიბრტლადეს მიიჩეჩა სალამქეში ჩასაბარებლად.

შატბიამ სწრაფად წამოიწია ზიბზინის ჩექმები და ფეხსახვევი; გვიხადა ბრუნენტის პიჯაკიც. ბავშვებს ცილობა შეექმნათ შატბიას ტანსაცმელისათვის. მისი ქუდის, პიჯაკის და ჩექმის ტარება ბავშვებისათვის დიდი სასახლო საქმე იყო.

მეშახტეები, რომლებიც ახლა ბავშვის გადასარჩენად გარბოდნენ, თავად ძლივს გადაურჩნენ ხიფათს, გზატკეცილზე, მოსახვევთან, მოულოდნელად მსუბუქი ავტომანქანა შემოეფეთათ. გამაფრთხილებელ ნიშანზე მათ ძლივს მოასწრეს მანქანისათვის გვერდის აქცევა; ოდელიამ და შატბიამ ყველაზე აღრე და ყველაზე მარჯვედ ისკუპეს თბრილისაყენ. ისინი ახლა მარტო „ჭივი“-ს ერთი შეძახილით არ დაკმაყოფილდებოდნენ, ნაცნობი შოფრის გვერდით მჯდომი უცხო ქალიშვილისა და უკანა საეარძლის საზურგეზე ნებივრად გადაწოლილი უცხო ვაჟის ხათრი რომ არ შეენახათ. ამ მხარეში, მართალია, ნაირნაირი სტუმარი ხშირია, მაგრამ ამ ქალ-ვაჟმა მაინც გამოჩენის უმაღლესტაცა თვალი ახალგაზრდა მეშახტეებს.

ოდელია არცთუ ისე მარჯვედ გადამხტარყო თბრილში; ცალი ფეხი სტკენოდა და ახლა თავს ძალას ატანდა, რომ ამხანაგებს დასწოდა. როცა დაეწია, შატბიას მკლავში ხელი სტაცა და ხმადაბლა, ისე რომ კაკოს არ გაეგონა, ხუმრობით ჰკითხა:

— შატბია, რომ ეთქვათ, ის გოგონა შენთან მოდისო, დაბრუნდებოდი? — შატბიამ ხმა არ გასცა.

— უყურეთ?! ისე შეიფერა ჩემი ნათქვამი, ვითომ ის გოგონა მართლა ამის სტუმარი იყოს და დაბრუნებისას შინ დახედება! — რა განსაცდელის წინაშეც უნდა მდგარიყო, ლევან ცქიტიშვილს, მეტსახელად ოდელია რანუნის, თავისი ჩვეულებრივი მზიარული განწყობილება მაინც არა სტოვებდა.



გზადაგზა ვინც კი ხედებოდათ, ყველა წყალდიდობაზე და კაკოს ბიჭზე ლაპარაკობდა.

რამდენიმე ახალგაზრდა მეშახტე, რომელთაც უკვე მოესწროთ ნათურის ჩაბარება, შუაგზაზე დაეწვივნენ შატბიას და მის ამხანაგებს. კაკო ზიბზიბაძე აქამდე, სულმოუთქმელად რომ გარბოდა, აღმართზე წამით შედგა, ამხანაგებს თვალი გადაავლო და შენიშნა:

— დღეს სწორედ გურამის დაბადების დღე უნდა გადამეხადა, თუ მშვიდობა იქნა... სალამოს ყველა მეწვიეთ!

— ბიჭო, აქამდე სად იყავი?! — იყვირა ოდელიამ და სირბილით განაგრო გზა. აქამდე რომ უკან რჩებოდა, ახლა ყველას წინ გაუსწრო.

— მშვიდობა იქნება, მშვიდობა! — დაიძახა ხორხომელიძემ, — სალამოს ასე შემოვქაბოთ, შენი ჰერის საღებავი სულ თავზე გვაკვიოდეს!

#### IV

მდინარის პირას ჯერ მარტო ახლომახლო მცხოვრებთ მოეყარათ თავი; ესენი იყვნენ უმეტესად მოხუცი დიასახლისები, რომლებიც ჩვეულებრივ შინ საქმიანობდნენ და ეზოს გარეთ იშვიათად უხდებოდათ გასვლა.

მოხუციები ახლა იმაზე დარბოდნენ და ვიშვიშობდნენ, წყალი ბოსტნებს წალეკავსო. ერთმა თქვა — რას დაეძებ ბოსტნებს, თუ წყალი სახლში არ შემოგვივარდაო. მათ ახლა უკვე შესფოთებით იწყებს ცქერა აქეთ-იქით — წყალი, ვინ იცის, მართლა როგორ მოიმატებსო.

გურამის დეიდა, ჩვიდმეტი წლის მოხდენილი გოგონა თამარელა, სირბილით გულამოვარდნილი მიიჭრა ნაპირთან. ბავშვები მას გზაში შეხვედროდნენ და, თუ წელან მაიას ვერ გაუშლიეს საფრთხეში ჩავარდნილი გურამის ამბავი, თამარელასათვის ყველაფერი დაწვრილებით ემცნოთ.

ქალები სწორედ რომ გააოცა თამარელას შემოფოთებამ, მაგრამ, რაწამს

ამის მიზეზი შეიტყვეს, ისე შეიტყობდეს, ისეთი ვიშვიში ასტეხეს, თითქო ვინმეს გლოვობენო. თამარელამ ზეგრძნით მინა ისინი, თქვენმა წიგნს-ცხელმა ბავშვი არ შეაშინოსო, მაგრამ ამაოდ.

თამარელა თვალმოუცილებლად სულ იმ ხისაკენ იცქირებოდა, სადაც დისწული ეგულებოდა, ხეს ისე ასედებოდნენ აფოფრილი ტალღები, თითქოს მისი ჯავრი სჭირთო.

ამ სანახაობამ, ცალკე ნაპირის ახლოს ტალღების გამაღებით სრბოლამ, ტლაშუნმა და ხმაურმა თამარელა შეაშინა, აქ მე ვერას გაზხედებო, გაიფიქრა. ცხადად წარმოიდგინა რა, საფრთხეში მყოფი დისწულის მდგომარეობა, ველარ გაუძლო, გულში თავისდაუნებურად ჩაიკა ორივე დამუშტული ხელი.

ამასობაში, გაიგონა თუ არა თამარელამ გურამის ძახილი — დეიდა თამარელათ — თითქოს ბავშვის ხმამ ერთბაშად გამოაფხიზლა და მიახვედრა, როგორ უნდა მოქცეულიყო; მყის დაფაცურდა, ღობეს ეცა, ერთი სარი თვალის დახამხამებამში ამოაძრო და მდინარეს მიაშურა. ქალებმა ბევრი უშალეს თამარელას, ბევრი არწმუნეს, ვერაფერს გახდებო, შეშინებულებმა ბოლოს ხვეწნაც დაუწყეს, მაგრამ ახლა ქალების შიში მშობელივით თავგანწირული გოგონასათვის გაუგებარი იყო.

#### V

ტრესტის მმართველის კაბინეტიდან ისეთი ყვირილი ისმოდა, უცხოის ეგონებოდა, ჩხუბიაო. ამგვარი „ჩხუბი“ აქ დღეში რამდენჯერმე იმართებოდა, როცა ტრესტის მმართველი რაიონს, ან თბილისში ქვანახშირის კომბინატს ელაპარაკებოდა ტელეფონით.

მოსაცდელ ოთახში, მმართველის კაბინეტის კართან რამდენიმე კაცი იდგა. ნიკო არაბიძე შემოსვლის უმაღლეს კარს.

კაბინეტში შესვლისთანავე ნიკო მმართველმა თავისთან მოიხმო, მუნჯურად ანიშნა — დაჯექო.

ვიდრე მმართველი ტელეფონით ლაპარაკობდა, ნიკო ხან ერთ ბროშურას გადაფურცლავდა, ხენ მეორეს. ბროშურები დასტად ეწყო მაგიდაზე.

მოათავა თუ არა მმართველმა ტელეფონით ლაპარაკი, მილაკი ჯერ კიდევ არ დაედო ორკაბზე, ისე ეცა ნიკოს:

— კაცო, ასე ყველაფერზე ახირება გაგიგონია?!

— მე შეუბნები, ამხანაგო მალხაზ?! — ნიკო გაცეცებით შეაცქერდა მმართველს.

— გამაგებინე ერთი, თუ კაცი ხარ, — ახლა უფრო ხმადაბლა და თავზიანი კილოთი მიმართა მალხაზმა ნიკოს, — შენს უბანს რაღა გაძლიერება სჭირდება?! არა სჯობს სამთო სკოლა-დამთავრებული ბიჭები ჩამორჩენილებს მივაშველოთ?

ნიკო ერთ წუთს სდუმდა, ხელში შერჩენილ ბროშურას ფურცლავდა, მერე მმართველს თვალი გამომწყვავად გაუსწორა.

— ამხანაგო მალხაზ, აქაო-და ნიკო არაბიძის უბანი გეგმას გადაჭარბებით ასრულებსო, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ჩვენთვის საკმარისი იყოს?!

— ღმერთმა დაგვიფაროს! — რბილი სავარძლის ზურგზე მიწოლილმა მალხაზმა მაგიდის ნაპირას მიბჯენილი ხელის თითები მოუსვენრად აათამაშა რომელიღაც პანგის ტაქტზე. — მაგრამ... ჯერ საერთო წარმატებას უნდა მივალწიოთ, თორემ რასა ჰგავს. შენ გეგმას ასსამოცი პროცენტით ასრულებ, ქარქაშაძის უბანი კი...

— ჩემი ბრალია? ჩამორჩენილების „ხათრისათვის“ წინწასულებს ხომ ვერ შევაჩერებთ!... სადაცაა, მეორე კვარტალს დაეასრულებთ... რაც უნდა გააძლიეროთ, სხვები ჩემს უბანს მაინც ვეღარ დაეწევიან? რათ გინდათ დამაკარგვინოთ გარდამავალი წითელი დროშა? ჰო, რის მეორე კვარტალი! სწორედ ახლა, ივნისში, არა წყდება ნახევარი წლის გეგმის შესრულების ბედიც? ახ-

ლა გემართებს სიმარჯვე! ამხანაგო მალხაზ, უნდა დამეხმაროთ, ახალმოსულები ისე განაწილდეს, რომ...

— სულ ათი ყმაწვილია. რთხი რომ შენს უბანში გაეამწესოთ, ამით დიდ სასწაულს ვერ მოახდენ, ქარქაშაძის უბნისთვის კი ერთი კაცის შემატებაც საგრძნობი იქნება.

ნიკოს მოთმინება აღარ ეყო.

— ამხანაგო მალხაზ, თქვენ ფიქრობთ, რომ ქარქაშაძის უბნის ჩამორჩენა მარტო მუშახელის ნაკლებობით აიხსნება?

— ეს მთავარია!

— მთავარი მე სხვა მგონია! ხალხი იმას ჩემზე მეტი ჰყავს, მაგრამ...

ნიკომ სიტყვა აღარ დაასრულა. კაბინეტში შახტის უფროსი შემოვიდა.

— სწორედ რომ საჭირო იყო, ლუკა, შენი მოსვლა!

ლუკამ ცალყბად გაიღიმა, მალხაზს ხელი ჩამოართვა და ნიკოს პირდაპირ, მეორე მხრიდან, მიუჯდა მაგიდას.

— რა დავა ატეხილა?... სამთო სკოლები არა მე უნდა წავეყვანო, არა მეო!

ლუკამ ჰაპიროსის გაბოლების შემდეგ უკმაყოფილოდ გადახედა ნიკოს, შემდეგ დინჯად მიუჯო მალხაზს:

— ამხანაგ ნიკოს ზოგჯერ ავიწყდება, რომ შახტში ექვსი საექსპლოატაციო უბანია და, როგორც კომბინატი, ისე ტრესტი დაინტერესებულია, ყველა უბანი წარმატებით ასრულებდეს გეგმას!

— რასაკვირველია! — დამოწმა მალხაზი.

— მე მგონია, — ლუკა ახლა ნიკოს მიუბრუნდა, — ერთი რომელიმე უბანი ისე ვერ დაწინაურდება, რომ დანარჩენი ხუთის ჩამორჩენა დაფაროს!... რომელი უბნის უფროსი შეგპირდება, გეგმას ექვსასი პროცენტით შევასრულებო!?

— ჯერჯერობით ვერცერთი, — მოკლედ მოუპრა სიტყვა მალხაზმა შახტის უფროსს. — მაშასადამე... შენც

იმ აზრს ემხრობი, რომ ათივე ემაწვი-  
ლი ქარქაშაძეს მივაშველოთ!

— ვემხრობი, მაგრამ... მერე რა?

— რაღა რა? უთხარი და შეასრუ-  
ლებენ!

— საქმეც ეს არის, აგრე იოლად  
რომ არ შესრულდება! თუ ნიკო გვემუ-  
დარება, ახალგაზრდების ერთი ფეხუფი  
მე მომამშველეთო, ქარქაშაძე უარზეა,  
დანარჩენები თავის უბანში წაიყვანოს!  
ისედაც ჩამორჩენილი ვარ და ეს გამო-  
უცდელი ხალხი ხომ სულ მიწაზე და-  
მანარცხებსოსო!... სად შემიძლია მაგათი  
პატრონობა და ლოლიაობა, ახლა მე  
გამოცდილი მუშები მჭირდებაო.

ნიკოს გაეცინა.

მალხაზი კი ქარქაშაძის „მოსაზრე-  
ბამ“ გააბრაზა.

— ჰქუაზე ხომ არ შეშლილა?... მა-  
გასაც რა კარგ დროს აშლია არჩევანის  
საღერაღელი! პარტორგანიზაციის მდი-  
ვანი რას ამბობს?

— ელიზბარი შევბუღებაშია. ის  
რომ აქ იყოს... — სინანულით შენიშ-  
ნა ნიკომ.

— თანაშემწე ხომ აქ არის...

— თანაშემწე, რაღა თქმა უნდა,  
ელიზბარიც, მგონია, ხვალ მიემგზავრე-  
ბა...

ზარის წყარუნზე ყველამ ტელეფო-  
ნისაკენ გაიხედა. მმართველმა მილაკი  
აიღო და თავისი ბოხი, მტლური ხმით  
ჩასძახა — გისმენთო.

მალხაზი ჯერ უსიტყვოდ უსმენდა,  
მერე უცებ გაკვირვებით შენიშნა —  
მართლაო... პირველად მესმის... არა-  
ვის დაურეკია... რას ამბობ... თუ გა-  
ჭირდეს, სამთო მაშველ რაზმსაც დაუ-  
ძახეთ, ადამიანი არ დაღუპოთო...

დასდო თუ არა ტელეფონის მილაკი,  
ყველამ ერთხმად ჰკითხა მალხაზს:

— რა მოხდა, დამარცხდა ვინმე?...

— ჩამოინგრა?...

— არა, კაცო! წყალი მოვარდნილა...  
რიყეზე, არხს გადაღმა რომ ხეებია,  
ერთზე ბავშვი მოუშვყვდევია...

— ის მაქსიმელას ხეები სულ პირ-  
ფესვიანად ამოსაგდებია!... ეგ, მგორე  
შემთხვევაა! — აღელვებულად შენიშნა  
შახტის უფროსმა. შარშანდელი წყალ-  
დილობის დროს, სწორედ მისი ბავშვი  
დარჩა მაქსიმელას ხეზე და ახლა ლუ-  
კას გულისწყრომა იქ მყოფთათვის გა-  
საგები იყო.

— ვისი ბავშვიო! — იკითხა ნიკომ.

— არ უთქვამთ! — მიუგო მალხაზმა

— მერე, უშველეს თუ არა? —  
კვლავ იკითხა ნიკომ.

— წასულან მარჯვე-მარჯვე ბიჭე-  
ბი! უშველიან, რაღა თქმა უნდა!

— თუ შევლაა, დროზე უნდა მიეშ-  
ველონ, — ნიკოს სიტყვა არ დაესრუ-  
ლებინა, რომ ისევე გაიწყარუნა ტელე-  
ფონის ზარმა.

მმართველმა მილაკი აიღო.

— მალხაზი ვარ.

მან ერთხანს მოთმინებით უსმინა,  
მერე მოკლედ და აჩქარებით მოუჭ-  
რა — ძალიან კარგი, ძალიან კარგიო  
და მილაკი დასდო.

— კაცო, რაღა სწორედ კვარტალის  
ბოლოს მოცილის ზოლზე ჩვენთვის  
ყველაფერი, — მობრუნდა მალხაზი  
ნიკოსა და ლუკასაკენ. — სამთო სკო-  
ლელები ჩამოვიდნენო, პირველ რიგ-  
ში — ბინა! წელან კიდე თბილისიდან  
ერთი ახალგაზრდა მოქანდაკე გვეწვია,  
პირველ რიგში — ბინა! რაიკომიდანაც  
დამირეკეს, ხელი შეუწყვეთო. ჩვენი  
კლუბისათვის მეშახტის ფიგურის გამო-  
ქანდაკებას აპირებს. საინტერესოდ აქვს  
მოფიქრებული.

შახტის უფროსი სულ ღიმილით შეს-  
ცქეროდა თვალეებში მალხაზს, როცა ის  
ამ ამბავს ჰყვებოდა. ნიკო კი ისე გამო-  
იყურებოდა, თითქოს მოქანდაკის ჩამო-  
სვლა არ სიაშოვნებდაო.

— ამხანაგო მალხაზ, ხედავ, თურმე  
რა საქმეს აკეთებდა ის ბუჩუნტო სას-  
ტუმრო! ტყუილუმბრალოდ შევასახლეთ  
ხალხი ახალი სასტუმროს დამთავრე-  
ბამდე.

— ტუელი-უბრალოდ არ შეგვისახლებია, ისიც კარგი საქმეა, მაგრამ არ მეგონა, თუ ახალს ამ თვეშიაც ვერ მოვათავებდით.

— არა უშვას, — ჩაერია ლუკა, — ცოტა ხანიც გავვიჭირდება და, მერე ისეთი სასტუმრო გვექნება!...

— ამხანაგო მალხაზ, რა თქვა ბასარიამ ახალჩამოსულ ყმაწვილ მუშებზე?

— დაუბინავებიათ... ახლა სწორედ ორივენი, ლიდა და ბასარია რიგრიგობით მელაპარაკენ, — მალხაზმა მაგიდაზე ქაღალდები მიალაგ-მოალაგა და წამოდგა. — საკითხი ამ საღამოსვე უნდა გადაწყდეს. სამთო სკოლელები შეიძლება ზვალდანაც ჩაგებათ მუშაობაში, რომ...

მალხაზი ფანჯარასთან მივიდა, სივრცეს გახედა; როცა შემობრუნდა, სიტყვაც განაგრძო:

— რახან არ წასულა, ელიზბარსაც დაურეკეთ. შეიკრიბეთ ამ საღამოსვე მესამე ცვლის გასტუმრების შემდეგ და მოითათბირეთ. მართალია, ნიკოს ერთი სურს, ქარქაშაძეს მეორე, მაგრამ... სხვა გამოცდილი ამხანაგების აზრსაც ხომ უნდა დავეუგლოთ ყური და გავუწიოთ ანგარიში!

— როგორც გეწებოთ. ეს კია, რომ თავი ჯერ მარტო ჩემი უბნის წარმატებით გესახელებათ!

ამ სიტყვებზე ნიკოს ბუნებრივად ფერმკრთალ სახეზე ვარდისფერმა გადაუარა. თითქოს შერცხვა ამ ხნის კაცს, თავისი გულისნაღები რომ იქ მყოფთ გაანდო. ეს სიტყვები შეიძლება ბოლო ტრამპაზად ჩამოერთმიათ.

მმართველი აღარ დაელოდა მათთან საქმეზე მოლაპარაკების დასრულებას, ზარი დარეკა და მდივანს სთხოვა, ვინც ელოდებოდა, რიგრიგობით შემოეშვა.

## VI

ტრესტიდან ნიკო და შახტის უფროსი მანქანით ერთად წამოვიდნენ. გზაში ნიკომ აიჩემა, უნდა დავხედო, როგორ დააბინავეს ჩვენი ყმაწვილებიო.

იგი ახალგაზრდა მეშახტეთა ოთხსართულიან საერთო საცხოვრებელთან ჩამოხტა მანქანიდან, ლუკამ კი გზა განაგრძო შახტისაკენ.

კომენდანტის ოთახი ნიკოს დაკეტული დაუხვდა. მორიგე უთხრა — ეს წუთია აქ ტრიალებდნენ ლიდა და ბასარია, არ ვიცი, საით წაივინდნენ, მოუცადეთ, ან ერთი განიდება, ან მეორეო. ნიკომაც გადაწყვიტა, დაეცადა. დრო რომ შეუმჩნეველად გასულიყო, იქვე, სამკითხველოში, გაზეთებს თვალი გადაავლო, მერე კვლების დარბაზში შეიხედა. მომღერალ-მოცეკვავეთა ანსამბლს საქალაქო ოლიმპიადისათვის ამზადებდნენ. ერთ სიმღერას ბოლომდე მოუსმინა, მერე ისევ კომენდანტის ოთახისაკენ გაეშურა, კარის სახელური რამდენჯერმე მაგრად შეანჯღრია. ხმაურზე მეორე საართულიდან ვიღაცამ ჩამოსძახა — მანდ ვინ არისო. ნიკომ ხმაზე იცნო ბასარია, ტრესტის საბინაო საქმეთა განყოფილების გამგე. ბასარიასთან ახლდა ლიდაც — საერთო საცხოვრებლის კომენდანტი — შეუბოვარი, დაბალი ქალი. ლიდა სწრაფად ჩამოეგება ნიკოს, ოთახის კარი გააღო და შინ შეიწვია იგი. საბინაო განყოფილების გამგე კი, ისიც დაბალი, თავმომწონედ, ცხვირაწვეით რომ იცოდა სიარული, ახლა, კიბეზე ისეთი დინჯი ნაბიჯით ჩამოდიოდა, რომ თუ, ერთი მხრით, მისი ხელოვნური სიღინჯე ღიმის მოგვერიდათ, მეორე მხრით შეიძლება გულიც მოგველოდათ და გეფიქრათ — ნეტავი რა სპირს ასე გასაბლენძიო. ის სულ მთლად ქერა იყო, წარბები არც კი აჩნდა, თმა უკან გადაეცარცხნა და ორად გაეყო. წარამა-რა თავზე ხელს ისე გადაისვამდა ხოლმე, თითქოს ეჩვენებოდა, რომ თმები აშლოდა.

— რა ამბავია, რამ შეგაწუხა, ამხანაგო ნიკო? — შეეკითხა იგი ნიკოს შესვლის უმაღლ.

ნიკომ პირი ლიდასაკენ იბრუნა.

— როგორ დააბინავე ყმაწვილები?

— რომელი ყმაწვილები? —

— სამთო სკოლელები.

— მაგაზე მე თვითონ ვიზრუნე! —  
ჩაერია ბასარია.

— დამახედეთ ერთი, სად არიან.

— პირველ სართულზე მოვათავსე, მყუდრო და თბილ ადგილას, სამზარეულოს მეზობლად!

— რა გიქნია, ბიჭო! არ დამიხოცოს ხალხი! — იყვირა ნიკომ. ამ ზაფხულში მანცდამანც არ იყო საჭირო სითბოზე ზრუნვა! — ხმადაბლა, დაცივებით დაუმატა ნათქვამს ძველმა მეშახტემ. — ლიდა! ამ ლაპარაკს არა სჯობია დამახედოთ ერთი ამ ბიჭებს! რამდენიმე კაცი ჩემს უბანში უნდა გაამწყსონ და... იქნებ ბრძღვენად არც კი ღირდნენ, ა?

— წამობრძანდით! — უთხრა ლიდამ ნიკოს და წინ გაუძღვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნიკო გააღმასებული შემოიჭრა საკომუნდანტოში. ბასარიას მის გამოჩენაზე წარბიც არ შეუხრია. იგი თავს ლღლად და ბედნიერად მაშინ გრძნობდა, თუ რითიმე აკალმაყალს გამოიწვევდა; ახლაც, იყნოსა რა ასეთი ამბის მოახლოება, თავი კიდევ უფრო მაღლა ასწია.

— ეს რა გიქნია, ბიჭო? კომბოსტოს და კარტოფილის ნოტიო საწყობში რა სინდისმა შეგასახლებია ყმაწვილები? იცი, ვინ არიან ისინი?

— შე კაცო, დღეს ჩამოსულებს ასე უცებ როგორ გავიცნობდი! მაინც, ვინ არიან?

ნიკოს უნდოდა ეთქვა — ჩვენი მომავალი და ჩვენი სიამაყეო, მაგრამ გადაიფიქრა — ვინც უნდა იყვნენ, ბასარიასათვის ეს ალბათ სულერთიაო.

ბასარიას კი ეგონა, ნიკოს გულისწყრომა იოლად დაეძლიეო, რაბან ძველმა მეშახტემ დამცინავ პასუხზე ხმა აღარ გასცა.

— თუ ისინი ახლავე საუკეთესო ბინაში არ გადაგიყვანია, იცოდე, — ნიკომ გამომწვევად გადახედა ბასარიას, — ჩვენი შერიგება აღარ მოხერხდება!

— მოხერხება... ჩემზე იყოს! — დამცინავი ღიმილით მიუგო ბასარიამ.

ნიკო ახლა, ლაპარაკის დროს, მუდმივად მუშტის ისე სცემდა, თითქოს მისი სიტყვა იწერება და თვითონ ზედ ბეჭედს ასვამსო.

— ბასარია, იცოდე, უსამართლოდ ახირება არა მჩვევია, მაგრამ, თუ ავიხირდი, ველარც გაიხარებ! — ბასარიამ იყვირა.

— ნიკო, როგორ ლაპარაკობ? ვითომ შენ მაგათი მამა ხარ და მე მამინაცალი, თუ რა?

— ამხანაგო ნიკო! ამ საერთო საცხოვრებელში უკეთესი თავისუფალი ოთახი არ მოგვეპოვება, და რა ვქნათ? არ არის ბატონო, არა! — კვლავ მიემშველა ბასარიას ლიდა.

— არის! — გადაჭრით თქვა ნიკომ.

— სად?

— სად? — ერთხმად მიძახეს ნიკოს ლიდამ და ბასარიამ.

— მეორე სართულზე! — მშვიდად მიუგო ნიკომ.

— იყო, მაგრამ, — ბასარიამ ლიდას გადახედა, გაუცინა, — აღარ არის. ასეთია სინამდვილე! — მეტისმეტი კმაყოფილებისაგან ბასარიამ თმაზე ხელი თავმომწონედ გადაისვა.

— ასე მალე ვინ ჩაასახლეთ?

— თბილისელი მოქანდაკე!

მოქანდაკის გავონებაზე ნიკომ კვლავ შეიკმუნხნა შუბლი.

— მოქანდაკეს აქ არ გამოგზავნიდნენ, ბიძია! სხვაგანაც გამონახავდნენ მისთვის ბინას!

— რაზეა ვითომ დასაწუნი ჩვენი საერთო საცხოვრებელი? — თავმომწონედ იკითხა ლიდამ. — პირიქით, ქალიშვილმა განაცხადა ოთახიც კულტურულად არის გაფორმებული და გადასახელიც მომზობლავიაო!

— ვინ ქალიშვილმა?! —

— მოქანდაკეს რომ ახლავს! — შენიშნა ბასარიამ, — ნიკო! შენ რაც გინდა თქვი და... ის ქალიშვილი თვითონ მობრძანებულ იყო კი არა, მარტო იმისი

ქული რომ მოეტანათ, მაშინაც იძულებული ვიქნებოდი, ის საუკეთესო ოთახი მეორე სართულზე, იმ ქულისათვის დამეთმო, მარტო ის დამედო შუა ოთახში მაგიდაზე და მექცირა!

— რაა, ბიჭო, ასეთი? — ჩაიცინა ნიკომ. მერე უცებ შეიკრა შუბლი. — არა, შენ რალაც ზღაპრებს მიყვები! დარწმუნებული ვარ, ოთახი თავისუფალია. მთელი ქვეყანა, ბიძია, — განაგრძო ნიკომ აუღელვებლად, — ჩვენ შემოგვექცერის, აბა რამდენ ტონა ქვანახშირს მისცემენ სამშობლოსო! შენ კი მუშებს, ხეალ რომ საბრძოლო დავალება უნდა მივცე, კარტოფილის საწყობში აბინავებ!

— ნეტავი იცოდნენ მაინც იმ ბიჭებმა, რა მზრუნველი გამოუჩნდო!

ნიკომ ავი თვალთ გადახედა ბასარიას და ოთახიდან გავიდა. ლიდა კარებამდე მიჰყვა, მერე უცებ შემობრუნდა ბასარიას შესფოთებით აუწყა.

— მალა აღის.

— როგორც ავა, ისე ჩამოვა! — დაცინვით და გულგრილად შენიშნა ბასარიამ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე სართულის დერეფნიდან საკომენდანტოში ხმაური და ყვირილი ჩამოესმათ. ლიდამ არ დააყოვნა, შევირცხლად აირბინა კიბე, ერთი, უცებ შეჰკივლა ხმადაბლა და ფეთებით კიბეზე ჩამოიჭრა.

— ბასარია, — იყვირა ოთახში შესვლის უშალ, — ახლავე დარეკე რაიკომში! ნიკო არაბიძე გადარეულა! თბილისელებს თავის ბარგიანად გარეთ გამოყრას უბირებს! ჩემოდნები უკვე დერეფანში გამოუწყვია!

ბასარიამ მარცხენა ხელი სწრაფად გადაისვა თმებზე, მარჯვენა კი ტელეფონის მილაკს სტაცა, მაგრამ... ლიდას ნაკარნახევის შესრულება სწრაფადვე გადაიფიქრა, ოთახიდან მოსხლტით გავარდა, თბილისელების საშველად მეორე სართულს მიაშურა.

## VII

ხალხს უკვე შეეტყობო მდინარის მოდიდება; ახლა დიდს მუშაობას ქვეყნით ეშურებოდა. შახტის უბანსა და მდინარეს შუა ყოფდა მაღალი ქედის შტო — გორაკების წყება. მათ ფერდობებზე უსწორმასწოროდ იყო შეფენილი თითო, და ორ-ორ სართულიანი ქვისა თუ ხის ძველებური სახლები, ფართო აივნით, ვიწრო ფანჯრებით და ყავრის სახურავით.

გზადაგზა ნაცნობებიც გამამხნევებელი შეახილებით ეგებებოდნენ და აცილებდნენ შატბიას, კაკოს, მის ამხანაგებს.

შატბია გორაკზე რომ ავიდა და ერთი წამით თვალი გადაავლო ხეობას, იქაურობა ეელარც კი იცნო. ჩვეულებრივ საკმაოდ ვიწრო, ოციოდე მეტრის სიგანე კალაპოტში ზანტად მიმავალი მდინარე ახლა გაღმა-გამოღმა ვრცელ ნაპირებზედაც ზღვისავეით ისე გაშლილიყო, თითქოს ცა და ქვეყნის წალეკვას ლამობდა.

ჩვეულებრივ ეს მყუდრო, ვრცელი ხეობა ახლა საოცარ, იღუმალ გუგუნს მოეცვა. გაღმა ნაპირის გასწვრივ, ერთგან მოცურავეებსავეით გამოიყურებოდნენ ხეები. ტალღების ძალა ტოტებს დინებისაკენ ზნექაედა, მაგრამ ტოტები ისევ სწორდებოდნენ. ეს ისე სწრაფად ხდებოდა და დაუსრულებლად მეორდებოდა, გეგონებოდათ, ხეებს მკლავები გამოსხმია და ცურავენო.

ფერდობის საცალფეხო ბილიკზე ახლა თავქვე სწრაფად მიმავალ შატბიას უკვე ესმოდა მდინარის ნაპირის გასწვრივ გაფანტული ხალხის ყაყანი, შეძახილები.

წყალს უკვე ახლო მოსახლეთა ეზოების შუამდე მიედგია. ბოსტნებში წინა კვლები აღარ ჩანდა, აქა-იქ მხოლოდ პრასსა და აყვავებულ ქინძს ამოეყო თავი მღვრია წყლის ქაფიანი ტბორიდან.

მოდიდებული მდინარე შატბიას ბევრჯერ უნახავს, ასეთ წყალდიდობას კი ჯერ არ მოსწრებია. ამან, ცოტა არ იყოს, შეაფიქრინა.

შატბია უცებ გაუქრა თვალიდან, მათ, ვინც უკან მოსდევდა, ისე სწრაფად გადაუხვია ერთი მოსახლის ყანაში, ამხანაგები ჯერ დაიბნენ, მაგრამ მერე ძალაუვნებურად განაგრძეს აღებული გეზი—საურმე გზით თავქვე დაეშენენ. შატბია ზემოთ, კარგა შორს გამოჩნდა, დიდ ლოდზე, რომელიც კონცხივით ჩანდა, ახლა წყალში შექრილი.

შატბია მარჯვედ გადახტა ლოდიდან მდინარეში. მისი თეთრი მკლავები და ბეჭები უცებ ხან გამოჩნდებოდა ზედაპირზე, ხან ისევ მღვრია ტალღებში ქრებოდა.

შატბიამ კარგად აუღო ალღო წყლის სიჩქარეს და ტალღების ძალას, მიხანს ზემოდან უსწორა. ყველაზე ძნელი ახლა ცურვა და ტალღებთან ჰიდილი კი არა, იმ კუნძების, მორების, ფიცრების თუ მოდიდებული წყლის მიერ გზადგზა დანგრეული სახლის ნაწილების თავიდან აცილება იყო, რომლებიც გახლებულ მდინარეს ახლა ისე უხვად მოჰქონდა.

შატბია მარჯვედ აუქცევდა ხოლმე გვერდს, ან ხელის კვრით გეზს შეუცვლიდა გამოქანებულ შორს თუ ფიცარს. ნაპირიდან მოთვალთვალეთა გაოცებას და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ხალხი, დიდი თუ პატარა, ისე იყო მოხიბლული მისი სიმარდით და მოსახრებულობით, რომ ბევრი გულის სიდრმეში კიდევ ნატრობდა ახლა შატბიას არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობას.

შატბია მარტო მაშინ შეერთა და მკლავიც თითქოს მოუდუნდა, როცა ხეს დაუახლოვდა. პირველად მისი მზერა ხის ტანზე მკლავებმოხვეულ თამარელას თვალბს შეეფეთა.

შატბია აქ მარტო გურამთან შეხვედრას ელოდა. ახლა თამარელას უეცარი

ხილვით განცვიფრებული გაეცა შატბით დაიბნა.

წელან, თამარელა რომ მისკენ შემტრებოდა, გადაწყვეტილი მჭონდა, რა დაც უნდა დაჯდომოდა, ბავშვი გამოეყვანა. ხეს რომ მიაღწია, ამასობაში წყალი ისე მოდიდდა, არათუ ბავშვის გამოყვანა, შხელით მომსკლარ ტალღებთან გამკლავებაც უჭირდა. ორივე ხელით ტოტზე ჩაფრენილი, თავს ძლივს იკავებდა. ბავშვს კი სიტყვით ამხნევებდა დროდადრო, თანაც მოუთმენლად ელოდა მხსნელის გამოჩენას.

— ჩამოდი! — ერთხელ კიდევ ასძახა თამარელამ გურამს და ტოტზე მეორე ხელის წავლების უმაღლეს მუხტუქად აიწია მაღლა. შორიახლოს შეჩერებულმა, ცალი ხელით ტოტს მოჭიდებულმა შატბიამ, აქამდე მარტო თამარელას თავს და წყალში გაშლილ — ატივტივებულ ნაწნავებს რომ ხედავდა, უცებ კაბაშემოტმასნილი მკერდის და წელის დანახვაზე ქალს შორიდების მაგივრად, თვალი უფრო გაუშტერა; თამარელამ შენიშნა თუ არა ვაჟის გაშტერებული მხერა, ისევ ჩაიმალა წყალში.

გურამი სწრაფად ჩამოცოცდა ქვემოთ და შატბიას მაღლააწედილი ხელის გულს დაეყრდნო მკერდით, ცალი ფეხი კი ბეჭზე დააბიჯა. ბავშვი აქამდე, მართალია, შეშინებული ჩანდა, მაგრამ შატბიას დანახვაზე, ეტყობოდა, ცოტა გამხსნევდა.

ვიდრე შატბია გურამითურთ ნაპირს მიაშურებდა, თამარელას ისე შეხედა, რომ ყველაფერი გასაგები იყო. ჯერ ბავშვი უნდა გაეყვანა.

## VIII

შატბია რომ ნაპირს უახლოვდებოდა, მაიაც სწორედ მაშინ მოვარდა შეშლილივით. დაფეთებული, თამაგაწეწილი დაუფიქრებლად შეიქრა წყალში. მას სხეებიც მიჰყენენ და სიხარულისაგან ცრემლმორეულნი, ხელების ქნევით და შეძახილებით მდინარეში მუხლამდე

შესულნი შეეგებნენ შატბიას. კაკომ მათს დაასწრო, თავის ბიჭს პირველმა სტაცა ხელი, მხარზე შეისვა და ნაპირს მიაშურა. მაიამ ნაპირზე გასვლა არც კი აცალა, შატბიას შეგებების ადგილზევე გადაეხვია და აკოცა.

შატბია გამალეებით სუნთქავდა, თან სველ, ნახევარ რკალეზად შუბლზე ჩამოშლილ თმებს წამდაუწუმ ისწორებდა. სანამ იგი სულს მოითქვამდა და თამარელას გამოსაყვანად უკან შებრუნდებოდა, ორი ჭაბუკი მეშახტე — ანთაძე და ბერიძე სწრაფად შედგაფუნდა წყალში; ისინი ყველგან და ყველადღერში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს; აქაც არ დააყოვნეს. გასცდნენ თუ არა არხის კალაპოტს, გადაეშენენ კიდევ ზვირთებში. ერთხანს მარჯვედ კვეთავდნენ ტალღებს, თუმცა შატბიასავეით თავისუფლად და მოხდენილად ვერ ხმარობდნენ მკლავებს; მათი მოძრაობა ზედმეტად სწრაფი და მომქანცველი იყო. ანთაძე და ბერიძე თუმცა გულმოდგინედ მიიწვედნენ წინ, მაგრამ, რახან შატბიასავეით თავიდანვე გეზი სწორად ვერ აიღეს, ახლა დიდი ენერჯიის დახარჯვა უხდებოდათ, რომ წყალი აღმა აეჭრათ, რათა ხისათვის ესწორებინათ. როცა ბოლოს, ძლივს მისწვდნენ ლელვის ხეს, ჯერ ანთაძემ, მერე ბერიძემ მაგრად ჩასკიდეს ხელი მდინარის ზედაპირზე გაწოლილ ტოტებს და შესვენება სცადეს; მაგრამ, ეტყობოდა, აქამდე ისედაც ძირგამორეცხილი, გამოთხრილი ხე უეცრად შექანდა და დაძრა ფოსოდან. წყლის დინების ძალამ და სისწრაფემ მყის გაიტაცა იგი; თამარელა იღბლად ზემოთ მოექცა, რახან ორკამთან მსხვილ ტოტებზე ხელჩაქიდებული აღმოჩნდა. ანთაძის და ბერიძისათვის კი ეს ამბავი ისე მოულოდნელი იყო, ხელის გაშვება ვერც მოიფიქრეს, ვერც მოასწრეს, ისე ქვემოთ მოქცეულ ტოტებთან ერთად ჩაიყურყუმელა წყალში. როცა ტალღებში კვლავ ამოჰყვეს თავი, დაინახეს,

რომ ხეს რამდენიმე მეტრის დაშორებით მიაქანებდა წყალი.

შატბია თავიდანვე გაფიქრებით უთვალთვალეზდა იმ ორ ჭაბუკს, მაგრამ, როგორც კი წყალმა ლელვის ხე მოთხარა და გაიტაცა, შატბია ისე მარად მოსწყდა ადგილიდან, რომ ყველანი სახტად დარჩნენ. ის ერთხანს სირბილით მიჰყვებოდა მდინარეს ნაპირნაპირ, მერე საკმაო მანძილით გაუსწრო თუ არა მდინარის მიერ გატაცებულ ხეს, რომელსაც თამარელა ებლაუკებოდა, უმალ წყალში გადახტა და ისე მოუსვა, ისე მარჯვედ აჰყვა-დაჰყვა ზვირთებს, გეგონებოდათ, კი არ მიცურავს, მიფრინავსო.

შატბიას გამბედაობით აღტაცებული ხალხი ნაპირ-ნაპირ, ყიყინით მისდევდა მდინარეს, არავინ იცოდა, რით გათავდებოდა შატბიას თავგანწირვა; ის ახლა ძალ-ღონეს არ ზოგავდა, ვიდრე წყალი ხის ჩატარებას მოასწრებდა, თვითონ შეგებებოდა და გეზი ეცვალა მისთვის. მაგრამ ვარაუდში მოტყუვდა; ხე სწორედ, როგორც იტყვიან, მის ცხვირწინ ჩაატარა წყალმა. შატბია უკან გამოენთო; ის ახლა კარგად ხედავდა თამარელას. თამარელა ორივე ხელით ჩაფრენოდა ტოტებს და ყოველ ღონეს ხმარობდა, არ ჩაეყურყუმელა ევებინა. თამარელა დაღლილი და შემკრთალი ჩანდა, მისი სველი, დაშლილი ნაწნავები ხან წყლის ზედაპირზე შავად მიიკლაკნებოდა, ხან მისი გაწეწილი ბოლოები პატრონს კისერზე და მკერდზე დასთამაშებდა. თამარელას კაბის გულისპირი და პერანგი წყალთან კიდელში ტოტს ჩაეხია, სიშიშველეს მართო მღერია ტალღა თუ დაუფარავდა ხოლმე.

შატბიამ ხეს თავი დაუარა, ყველაზე გრძელ, განზე გაწვდილ ტოტსა სწვდა და, რაც კი შეეძლო, მოზიდა, სცადა, ხისათვის გეზი ეცვალა, ნაპირისაკენ გაეცურებინა.

შატბია ახლა უფრო გააფთრებით ებრძოდა ცალკე ტალღებს, რათა ხე



ნაპირისაკენ დაეთრია, ცალკე ფიცრებ-  
სა და კუნძებს, რომელთა დაჯახებისა-  
გან წამდაუწუმ უხდებოდა თავის არი-  
ლებს. თამარელა ხედავდა რა შატბიას  
თავგანწირვას, ცოტა გული მოეცა.  
ძმომე და შეუპოვარ ბრძოლაში ჭაბუკს  
დროდადრო ვეებერთელა ტალღა ხან  
თავზე გადაუვლიდა და წამით შთანთ-  
ქავდა, ხანაც ისე მსუბუქად შეისროდა  
მალა, თითქოს შატბია საქანელას ფი-  
ცარზე მჯდარიყოს.

შატბიამ, როგორც იყო, დიდი ჯა-  
ფით, ხე მტკაველ-მტკაველ მდინარის  
შუაგულს გამოსტაცა და ახლა უკვე ნა-  
კადის ძალაც, წყლის წინააღმდეგობაც  
უფრო ნაკლები იყო; შატბიას იმდენი  
მეცადინეობა აღარ სჭირდებოდა, და  
თვითონაც ეტყობოდა, სტიქიას წინან-  
დებურის მხნეობით აღარ შეეძლო გამ-  
კლავებოდა. როცა შატბიამ დრო იხელ-  
თა და ნაპირი მოათვალიერა, ეოცა, არ  
მოელოდა, თუ წყალი ასე შორს გამოი-  
ტაცებდა მათ. ახლა კი, დროც იყო  
და ადგილიც სწორედ ხელსაყრელი,  
რომ ჭაბუკს უკანასკნელი ძალ-ღონე  
მოეკრიბა და ხე მოტაცებული ასუ-  
ლითურთ მდინარისათვის წაერთმია.

ფართო მოსახვევთან, სადაც წყალი  
შედარებით უფრო ნელა მიედინებოდა,  
ხეს ადვილად შეუცვალა გეზი, ხე ახ-  
ლა უკვე ნაპირიდან ხუთიოდე მეტრზე  
ტოკავდა, ტიტივებდა. შატბიამ უმაღ-  
ლოსინჯა წყლის სიღრმე და, უწია თუ  
არა ფეხი ფსკერს, აქამდე წარბშეკ-  
რულმა ჭაბუკმა უმაღლ თამარელას გა-  
დახედა და გაუღიმა.

თამარელამაც გაუღიმა, სიხარულისა-  
გან გული ახლა მასაც ისე უცემდა,  
რომ ხმის გაღება ვერ მოეხერხებინა. თა-  
მარელას უკვე შატბიას დაუხმარებლად  
შეეძლო ნაპირზე გასვლა, მაგრამ რა-  
ტომღაც ადგილიდან არ იძვროდა, ისევე-  
ისე ჩაფრენოდა ხის ტოტებს ორკაპს-  
შუა მოქცეული და თავის მხრით გა-  
მომწვევად მოღიმარი თვალთ შესცქე-  
როდა შატბიას. როცა მას შატბიამ ხე-

ლი გაუწოდა, თამარელამ ცალი ხელით  
ჩახეული საკინძის ნაპირები მოზღუჯა,  
მეორე კი შატბიას მაჯაში ჩაეკლეს. ამა-  
სობაში ფსკერზე ფეხის დაბიჯებაც  
რომ სცადა, უცებ შეჰკივლა და უმაღ  
წყალში ჩაყვინთა. ერთი ხელით რომ  
აქამდე შატბიას მაჯა ეჭირა, ჩაძირულ-  
მა მეორე ხელი უმწეოდ მოასასვავა  
წყალში, შატბიამაც ერთი ნაბიჯით წინ  
წაიწია, თამარელა რომ სწრაფად ამო-  
ესროლა მალა. შატბიას მეორე, შეგე-  
ბებულ მკლავს თამარელამ ღონივრად  
ჩაავლო თავისუფალი ხელი. როცა  
წყლიდან თავი ამოჰყო და თვალზე გა-  
ახილა, ერთბაშად გაოცდა. ვერ მიმხ-  
ვდარიყო, როგორ მოხდა, რომ შატ-  
ბიასათვის ცალი მკლავი კისერზე მო-  
ეხვია და მკერდზე მიკვროდა.

შატბიას სიამოვნების და იღუმალი  
სიხარულის გამომზატველი ღიმილი  
უთამაშებდა სახეზე. ის ახლა თამარე-  
ლას არც გამომეტყველებას გაუკვირვე-  
ბია და არც მხარზე ხელის კერას. შატ-  
ბიას კარგად ესმოდა, რომ ეს ყველა-  
ფერი თამარელას სიმორცხვეს უფრო  
გამოხატავდა, ვიდრე უმადურობას.

როცა შატბიამ ანიშნა, დროა ნაპირ-  
ზე გავიდეთო, აქამდე გაბუტულივით  
მზირალ, წარბშეკრულ თამარელას  
კვლავ გაეღიმა, შატბიას მეორე ხელიც  
გაუწოდა და, რომ კვლავ არ ჩაეყვინ-  
თა, ფეხებიც ისე ამომძრავა, როგორც  
შატბიამ აუხსნა.

თამარელა აქამდე არ გრძნობდა, მაგ-  
რამ ნაპირზე რომ გავიდნენ, სირცხვი-  
ლით დაიწეა. კაბა ისე შემოტმანსნოდა  
ტანზე, შიშველი გეგონებოდათ. ში-  
შველი მკერდი კი, როგორც იყო, გაწე-  
წილი ნაწნავებით დაიფარა, მაგრამ  
ქვედაწელს ვერაფერი მოუხერხა; ისე  
ლაპლაპებდა სველი კაბა, ისე მკაფიოდ  
აჩენდა იგი ნაკეთებს, ძალაუნებურად  
იქცევდა ყურადღებას. შატბიაც, თით-  
ქოს თამარელას ჯიბრზე, იქვე პატარა  
ბორცვზე ჩამოჯდა და დროდადრო ღი-  
მილით იცქირებოდა მისკენ.

## IX

ხალხმა რა დაინახა, შატბია და თამარელა ნაპირზე გამოვიდნენ, სირბილს უკლო და ახლა ჩქარი ნაბიჯით ეშურებოდა მათენ. ბავშვები დაწინაურებულყვენ. ისინი რახანია დაულალავად გაჰყვიროდნენ — „შენია, შენია“-ს. დროდადრო ძახილში უფროსებიც ბაძავენ ბავშვებს. იყო ერთი ყაყანი, ალიაქოთი, სიცილი. ამ იღუმალ — „შენიას“ წამოძახება უცნაურ ხმაურს და სიცილს აწვევდა ხალხში. დაწინაურებულ ბავშვთაგან ზოგს შატბიას ჭედი, რეზინის ჩექმები, თუ ხალათი რომ ეჭირა ხელში, ცეკვა-ხტუნვით ყველაზე წინ მირბოდა და ყველაზე თავგამოდებით გაჰყიოდა ამოჩემებულ — „შენიას“. რა იყო, ვის ეხებოდა, რას გამოხატავდა ეს ძახილი, შატბია და თამარელა ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყვენ.

როცა შატბიას და თამარელას ბავშვები შემოესივნენ, მერე კაკო ზიბზიბაძეც მიეჭრა, უმაღ მაგარი კოცნა უთავაზა შატბიას, სველ ბეჭზე კი მისმა ხელმა ტლაშანი მოაღინა. შატბიას კვლავ მოესმა რა — „შენია“, უმაღ გოცებით გადახედა კაკოს. კაკო მიჩედა, ეშმაკურად გაუღიმა, თამარელასაკენ ანიშნა, სიტყვიერადაც განუმარტა — „შენია!“.

— უსირცხვილო! — მოულოდნელად დაიყვირა თამარელამ, ერთი ნაბიჯი წინ წაღგა და ხელი კაკოს მუჭარით მოუღირა.

კაკომ, თითქოს ახლა შეენიშნოს თამარელა, უცებ გაკვირვებით უკან დაიხია, წელშიც ნახევრად მოიხარა და შუბლზე ხელმოჩრდილებულმა ირონიულად იკითხა — „რომელი ხარ შენი?“ — თანაც თავით-ფეხებამდე ისე ახედ-ღახედა, თითქოს ვერ იცნო.

ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. კაკომ ბრეზენტის პიჯაკი გადაიძრო და თამარელას გაუწოდა. თამარელას თუმც გუნებაში დიდად ესიამოვნა და მოეწონა სიძის მოსახ-

რებულება, მაგრამ შუბლი მაინც არ გაუხსნია. კუშტად მზირაღმყოფი თითქმის წასტაცა ხელიდან შეთვავაზებულთა მუჯაკი და მოიხურა. იმდენხანს წყალში ნამყოფს ისე შესცივნოდა, მთელი ტანით ძაგძაგებდა.

მათ გარშემო თანდათან შემოკრებილი ხალხი თამარელას გადაჩენას ულოცავდა, შატბიას — გამარჯვებას. პატარები კი შორიახლოს ისევ დახტოდნენ, ბზრიალებდნენ და ახლა უფრო თამამად გაჰყვიროდნენ — „შენია“, „შენია“.

თამარელა რამდენიმე ამხანაგით ერთ დაწინაურდა, შინისაკენ გაეშურა ტანსაცმლის გამოსაცვლელად.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, კაკო დროდადრო შატბიას ქების ნიშნად ბეჭზე ხელს სცემდა და ამხნევებდა.

ახალგაზრდები მხარმარცხნივ და მხარმარჯვნივ რომ მისდევდნენ შატბიას, კაკოს სიტყვებს წინასწარ მოლაპარაკებულებით იმეორებდნენ. ყველა ცდილობდა შატბიას ყურადღება მიექცია; შატბია კი, თითქოს ეს შენიშვნები და ქათინაურები მას არ ეხებო, სულ წინ იყურებოდა, ბეჯითად მიბიჯებდა თავის ამაღსთან ერთად მდინარის პირველი მოვარდნის დროს წყლით დაფარული ეზოებისა და ბოსტნის კვლების ნაპირ-ნაპირ. დაინახვდნენ თუ არა ბოსტნის პატრონები უსწორმასწორო მწკრივად, ერთად მომავალ ხალხს, უნებლიეთ მოჰყვებოდნენ მოთქმისებურ წუწუნს. შატბია და მისი ამხანაგები სიცილით უქნევდნენ ხელს მეზობლებს, თითქოს ამხნევებდნენ და თანაც უსაყვედურებდნენ, ნუთუ ჩვენი თავგანწირვა ორიოდღე ღერი პრასის და ქინძის გადაჯეგვად არა ღირსო; მით უმეტეს, რომ ამას განზრახ არ ჩადიოდნენ. სხვა გზა არ იყო, წყალს ხმელეთთან ზღვარი ახლა აქ დაედო.

გზადაგზა, ნაპირის გასწვრივ გამწკრივებული ხალხი, ქალი თუ კაცი, შატბიას დანახვაზე უმაღ ანებებდა თავს მდინარეს, შატბიას შეეგებებოდა და,



როგორც შეეძლო თავისი გულწრფელი სურვილის გამოხატვა, ისე ულოცავდა. ზოგი ხელს ართმევდა, ზოგი, მხარზე ეკიდებოდა, თითქოს ღონეს უსინჯავსო. ვითომც აქ არაფერიაო, შატბია თავის ოდნავ დაქნევით, თუ ხელის ჩამორთმევით უზდიდა მადლობას ყველას, ვინც კი მის ვაჟკაცობას მოეხიბლა.

წელან შატბიას გულისყური მარტო გურამისა და თამარელას გადარჩენისაკენ იყო მიპყრობილი; არც შეუქმნევია, მეშახტე ჭაბუკების რამდენიმე ჯგუფი რა მარჯვედ ისროდა წყალში თოკზე გამობმულ ჩანგლებს. ამ ხერხით ჭაბუკებს იმდენი ხე-ტყე გამოეზიდათ წყლიდან, შახტში სამ ცვლას ეყოფოდა.

ახლა, როცა შატბია უკან ბრუნდებოდა, მისი ამხანაგები, მეშახტე ჭაბუკები კვლავ მორებთან ჭიდილში იყვნენ გართული. ნაპირთან მორეკილი ხეტყის გამოტანაში და საიმედო ადგილზე გადაზიდვაში მამაკაცებს ქალებიც ეხმარებოდნენ. ისეთი მუშაობა იყო გაჩაღებული, ისეთი ხალისით ასრულებდა ყველა ამ საქმეს, ძალიანაც რომ გდომებოდათ, გული ვერ მოგიტომენდათ, რომ ხელდაკრეფილი გეცქირათ ამ სახალხო სანახაობასა და შრომისთვის. ძალაუნებურად მიგიზიდავდათ და, რაკი ერთხელ ჩაებმებოდით, თავიც დაგავიწყდებოდათ.

შატბიას უმაღ მიურბენინეს ბავშვებმა ტანსაცმელი. მანაც ერთ გორგალად შეტკრა ყველაფერი, ილიაში ამოიღო, იქვე მახლობლად, მეზობლის ქისაკენ გაემართა. ქის წყლით კარგად რომ გაიბანა წვივები და ტერფები, კვლავ დაიხეია ფეხსახვევები, ჩაიცვა რეზინის ჩექმები და მერე სახეზედაც შეისხა წყალი. თავით ფეხამდე რომ გამოეწყო, ბავშვებს მადლობა უთხრა, თანაც სთხოვა, უკან აღარ ასდევნებოდნენ, რადგან ეჩქარებოდა და მათთვის აღარ ეცალა.

ახლა შატბია, მართალია, მარტო იმეორებდა, მაგრამ ნაბიჯზედაც ეტყობოდა და იერზედაც, რომ საკმაოდ დაქანცული იყო. ნელი ნაბიჯით მიეშურებოდა იგი ზემოთ, სახლისაკენ; საურმე გზა ნოხივით ჭრულ ფერდობს წყვეტილ არშიასავით ასდევდა ბოლომდე. ქვემოდან რომ შეგეხედა, გორაკი ხუთჯერ ერთმანეთის პარალელურად იყო გადასერილი ამ წყვეტილი საურმე გზით, რომელიც ზოგან მკაფიოდ ჩანდა, ზოგან კი ხეხილის ფოთლებს იყო შეფარებული. ამ ხუთივე პარალელის ზემოდ და ქვემოდ ფერდობი სხვადასხვა დროს სხვადასხვა გეგმით, გემოვნებით და მასალით ნაშენი სახლებით იყო აჭრელებული; ეზოებში ტრადიციული — საჩრდილებელი ხეების — ცაცხვის, მუხისა და მათს შორიანლოს ხეხილის სიხშირეში, ზაფხულობით არა-თუ საურმე გზა და ბილიკები, სახლებიც კი არა ჩანდა რიგიანად. ამ უხვ სიმწვანეში, ნიგვზის ფოთლებს რომ თავისი ელფერი გადაჰკრავდა, მუხისას თავისი და თხილისას თუ ვაშლისას — თავისი, მარტო აქა-იქ-ლა მოჰკრავდით თვალს მზის შუქზე თითქოს კიდევ უფრო აღვივებულ წითელ ლაქას, ახალი კრამიტით დახურული, თუ განახლებული სახლის სახურავის მცირე ნაწილს, რომელიც ასე მკაფიოდ ჩანდა მწვანე ფონზე.

ახლა შატბია, წინააღმდეგ ჩვეულებებისა, ნელა რომ მიაბიჯებდა ორღობეში, არათუ დაკვირვებით, ზოგ რამეს გაკვირვებითაც კი ჭერტდა. გზის ორივე მხარეზე, ღობეების გასწვრივ, ჩარიგებული მსხლის, ვაშლის და ალუბლის ხეები ერთფერად გამოიყურებოდნენ, მარტო ნიკო არაბიძის ეზოს ის მხარე, რომელიც გზას გასდევდა, ახლისებდა თვალსა და გულს. იგი უნაბისა და ბროწეულის ხეების მჭიდრო მწყრივს შეადგენდა. ბროწეულის ჯერ სულ ღიაფერის მომწვანო, პაწაწინა ფოთლებში აქა-იქ თვალის მომჭრელად

ღვიოდა წითელი ყვავილი. უფრო ლამაზი სანახაჯი ამ დროს ბუნებაში აღარაფერი შეიძლებაოდა. ბავშვები ძალიან ემტერებოდნენ ბროწეულის აყვავებულ კვირტებს. უყვარდათ მისი წვრილ ჯოხზე წამოცმა და ყალიონივით პირში გარჭობა. მაგრამ რა დიდიც უნდა ყოფილიყო მათი ცდუნება, ნიკო არაბიძის ბროწეულს ხელის ხლებას მაინც ვერ გაუბედადნენ. მას ერთხელ და სამუდამოდ ჰყავდა ბავშვები გაფრთხილებული... ამ ადამიანს უცხო სხელით დაუეითხავად ათი მწიფე ბროწეულის მოწყვეტა ისე არ დასწყვეტდა გულს, როგორც ერთი ყვავილისა. რაღაც განსაკუთრებული გატაცებით უყვარდა ნიკოს ბროწეულის ყვავილები.

შატბიამ ახლაც სიამოვნებით გააყოლა თვალი თავისი ეზოს მშვენიერებას — აყვავებული ბროწეულების ხშირ მწკრივს. დღეს ეს ყვავილი გამარჯვებულ ჰაბუქს განსაკუთრებით მიმზიდველი ეჩვენა.

ჭიშკარში რომ შევიდა, ჯერ კიდევ დღევანდელი შთაბეჭდილებებით გაბრუებულს, არც კი შეუნიშნავს ეზოში, მუხის ძირას გაფენილ ნოხზე მსხდომნი. მაგრამ მიახლოებულმა დაინახა თუ არა ისინი, შედგა, ახლა უცხო არავის მოელოდა; არც მომზადებული იყო საამისოდ. ასე, მეშახტის უხეში და გამურული ბრეზენტის ტანსაცმელით უცხოებთან შეგებება არც სასიამოვნო იყო და არც ხელსაყრელი ცხრამეტი წლის თავმომწონე ჰაბუქისათვის.

ხის ძირას, ნოხზე ისხდნენ შატბიას მამა — ნიკო, მეზობლის ქალიშვილი ლელა და უცხო ქალ-ვაჟი; შატბიას მიახლოებისთანავე უცხო ვაჟი წამოდგა, ცნობისმოყვარე ადამიანის ღიმილით შეაკერდა შატბიას. შატბია, ეტყობოდა, ჯერ კიდევ ყოყმანში იყო. ვერ გადაწყვიტა, საით აეღო გეზი — სტუმრებისაკენ, თუ სახლში ასულიყო და თავისი მორთულობა წესრიგში მოეყვანა. ამ რჩევაში და ყოყმანში მოულოდნელად ნიკოს ხმა მოესმა.

— რამ გაგაშეშა, ბიჭო?...  
ლელას და უცხო ვაჟს გაეცინათ, უცხო ქალიშვილის სახეზე კი წამით გაკრთა ღიმილი, მერე ისევ მშვილდი, ოდნავ მწყურალი იერი მიიღო. ქალიშვილი ისე უმზერდა შატბიას, თითქოს მის გამხნევებას ლამობსო.

მამის უადგილო შენიშვნაზე შატბიასაც გაელიმა. დინჯი ნაბიჯით გაემართა სტუმრებისაკენ.

უცნობმა ვაჟმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა შატბიასაკენ. უცნობი ქალიშვილი კი მსუბუქად, თითქოს პაერის უხილაგმა ტალღამ აიტაცაო, წამოდგა და შესაგებებლად მოემზადა. ფერმკრთალ სახეზე ცნობისმოყვარეობის გამომხატველი იერი აღბეჭდოდა. ზედაქუთუთოები ნახევრად დაბლა დაეხარა, გრძელი წამწამების მუქ ჩრდილქვეშ შავშავი თვალები მიმზიდველად უციმციმებდა. ქალიშვილს ვაჟის მოლოდინში თავი განზე გადაეხარა, თითქოს განგებ გაჩეჩილი, თუ ქარისაგან აწეწილი თმის ნაწილი შუბლს ზემოთ თხემზე ბოლქვივით ეღო, საფეთქლების გასწვრივ კი ბურბუშელასავით ბოლოებჩახეული თმა მსუბუქად ეშვეებოდა. შატბიას კარგად არც კი შეუთვალეირებია უცნობი ქალიშვილი, მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი მის სახეს, შიფონის, თოვლივით ქათქათა, ნაზ გამკვირვალე ქსოვილში მკრთალად გამოსახულ მკლავებს და წელზე შემოსხვილ შავ კრეპსატინის კაბას, და გაოცდა... წელან გზაზე უეცრად შემოფეთებულ აეტოში რომ ქალ-ვაჟი ისხდა, იცნო და ისიც მოაგონდა, რაც ხუმრობით ოდელიამ უთხრა ამ ქალიშვილზე.

შატბიამ სტუმარ ქალიშვილს ხელით ნოხზე მიუთითა და თავაზიანად მიმართა:

— დაბრძანდით.

მეგვიამ თავაზიანადვე გადაუხადა მადლობა და ისევე მოზდენილად დაჯდა, როგორც წელან წამოდგა; კრეპსატინის კაბის კალთა, რომელიც მიმზიდ-

ველად ლაპლაპებდა ნაკეთების გასწვრივ, ძალაუვნებურად სტაცებდა თვალს შატბიას.

— ამთ უკვე გავაცანი შენი თავი... ნიკომ თავს წამომდგარ ვაქვს ახედა.

— ნეტა, როგორ გავაცანი... — შატბიამ სტუმრებს გაუღიმა.

— ნუ გეშინია! რომ მოგესმინა, გუნებაში ალბათ შენც მოგეწონებოდა. სიტყვით ისე გამოგატყვე, შენ რომ...

შატბიამ მამას უცებ თვალი უყო, გაჩერდით. ნიკომაც სათქმელი აღარ დაასრულა, რითაც დაიწყო, ისევე იმ ამბავს დაუბრუნდა, — ბიჭო, შენ კი არ იცნობ ამათ? არ გახსოვს სულიყო? მეგი მაშინ სულ პატარა იყო.

შატბიას ძალიან ბუნდოვნად ახსოვდა ისინი, თითქმის დავიწყებულიც ჰყავდა. მაგრამ ხატრისათვის მაინც მოკრძალებული ყოყმანით შენიშნა — მახსოვსო და, კვლავ გაუღიმა სტუმრებს.

სულიყო და მეგი ნიკოს ერთი მეგობრის შვილები იყვნენ. იგი დიდიხნის წინათ მეშატბეთა ქალაქში მსახურებდა; მეგი, სულიყო და შატბიაც მაშინ სულ პატარები იყვნენ. ნიკოს მეგობარი მერე დედაქალაქში გადასახლდა და ბავშვებიც დიდი ხნით დაშორდნენ ერთმანეთს.

— ახლა არ იკითხავ, — კვლავ შატბიას მიუბრუნდა ნიკო, — რა უცნაური იყო ჩვენი შეხვედრა?

ნიკომ მოკლედ უამბო შატბიას ბასარიას მიერ სამთო სკოლელების დაბინავების ამბავი.

— ბასარიას ყური აღარ დავუგდე, მე თვითონ წავედი შესამოწმებლად, ისოთახი მართლა ეკავათ თუ არა თბილისელ სტუმრებს. რომ დავაკაუნე, კარი მეგიმ გამიღო, უცებ ვერ ვიცანი, ბოდიში-მეთქი, — კინლამ წამომცდა. ვიფიქრე, თავს ისე მოვაჩვენებ, ვითომ სხვაგან უნდა დამეკაუნებინა და შეცდომით მომიხდა უცხოთა შეწუხებამეთქი, მაგრამ ამ დროს სულიყოსაც მოკვარი თვალი ღია კარიდან და იმზე-

ლა ვიყვირე — შენ აქ რა გინდა-მეთქი, ალბათ ყველა სართულზე გაიფიქრეს: ჩემი ხმა. ჩემს სიცოცხლემოხსენებელი გამხარებია, როგორც ამათა დანახვამ გამახარა!.. ვთქვით, სხვა მოქანდაკე ყოფილიყო ჩამოსული... მაშინ რა უნდა შექნა, ზომ დამირჩებოდნენ ბიჭები იმ კომპოსტოს საწყობში... თუმცა, ვინ იცის... შევეურიგდებოდი?.. მისალმება რომ დასრულდა, — სახეიმო კილოთი განაგრძო ნიკომ, — მერე დავტაცე ამთ ბარგს ხელი და ერთ წუთში პატრონიანად გარეთ გამოვუძახე! ამასობაში ბასარიაც ამოვარდა, ბზიკივით მეცა, მაგრამ რაღას დამაქლებდა... სამთო სკოლელები მაშინვე ერთი ქრიაბულით მეორე სართულზე დავაბინავებინე, მეგი და სულიყო ჩემთან წამოვიყვანე! — ნიკომ სახეზე ოფლი შეიმშრალა, მცირე დუმილის შემდეგ, ნაამბობს კმაყოფილებით დაუმატა — დიდი სეირი იყო, დიდი!

მეგის თუმცა სულ უნდოდა შატბიასათვის ეცქირა, მაგრამ გრძნობდა რა სამი ცნობისმოყვარე ადამიანის მზერას, თავს ძალას ატანდა, ცდილობდა შატბიასაკენ აღარ გაეხედა, თუ კი ის რამეს არ შეეკითხებოდა, ან საამისოდ განსაკუთრებული, ხელსაყრელი წამი არ დაუდგებოდა.

დაჯდა თუ არა მეგი, შატბიამაც უმაღლესი დაიხია, ნოხის ნაპირთან ბალახზე მოიკეცა, მაგრამ ვერასგზით ვერ მოუნახა თავის სხეულს ისეთი ხელსაყრელი მდგომარეობა, თავისუფლად რომ ეგრძნო ახლა თავი. სულ ეჩვენებოდა, როგორ დასცინოდა უცხო ქალი-შვილი გუნებაში ასე უშნოდ ფეხმოკეცილ და ცალი ხელით მიწას დაყრდნობილ, ცალბეჭკამოგდებულოვით მჯდომ ვაქვს.

— ნოხზე რატომ არ დაჯდებით? — მზრუნველის კილოზე შენიშნა შატბიას მეგიმ.

— არც ასე მიშავს რამე! — თავახიანი ღიმილით შენიშნა შატბიამ, თვალი გაუსწორა. გათამამებულ ვაქვს

უცებ მეგვიმაც ისე შემოსცინა, თითქოს მისი პასუხი მოეწონაო.

შატბიამ მარცხენა ხელით ბალახი მოგლიჯა და რამდენიმე ღერი ნოხზე ერთი მარტივი სახის შავზოლებს გააყოლა, შეუხამა.

შეგის ყურადღება ძალაუნებურად მიიპყრო შატბიას ხელის მოძრაობამ. ერთხანს გატაცებით აღევნებდა თვალს, შემდეგ მოთმინება არ ეყო, თავისი გაკვირვება რომ სიტყვითაც არ გამოეხატა.

— თქვენ ნამდვილი მხატვრის გემოვნება გქონიათ!

შატბიამ უმაღ ყური სცქვიტა. ეტყობოდა, მეგის შენიშვნა მოეწონა და მით უფრო გაოცდა. არ ელოდა, რასაც თვითონ გრძნობდა, მას თუ სხვა ვინმე შენიშნავდა, გაუგებდა და მოეწონებოდა.

— მხატვარი ბრძანდებით?! — ჰკითხა შატბიამ მეგის.

— ჰო, როგორ გამოცოცხლდა და გაყოჩაღდა, მხატვრობაზე რომ სიტყვა ჩამოვარდა! — დინჯად შენიშნა ნიკომ.

— უყვარს, არა? — მკვირცხლად გამოეხმაურა ნიკოს შენიშვნას მეგი.

— უყვარსო?! მაგ ხელობისთვის დნება, სული ელევა!...

ამ სიტყვების გაგონებაზე მეგიმ უფრო მეტი გატაცებით დაუწყო ცქერა შატბიას. ქალიშვილის სიხარულს და გაცემას საზღარი არა ჰქონდა. წელან გუნებაში რაიგ ნატრობდა, რომ ეს ვაჟი სულიერად მისი ახლობელი ყოფილიყო და, აუხდა კიდევ...

— რას ლაპარაკობს, მამაჩემო! — ისე ჩაილაპარაკა შატბიამ, ვერ მიხვდებოდით, გაცემას გამოხატავდა, თუ საყვედურს. მაგრამ სიტყვით თუ აზრს ბუნდოვნად გამოთქვამდა, გამომეტყველება მის იღუმალ სიხარულსა და გულის წაღილსაც აშკარად ამჟღავნებდა. შატბია ახლა უსაზღვროდ კმაყოფილი იყო მამისა, რახან თავისი დაუოკებელი მისწრაფების შესახებ ასე დროუ-

ლად ჩამოაგდო სიტყვა სტუმარ ქალვაყთან.

სტუმარ ქალვაყთან

რაც უფრო აკვირდებოდა შატბია ამ ქალიშვილს, მით უფრო მიმზიდველი ეჩვენებოდა იგი.

— რა სასიამოვნო საყურებელი შენა ხარ, ასე ჩაცმულ-დახურული რომ ჩამოგვიჯექი. წადი, ტანსაცმელი გამოიცვალე.

შატბიამ გაიცინა და მყის ზეზე წამოიჭრა. მამის შენიშვნა გულზე მოხვდა. მართალია, თვითონაც გრძნობდა ამას, მაგრამ ცდილობდა ყურადღება არ მიექციათ.

— ბიჭო! — კვლავ მიუბრუნდა ნიკო, — გაბანილს რომ არ გავხარ?..

— ვიბანავე, მაგრამ... —

— ერთი შეხედვით, ჰგავს ახლა ეს ბიჭი აბანოში ნამყოფს?!

— რა დაგემართა, მამაჩემო? რა საჭიროა სტუმრებთან ამაზე ლაპარაკი. აბანოში არ ეყოფილვარ, მაგრამ ამდენი ჯერ ჩემს სიცოცხლეში არ მიბანავია... წყალიდობის შესახებ არაფერი გავიგია?... დაგვიძახეს, ხალხი გადავარჩინეთ...

— ვინ ხალხი, ბიჭო? — ჰკითხა ნიკომ. — შენ ის მითხარი, წყალს რომ მაქსიმელს ზეზე ბავშვი მოუმწყვდევია, ვისი იყო, თუ იცო? გადაარჩინეს? შატბიას გაეცინა.

— ზიზიზიძის ბიჭი იყო, გურამი... გადაარჩინეს...

შატბიამ სტუმრებთან ბოდიში მოიხადა, სწრაფად შეტრიალდა და სახლისაკენ გაემართა.

უცხო ვაჟმა თვალი გააყოლა შატბიას, მერე დას მიუბრუნდა:

— მეგი, ერთი უცქირე, რა გამოსაქანდაკებელი ტანი აქვს!

— იშვიათი! — უმაღ დაემოწმა მეგი. რაც მამ თქვა, მეგიმ ის უფრო ადრე გაიფიქრა.

— თუ ასეა, მოქანდაკეები მე და ასმათი ეყოფილვართ! ნიკოს შენიშვნაზე სტუმრებსაც გაეცინათ.

— თქვენ რომ ბრძანეთ, კარგი გამოსაქანდაკებელი ტანი აქვსო, ეგ თვითონ ეძებს და ფიქრობს სხვები გამოაქანდაკოს!... მამა-მეშახტე... შვილი — მოქანდაკე... მითხარით, სად გაგონილა?!

— რატომაც არა, — ჩაერია მეგი საუბარში.

ის რახანია ელოდა ხელსაყრელ წამს, რათა ნიკოსათვის უფრო დაწვრილებით გამოეკითხა შატბიას მისწრაფების შესახებ.

— ნიკო ბიძია! — მომხიბლავად გაისმა მეგის ხმა, — თქვენს ვაჟს საშუალო სასწავლებელი თუ აქვს დამთავრებული?

— აგერ ახლა, სულ რამდენიმე დღის წინათ დამთავრა საშუალო სკოლა.

— ახლა, ისვენებს... ოცნებობს?

— ამ ორ თვეს შახტში იმუშავებს. ასე, ყოველ ზაფხულს, არდადეგებზე, ერთ-ორ თვეს წაიმუშავებდა ხოლმე, საშემოდგომოდ თავის გუნებაზე და გემოვნებაზე შეიმოსებოდა, ჯიბის ფულიც რჩებოდა... მოგესხენებათ, რა თავმომწონეა მაგაც ასაკში კაცი... კინოში კალიშვილის დასაპატიებელი ფული რომ არ ჰქონდეს, თავს მოიკლავს!

— საშემოდგომოდ რაღას აპირებს? — კვლავ ცნობისმოყვარეობით იკითხა მეგიმ, — თქვენ რომ ბრძანეთ, გატაცებულაო!

— გატაცებული რომ თქვას კაცმა, ცოტა იქნება... ნამეტანი ატაცებულია! როგორც წელიწადი მოგახსენებდით, აუჩემებია, გინდა თუ არა, მხატვარი უნდა გამოვიდეთ!.. იშოვის თუ არა დროს, — განაგრძო ნიკომ, — მოიტანს სახლში თიხის ერთ დიდ ნაჭერს, მერე რამდენია ამ ჩვენს მხარეში მაგ დალოცვილი... ზილავს და ზილავს, რაქველი მეთორნისავით თუ გიყურებიათ, სწორედ ისე, პურის ცომივით.

სტუმრები სიცილით შეუგებნენ ნიკოს სიტყვებს. ძველი მეშახტე უფრო გამხნედა, რახან, მისი შახტებით შატბიას საქმიანობა მეგის და სულელოს ნიცილადაც არა ჰყოფნიდათ.

— მერე, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ერთ ნაჭერს, ასე დაახლოვებით მუშტის ხელას, მოთმინებით აწებებს გარემო თიხის პატარა ნამცეცხვს, სანამ კვახის ოდენად არ გაზრდის. რომ ვუყურებ ხოლმე, რა მარჯვედ მუშაობს სწორედ იმ ხელებით, რომლებითაც სანგრევში სამაგრ ჩარჩოებს ამზადებს, მართალი მოგახსენო, ძალიან მიკვირს! კოვზის ტარივით გათლილი ზვის ბრტყელი ჯოხით ერთგან რომ აუქნევს და აათლის თიხას, უცებ მეორეგან დაავლესავს, დროდადრო იმ კვახივით გამოყვანილ თიხას ხელებს შემოაჟღობს და ცერებს ისე ამომძრავებს მის ზედაპირზე, თითქოს დასიებულ სახეზე ფელსა და რბილს სინჯავსო. მერე ისევ მოჰყვება ნამცეცხვით აჭრელებას, სანამ ცხვირს, თვალებს, ტუჩებს, სახის დანარჩენ ნაწილებს თავის ნებაზე არ გამოძერწავს. ახლა არ იკითხავთ, როგორ ამგვანებს, თუ თავიდანვე ვინმეს გამოსახვა დააპირა? ერთი ჩვენი მალაროელი, მენშევიკებმა რომ დახვრიტეს ოცდა ერთში, სურათიდან ისე გადაიღო, ისე დაამგვანა, კაცი გაოცდებოდა. მისი ქანდაკება თავისი სურვილით გააკეთა... მერე სხვებმაც სთხოვეს, მაგრამ ყველას არ უკეთებს, თუმცა... ფულიც კი შეაძლიეს. მაგის გულისთვის ზოგი კირისუფალი მეც დამემდურა, შენი შეილია, რომ გეთქვა, როგორ არ დაგიჯერებდაო. ის კი არ იცინა, რა ჯიუტია ამ საქმეში. თუ არ უნდა, რამდენიც გუნებოთ, ეხვეწით, მაინც არ გამოძერწავს. არ მალეღვებსო, გეტყვის! მიხვდი ახლა შენ, რანაირად უნდა ააღლეღოს მკვდარმა! — ნიკომ ისე, გადაიხარხარა, რომ ძნელი იყო, არ აპყოლოდით; მაგრამ სტუმრები სწორედ ახლა არ აპყენენ, ახლა არ დაუქი-

რეს მას მხარი, რამაც ძალიან გააცოცა და შეიძლება, ცოტა კიდევ გააწილა ძველი მემხატე.

— ნიკო ბიძია, სახლში არაფერი აქვს შემონახული შატბიას? — ცნობისმოყვარეობით იკითხა სულიკომ, — იქნებ გვაჩვენო მაგის რომელიმე ნამუშევარი.

— უეთესია, ისე ვნახოთ, მან არ შეიტყოს, — შენიშნა მეგიმ.

— ლელა, გოგო! შენს გაბარებას, თუ არ დაგეზარება...

ნიკოს სიტყვებზე ლელა წამოდგა.

— ხომ იცი, სადაც აწყვია შატბიას ნამუშევრები, გამოუტანე, აჩვენე სტუმრებს, ვიცინოთ! შატბიამ არ დაგინახოს... ახლა თუმცა კარგი ღრია, ტანს უნდა იბანდეს.

ნახევარი გზა ლელას უკვე გავლილი ჰქონდა, როცა ნიკომ მიიძახა:

— ქვის თავი რომ არის, ის მოგვიტანე!

— ქვაშიაც შეუძლია უკვე მუშაობა, გამოკვეთა? — კვლავ იკითხა სულიკომ.

— მაგას ახლა ვეღარც ქვა უდგება წინ, ვეღარც რკინა! ღმერთმა არ იცის მაგის თავი! ამ ბოლოს თიხასთან ერთად მოზრდილ, სულ სხვადასხვა ფერის ქვებსაც ეზიდება ხოლმე სახლში! მალე ალბათ მეზობლების სასაცილო შევიქნები!

— რასა ბრძანებთ, ვინ იკადრებს! — ბუჯითად წარმოთქვა მეგიმ, — ნიკო ბიძია, თქვენ რომ თქვით, აუჩემებიაო, აჩემებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, თუ ნამდვილად ამ საქმეში ნიჭი აქვს, ეს დიდი ამბავია, ხელი უნდა შეეუწყოს, წავაქეზოთ! მალაროელი თქვენს გვარში ბევრი გამოსულა, მხატვარი, ხელოვანი კი ალბათ არც ერთი...

— არ გამიგონია. აქამდე ასე იყო და...

— აღამიანის მუშაობა, — განაგრძო მეგიმ, — ხალხისთვისაც, თავისთვისაც მაშინ არის სასარგებლო და ნაყოფიერი, თუ მას აკეთებს, რაც ყველაზე მეტად უყვარს, რისი შექმნის უნარიც აქვს!

— ვიცი, ბიძია, მხატვარიც სჯობს, როცა, მაგრამ რაღა მაინცადამაინც... ჩემი შვილი. ღმერთმა იმ დღეს... ჩემ მუშაუწროს, რომ ჩვენი გვარისკაცის მარჯვენის ქება აღარ ისმოდეს...

— განა მოგვარებები არ გყავთ?!

— არიან მაგრამ... შატბიას ვინ გაუტოლდება?!

— თქვენი ვაჟი წარმოსადგვი და გონიერი ყმაწვილი ჩანს, რა თქმა უნდა, შახტში თუ იმუშავებდა, გვარს არ შეარცხენდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ხელოვნებაში უფრო გასახელოთ!

— საქმეც ეგ არის, ხელოვნებაში ი-ქ-ნ-ე-ბ გამოდგეს, აქ კი უკვე გამოჩვეულია, რომ გამოდგება!

— აი, ვნახოთ მაგის ნამუშევარი და... თუმცა ახლაც გარკვევით, გადამჭრით რისამე თქმა ძნელია, მაგრამ მაინც შეეტყობა...

— ნიკო ბიძია, რომ მოგვეწონოს, მაშინ რაღას იტყვით? — იკითხა მეგიმ.

— აჰ, არ გამიგიჟოთ შვილი, ღმერთმა ნუ ქნას! — მიუგო ნიკომ. — თუმცა რა... ეგ ბიჭი ისეა შეყვარებული მხატვრობაზე, რამდენიც უნდა უწუნოთ, მაინც თავისას არ დაიშლის.

მამა ვერც გაკვირვებას ფარავდა, ვერც წყენას, ყველაფერში გამგონე შვილი რომ მისი საყვარელი და სამამუო ხელობის გაგრძელებაზე უარის თქმას ბედავდა. ქართულ ანდაზას რომ არა — შვილი ჩემია, მაგრამ კჳუა თავისი აქვსო, შეიძლება მათი დავა კეთილად არ დასრულებულიყო, თუმცა დასრულებულად ნიკო ამ ამბავს ჯერ კიდევ არა სთვლიდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, ოღონდ, როგორმე შვილისათვის თავი დაეცლო.

რაც ნიკომ თამარელასადმი შატბიას ლაციც თვალი შეასწრო, მოხუცი მემხატის გულს ერთხელ კიდევ იღუმალ მოეფინა იმედის ნათელი; იფიქრა — ახლა კი დავაბამ ჩემს თავგასულ





ბიქსო, მეშახტეთა მოდგმისათვის ისე უჩვეულო საკმით რომ იყო გატაცებული და დღე-დღეზე თბილისს წასასვლელად ეშურებოდა, ერთი სული ჰქონდა, ვიდრე უმაღლესში საბუთებს შეიჭანდა. მამა უმაღლეს სასწავლებელში შესვლას არ უშლიდა, მაგრამ სულ იმის ყვედრებაში იყო, — თუ წახვალ ბარემ სამთოზე შედი, რად გინდა იმ ეშმაკის საქმეს რომ ჩასციებიხარ, თიხის ზელა რაში მოგნატრებიას! ნიკოს დარიგება შატბიასთვის სწორედ რომ მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავდა... ჰოდა, რაკი ერთხელ ნიკომ თვალი შეასწრო თამარელასადმი შატბიას ლაციცს, გული კვლავ მოეღბინა — კარგი საბელი ვიშოვეო, გაიფიქრა თავისთვის და იმ დღიდან თამარელას ჯერ შეუმჩნეველად, მერე კი ცხადად ფერება და გამოქომაგება დაუწყო. სხვის ქებაში, მეტადრე დაუშახტრებლად, სიტყვაძვირს თამარელასთვის ახლა აღარაფერი შურდა. თამარელას ნიკო ხშირად ადარებდა ბროწყელის ყვავილს და, რითაც კი შეეძლო, თავს ევლებოდა, ცდილობდა, სხვებში გამორჩეული ჰყოლოდა. გარეშე თვალს, რა თქმა უნდა, ასეთი რამ შეუმჩნეველი არა რჩება და ყველა დიქრობდა, ნიკო თამარელას უთუოდ თავის სარძლოდ სთვლისო. არც თამარელას ეთქმოდა ამაზე არაფერი, მასი გულის უსაზღვრო წადილიც სწორედ ეს იყო, თუ ნიკოს წვეულება რამ ჰქონდა, თამარელას ეშხით და პატივისცემით ზიზზიბაძის ოჯახსაც დიდინ-პატარიანად გადმოიპატიებდა ხოლმე. სუფრაზე თამარელას თელსაჩინო ადგილს უთმობდნენ. ამგვარ ყურადღებას მასპინძლები თამარელას სილამაზით ღსნიდნენ და ამართლებდნენ.

— რას იზამ ამ უამრავ ფოთლებში, — იტყოდა ხოლმე სიცილით ხიკო და სუფრაზე მსხდომთ გახედავდა, — თამარელა ბროწყელის ყვავილივით ჩანს და ძალაუვნებურად გიზიდავსო!

თამარელას უმალ მართლაც ბროწყელის ყვავილივით შემოენთებოდა კლდეებზე სიწითლე. მის ასე წამოწითლებას და დარცხვენას ისიც აძლიერებდა, რომ ნიკოს სიტყვებზე ერთბაშად ყველანი თამარელასაკენ იწყებდნენ ხოლმე ცქერას. საბრალო გოგონა გარეგნულად აწრიალებული, შინაგანად თავს ბედნიერად გრძნობდა. ნიკოსაც დროდადრო ვითომ მწყრალი, ნამდვილად კი ისეთი მადლიერის თვალით, შეაკცერდებოდა, რომ ძველ მეშახტეს ნოჰეებიანი სახე უმალ სიამით გაებადრეოდებოდა.

თამარელა, მართალია, გონიერი და დაკვირვებული ქალიშვილი იყო, მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდა, თუ ნიკოს ტკბილ საუბარს და საჯარო ზოტბას სულ სხვა სარჩული ედო, ვიდრე თვითონ ვარაუდობდა. ნიკოს ვარაუდით კი, თუ თამარელა შახტში მუშაობით დაინტერესდებოდა, შატბიაც, რაღა თქმა უნდა, იქაურობას აღარ მოშორდებოდა.

ხშირად, როცა თამარელა ნიკოს ოჯახში იმყოფებოდა, ჩვეულებრივ მოუცლელი უბნის უფროსი მისთვის დროს იოლად პოულობდა, დაჯდებოდა, ტკბილად გაესაუბრებოდა თამარელას, შემდეგ, თითქოს სიტყვამ მოიტანაო, მოჰყვებოდა მეშახტეთა სახიფათო, მაგრამ ვაჟკაცური, დაძაბული და მიმზიდველი ცხოვრების შესახებ სხვადასხვა სათავგადასავლო ამბავს. ერთხელ ძველმა მეშახტემ გახედა თავის ზეაშიაღზე შორიდან და გადაჯრულად ჩამოეგდო სიტყვა.

— თამარელა, რომ იცოდე, წუხელ რა დამესიზმრა. ერთი მითხარი, დასანანებელი არ არის, ის ამბავი სიზმარი იყოს და არა ცხადი?!

— მაინც, ნიკო ბიძია?  
 — რა და ვითომც შახტში მუშაობდი, შატბიას გვერდით...  
 — შატბიას გვერდით?! — სიცილით გაიმეორა თამარელამ ნიკოს სიტყვები.

— ვერც კი ავიწერ, რანაირად შე-  
სიაშოვნა!

— არ მივივრის, ნიკო ბიძია! იმაზე  
საყვარელი ადგილი ხომ არ არსე-  
ბობს...

ნიკომ ველარ მოითმინა:

— ხომ ასეა! შენს გამჩენს ვენაც-  
ვალუ!

— ნიკო ბიძია, არ მაცალე მეთქვა,  
ეს შენთვის არის ასე, სხვას კი შეიძ-  
ლება სხვა ადგილი უყვარდეს!

— ეს რა მესმის! — იყვირა ნიკომ,  
ისე მოულოდნელი იყო მისთვის თამა-  
რელას პასუხი.

— ნიკო ბიძია, ერთი ჰკითხეთ,  
მფრინავი თუ გაგიცვლით ცის ლაქ-  
ვარდს თქვენს ჯურღმულზე, ან მეზ-  
ღეუბრი ზღვისა და ოკეანის სივრ-  
ცეებს?

— არც აგრეა საქმე, ქალიშვილო!  
უნდა შეგიყვარდეს, და თუ შეგიყვარ-  
და, არ იცოდი აქამდე? სტახანოვი  
შახტში მუშაობის დაწყებამდე მეზ-  
ღეუბრი იყო. ერთი მითხარი, ვინ არის  
ახლა იმ კაცზე სახელოვანი?

— სახელოვანი ბევრია! — დინჯად  
შენიშნა თამარელამ, თან ისეთი თვა-  
ლებით შეხედა ძველ მეშახტეს, თით-  
ქოს პატიებას სთხოვს, სიტყვა რომ მო-  
გიტყვიო.

— მაგას ვინ ამბობს, სახელოვანი  
ჩვენს ქვეყანას ყველა საქმეში ბევრი  
ჰყავს, მაგრამ მეშახტე სტახანოვი მა-  
ინც სხვაა!

— რას მედავები, ნიკო ბიძია, ის  
ყველასათვის მაგალითია!

— ჰოდა, თუ ამდენი იცი, — ნიკომ  
უცებ ხელი აიჭინა პაერში, ისეე თავის  
სიზმარს დაუბრუნდა, — როცა გამო-  
მეღვიძა, ჩემს სიცოცხლეში პირველად  
დამწყვიტა გული თვალის გახელამ, ისე  
მომხიბლავი იყო ის სიზმარი.

— ნიკო ბიძია, — სიცილით შენიშ-  
ნა თამარელამ, — რამ დაგასიზმრათ ჩე-  
მი თავი, ისიც შახტში — უნდოდა ეთ-

ქვა, — შატბიასთან ერთადღო, მაგრამ  
სიტყვა, ენის წვერზე შეუტოვდა:

— რაეა, ითაკილებდეს!

— სათაკილო აქ არაფერია, მაგრამ...

— შენს გახარებას, გულახდილად  
მითხარი, — ახლა უკვე პირდაპირ შე-  
უტია ნიკომ, — რომ შემომეთავაზები-  
ნა, ჩემს უბანში არ იმუშაებდი?! რა  
საქმესაც ირჩევდი, იმაზე დაგაყე-  
ნებდი.

თამარელამ ნიკოს რომ შეხედა, არ  
ესიამოვნა; თუ აქამდე ხუმრობა ეგო-  
ნა, ახლა ცხადად ამოიკითხა მის იერ-  
ში, როგორის სიყვარულით, გულისხ-  
მით და მლეუარებით იყო ნათქვამი ის  
სიტყვები. თამარელამ მყის შუბლი შე-  
იკრა.

— არა, ნიკო ბიძია! მაგაზე სულაც  
არ მიფიქრია, მე სხვა გზით მივიღივარ!

ლელამ გაზეთში გახვეული ქანდაკე-  
ბა მოარბენინა და ნოხზე მსხდომთ წინ  
დაუდო.

მეგის სურვილი იყო, ეს ნაწარმოე-  
ბიც ისევე მომხიბლავი ყოფილიყო,  
როგორც მისი ავტორი; სულიყო ბევრს  
არაფერს მოელოდა და ამიტომ არც  
დიდ ინტერესს იჩენდა. მისი ყურად-  
ღება უფრო მასპინძლის პატივისცემით  
იყო გამოწვეული, ვიდრე ახალგაზრდა  
შემოქმედის ნაწარმოების ხილვის წა-  
დილით. ნიკოს ჯერ კიდევ ვერ გადაე-  
წყვიტა გუნებაში — რა ენატრა, მისი  
შვილის ნაწარმოები ექოთ, თუ ეძაგე-  
ბინათ. მართალია, გულით სურდა, შვი-  
ლი რომ მისი პროფესიის და მოწოდე-  
ბის გამგრძელებელი ყოფილიყო, მაგ-  
რამ ამავე დროს, თავმოყვარეობაც ნე-  
ბას არ აძლევდა, თუნდაც მისთვის ათ-  
ვალისწუნებულ საქმეში შატბია უნი-  
ჭოდ ეცნოთ.

ამასობაში სულიკომ ნამუშევარს გა-  
ზეთი შემოხსნა და ხელისგულზე დაბ-  
ჯენილი ბიუსტი მალა ასწია, ნელა  
შეაბრუნ-შემოაბრუნა. მეგობ უცებ  
ერთმანეთში თითებგადაკდობილი და  
დამუშტული ხელები ნიკაპთან მიებჯი-

ნა და ისე წამოიწია, თითქოს სულით და გულით მისივე ისწრაფვისო. თუ მეგი აღტაცებას ველარ ფარავდა, სულიცო, პირიქით, საოცარი თევდაჭერით სინჯავდა ბიუსტს; არც უკმაყოფილებას ამკლავებდა, არც უკმაყოფილებას; პაპიროსს პირის ხან მარჯვენა კუთხეში მოიგდებდა, ხან მარცხენაში. მუშტრის თვალთ აკვირდებოდა, სინჯავდა თამარელას პორტრეტს ხან ანფასში ხან პროფილში.

ამ ნამუშევრის ხილვით სტუმრებზე უფრო ნიკო იყო გაოცებული. ხეში გამოკვეთილ თამარელას პორტრეტს მოხუცი მემშატე პირველად ხედავდა.

ნიკო ახლა კი დარწმუნდა, რომ შატბიას თამარელა ნამდვილად ჰყვარებია. ჯერ ერთი, მისი პორტრეტი ასე მონდომებით და გატაცებით გამოუკვეთია, მეორეც, აქამდე ნიკოს ამ პორტრეტის არსებობის შესახებ არაფერი სმენია: ეტყობა, ამ ნამუშევარს შატბია საგულდაგულოდ უმალავდა მამას, რაბან ის თამარელასადმი კეთილად არ იყო განწყობილი.

თამარელა ამ პორტრეტის მიხედვით ისე მომხიბლავი და ლამაზი ჩანდა, ძალუნებურად ბადებდა მისი ნახვის წაღილს.

ნიკოს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, ვერ გაეგო, ვერ მიმხვდარიყო, რა იყო იმ ხეში ამდენი საჭვრეტი და საკირკიტო, მას ეგონა, შეხედვის უმალ ან სიცილს დააყრიდნენ შატბიას ნამუშევარს, ან, უკეთეს შემთხვევაში, თავაზიანობისათვის აშკარა დაციენვისაგან შეიძლება თავი შეეკავებინათ და ზოგადი შენიშვნით დაკმაყოფილებულიყვნენ. — ჯერჯერობით ძნელია რამის თქმა, ისე კი... არა უშავსო! მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა სულიცომ იქ მყოფთ თავისი აზრი აუწყა.

— ნიკო ბიძია, რაც გინდა უშალო, ვერ მოერევი, თავისას გაიტანს. ნი-

კია! — სულიცო თან ლამარავობდა, თან შატბიას ნამუშევარს სჭვრეტდა.

— დაეიჯერო? — წარმოთქვა წყნრად ნიკომ.

— თუ გინდათ, ნუ დაეიჯერებთ, — სიცილით შენიშნა სულიცომ, — მალე თვითონ დაგაჯერებთ!

ნიკო ერთხანს ჩაფიქრებული გამოიყურებოდა, დროდადრო ექვანარევი ღიმილით აღმაცერად გადახედავდა ხოლმე სულიცოს და მეგის; ეტყობოდა, რასაც ახალგაზრდები ეუბნებოდნენ, ჯერ კიდევ არა სჯეროდა, თანაც ასე ადვილად თავისი შეხედულებაც ვერ დაეთმო.

— ასე იცით ახალგაზრდებმა, — შენიშნა ბოლოს, — აიჩნებთ რასმე, წახვალთ ქალაქში და, აქ რომ თქვენ წინ ბუნება თავისი სიუხვით სუფრასავით არის გაშლილი, იქ მერე ტყემალიც კი მოგენატრებათ ხოლმე! — ნიკო ბიუსტს წაებოტინა, ლელასთვის რომ მიეწოდებინა, მაგრამ სულიცომ ხელით ანიშნა, ჯერ იყოსო.

— რა ეშმაკად მოგატანინე! — ისე გადახედა ნიკომ ლელას, თანაც ისე წარმოთქვა, თითქოს ხუმრობსო, ნამდვილად კი, გუნებაში, თავისთავს ნიშნს უგებდა, შატბიასათვის რაც ეწადა, საწინააღმდეგო რომ გამოუვიდა.

ლელამ გაზეთს კი წამოავლო ხელი, მაგრამ ბიუსტის წაღებას არა ჩქარობდა, გუნებაში ნატრობდა, იქნებ შატბიამ მოუსწროს და თავისი ყურით მოისმინოს ნიკოსაგან აბუჩად აგდებული ნაწარმოების ქებაო.

ნოზზე ფეხმორთხმული სტუმარმასპინძელი შატბიას ნამუშევრის გარშემო გამართულ სჯა-ბაასით იყო გართული, ხოლო შატბიას თავისი ტუალეტი ჯერ კიდევ არ დაესრულებინა, რომ ჭიშკართან ღობეზე მომდგარმა ეაქმა ხმამაღლა დაიძახა:

— მასპინძელო!

ნიკომ აუჩქარებლად გაიხედა ჭიშკრისაკენ და გასძახა:

— რომელი ხარ?

— კაკოა, ზიბზიბაძე, ნიკო ბიძია, — უჩრუხულა ლელამ.

— მერე, რა უცხო ეგ არის? — შენიშნა სიკომ, გუხებაში კი გაიფიქრა — „უცხოებს თუ მოჰკრა თვალი და იმიტომ გვერიდება“. — ზანტად წამოდგა, კიშკრისაქენ გაეშურა.

ლელამ გაზეთს ხელი წამოავლო, ბიუსტის შეხვევა დააპირა, მაგრამ მეგიმ არ დაანება.

— იყოს, — თქვა და მოშორებით, ნოხის კუთხეში დადგა იგი, მოკუტული თვალით გახედა. — სულიკო, რას იტყვი? მე ძალიან მომწონს! კაცს ეგონენება, ეს ნაწარმოები ადამიანის ხელს კი არ შეუქმნია, ასე დაბადებულაო!

— მთელი სილამაზე მაგის უბრალოებასა და ბუნებრიობაშია, — დაასვენა სულიკომ.

ლელა ყურს უგდებდა მათ საუბარს, თან დროდადრო კიშკრისაქენ იხედებოდა.

ნიკო და კაკო რამდენიმე წუთს ეპატიყებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ჯერ ვერც ერთს ვერ გადაეძლია. ნიკო ალბათ უარის ნიშნად იქნედა ხელს, ქუდსაც მალიმალ იხდიდა, თავს ოდნავ წინ ზრიდა, თითქოს კაკოს მადლობას უხდისო. კაკო მაინც ჯიუტად იხვეწებოდა, ხან მკერდზე დაიდებდა ხელს, ხანაც სულ მოიკუნტებოდა, ორ თითს კისერზე ხორხის ბორცვთან წაივლებდა და ნიკოს შესაბრალოსი თვალით შემოიკვიროდა, თვალდაჭყეტილი და კბილდაკრეჭილი. რახან ზიბზიბაძე აღარ ეშვებოდა, ნიკომ ის მკლავში ხელჩაველებული, დატყვევებულევით წამოიყვანა.

— ვინ არის ეგ ყმაწვილი? — იკითხა მეგიმ.

— შატბიას ამხანაგია, — მიუგო ლელამ, — შატში ერთად მუშაობენ.

— იცნობდეთ, — წარუდგინა ზიბზიბაძე ნიკომ სტუმრებს, — ბავშვის გადარჩენაც მიულოცეთ.

ხელის ჩამორთმევის დროს მეგიმ ოდნავ წამოიწია ადგილიდან.

ოოცა კაკომ სულიკოსაც ჩამოაჭრთვა ხელი, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, შორიახლოს გაჩერდა.

— ნიკო ბიძია, შატბია სად არის? — კაკომ შინაურული, თავისი კუთხის კილოთი იკითხა და ეზოში გაიხედ-გამოიხედა.

— არ ვიცი, ვერ გამოგია, გვემალება, თუ ამდენხანს გალამაზებას მოუნდა?! — უცებ კაკოს ახედა, — ბიჭო! შატბის აბანოში წყალი დღესაც ხან ცივი მოდიოდა ხან ცხელი, არა?

— დღეს რომ მაგან ცივ წყალში იბანავა...

— ჰო, რაღაცას ამბობდა.

— არ გაგვიათ? ჩვენი მდინარე ისე აღიღდა, რაც აქეთ, მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე ბოსტნები და ბაღებია, სულ მოღეშა. ბრაკულის, კიმოთეს და სირბილადის სახლებსაც კი თითქმის უწია. დიდი ამბავი და გაწამაწია იყო, ნიკო ბიძია! ზემო სოფლებიდან მოტაცებულ ზე-ტყეს ახლაც იჭერენ ჩანგლით ბიჭები!

— თუ წყალმა ბრაკულის სახლს უწია, მართლა კაიხელაზე მოდივებულა!

— უწიაო, ჯერ არ ითქმის, მაგრამ ბევრიც აღარ უკლია. სულ არ წაიღებდეს და...

— ეგ თუ წაიღო.. აქამდისაც წასაღები იყო ის ოჩოფეხებზე შესკუპებული ნალია.

— ერთი ბრაკულსაც ჰკითხე, ნიკო ბიძია, იმ ნალიას ალბათ შენს დარბაზშიაც არ გაცვლის..

— დამატება ხომ არ დამჭირდება?! — დამცინაეად შენიშნა ნიკომ და სახლს გახედა.

მეგი ცნობისმოყვარეობით უსმენდა ნიკოს, და ბრაკულის ყოველ ხსენებაზე ტუჩს მაგრად კუმავდა, რომ არ გასციენებოდა.

— ნიკო ბიძია, უნდა წამოხვიდეთ, — კვლავ განაახლა წელანდელი ხეწენა კა-

კომ, — თქვენი უარი ყელის გამოჭრა იქნება!

— მოდი, ჯერ აქ შემოვიძახოთ! ასეთი ეზო, სახლი და გადასახედი ახლო-მახლო კაცისშვილს არ მოეძებება!

აქამდე ნიკოს დაყოლიებდას რომ ცდილობდა, კაკო უცებ შეგისა და სულელოს მიუბრუნდა. — რა თქმა უნდა, მასპინძელს რომ ვეპატიეები, სტუმრები თავისთავად დაპატიეებულად ითვლებიან.

— სად გავიხილა, შე დალოცვილი შვილო, სტუმარი ჩემსას იყოს და შენ ეპატიეებოდე? ჯერ აქ მოსწყინდეთ ყოფნა და მერე ვნახოთ...

— ნიკო ბიძა, დღევანდელი დღე უპირველესად მე უნდა აღვნიშნო. ჩემს უფროს ბიჭს ექვსი წელი შეუსრულდა, ხიფათსაც შატბიამ გადაშიჩინა, ერთი მითხარი, ვის დავპატიეებ თუ არა ნიკო ბიძიას, მის ოჯახს და მის... სტუმრებს?..

მეგი მხოლოდ დროდარო ასწევდა თავს და დიდრონ თვალებს შეაფეთებდა ხოლმე კაკო ზიზზიბაძეს. ის კი მეგის ყოველ შემოხედვაზე, თითქოს მისი თვალების ნაპერწკალი ცეცხლს უკიდებდესო, თანდათან უფრო ცხარდებოდა და ჯიუტად უმტკიცებდა ნიკოს, რაც უნდა მოხდეს, დღეს თქვენი სტუმრებიანად უნდა გვეახლოთო.

— ქეფი კარგია, მაგრამ შენც იცი, სამაგისო დრო რომ არა მაქვს... სადაცა ღამის ცელის შეკრების დროც მოაწევს, როგორც საქმეს ვატყობ, დღეს ერთხელ კიდევ მომიხდება შახტში ჩასვლა! გარდა ამისა, სამთო სკოლელების განაწილების თაობაზე უნდა ვითათბიროთ ელიზბართან.

ამ დროს შატბიაც გამოჩნდა. მას ახლა შუი კოსტუმი ეცვა. პიკეს პერანგი ყელთან ერთ ღილზე ქონდა შეხსნილი.

მეგის ვერ წარმოედგინა, თუ ასე გამოწყობილ ვაქვს რუსთაველის პროს-

პექტისა და ოპერის კულუარებს გარდა სადმე შეხედებოდა; მით უპეტეს აქ, მუშახტეთა ქალაქში, სადაც მრგვს მზროთ, კაცს გემოვნებად ჩინო-შქონდესს ჩაცმისათვის მაინც არა სცალია.

მეგი წამოდგა, შატბიას მომიხიბლავი ცბიერებით გაუღიმა.

შატბიას ახლა მეგის ასეთი ყურადღების შემდეგ თამამად ევირა თავი,

შატბიამ თვალი მოჭკრა თუ არა თავის ნაწარმოებს, გაოცდა, ერთი წამით ის სილაღე და სითამამეც წაუხდა, ასე რომ შეეწოდა. ვერ მიხვდაროყო, როგორ გაჩნდა აქ თამარელას ბიუსტი.

შატბია უცებ სწვდა თავის ნამუშევარს, გაზეთი ლელას გამოსტაცა ხელიდან, რომელიც თითქოს ეშველებოდა ხლა მას და თანაც თვალებით ეუბნებოდა — ჩემი ბრალი არ არისო. შატბიამ გახვია ბიუსტი გაზეთში და სახლისაკენ გაეშურა.

მეგი ლელას მიუბრუნდა, მკლავში ხელი გამოსდო და გადასახედისაკენ წაიყვანა. ნიკო არაბიძის ეზო სწორედ გორაკის თავში, მცირე ვაკეზე იყო გაშლილი და ახლოდან თუ მისი ასწლოვანი ხეები და ხეხილი თვალს ხიბლავდა, შორიდან კიდევ უფრო წარმატაცი სანახავი იყო აქაურობა.

მეგობრულად ხელის მოხვევამ ლელა უცებ მოხიბლა. ის ახლა პატარა ბავშვივით თავს კმაყოფილად, ბედნიერად გრძნობდა ასე, შინაურულად რომ ებასებოდა უცხო ქალიშვილი და მოჯადოვებულივით ყურს უგდებდა მის ხმას. შეკითხვებზე ლელა მოკლედ პასუხობდა, იმიტომაც რომ ლელავდა და, სიტყვის გამოთქმა უჭირდა, იმიტომაც რომ სტუმარს უფრო მეტი ელაპარაკა. მაგრამ ეს სიამოვნება დიდხანს არ გაგრძელებულა ლელასათვის. მოულოდნელად შატბია კვლავ მეგის გვერდით გაჩნდა. მეგიმ ახლა შატბიას გამოსდო მკლავში ხელი, ლელასაც ანიშნა—მეორე მხრიდან ამოსდგომოდა მხარში

შატბიას და სამივენი მოსაუბრე მამაკაცთა ჯგუფისაკენ გაემართნენ.

კაკო და ნიკო ერთმანეთში უკვე შორიგებულებულნი. ნიკოს დაეთმო. ჯერი მეტი იყო.

— გეწვევით, მხოლოდ... ცოტა გვიან, — თავაზიანად უთხრა მეგობრებს, — ბაძეს და თავიც ისე დინჯად და კობ-

ტად დაუყრა, თითქოს ამით თავის ნათქვამსა და ადასტურებს და მასპინძელსაც წინასწარ მადლობას უხდის.

მეგის არასოდეს იმდენ ხანს არ დასჭირებია სარკის წინ ტრიალი, როგორც დღეს, ზიზზიბაძესთან სტუმრად წვევის წინ, დასჭირდა. ვინ იფიქრებდა, რომ თამარელა იყო ამისი მიზეზი.

(გაგრძელება იქნება)

# ლექსები

## ჩემს პირველ სიზმარულს



ნულარ მიწვევებ საწამლავს გულში,  
ტრფობის სიმღერას ნულარ მიმღერი,  
ახალგაზრდობა არ მახსოვს ჩემი,  
თუმცა ჯერ კიდევ არ ვარ ხნიერი.  
მე მძულს ყოველი დიდხანია,  
რაც შენთვის მსხვერპლად მომიტანია.

გადავიწყე მონას რომ ვგავდი,  
შენი უბრალო ღიმილს მნატურელი,  
შენს ერთ უბრალო გამოხედვაზე,  
რომ მიდგებოდა თვალში ნათელი.  
ქვეყნად არ მქონდა არავის რადი  
გიყვით გრძნობებს ტალახში ვსვრიდი.

ნუ გაიხსენებ იმ სისულელეს,  
მკერდია უკვე გაცივებულო,  
გულში სიყვარულს კვლავ ველარ  
აღძრავ,

რადგან სავსეა დარდით ეს გული.  
შენ საყვირველი ტკბილი ხმით მღერი,  
მაგრამ მღერიან უკეთ ჩიტები...

გესმის? — გულს მიკლავს ღარიბია  
კენესა

და როგორ ვიყო მე დამქვიდები...  
დაჭრილ გულს უნდა იქ იყოს მარად,  
სადაც შებრძოლთა სისხლი სდის  
ღვარად.

თავი ანებე ტკბილი სიტყვის შხამს,  
მეხი ჰქუხს ქვეყნის შემარყველი,  
ყური მიუგდე ახალ სიმღერას,  
კენესით და ოხვრით მღერის

ტყე-ველი.

მასში სევდა და ვება მწველი,  
ახალთან ერთად გაისმის ძველიც.

მიმღერე კარგო, დარდზე მიმღერე,  
მიმღერე მოთქმით, ნაღვლით ამავეც.  
მა მას როგორ კლავს. ვით იღუპება  
ახალგაზრდობა და სილამაზე.  
მიმღერე ქერივი როგორ ღონდება,  
ცას როგორ სწვდება ობლის გოდება.

მიმღერე, ან ხმას სულ ნუ გაიღებ,  
გულთან ტკბილ ჰანგებს რა უნდა  
ხუნდად?  
გულს გასაფრენად გააქვს ფართქალი,

გულს სწორედ იქით გაფრენა უნდა,  
სადაც ხმა ისმის განწირულების  
და ეცემიან განგმირულები.

იქ ქარიშხალი ხის ტოტებს ლეწავს,  
რომ გვირგვინებად დაწნას ტოტები,  
იქ ნაპირწყლები პირდაღებულნი  
ცეცხლს ახველებენ გაბოროტებით.  
იქ სიკვდილს მოაქვს ღიმილი ტკბილი  
და საუკუნო ლოგინი ღბილი.

მაგრამ ის ჰანგი მე ვინ მიმღეროს,  
გზნებით რომ ჰგოდებს ხალხის  
გასაჰირს,

ბრძოლის სიმღერა, რომლის  
გვერდითაც

ტრფობის სიმღერა ჩალად არა ღირს!  
არაფინ? გული არ გამიტყდება.

მე თვით ვიმღერებ ბრძოლის დიდებას.

ბულგარეთის უდიდესი პოეტი ხრისტო ბოტევი ამავე დროს არის ბულგარელი ხალხის ეროვნული გმირიც. იგი გმირულად დაეცა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი შესანიშნავი პოეზია უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ბულგარულ ხალხში. ხრისტო ბოტევის ლექსები ქართულად თარგმნეს პოეტმა გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეებმა. ჯაჭვეუნებთ თარგმანის ნიმუშებს.

## დედაჩემს



ბარონესული  
ბიბლიოთეკა

★

დედავ მე შენი სიძღერის სევდა,  
არ მშორდებოდა სამ წელს თან  
მსდევდა.

წუხდი, რომ ბედი მოხეტიალის  
არ მშორდებოდა ოხერტიალი.  
ჩემგან შენ წყენა არ გახსოვს წამით,  
არ გამოფლანგავს ქონება მამის.  
მაშ, შავბედს რატომ არ აქვს დანდობა,  
რად ტკნება ჩემი ახალგაზრდობა.  
ჩემ ტოლებს შორის არავენ არი  
ჩემსავით მუდამ გაუცინარი.  
და არ მოუვათ ჩემს ტოლებს აზრად,  
რომ ჩემი გული ზამთარმა დაზრა.  
მათ შორის არეინ მყავს ახლობელი,  
რომ საიდუმლო ვუთხრა ყოველი.  
მარტო, სულ მარტო დავრჩი ამგვარად  
ოცნებისა და ფიქრის ამარა.

და ჩემს უბედურ სიკაბუჯეში  
მხოლოდ შენ ერთი შერამი ნუგეში.  
მაგრამ დაეკარგე უფლება, ვბედავ,  
რომ ძველებურად მიყვარდე დედავ.  
დიღხანს ვეცადე, მსურდა ბოლომდის,  
რომ ბედნიერი დედა მყოლოდი.  
არაფერს ვთვლიდი ამისთვის ძნელად,  
მაგრამ დავმარხე ოცნება ყველა.  
და ახლა მხოლოდ ერთ ლოცვას  
ვბედავ  
კვლავ გნახო, მკერდში ჩაგიკრა დედავ  
რომ მხოლოდ შენ ერთს გაგანდო,  
შენა,

დაღლა. წამება და გულის ტკენა  
და-ძმის და მამის მოხვევაც მინდა,  
ახლა მათდამიც გული მაქვს წმინდა  
და მეტე თუნდაც გაიცედე გული,  
მიწაში ჩავალ დამწვიდებელი.

## ძმისადმი

★

ირგვლივ შტერთა მთელი წყება,  
კმაყოფილი, თავგასული...  
სულში ცეცხლი შეკიდება,  
ტკივილისგან კენესის გული.  
ვარ მამულის ტრფობის მცველი,  
ქვეყნად ვისმეს თუ ვემდური —  
მძულს ძლიერი ჭკუათხელი  
და მიტომ ვარ უბედური.  
შავფიქრებში ჯვარზე ვაცვი  
სულა ვწვალობ ამის გამო.  
ნეტავ თუა ქვეყნად კაცი,  
რომ ტკივილი დამიამოს.

არეინ არი ღირსეული,  
მე სიხარულს ვბოვებ ვერსად,  
და შმაგივით მიცემს გული,  
როცა მესმის ხალხის კენესა.  
მინდა ხალხის საფლავს ცხელი  
ცრემლი ჩუმად დაეყარო,  
მთელს ქვეყანას ფარავს ბნელი,  
მე რამ უნდა გამახაროს?  
ყველა ცრუა, ვის გავენდო?  
მცირე შუქიც არსად კვესავს.  
ვაი, თურმე დიდო ღმერთო,  
შენც არ გესმის ხალხის კენესა.

## ძმური განაწილება

★

მე და შენ მართლა ძმებივითა ვართ,  
გრძნობა ერთი გვაქვს, აზრი საერთო,  
ჩვენ არაფერი გავგახსენდება,  
რომ სირცხვილისგან სახე აენთოს.

ჩვენი ცხოვრების ავის და კარგის  
მსაჯული იყოს შთამომავალი,  
მაშ წინ გავსწითო, მხარდამხარ,  
მედგრად,  
ამ გზაზე გველის ტანჯვა მრავალი.



ვიართ აქაც, უცხო მხარეშიც,  
 არა უშფოთვლად და უზიანოდ,  
 და განსაცდელი მოსალოდნელი  
 კვლავაც ერთმანეთს გაუფიაროთ.

ზიარი იყოს მწარე ყვედრებაც,  
 დაცინვაც, გული რომ იწამლებაც,  
 და უდრტვინველად ვიართოთ სულ წინ,  
 რომ უკან დაგვრჩეს ყველა წამება.

ენება-სურვილებს ქედს არ მოუფიქროთ,  
 კერპს მიეხალოთ: გზიდან მაცდურთ!  
 ჩვენი მართალი, წრფელი გზაა —  
 ჩვენს ორ ნაღვლიან ქნარში ჩაეწერთ.

მაშ წინ, ბოლომდე ნაშუსიანად,  
 ფიქრით და გრძნობით ძმად  
 მინდობილო,  
 დაე აღსრულდეს პირობა ჩვენი —  
 'იკვდილსაც ერთად შევხვდეთ  
 ძმობილო.

ჰაჯი ღიმიტრი



ის ცოცხალია, წევს ბალკანებთან,  
 კენესის, ელევა ძალა გმირული,  
 ვინც სამშობლოს მტრებს

აკანკალებდა,  
 წევს ჭრილობებით მთლად  
 დაცხრილული.

მხარმარჯვნივ გდია გამტყდარი ხმალი,  
 თოფიც აღარ აქვს ხელს დაბლუჯული,  
 სისხლს დაუნისლავს არწივის თვალი  
 და ტუჩებს წყდება წყევლა

ჩურჩულით.  
 წევს გმირთაგმირი, ცხოველმყოფელი.  
 მზე სხივებს ისვრის ოქროს ფიწლებად,  
 ისმის სიმღერა, პურს მკის სოფელი  
 და სისხლისაგან გმირი იცლება.

მონები მკიან, და მკიან ოდეს,  
 მღერიან, ვაი მონობის მხარეს,  
 მზევ დააცხუნე,  
 ის გმირი მოკვდეს,  
 მაგრამ რად ვამბობ ამ სიტყვებს  
 მწარეს?!

ვინც შეეწირა თავისუფლებას,  
 არ კვდება,  
 ტყუილს ამბობს მტარვალი,  
 გმირს იგლოვს მიწაც,  
 ცაში ღრუბლებიც,  
 და ლექსად აქცევს შთამომავალი.  
 დღისით იფარავს ფრთები არწივის,  
 ღამით ულოკავს მგელი იარას,

და შევარდენი ერთგულ კაცივით,  
 გვერდთ უდგას ჭირშიც თანაზიარად.  
 გვიან, შუქი რომ იფრქვევა მთვარის  
 და იტრიცება ღამით უკუნი,  
 ბნელბალკანების ტყეში ჰქრის ქარი,  
 ისმის სიმღერა ჰაიდუკური.

და ასეულები სამოსით თეთრით.  
 ულამაზესნი, ბნელით მოსულნი,  
 ჩამოსხდებიან გმირთ გმირის გვერდით  
 და უმღერიან ხმით ჯადოსნურით  
 ერთი აპკურებს ცივ წყალს მუდართთ,  
 მეორე მკურნავ ბალახებს ურჩევს,  
 მესამე კიდევ, ვით საკუთარი  
 ღვიძლი და ჰკოცნის მის გამხმარ  
 ტუჩებს.

დაო, ყარაჯა მითხარ სად არის,  
 ჩემი სად არის დღეს რაზმეული,  
 ვერ შეაშინებს ჩემს სულს აედარი,  
 თუნდაც აქ დალბეს ჩემი სხეული.  
 გადაეხვივნენ, შემოაქრეს ტაში,  
 და ფრთა გაშალეს მაღლა ათასი,  
 ნაზი სიმღერით დაფრენენ ცაში,  
 რომ ნახონ სული ყარაჯატასი.  
 მაგრამ თენდება და ქრება ბნელი...  
 და გმირი ისევ სისხლს კარგავს უღევს  
 ურიცხვ ჭრილობებს ულოკავს მგელი  
 და მცხუნვარე მზე უშანთავს  
 წყლულებს.

## გამოსალმება



ნუ სტირი დედავ, ნუ ივალალებ,  
რომ ჰაიდუკი ვავხდი ძვირფასო,  
ჰაიდუკი ვარ, მემამოხე ვარ,  
მარტო დაგტოვე საბრალო დედავ  
და დარდი გაზრჩობს შენი პირმშოსი.  
დასწყევლე დედავ, მწარედ დასწყევლე  
თურქთა მხეცობა და ბოროტება,  
ახალგაზრდებს რომ ერეკებიან  
მშობელ ქვეყნიდან უცხო მხარეში.  
მათ უნდათ ჩაგვეკლან შორს,  
ხეტიალში,

უბედურნი და მიუსაფარნი.  
დედილო, მე შენ, ჯერ ახალგაზრდა  
დასალუბავად არ გემეტები,  
თუმცა ვინ იცის, ხვალ დუნაიზე  
გადასვლას იქნებ ვეღარც გადავჩნე,  
მაგრამ რას იზამ, მშობელო ჩემო,  
მე ხომ ეს გული შენგან გამოიყვია —  
გული გმირული და ვაჟკაცური,  
გული, რომელსაც არ შეუძლია  
უქციროს მშვიდად და არხეინად  
თურქ ყაჩაღთაგან იმ ქვეყნის თელავს,  
სადაც შენ ძუძუ მაწოვე ტკბილი,  
სადაც პირველად მორცხვი ღიმილით,  
ნაზი ღიმილით შემხედა სატრფომ  
უძვირფასესმა გულის რჩეულმა.  
და გამოხედვა მისი თვალების  
დამკვიდრდა გულში სამარდისოდ;  
სადავ მამაჩემს და ჩემს ძმებს ახლა  
შენსავით ჩემი ბედი აღარდებთ,  
ო ჩემო დედავ, ვაჟკაცის დედავ,  
შემინდე, უნდა გამოგესალმო,  
მე ახლა ხელში ვიღებ იარაღს  
და მივიჩქარი ხალხის ძახილზე,  
რომ ურჯულო მტერს შეეება რისხვით  
და ხმლით მივაგო სამაგიერო  
დედმამისათვის, ჩემი ძმებისთვის,  
ყველაფრისათვის, რაც საყვარელი  
და უწმინდესი კაცს გააჩნია.  
დედილო, როცა ტყვიების სტვენის  
ხმას გაიგონებ და მეომრები  
შენი სახლის წინ გზად გაივლიან,

მათ შეეგებე ხელებგაშლილი  
და ჰკითხე შენი პირმშო სადარი.  
თუ გითხრან: შენი შვილი შორს,  
სადაც  
ცხარე ბრძოლაში ტყვიამ მოჰკლავ,  
ნუ ატირდები ძვირფასო დედავ,  
ნურც ყურს ათხოვებ მას, ვინც  
დაასკვნის:  
„შვილი არ იყო დედის ღირსიო!“  
შეატყობინე მწუხარებ შენს სახლს,  
შეატყობინე ჩემს უმცროს დეიძლ  
ძმებს,

იცოდნენ ძმებმა, არ დაივიწყონ  
რომ კიდევ ჰყავდათ მათ ძმა უფროსი,  
რომელიც ომში დაეცა, რადგან  
ვერ შესძლო ხალხის ტანჯვის ყურება,  
ვერ შესძლო ქედის მოხრა საბრალომ  
გათავებებულ თურქთა წინაშე.  
უამბე ჩემს ძმებს, დაე ბიჭებმა,  
შენგან შეიტყონ ჩემი ამბავი.  
დაე ეძებონ ჩემი სხეული  
მალალი მთების ბნელ კიუხებში.  
სისხლი კი ჩემი მიწას გააღებობს  
და იქ ეძებონ, მშობელ მიწაში,  
თუ ჩემი თოფიც სადმე იპოვნონ,  
ჩემი ერთგული თოფი და ხმალი,  
როგორც კი გზაზე მტერი შემოხვდეთ,  
იმ თოფის ტყვიით მას მიგესალმონ  
და იმ ხმალითვე მიუალერსონ.  
მაგრამ თუ დედავ არ შეგიძლია  
ჩემს ძმებს გადასცე ეს სათხოვარი,  
ეს ამისრულე ერთი მუდარა:  
როცა სოფელში შებინდებისას  
თავს მოიყრიან ქალიშვილები  
და ჩააბამენ მხიარულ ფერხულს,  
იქ აღბათ მოვა ტოლებთან ერთად  
ჩემი ოცნებაც, სატრფო გულისა.  
მაშინ იქ მიდი უთუოდ დედავ  
და ჩემი ძმებიც თან მიიყვანე,  
რომ მოისმინოთ ჩემზე სიმღერა,  
თუ სად და როგორ მოგვეკვი  
გმირულად,

ვით შევხვდი სიკვდილს,  
 ან ჩემს მამაც რაზმს  
 განშორებისას რა დავუბარე.  
 დედავ, მწუხარე სახით შეხედავ  
 ქალიშვილების ფერხულს უღარდელს  
 და შენი თვალი შეხვდება წამით  
 ჩემი ლამაზი სატრფოს შავთვალეებს  
 და ორი გული — შენი და მისი —  
 გულები ჩემთვის უძვირფასესი  
 ჩემზე მწუხარედ ამოიხრებებს  
 და დაეცემა ცრემლები ცხელი  
 მკერდს მოხუცსა და მკერდს  
 დეე თვით ნახონ ეს ჩემმა ძმებმა.  
 დედავ და როცა დაიზრდებიან  
 ჩემი უმცროსი პატარა ძმები  
 დაადგებიან ჩემს გზას ისინიც,  
 მათ სიყვარული ეცოდინებათ  
 ისე ძლიერად, ვით სიძულელი.  
 მაგრამ თუ დედავ ტყვიით უვნები  
 მე დავბრუნდები სოფლად ცოცხალი,  
 თუ ხელთ მექნება საბრძოლო დროშა  
 და მომყვებიან თან რაზმელები,  
 მოვალ ქედზე ლომგამოხატული,  
 მხარს დამიმშვენიებს ჩემი სიათა,  
 გვერდს მოღუნული ხმალი გველივით.  
 მაშინ, ო მაშინ ძვირფასო დედავ  
 და სატრფოვ ქვეყნად უსაყვარლესო,  
 ბლომად დაკრიფეთ ბაღში ვარდები,

სურო და მწუხანეც არ დაივიწყოთ,  
 რომ მორთოთ ჩვენი თორღ-ნაზინდო  
 და გვირგვინებით შეგვიკეთოთ თიხვი.  
 შენ მოხვალ დედავ თაიგულებით  
 ჩემთან და შუბლზე მაკოცებ პირმშოს  
 და გამაგონებ შენს მშვენიერ ხმას.  
 შენს აზრიანსა და ნათელ სიტყვებს —  
 თავისუფლების, გამირობის ქებას.  
 მორცხვ სატრფოს მაშინ ხელს

მოვხვევ მხარზე,

იმ ხელს, რომლითაც  
 მტრების სისხლს ვღვრიდი,  
 და მკერდს მივიკრავ, რომ მოისმინოს,  
 როგორ სწრაფად სცემს ვაჟაკის

გული.

მის ქეიფის კონის ხმით გავაყრუებ  
 და ძვირფას ცრემლებს ტუჩებით

აეკრეფ-

მაშინ... მაგრამ ეხ... მშვიდობით

კარგო,

არ დამივიწყო, გახსოვდე მარად.  
 ისევ დაადგა გზას ჩვენი რაზმი,  
 სახიფათო და სასახელო გზას.  
 იქნება მოკვედე ცხარე ბრძოლაში,  
 მაგრამ მე ჯილდოდ ისიც მეყოფა,  
 რომ ჩემზე იტყვის ოდესმე ხალხი:  
 „გმირულად მოკვდა, თავი შესწირა  
 სიმართლესა და თავისუფლებას!“

თარგმანა ზარიზოლ აბაშიძემ

### მასილი ლემსკის სიკვდილით დასჯა



სამშობლოს მთებო, ცავ ნისლიანო!  
 რას, რასა სტირით დაუფარავად?  
 ყორანო შავო, ფრთასისხლიანო  
 ვის საფლავს დაჰყევ

გულშემზარავედ?

ო, ვიცი ვიცი რისთვისაც სტირი:  
 შენ გდიხარ მონად მტარვალის წინა,  
 შენი ხმა არის მხოლოდ ხმა მწირის  
 მღალადებლისა უღაბნოს შინა.

ო, ბულგარეთო, ვიცი რად სტირი:  
 შენს დედაქალაქ სოფიის ბოლოს

დაჰკიდეს თოკზე შენი ძე გმირი...  
 იტირე კვლავაც სულო ობოლო.

შავი ყორანი ჰყევს გახელებით,  
 მგლების ყმული ველებს ეღება,  
 ბავშვთა კენესა და ქალთა ცრემლები  
 ჰფარავს მოხუცთა ლოცვა-ვედრებას.

ზამთარი მღერის თავის ცივ ჰანგებს,  
 აბნელებს მიწას ღრუბელი მალლით,  
 წვიმა და ცრემლი შენს სხეულს

ანგრევს

და შენს გულს აცსებს შხამით და  
 ნაღვლით.

## ბ რ ძ ო ლ ა



თბილისის  
გერმანიის

მიდის ყმაწვილქალობა ტყვეობაში ნაღველში,  
სისხლი დამძაღებულა ათრთოლებულ ძარღვეებში,  
ირგვლივ მეფობს სიბნელე შავი, გულის მდაგველი  
და არც იგი ზეალ ან ზეგ არ მოხდება, რა გელის:  
მწარე ხსოვნა მრისხანე არ წაშლილა აქამდე  
მას ზშირხშირად, დროდადრო მოგონება აღანთებს.  
გულში რწმენა არ არის, არც იმედის ნასახი,  
რომ გონების მთურგენელი გატყდეს ძილი ნაძრახი,  
აღსდგეს კაცი; გათავდეს წამება და კირთება...  
გონიერი ჩვენს დროში უგუნურად ითვლება,  
უგუნური აღზევდა გონიერთა თავებზე  
„მდიდარია“ ამბობენ მაგრამ არეინ დაეძებს  
ეს სიმდიდრე რაოდენ ობლის ძელებზე აშენდა,  
რამდენს ტყავი გააძრო თვით რომ ფარჩით დამშვენდა,  
რამდენ ლოცვით საყდარში ღმერთის გული იყიდა  
ფიცით, ლიქნით, სიცრუით, თვალთმაქცური სიტყვითა.  
და თუმც იგი მწამებლად არის ქვეყნად გამხდარი  
აქებს ხელისუფლება, მაინც აქებს საყდარი.  
მდაბიურად ქედს უხდის მხეცი მასწავლებელი,  
ხალხში შავი სიცრუის ურცხვად მქადაგებელი,  
რომ ღვთის შიში — ეს არის ყოველ სიბრძნის სათავე,  
ყოველ კაცის ბედობლის ღმერთს უბყრია სადავე;  
აი წმინდა სიცრუის სიმდიდრე და ქონება:  
დააბნელონ, დაახშონ ქვეყნად კაცთა გონება.  
საუკუნოდ აქციონ ბოროტ-გაყრილ მონებად.  
მეფეთმეფე სოლომონ გარყვნილი და ავსული  
უხსოვარი დროიდან სამოთხეში წასული  
იჯდა წმინდა მამებთან, იჯდა ენას ლესავდა,  
იმ ქვეყნიდან ამ ქვეყნად უგუნურებას სთესავდა  
და აქამდე ქვეყანა იმეორებს ყაყანიო:  
„გეშინოდეთ ღმერთისა, მეფეს ეცით თავყანი“.  
წმინდა სისულელეა! ამ სიბრძნის მონებას  
ათას წლების მანძილზე სინდისი და გონება  
დაუნდობლად ებრძოდა, მაგრამ რას გახდებოდა,  
წამებაში, ტანჯვაში უსახელოდ კვდებოდა.  
რაღა უნდა გაეწყო, რაღა უნდა ელონა  
მძიმე უღლის ტარებას შეეგუა ქვეყანა;  
პატრისა სცემს სიცრუეს, ტირანების შეფობას.  
ხელს ულოკავს მტარვალებს, ურცხვად ლაფში ეფლობა,  
მშვიდად ისმენს სიცრუეს, სჯერა მისი სიმართლე.  
მამ, იყუჩე, იყუჩე ბოროტების წინაშე!  
დე ტყავს ცხრათად გაძრობდეს ბოროტების ხელები,



გესეოდნენ მხეცები, სისხლსა გწოვდნენ გველები.  
 მხოლოდ გქონდეს იმედი ღვთისა და იმ სოფლისა  
 იმეორე: „მოჰხედე ღმერთო სულსა ცოდვილსა“,  
 ვისაც ღმერთი დასცქერის მოწყალების თვალთა  
 მას სჯის კიდევ უფალი უფრო მეტის ძალითა!  
 ასე მიდის ცხოვრება. სიცრუე და მონობა.  
 ბოროტება, სიბილწე, ლიქნი და უგონობა  
 კაცთა მოდგმას ბრძანებლობს, აზრთა უმოძრაობას  
 და მიჰყვება ამრიგად თაობიდან თაობას.  
 და ამ სამფლობელოში, ამ სისხლიან მორევში,  
 გარყვნილების ბუნაგში და ცრემლების ტბორებში,  
 მწუხარების მხარეში თითქოს ცა იწმინდება,  
 ბრძოლის ცეცხლი ინთება, ბრძოლის ცეცხლი ინთება.  
 სჭედავს ტანჯვის დასასრულს ხალხი ბორკილგაყარილი,  
 ჩვენც შევძახოთ ერთბიარად: „აღსდექ, შეიბ მახვილი“.

ჰაიდუშები



შენ სალამურზე დაუჯარ ბაბუ,  
 მე ტკბილ სიმღერას დავძახებ ზედა,  
 ჰაიდუების გმირულ სიმღერას,  
 ძველ, სახელოვან ვოევოდებზე —  
 კვლავ გაგახსენებ ჩავდარს მრისხანეს,  
 ჩავდარს უშიშარს, გმირ მეომარსა,  
 პეტკა სტრამნიკის დიდებულ შვილსა.  
 დეე, ესოდეთ ქალთა და ვაჟთა  
 როს მოიყრიან სათემოს თავსა,  
 ვაკეცნი ბუობად რომ დასხდებიან,  
 ან ტრაქტირებში შეიყრებიან,  
 ესოდეთ: როგორ გმირებს ჰბადებდა,  
 რა თავდადებულ რაინდებს ზრდიდა  
 თვით გმირი დედა ბულგარეთისა.  
 ესოდეთ როგორ გმირებს ჰბადებდა,  
 ჰბადებდა, ზრდიდა და ჰბადებს დღესაც  
 ჩვენი ლამაზი სამშობლოს მიწა.

ო, ტკბილო ბაბუ! მომწყინდა ძლიერ  
 მე სატრფიალო ჰანგების სმენა,  
 უბედობაზე მწარე სიმღერა,  
 მწარე სიმღერა არისმქონეთა.  
 საკუთარ ჭირზე ჩუმი ღიღინი,  
 ჭირზე რაც თავზე გადაგვხდომია.  
 შენ აამღერე ეგ სალამური,  
 მე ხომ გული მაქვს გაუტეხელი  
 და მოგუგუნე ხმა მაქვს, ზარივით,  
 თუ აქ არავინ არ გაიგონებს

ჩემი სიმღერა შორს გაფრინდება,  
 გადუვლის ველებს, მშობელ  
 მთაგორებს,  
 ამ ჩემს სიმღერას იგრძნობენ ტყენი  
 და მთაგორები გულს გაღიხნიან.  
 მაშინ გაქრება ჩემი ნაღველი,  
 ამოდულდება გულიდან სევდა;  
 დაე, იღარდოს ვისაც სურს დარდი,  
 ვინც ქედის მოხრას დაჩვეულია,  
 გმირი წამებას არ ითმენს, არა,  
 მეც მიტომ მწამდა და დღესაც მჯერა,  
 რომ ბედნიერი ის არის მხოლოდ  
 ვინც მტანჯველს უხდის სამაგიეროს,  
 კეთილს ჰპასუხობს გულით კეთილით,  
 მტერს დანას ჩასცემს ღვარძლიან  
 გულში,  
 მე ეს სიმღერა ვიმღერო მინდა.

ვის არ გაუგონია  
 გმირ ჩავდარის სახელი?  
 მღიღარსა თუ მოხელეს,  
 ან თურქეთის ჯალათებს.  
 მთაში წასულ მეცხვარეს  
 ღარიბ-ღატაკს, უბედურს.  
 ვის არ გაუგონია  
 მისი რაზმის ამბავი?  
 ამ რაზმს ქვეყნად ჩავდარი  
 ოც წელს დააქროლებდა,

იყო მტრების თავზარი  
თურქთა რისხვა, მელეტელი.  
ყველა ტანჯულ-ლტოლვილის  
მიმღები და მფარველი...  
დაქპრის მასზე სიმღერა  
სტრინჯა-ქელის ტყეებში;  
ველზე ირინ-პირინის  
გმირ ჩაედარის დიდებას  
ტკბილად სტვენს სალამური,  
დიდ ბელგრადის კედლიდან  
შორს, შორს ცარეგრადამდე.  
ეფინება სიმღერა  
წყნარ ღუნაის ნაპირებს  
მკაში მასზე მღერაიან  
რუმელიის ქალები.

დედისერთა ჭაბუჯა  
იყო გმირი ჩაედარი  
დედაც ადრე დასტოვა  
მამაც ადრე დასტოვა.  
არც ძმა ჰყავდა არცა და  
იყო უნათესაოდ.  
ჰყავდა მხოლოდ ერთი-ლა  
აგი ბიძა ბოროტი  
და ცხრა ძმა-ამხანაგი...  
თორმეტი წლის რომ გახდა  
დედამ მწყემსად გაგზავნა  
ბიძის მონად, მსახურად,  
სხვის კარდაკარ სათრევედ;  
მაგრამ მონად ჩაედარი  
განა დიდხანს გასძლებდა?  
მაღე ბიძას გაექცა  
და შინ დედას საჩუქრად  
მწარე სიტყვა მოართვა:  
„რად გამყიდე დედაო  
სხვის მონად და მსახურად?  
სხვისი ცხვარის მწყემსადა.  
ყველა მე დამცინოდა  
ყველა მეუბნებოდა:  
— გყავდეს მამა განთქმული,  
მედგარ რაზმის სარდალი,  
მრავალ კუთხის თავზარი,  
სტარ-პლანინის მფლობელი  
და ძე მისი მონობდე  
ბიძას ქვეყნის მყველფელსა,  
მის ნაბუშარს უკლოდე

და იტანდე გინებას  
განა შესაფერია?  
კაცად არ გამოდგებო  
ნადირს დაემგვანები  
და ვინ იცის ბოლო დროს  
სადმე კარა-ბაირის  
ჯურღმულებში ჩაკვდები.

ბიძანემი ავია,  
ავი, აუტანელი,  
დედი, მასთან ვერ გავძლებ,  
მის ნაბუშარს ვერ ვუშვარ,  
ვერ მოვუვლი მის ფარას —  
მგელსაც შეუჭამია!  
მე მამასთან წასვლა მსურს  
სტარ-პლანინის მხარეში.  
დაე, მამას რაცა სურს  
მე იმ კაცად გამხადოს.

შეკრთა დედა მშობელი,  
გულს გადესხა მდუღარე,  
შვილს უჰკოცნის თვალეებსა,  
თმას უვარცხნის თითებით,  
სტირის გულამოკვდარი.  
მაშინ შვილიც აღელდა  
ცრემლებსა ღვრის მდუღარეს,  
დედას ჰკითხავს ყმაწვილი:  
„დედი, მითხარ ნამდვილი,  
მითხარ, მამა სად არის?  
ნუ თუ მოჰკლეს საწყალი  
და შენ უღვთოდ დაგტოვეს  
უპატრონოდ, ქერივადა?

დედა ჩაედარს ეხვევა,  
ჰკოცნის გიშრის თვალეებში,  
ეუბნება მტირალი:

— „ჩაედარ, ჩემო იმედო,  
შენზე ვტირი ბედკრული,  
შვილო, კალმით ნახატო,  
დედისერთავ, სულსიდგმავ,  
სიყვარულო ციურო.  
ეგ რა სიტყვა მითხარი,  
მე ხომ დარღით მოვკვდები  
შენც თუ მამას გაჰყვევი,  
ჰაიდუკად იარე!  
წუხელ მამა აქ იყო, —  
შენ რომ შინ არ დაუხვდი  
მე დამტუქსა მრისხანედ,



მლანძღა, — ბოროტ ბიძასთან  
 რად გაგიშვი მწყემსადა.  
 სწუხდა მასთან რომ არ ხარ  
 შეილი უსაყვარლესი.  
 შორს გაგზავნის მშობელი  
 წიგნის შესასწავლად,  
 ან იმ მთებში წაგიყვანს —  
 ჰაიდუკი გახდები.  
 მან სასტიკად მიბრძანა:  
 კვირას იქ მიგიყვანო,  
 ჰაიდუკთა კრებაზე.  
 წახვალ, ჩავდარ, სიცოცხლევ,  
 ერთად-ერთო იმედო,  
 ზვალვე წახვალ მამასთან  
 მაგრამ, ცრემლით გაფიცებ,

თუ გიყვარდე მშობელი,  
 მამას სთხოვე გულითა  
 რაზმში კი არ ჩაგწერო  
 შორს, შორს სადმე გაგზავნოს  
 წიგნის სიბრძნის სასწავლად,  
 რომ მოსწერო ბარათი  
 დედას შორი ქვეყნიდან.

ჩავდარს შეება ელირსა:  
 შეილი წაეა მამასთან,  
 იქ იხილავს შეკრებილს  
 ჰაიდუკებს, რაზმელებს...  
 დედა კი გულმდღუარედ  
 შეილს ლოცავდა ალერსით  
 და სტიროდა... სტიროდა..

— . —  
 მ ა ს  
 ★

აი შენი შეკითხვა,  
 შენი თხოვნა მუდმივი:  
 მე შენი ქმრის ბალნარში  
 რად გადმოვძვერ ქურდივით?

არ ვარ შენი ქმარივით  
 სიბერისკენ წასული,  
 მთის არწივის თვალი მაქვს,  
 დანაც პირგაბასრული.

ლამით ჩუმად გადმოვხტი,  
 ბალში გაეჩნდი თქვენს წინა,  
 ირგვლივ იყო დუმილი,  
 ორთავ ტკბილად გეძინათ.

„გაიღვიძე მოხუცო,  
 მოდი შებმა დამასწარ“  
 ვჩურჩულეხდი მწოლარე  
 ზელს ვუპერდი დანასა.

თქვენ გეძინათ, ჩემს გულს კი  
 ღრღინდა მწარე ნალველი,

სანამ უნდა მადნობდეს  
 ბოლმა გულის მდაგველი!

ვიყავ ისე გართული  
 ვერც შევხედე განთიადს,  
 მიწას უკვე მოეხსნა  
 ლამის ბნელი მანტია.

და გასძახა ბულბულმა  
 ბალნას ტკბილი ვალობა.  
 ჩუ! სარკმელში ვინა სჩანს,  
 როგორც ზეცის წყალობა?

მე მაშინვე გიცანი  
 როგორც ჩემს წინ ამალდლი,  
 ბულბულს ვუთხარ: „გათენდა“  
 და ლობეზე გადავხტი.

მე და შენი მოხუცი  
 ვერა, ვერ დავმოყვრდებით,  
 შენით გაგიყვებული  
 ორში ერთი მოვკვდებით.



## ს ა ზ ი რ ა

## პატრიოტი



პატრიოტია, სულს მისცემს, —  
თავისუფლებას დაიცავს,  
ხალხის სულს მისცემს, ცხადია,  
ზომ არ გასწირავს თავისას.  
თავის სულს ფულად ანაღდებს,  
უსიტყვოდ მისცემს ორ გროშში,  
ისიც კაცია, რას იზამს, —  
მარტო სულს ჰყიდის ოქროში.

მარტო ფული სწამს მეუფედ,  
თუმც კრისტიანი კაცია;  
საყდარშიც დადის; საყდარიც  
საეპრო სახლად აქცია.

თავის სულს ფულად ანაღდებს,  
უსიტყვოდ მისცემს ორ გროშში,  
ისიც კაცია, რას იზამს  
ცოლშვილს გაჰყიდის ოქროში.

ტკბილი კაცია, — გვაპურებს  
სიტყვით, გულდამატკობლითა,  
ის კი არ გვაჰმევეს, ჩვენ ვკვებავთ  
ჩვენის შრომით და ოფლითა.  
თავის სულს ფულად ანაღდებს  
უსიტყვოდ მისცემს ორ გროშში,  
ისიც კაცია, რას იზამს,  
თავსაც გაჰყიდის ოქროში.

## რად არა ვარ მე პოეტი



რად არა ვარ მე პოეტი  
ვით ბიშურკა საცოდავი,  
რომ შემექო დედაბრების  
ჩერია და კვერისთავი.

რად არა ვარ მე პოეტი,  
რად არ ვგვეარ საპუნოვსა,  
ჩემს ჰანგებში შევაქებდი  
მღვდელმთავარის მაღალ ჯორსა.

რად არა ვარ ველიკინი,  
რად არა მაქვს მისი მადა,  
რომ მომეთზრო: — ბაყაყები  
ვით ებრძვიან მეფე რადანს.

რად არ ვგვეარ ვოინიკოვს,  
არ მაქვს მაღლი მისი ენის,

ვის ლოცვებშიც ვედრებაა:  
„ღლეგრძელ იყოს მეფე ჩვენი“.

რად არა ვარ პერლიჩევი  
რად არა მაქვს მისი მადაც,  
რომ მეთარგმნა საცოდავად  
დიდებული „ილიადა“.

რად არ ვგვეარ სლავეიკოვს  
მისი სიტყვის არ მაქვს ხვევი:  
„არ ვიკინი არცა ვმღერი,  
მე დღეიდან ვიწყებ ბლავილს“.

რად არა ვარ მე ვაზოვი  
ნუგეშს ვცემდი ტანჯულ ხალხსა:  
მგელს შეეძლოს თითქოს ცხვრობა,  
და ბატკნობა — მომღერალსა.



გულბარელი ხალხის სიმღერა



★

არზას გზავნის გორგორ-ბაში  
 ცივ პეტერბურგს, შორეულსა,  
 მთარმთვევს გორჩაკოსა: —  
 „დღეგრძელ იყავ, ჯანმრთელ იყავ  
 შენ ვეზირო დიდებულო  
 გთხოვ მაჩუქო ერთი ჯვარი —  
 მცირე ჯვარი სტანისლაის.  
 მაგიერად მთელ ბულგარეთს  
 დაგიმტკიცებ საუკუნოდ,  
 ზედ ჩვენს ხალხსაც დაგითავებ  
 გაირეკე შენს მხარეში.“  
 არზას ნახავს დიდ-ვეზირი  
 შალალი ხმით დაიძახებს:  
 „ჰე, მდივნებო, ლაქიებო,  
 დიდბატონის ჯამუშებო!  
 საპასუხო არზას დაეწერ  
 გააგზავნეთ უსწრაფესად  
 შავი ბჭკარი თეთრ ქალაღზე  
 ბუქარესტში გააქანეთ  
 იქ მიართვით ბარან-ალას“.  
 და აღსრულდა საქმე შავი:  
 რა დაუდეს შათირებმა  
 მუხლზე არზა ბარან-ალას  
 ეტლში ჩაჯდა ბარან-ალა  
 და გორგორთან გაემართა.  
 სტანისლაის ჯვარს ულოცავს  
 შავ თვალებში ჰკოცნის ტკბილად  
 მკერდში იკრავს სიყვარულით:  
 „ჩემი შმა ხარ ნამდვილიო“.  
 სანატრელი საჩუქარით  
 აღფრთოვანდა გორგორ-ბაში  
 და ჰა გზავნის თავის კაცებს —  
 ჯამუშებს და ნაძირალებს.  
 აწიოკებს გორგორ-ბაში.

თურქებსა და ქრისტიანებს  
 ბრძანებს მოსპონ განურჩევლად  
 მოხუცი თუ ახალგაზრდა,  
 დანა ჩასცენ მართალ კაცსა  
 და ხალხური, ბულგარული  
 საუკუნოდ მოსპონ სული.  
 რა გმირია, რა გმირია  
 ნახეთ, როგორ ზოცავს ბავშვებს,  
 როგორ ჩეხს და როგორ აღრჩობს  
 და ციმბირში ერეკება.  
 დღე გათენდა შავზე შავი,  
 ჩამობნელდა ლურჯი ზეცა,  
 დატრიალდა ქარიშხალი,  
 ზეცას სერავს ელვის ხმლები,  
 მიწა გასკდა ვით კაკალი,  
 პირი გახსნეს საფლავებმა  
 და ცხედრები აღსდგნენ მკვდრეთით  
 მოუხმობენ მედლოესა:  
 „შენ მედლოევე, ნუ აყოვნებ  
 საგანგაშოდ დაჰქარ დოლსა  
 დე, გაიგოს ბულგარეთმა  
 რომ გაგვყიდა გორგორ-ბაშმა.  
 შეაგროვა ჩვენი ოქრო  
 ერთი სკოლაც არ აგვიგო,  
 არ გაგვიხსნა სამკითხველო,  
 არ აღირსა ბავშვებს სწავლა“.  
 უპასუხებს მკვდრებს მედლოე:  
 „განა განგაშს არა ეცემდი?  
 განა მე არ გაგვიოდი:  
 ხაჩს ნუ მისცემთ ნურც ერთ გროშსა,  
 ის ცრუა და ყაჩაღია,  
 ფული ისე არ ენდობა  
 როგორც ცხვარი მშვიერ მგელსა“.

ეპიტაფიებიდან

აქ განისვენებს პეტრე კუტოვი,  
 სიკვდილმა დასცა როგორც შეება;  
 საფლავში გდია სულთამხუთავი  
 ვით ჭონით სავსე ტიკი ვება.

ნათესაებო, ო, ღვარეთ ცრემლი,  
 ნადველი ასხით გულს ერთი ასად:  
 ვინდა გასთიბავს სამოკრებს ცელით,  
 ვინდა ჩაიგდებს ერთ გროშის ფასად.  
 ხალხს ფულს და ოქროს ვინდა წაართმევს,  
 ყურს არ ათხოვებს მათს დამდურებას,

ვინღა დადგება საყდარში მნათედ...  
ვაი, ამ ჭირს და უბედურებას.

საფლავი ღრმა და კუბო, რომელიც  
შემკობილია ოქრო, მდიდრულად;  
აქ განისვენებს ქვეყნის მპყრობელი  
თივის და ნეხვის რუმბი, დიდგულა;  
მან ჭკუა ჰქონდა მხეცურ მკლავებში  
და ნაზი გრძნობა კუჭ-ნაწლავებში.

ამ სამარეში წევს პატრიოტი,  
აქ განისვენებს თავის სახლობით,  
ცნობილი იყო ეს იდიოტი  
გამყიდველობით და საქაგლობით.

იკვებებოდა ნასუფრალეებით  
მანაც დახუჭა მალე თვალები  
პატრიოტობდა, იყო ვაჭარი,  
ბლომად ჩასაჯიბა ოქრო კაჭალი.

ეროვნული  
ლიბრერი

ნაიდენოვსაც და გენოვიჩსაც  
ორ ფილოსოფოსს აქ სძინავთ მარტო.  
ერთს თავში ჰქონდა სიცალიერე,  
ზოლო მეორეს დამპალი ქატო.

სატირიკოსო, იძინე მშვიდად!  
შენ მშრომელ ხალხის იყავ ქადაგი,  
ეგ შენი სახრე ბევრს ჭირად სჭირდა  
გაგიშოლტია ბევრი ხვადაგი.

მღვდელ მიხალაკს აქ აქვს სახლი,  
აქ ეღირსა მსუნაგს შვება  
თავათ ება ძველი კასრი,  
ძაღლის კუდი — უღვაშებად.

თარგმანი ირაქლი აბაშიძის

## გმირთა სისხლით \*



### XXX

ჯერ ისევ მოტოლში ვიყავით, როცა დახვეწვამ გვაცნობა — მტერი გარს გვერტყმისო. მტრის შემოსევის შესაძლებლობა გათვალისწინებული გვექონდა, მზად ვიყავით ბრძოლის მისაღებად. მთავარი ის იყო — მოსახლეობა არ მოჰყოლოდა ბრძოლის ცეცხლში და არ განადგურებულიყო. მარცხის თავიდან აცილების მიზნით სოფელები გავაფრთხილეთ, ან ტყეში გასულიყვნენ, ანდა სარდაფებში ჩამკერა-ლიყვნენ. ხალხი ასეც მოიქცა: უმრავლესობამ დატოვა სოფელი, მდინარე ისეულდაზე გადავიდა და ტყეში მიიშალა. ვინც სოფელში დარჩა, სარდაფებს შეაფარა თავი.

სოფელი მოტოლი ბრძოლის ველად იქცა. პარტიზანების ერთი ნაწილი წინასწარ გამზადებულ თხრილებში ჩასაფრდნენ, მეორე წყება ქვის შენობებში გამაგრდა. მეკავშირენი ცხენებით სოფლის ერთი თავიდან მეორეში დაჰქროდნენ.

— გახსოვდეთ ამხანაგებო, — ვეუბნები მებრძოლებს, — ვაზნებს გაუფრთხილდით. ნურც ერთ ვაზნას უმიზნოდ ნუ გაისვრით. როგორც იცით, ტყვიანაწილი გვაკლია, ამიტომ მარაგის უთავებოლოდ ხარჯვა ახლა თვითმკვლელობას უდრის.

პარტიზანების ყურადღება მალე მძიმე არტილერიის შორეულმა ქუხილმა მიიქცია. შორის ცეცხლის ზვი-ნებიც აღიმართა.

— კლეტნაიაში ბრძოლა, კლეტნაია იწვის! — წამოიძახეს აქა-იქ მხვერავებმა.

— ვინ იცის, რა დღეში ჩაცვივდნენ დაქრილი პარტიზანები! წარმოსთქვა ერთმა მებრძოლმა.

დაქრილები და სამეურნეო დანიშნულების ალალები ჩვენ ხომ სოფელ კლეტნაიასაკენ გავისტუმრეთ, როგორც საიმედო თავშესაფარში. სწორედ ამ სოფელში გაჩაღდა პირველად ბრძოლა. კულბაკას ეაეკაცობა თუ იხსნიდა მდგომარეობას, ის თავის პოლკით და ერთი ცხენოსანი ესკადრონით დაქრილებთან იყო.

ოცი წუთი არ გასულა და ბრძოლა მოტოლშიაც გაჩაღდა. სამი მხრიდან შემოგვესია მტერი, მარტო ჩრდილოეთის მხარე რჩებოდა თავისუფალი.

ირგვლივ ტახეების გრუხუნის ისმოდა. მტერი დაურიდებლად წინ მოიწვედა. ყურთა სმენა არ იყო.

— ვაშაო, დასძახეს ბიჭებმა და თავზე წამომდგარ მტერს ეკვეთნენ. შეუბოვარი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ჯარასავით ტრიალებდნენ პარტიზანები, მათ საგრძნობლად შეფრთხეს და შეავიწროვეს რიცხობრივად უარბი მტერი, თავზარი დასცეს მას.

ხელჩართული ბრძოლა ამ ხანად ჩვენთვის მისწრება იყო, ტყვიანაწილის დაზოგვას უწყობდა ხელს.

ისევ ცხარე ბრძოლა მიმდინარეობდა, როცა კულბაკას მეკავშირენი გამოჩნდნენ, მათ გადმოგვეცეს:

— მივიყვანეთ თუ არა დაქრილები კლეტნაიაში, რეაასი პიტლურელი ჩვენებს თავს დაესხა. ადვილი წარმოსადგენია თუ როგორი იქნებოდა ამ დროს დაქრილების მდგომარეობა. მეორე პოლკმა და ცხენოსანმა ესკადრონმა ბრძოლა მიიღეს. იმდენი ეცადა კულბაკა, რომ შესძლო დაქრილების ადგილსამყოფიდან დაშორებით ბრძოლის გადატანა. კლეტნაიიდან დილის რვა საათზე გამოვედით. რა მოხდა შემდეგ იქ, არაფერი ვიცით. კულბაკა საჩქარო დახმარებას ითხოვნო, აცნობეს მეკავშირეებმა დივიზიის შტაბს.

ვერსიგორასაგან ბრძანება მივიღე, რათა სასწრაფოდ კულბაკას მისამუშევრებლად გავმგზავრებულიყავ. ასეთივე ბრძანება მესამე პოლკმაც მიიღო. ამ პოლკის ძირითადი შემადგენლობა, ცხენოსან დივიზიონთან ერთად, დივიზიის შტაბი და პირველი პოლკი კლეტნაიის მიმართულენით გზას გაუდგა. მოტოლში, სადარაჯოების მოწესრიგება მეშვიდე ბატალიონს და ერთ ცხენოსან ნაწილს დაეკისრა.

მტერმა განიზრახა ჩვენთვის გზის გადაკრა, მაგრამ ამაოდ. ჩვენ ჩქარი ნაბიჯით მივიწვიდით წინ, განზრახული გვექონდა, უეცრივ შევეჭრილიყავით კლეტნაიაში და მტერზე მოულოდნელი თავდასხმა მოგვეწყო. ვამჩნევდით, შაშხანების და აეტომატების გაათრებულ სროლა დრო და დრო ნელდებოდა, შემდეგ უეცრივ განახლდებოდა და დიდ ინტენსიურობას აღწევდა. მალე იშვიათი სურათის მოწამენი გავხდით: კულბაკას ჩასაფრებული პოლკი დრო და დრო სროლას შეწყვეტდა, მიუახლოვდება მას მოწინააღმდეგე თუ არა, პარტიზანები ერთბაშად ცეცხლში ხვევდნენ. მტერი გაითანტებოდა, დიდი ზარალის მიუხედავად ხელმეორედ შემოიკრებდა ძალას და იერიშზე მიდიოდა, კვლავ დააყრიდა კულბაკა მათ ტყვიას და გაფანტავდა.

კულბაკას ბრძოლის მეთოდი ამ შემთხვევაში ჩემთვის და სხვა ბევრი ჩვენი ამხანაგებისათვის გასაგებე უწყობდა. ტყვია-წამლის სიმცირე იმულებულს ხდიდა კულბაკას ასეთი ზერხისათვის მიემართა.

— ტყვია-წამალს მოკლებული მებრძოლი იგივეა, როგორიც თოკით ხელფებ შეკრული აღამიანიო, — ხშირად იტყოდნენ ჩვენი ბიჭები.

ტყვია-წამლის ნაკლებობამ აიძულა მეშვიდე ბატალიონი მოტოლი დაეტოვებინა და ჩვენსკენ წამოსულიყო. მოტოლის მთლად გაშიშვლება, სამხედრო თვალსაზრისით, არ შეიძლებოდა, ამიტომ ადგილზე მეშვიდე ბატალიონმა მებრძოლთა მცირე ჯგუფი დატოვა. ისინი ჩვენს დივიზიის მთავარ ნაწილს საშუალებას აძლევდნენ ცეცხლის არედან უვნებლად გასულიყო. მებრძოლთა ამ ჯგუფში იყვნენ რჩეული ბიჭები, ბრძოლებში გაკაცებული პარტიზანები. მათ შორის იბრძოდნენ რ. აკულინი, დ. პასუევიჩი, ე. კაშიცი, ანდრუსკოვიჩი, აბდულ მურზამაკოვი და სხვები. ყველა ისინი კარპატების ბრძოლების გამოცდილებით იყვნენ. უბადლო პარტიზანებმა მოტოლში დარჩენის სურვილი თვითონ გამოთქვეს. ცხადია, ამით დიდი საშიშროების წინაშე დგებოდა თვითიული მათგანი, მაგრამ არცერთი ოდნავადაც არ შემკრთალა. იმ საათიდან, რაც მეშვიდე ბატალიონი მოტოლიდან გავიდა, მტრის მთელი რისხვა ამ ჯგუფს დაატყდა თავზე. მტერმა ალლო აულო, მიხედა, რომ მის წინააღმდეგ უშიშვნელო ჯგუფი იბრძოდა და ზედინედ იწყო იერიშის მიტანა. ამ ბრძოლის დროს უკან დახეულმა მეშვიდე ბატალიონმა ცეცხლი გახსნა მტრის წინააღმდეგ. ეს საშუალებას აძლევდა მოტოლში დარჩენილ მებრძოლებს პოზიციები შეენარჩუნებინათ. ვაჟაკებს უკან ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ, მხოლოდ, როდესაც ვაზნები გამოეღიათ, თავგანწირ-

ვით ეკვეთნენ მტერს და მას ხელწარ-  
თული ბრძოლა გაუმართეს. ამ უსწორო  
ბრძოლიდან არც ერთი პარტიზანი  
ცოცხალი არ გამოსულა, გმირულად  
დაეცნენ ყველანი.

კლეტნაიაში კულბაკა ჩვენ არ და-  
გვხვედრია.

სოფელ ბუსას დაეუახლოვდით.  
მტრის ნაწილები, რომლებიც მოგვდე-  
დნენ, ამასობაში მდინარე იასელცას  
მოადგნენ. მეშვიდე ბატალიონი უკა-  
ნასკენლად გადმოვიდა იასელცაზე და  
ხიდის დაწვაც მოასწრო. გადმოსასვლე-  
ლად გამზადებულმა მტრის ნაწილებმა  
ფონი მონახეს და გადმოსვლა განიზრ-  
ახეს. ჩვენებმა ეს შენიშნეს და მათ  
ქვემეხები დაუშინეს. ასე ჩაიშალა  
მტრის განზრახვა.

მოტოლის თავზე გავარჯერებული  
კვამლი შევნიშნეთ. მოტოლი იწვისო,  
გვითხრეს ადგილობრივმა პარტიზანებ-  
მა. ამავე პარტიზანების გადმოცემით,  
დამპყრობლებს მოტოლში სახარბოე-  
ლები აღემართათ.

— საით სჯობს წასვლა, სად არის  
უფრო ნაკლები სამიშროება, ვეკითხე-  
ბით ადგილობრივ პარტიზანებს.

— დაბა სვენტა-ვოლიაში, — იყო  
პასუხი, — ამეამად იქ სრული მყუდ-  
როებაა, მტერი ამ დაბაში არ არის.

კულბაკას მზვერავები დავადვენეთ,  
სვენტა-ვოლიას მიაშურეთო, შევეუთ-  
ვალეთ. ჩვენც სვენტა-ვოლიას მიმარ-  
თულებით განვაგრძეთ გზა.

სოფლებს ტურნას და დოლგას რომ  
გავუსწორდით, კულბაკას დავეწვიეთ.  
უკვე თენდებოდა, ალიონის ნიავემა მა-  
ღალი ხეების წვერები შეარხია.

— თენდება! — მეუბნება მეაღალე.

— სვენტა-ვოლიაც აქ არის! — ვპა-  
სუხობ მეაღალეს. პარტიზანების ერთი  
წყება დაბის ბინებში მოეწყო, ნაწილი  
დაბის ირგვლივ მდებარე ხუტორებში  
დაბანაკდა.

სვენტა-ვოლია პატარა დაბა აღმოჩნ-  
და, საშუალოდ კეთილმოწყობილი.

ტყვია-წამლის ნაკლებობა თავისთა-  
ვად ხომ გვიმლიდა ზეცის მცხოვრე  
დაბრკოლება არანაკლები! ჩვენც ამ  
პირველზე. დაჭრილ-დაავადებულებზე  
მოგახსენებთ! გულს გვიმღულრავდა  
მათი ცქერა, საწყლები მძიმე მდგომარე-  
ობაში ჩააცვიდნენ. როცა სოფელ  
კლეტნაიაში კატასტროფის წინაშე დავ-  
დექით, ამ კრიტიკულ წუთებში არ-  
ნახული სურათი დხვეიდა თვალწინ:  
დაჭრილებმა ალალებზე წამოიჩიქეს  
და ავტომატების სროლა დაიწყეს. ამ  
სურათის დანახვაზე სამედიცინო პერ-  
სონალი შეშფოთდა, მიცვიდნენ ავად-  
მყოფებს: — „რას შერებით, რას ჩა-  
დიხართ, როგორ შეიძლება თქვენი ზე-  
ზე აღვამა, ხომ გავგხსნებათ ჭრილო-  
ბები!“ მუდართ მიმართავდნენ დაჭ-  
რილებს ექიმები.

ამ რთულ და მძიმე წუთებში მეორე  
პოლკმა გადამწყვეტი როლი ითამაშა.  
პოლკის მებრძოლები ხუთი-ექვსი კი-  
ლომეტრის მანძილზე გაიშლნენ და  
მტერზე იერიში მიიტანეს. პირველი  
იერიში ეფექტური აღმოჩნდა, ამ  
ბრძოლაში მტერმა ორმოცდაათზე მე-  
ტი ჯარისკაცი დაჰკარგა.

დავბანაკდით თუ არა სვენტა-ვოლია-  
ში, დაჭრილები ვინახულე. მათს ოთხ-  
ში შესვლისთანავე პირველად თვალში  
ტახტზე მჯდარი ავადმყოფი მომხვდა.  
ის ავტომატს წმენდდა.

— ამას ვის ეხედავ! — შესძახა ჩემს  
დანახვაზე ავადმყოფმა და თან ხელები  
წინ გამოიშვირა.

ერთიმეორეს გულმხურვალედ მი-  
ვესალმეთ. ეს ავადმყოფი ჩემი პოლ-  
კის ასეულის მეთაური, სტეპან ბოკა-  
რევი იყო. სად და როგორ პირობებში  
დაიჭრა ბოკარევი, ჩვენს მკითხველს  
ემახსოვრება. ბოკარევი ახლა წუხდა  
და ლელავდა. იგი მეუბნებოდა:

— ამხანაგო მეთაურო, უბედურებაც  
ამს ჰქვია. დღეს, როცა ირგვლივ და-  
ძაბული ბრძოლებია, მე ამ დროს ლო-  
გინზე ვარ დაკრული, — მას ხმა აუთრ-

თოლდა, მიწისფერი გამხდარი ხელები ავტომატს მოავლო და გვერდზე მოიღო.

— უმოკმედოდ წოლა მომწყინდა, დავით ილიას-ძე, ნერვები ამეშალა! ორი დღის წინათ გლინაიაში მტერმა დაჭრილების ალაღებზე მოიტანა იერიში, ჩანდა, ჩვენი განადგურება უნდოდათ. ჩვენ ჯერ ცოცხლები ვართ, არ დაგნებდებითო — შევძახეთ დაჭრილებმა მომხდურებს, ალაღებზე წამოვიჩოქეთ და ტყვია დავაყარეთ. მოწინააღმდეგე იძულებული გახდა, უკან დაეხია. ჩემს თავზე მოგახსენებთ — ქრილობები დამავიწყდა, მზად ვიყავი ალალიდან გადმოვსულიყავი და მტერს დავედევნებოდი, მაგრამ ექიმმა არ გამიშვა. რომ აცოდეთ, შემდეგში რა შევება ვიგონებ, ისე წყნარად მეძინა იმ ღამეს, როგორც ეს ბავშვობაში მჩვევოდა. ჩემი ასეულის ბიჭები ზომ კარგად არიან, დავით ილიას-ძე, ზომ ღირსეულად იბრძვიან?

ბოკარევის კითხვისათვის ჯერ პასუხი არ გამეცა, რომ ოთახის კარები გაიღო და თითქოს გამოძახებულებივით ბოკარევის ასეულიდან რამდენიმე მებრძოლი შემოვიდა.

— აი ჩემი არწივებიც, — ამის წამოძახება კი მოასწრო ბოკარევი და მას შემოსული ბიჭები მოეხვივნენ. ერუანტელის მომგვრელი სურათი იყო. მე მათ ხელი არ შევეშალე და სხვა დაჭრილებთან წავედი.

— სალამი, ამხანაგო უფროსო, — ქართულად მომესალმა ვიღაც დაჭრილი.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, — ვუპასუხე და თან დაჭრილს დავაცქერდი.

— მე მესამე პოლიკიდან ვარ, ამხანაგო უფროსო, აქ თქვენი პოლიკის დაჭრილებს შორის მოვხვდი!

— გვარი თქვენი?

— ციხიშვილი გახლავართ, თბილისიდან, — ავადმყოფს ხელმეორედ და-

ვაცქერდი, ძალზე გამხდარი იყო, მაგრამ თვლებში სიცოცხლე ემჩნეოდა.

— კარგად გამოიყურებები? — მალე დადგები ფეხზე. — გავამხნევე იგი.

— ექიმებიც ასე მეუბნებიან, იმედს მაძლევენ!

ციხიშვილი განვილო ბრძოლებში ორჯერ დაჭრილიყო, უკანასკნელად ის დაიჭრა სოფელ როჭინოზე ავიაციის თავდასხმის დროს. ციხიშვილის სიტყვით, ის მტკიცე მებრძოლი იყო, უშიშარი და შეუდრეკელი.

ვერშიგორამ ამხანაგ სტროკაჩს აცნობა, ტყვია-წამლის მოწოდება არ დაეგვიანებინათ. პასუხი მალე მივიღეთ „თქვენ მიერ გამოთხოვილი საომარი მასალა იგზავნება, ამაღამ შეხვდით თვითმფრინავებსო“, — იტყობინებოდა უკრაინის ცენტრალური პარტიზანული შტაბი.

ვერშიგორამ თვითმფრინავების მისაღებად, როგორც დახელოვნებული ამ საქმეში, ახლაც პირველი პოლიკი გამომაყო.

შუა ტყეში პატარა მინდორი აღმოვაჩინეთ. შეღამდა თუ არა, მინდვრის ოთხივე კუთხეში ცეცხლი გავაჩაღეთ. ოთხი თვითმფრინავი მოფრინდა და ნელი ფრენით მინდვრის თავზე წრე მოახზეს, თან ტომრები ჩამოჰყარეს. მუხუთე პატარა თვითმფრინავიც გამოჩნდა. ბიჭები კარგად ცნობდნენ ამ ტიპის თვითმფრინავს, წინათაც ბევრჯერ ენახათ, „კუკურუნიკს“ ეძახდნენ მას.

თვითმფრინავი ძალიან დაბლა დავშვა, ისე რომ ცეცხლის შუქზე ნათლად გავარჩიეთ მფრინავი.

„სალამი, ამხანაგებო, სალამი, ჩაიბარეთ ამანათი!“ გადმოგვძახა ზევიდან მფრინავმა, თან ფუთები ჩამოყარა, შეატრიალა მანქანა და ღრუბლებში შეაქურა.

ტყვია-წამალი დაუყოვნებლივ გავანაწილეთ პოლიკებსა და სხვა ნაწილებს შორის.

— აბა ახლა მობრძანდით, ბატონო ჰიტლერებო, თქვენ მისაღებად მზად ვართ! — ამაყად ამბობდნენ ბიჭები.

მზიანი ამინდი დაიჭირა, პარტიზანთა ბანაკში მხიარულება დამკვიდრდა: ზოგი გარმონით ერთობოდა, ზოგი სიმღერით, იყო ერთი გაცხოველებული საუბარი, მოსწრებული სიტყვები ერთი მეორეს სცვლიდნენ.

ვასია რიბაშვილიც დრო ახლა იშოვა. ის ჩვენს რიგებში ხომ ცნობილი ოხუნჯი იყო: „ერთი განზრახვა ამეკვიბა, ბიჭებო, და ოცნებად გადამექცაო“, თქვა ვასიაშ.

— მაინც რა ვასია, გვითხარი, რომ ჩვენც ვიცოდეთ, თუ რაზე ოცნებობ?

— ჰმ, ნეტავ ჰიტლერი და გებელსი დამაპურინა, მთელ ქვეყანაზე გალიით მოვატარებდი, ვაჩვენებდი ხალხს ამ კიციკამიებს, ომის გამაღებლებს.

— ეგების მართლაც აგისრულდეს ეს ნატერა, მათ დაქვრასაც მოესწრო?

— ოხ, ოხ, ოხ, ალლა, რა იქნება, რომ იცოდეთ!

მზიანი, თბილი დღე მთვარით მოვერცხლილმა ღამემ შეცვალა. პარტიზანები კარში იყვნენ გამოფენილი. შორიდან სიმღერის ხმა შემოგვესმა, იგი თანდათან გაცხოველდა. მომაჯადოებლად მღეროდნენ. რუდნევი და პატარა რადიკი მომაგონდა, მშვიდ მთვარიან ღამეში მამა-შვილს უყვარდათ განმარტოება და ასე ტბილი სიმღერა. ამ მოგონებით დაელონდი.

— წავიდეთ, — ვეუბნები ვანო ბერეგოის და ტუტერევს, — ახლოდან დაეუგლოთ ყური.

მომღერალთა შორის დავდექით, დიდხანს ვუსმენდით.

სამოქალაქო ბრძოლების ცეცხლში გატარებული მოხუცი პარტიზანები ძველ პარტიზანულ სიმღერას მღეროდნენ.

ნაშუალამევი ვახდა. სიმღერით დამტკბარი და ნასიამოვნები უკან გამოვბრუნდით.

ოთახში მარტო ვიჯექი, დასაჯილოებლად წარდგენილი პარტიზანების სიებს ვათვალიერებდე. მხოლოდ ცხელიცამ კარებზე მოაკაყუნა და გვითხრა — შეიძლება?

— შემოდით!

— აი, ესეც არის, თვითმფრინავის ფოსტამ წერილი მოიტანა, — მეუბნება ბერეგოი.

საჩქაროდ გავხსენი და წერილის ბოლოს დავხედე. „თქვენი პლატონ ვორონკო“, ამოვიკითხე წერილის ბოლოს, გამეხარდა.

— მაშ, კვლავ ვახსოვარ პლატონს, არ დავეიწყებთ, ძალიან კარგი!

— ვისგანაა? — შემეკითხა ბერეგოი.

— ვორონკოსაგან. წერილი ხმამაღლა გადავიკითხე.

„მე თქვენ, დავით ილიას-ძე, ვერასდროს ვერ დავიფიქვებთ, ვერ დავიფიქვებთ იმ მეგობრულ თბილ თავაზიანობას, რომელიც თქვენ დიდმიწაზე ჩემი გამოსტუმრების წინ გამოიჩინეთ.“

გმადლობთ, დიდად გმადლობთ, კიდევ და კიდევ გმადლობთ. ჩემი ჯანმრთელობა საბოლოოდ გამოსწორდა, თუმცა-ღა ჭრილობა ჯერჯერობით არ არის მთლიანად პირშეკრული.“

ახლაგაზრდა პლატონ ვორონკოს სანაღმო-სადივერსიო სკოლა ჰქონდა და მთავრებული. კოვპაკმა ის მეოთხე ბატალიონში სადივერსიო ნაწილის უფროსად დანიშნა.

კარბატების რეიდის დროს ვორონკომ სოფელ ბორკში მდინარე გნეზნაზე უზარმაზარი რკინის ხიდი ააფეთქა. ამ აფეთქების შემდეგ მატარებლების მიმოსვლა და მტრის ნაწილებს შორის კავშირი დიდხანს შეწყდა. როგორც უკვე მკითხველმა იცის, ერთ ერთ ბრძოლაში ვორონკო მძიმედ დაიჭრა და ის კიევი გავისტუმრეთ. ვორონკოს გასტუმრების წინ მე ამხანაგებს შორის მას კარგა მოზრდილი თანხა შევეუბრე და გადავეცი. მე ეს არც

მასსოვდა და ვორონკოს წერილმა მომაგონა. ამაზე პლატონი მადლობას მითვლიდა.

პიტლერელები უკან იხევდნენ. საბჭოთა არმია მათ კვალდაკვალ მისდევდა. ასეთ დროს ზურგს დიდი როლი ენიჭებოდა. მოწინააღმდეგეს ზურგი მოშლილი ჰქონდა, ყელში გახირებული ძვალივით ვიყავით მათ ზურგში პარტიზანები გაჩრილი. პიტლერელებმა უკვე ეჭვი აიღეს, რომ ჩვენი დივიზია სვეტნა-ვოლიაში იყო დანაწევებული. მშვერავების ცნობით რაიონულ ცენტრებში — გელეხანში და განცევიჩში მტრის გარნიზონებმა გაფაციცებით იწყეს თავდაცვის გაძლიერება, ძალების კონცენტრაცია. ეს უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ დღეს თუ ხვალ მოსალოდნელი იყო მტრის შემოსევა. ჩვენი დივიზიისათვის სვეტნა-ვოლია სამხედრო მნიშვნელობას და ღირებულებას მოკლებული იყო. მტრისათვის აქ ბრძოლის მიცემა და ცოცხალი ძალის დაკარგვა გაუმართლებელი იქნებოდა. ამიტომ ეს მიდამოები დაეტოვეთ და რაიონული ცენტრის — ტელეხანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფლებში ვულკაში და სომინოში გადავიწველეთ. საჭიროების დროს ჩვენ ამ სოფლებიდან უკან დახეული მტრისათვის დიდი ზარალის მიყენება შეგვეძლო.

ირიყრაქა, როცა რაიონულ ცენტრ ტელეხანიდან სამი კილომეტრის დაცილებით ვიყავით. ჩვენი ყურადღება სანახევროდ დანგრეულმა და დაზავებულიმა ძველმა სიმაგრეებმა მიიქციეს. სოფლელების სიტყვით, პირველი იმპერიალისტურ ომის დროს ყოფილა აგებული ეს სიმაგრეები. ადგილ-ადგილ ეს ნაგებობან კარგად იყო დაცული და შენახული, ამხანადაც არ იყო სამხედრო მნიშვნელობას მოკლებული.

ერთი რამ გვაწუხებდა დიდს და პატარას. ეს იყო დაჭრილ-დაავადებულების ბედი. აუცილებელი იყო ავა-

მყოფების დიდმიწაზე გადაგზავნა, მაგრამ ეს არ ხერხდებოდა. ყველა პარტიზანი დაეძებდა საეროდრომოდ ადგილს, მაგრამ ამაოდ, ვერ ვნახულბდით, არსად არ ჩანდა. ყველა მიმართულებით ზედიზედ ვგზავნიდით მშვერავებს და ვაბარებდით — სანამ საეროდრომოდ ადგილს არ აღმოაჩენთ, მანამ უკან ნუ დაბრუნდებითო. ბოლოს კოლოპოშის რაიონის ტერიტორიაზე აღმოვაჩინეთ ადგილი აეროდრომისათვის, მოიტანეს ამბავი მშვერავებმა. ამ სასიხარულო ამბავმა დაკრილებს სიმხნევე შემატა: ზოგი დაავადებულ-დასუსტებული, რომელიც დაუხმარებლად ლოგინში ვერ ბრუნდებოდა, საწოლებზე წამოჯდა და იმედიანად იწყობდა. ადგილი აეროდრომისათვის ვრცელია, დიდ გაწმენდას საჭიროებს, ხეების ძირკვებით და ბუჩქებით არის მოფენილიო, — გეთხრეს მშვერავებმა. მოედნის წესრიგში მოსაყვანად მეორე პოლკი გამოიყო. ადგილობრივმა მოსახლეობამაც დიდი მონაწილეობა მიიღო მოედნის გაწმენდაში. ამ სამზადისს კარგმა ამინდებმაც შეუწყო ხელი, დღე და ღამე მიმდინარეობდა მუშაობა. თერთმეტ აპრილს დილის ათ საათზე აეროდრომი მზად იყო.

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მოულოდნელად მტერმა ისევ შემოგვიტია. პიტლერელები თავს დაესხნენ სოფელ ვულკაში მდგარ მესამე პოლკის მეექვსე ბატალიონს, რომელსაც ციმბალი ზელმძღვანელობდა.

მშვიდობით, ახლად გამზადებული აეროდრომი!

ეს მესამე შემთხვევა იყო, რომ ახლად გამზადებული აეროდრომი ვერ გამოვიყენეთ.

ბუნებრივით შემოსეულ მტერს მეექვსე ბატალიონმა დიდი წარმატებით შეუტია. ამ ბატალიონში სერგო არუთინოვის ასეულიც იღებდა მონაწილეობას. უსწორო ბრძოლაში ჩაება სერგო არუთინოვის ასეული. მო-



წინააღმდეგემ სერგოს ალყაში მოქცევა და მისი საბოლოოდ განადგურება განიზრახა. ასეულის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მტრის ალყა მან ზედინედ რამდენიმეჯერ გაარღვია და თავდაშხმელები გაფანტა. მოწინააღმდეგე არ ცხრებოდა, იერიში იერიშზე მოჰქონდა. მტერმა შეძლო ასეულის დაზვის ტყვიამფრქვევის განადგურება. იმ ტერიტორიაზე, სადაც ასეული იდგა, ყოველ ათ-თხუთმეტ მეტრზე ყუმბარები ცვიოდა და სკდებოდა. სერგომ პოლკის შტაბში მეკავშირე აფრინა, სასწრაფო დახმარება გამოითხოვა. თექვსმეტი წლის მეკავშირე არტუშენკომ შესძლო ცეცხლის რკალში გახტომა და შტაბამდე მიღწევა. ბავშვმა ცხენი მიიგდო და გაფითრებული შევარდა შტაბის უფროსის ოთახში.

— რა მოხდა, რა ამბავია? — შეეკითხნენ შტაბში ბავშვს.

— მძიმე მდგომარეობაა, მტერი ლაშობს ჩვენების დამორჩილებას, ყოველი მხრიდან გვიტყვის. სასწრაფო დახმარებას თხოულობს ამხანაგი არუთინოვი!

— დახმარებას მალე გამოვგზავნით, აი, ეს წერილიც. შესძლებ კი, პატარავ, პასუხის მიტანას?

— შეეძლებ მამ, აბა სხვამ ვინ უნდა წაილოს პასუხი, თუ მე არა?

არტუშენკო თვალის დახამხამებაში მოახტა ცხენს და იმ არემარედან გაჰქრა. ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. როდესაც ბრძოლის ადგილს მიაღწია, პიტლერელებმა ამ დროს ბავშვი შეამჩნიეს.

— შესდეგ! — ყოველ მხრიდან მიიძახეს ბავშვს.

ბავშვმა ცხენს მათრაზი გადაკრა და დიდი სისწრაფით გააქანა.

— შესდექ. — კიდევ შესძახეს ერთხმად პიტლერელებმა. ბავშვმა არც ამ შეძახილს ათხოვა ყური და გზა გახაგრო. ფაშისტებმა ტყვიამფრქვევების ჯერები მიიყარეს ბავშვს, მძიმედ

დაჭრილმა ბავშვმა, ბრძოლაში მძიმე, მაინც მიაღწია, ასეულის მდებარეობა მოეგებნენ. ბავშვმა, თვალი მოჰკრა თუ არა სერგოს, ხელი ჯიბეში წელა ჩაჰყო, წერილი ამოიღო და წაილულულა: ამხანაგო უფროსო, პასუხი... და, ცხენის კისერზე გადაწოლილმა, სული განუტევა. შეუწელებელი იერიშები ძვირად დაუჯდა მტერს, პარტიზანების დამორჩილება ვერ შეძლო და ცოცხალი ძალა უშედეგოდ დაჰკარგა.

ექვსსაათიანი ბრძოლის შედეგად მტერმა ერთხელაც ვერ მოახერხა ბატალიონის თავდაცვაში შეჭრა. ერთერთ გააფთრებულ შეტაკების დროს სერგო არუთინოვი ფეხში და ბარძაყში მძიმედ დაიჭრა. ვერშიგორამ სოფლის დატოვებაზე განკარგულება გასცა, მეექვსე ბატალიონს უბრძანა, დივიზიასთან ერთად პინსკის მიმართულებით წასულიყო.

— გაუფრთხილდით ცოცხალ ძალას, ამეამად მხოლოდ თავდაცვა შეადგენს ჩვენს მიზანს, ამიტომ ერთი მებრძოლის დაკარგვაც გაუმართლებელი იქნება! — ბრძანებდა ვერშიგორა.

დივიზია შეუფერხებლად მიიწედა წინ. მტრის ჩასაფრებების და დადევნების თავიდან აცდენის მიზნით მთავარი გზიდან ტყეში შეეუხვით და ეიწრო საცალფეხო გზებით ვიწყეთ წინსვლა.

კოკისპირული წვიმა მოდიოდა, მუხლამდე შემოგვადგა წყალი. გაძვალტყავებული ცხენები დაეარდნენ და ყოველ ოც მეტრში დასვენებას და სულის მობრუნებას საჭიროებდნენ.

ახლა საჭირო იყო ბარანოვიჩ-ლუნინეცის რკინიგზა გადაგველახა. ხაზის გაღალმა იწყებოდა პარტიზანებისათვის სანეტარო პინსკის მხარე. ახლა მთავარი იყო ხაზზე უმარცხოდ გადასვლა.

ხაზის საფუძვლიანი დახვეწვა მოვაწყვეთ.

— გადასასვლელი აღმოვაჩინეთ, — გვითხრეს მზვერავეებმა, — მაგრამ...

— რაა მაგრამ! — შევეკითხეთ ბიჭებს.

— ის, რომ გადასასვლელი და მისი ახლომახლო მიდამოები მტერს ჯოჯობხეთურად გაუმაგრებია.

ხაზზე თავდაცვის მოწყობა ცხენოსან დივიზიონს და პირველ პოლკს დაევალა. არტილერიის ცეცხლით ნაცარტუტად ვაქციეთ „სიმაგრეები“ და დივიზიამაც გადასარბენზე სწრაფი ტემპით იწყო გადასვლა. ხაზის მცველებმა მოკურცხლეს და შორიდან, „ნამუსის მოსახდელად“, ავტომატებით დაიწყეს სროლა. რკინიგზის ხაზის მახლობლად, უზარმაზარ ეზოში კობტად წამოჭიმული ორსართულიანი სახლი შევნიშნეთ.

— გაიგეთ, იმ სახლში ვინ ცხოვრობს, — ვეუბნები პარტიზანებს.

— მემამულეა, — მიპასუხეს მათ.

— ჩანს, მსუქნად ცხოვრობს, ჩვენ კი ამჟამად სურსათ-სანოვავის ნაკლებობას განვიცდით, მემამულის პატარა შევიწროვება დაგვიკირდება...

არჩეული ბიჭები „სადარბაზოდ“ გავგზავნეთ მემამულესთან. ორი საათი არ გასულა და მებრძოლები უკან დაბრუნდნენ, თან ორი ასეული მსხვილფეხა საქონელი მორაკეს.

თოთხმეტ აპრილს უკვე პარტიზანულ მხარეში ვიყავით. ნიჩში, მელნიკში, პოსტოვში, გუტაში და სხვა სოფლებში გავნაწილდით და დავბანაკდით. კვლავ გუტას მცხოვრებლებს ვხვდებით. გულთბილად მიგვიღეს გუტელებმა. მათ მტრისა არ ეშინოდათ!

დადლილ-დაქანცულმა პარტიზანებმა დამშვიდებით და უშიშრად გამოიძინეს გუტაში და მის მოსახლერე ხუტორებში.

ჯგუფ-ჯგუფად მოაწყდნენ ჩვენი დივიზიონის დაბანაკების ადგილს შეიარაღებული მებრძოლები.

— თქვენ ვინა ხართ? — ვკითხეთ მათ.

— ლენინის სახელობის შენაერთი და ნახლავართ.

— თქვენ?

— პარხომენკოელები!

ეს პარტიზანული მხარე იყო და აქ არაერთი რაზმი მოქმედებდა.

თბილი და მზიანი ამინდები დაიჭირა. მთავარი იყო ახლა ჩვენს ირგვლივ მდებარე რაიონების საფუძვლიანი შესწავლა.

დაბების — განცევიჩის და ზაოსტროვიჩის შესასწავლად გავგზავნე რჩეული მებრძოლები, სხვა პოლკებმაც გავგზავნეს მზვერავეები. სააეროდრომო ადგილზე გეპიროთ თვალი! ნაბრძანები ჰქონდათ მზვერავეებს.

ჩემი მზვერავეები განცევიჩიდან დაბრუნდნენ და თან სენსაციური ამბავი მოიტანეს: „ბარანოვიჩის ოლქში ამჟამად მოკალათებულია ვიღაც ნაუმჩიკი, ფაშისტების მარჯვენა ხელი, პიტლერელების ნდობით აღჭურვილი პირი. ეს ჯალათი ფაშისტების მიერ რამდენიმეჯერ ყოფილა რკინის ჯვრით დაჯილდოებული“.

— ნაუმჩიკის განკარგულებაშია პოლიციელების ბატალიონები, ავიაცია, ტანკები და ნალმტყორცნელები, — გადმოგვცეს მზვერავეებმა.

ადგილობრივმა პარტიზანებმა ნაუმჩიკის შესახებ ბევრი რამ გვიამბეს: „ამ ტირანმა გააჩანაგა სოფლები გადასახადებით. პარტიზანებს ნაუმჩიკი სახლ-კარს უწევას და დედაბუდიანად ჟლეტს, ვინც პარტიზანებს ეხმარება“.

— მერე თქვენ ურიგდებით ამას? — შევეკითხეთ პარტიზანებს.

— აბა რა ექნათ, რა უნდა მოვიმოქმედოთ? რა გავგივა ერთ მუქა პარტიზანებს კბილებამდე შეიარაღებულ ფაშისტებთან. მას რამდენიმე პოლკი ჰყავს თავის განკარგულებაში.

— პარტიზანული ბრძოლების მეთოდებს ვერ ყოფილხართ დაუფლებული, არ გცოდნიათ პარტიზანული ბრძოლა!



— ბრძოლა ვიცით, მაგრამ...

— რა მაგრამ? ვილაც ავანტურისტი აწიოკებს ქვეყანას, თქვენ ამ დროს უმოქმედოდ ზიხართ!

— როგორ თუ უმოქმედოდ, შეძლებისდაგვარად მტერს ჩვენც ვებრძვივით.

— არ კმარა ეს, მტრის ბელურების დაფრთხობა არ არის საკმარისი. ახლა ყური მიგდეთ, ჩვენი გადაწყვეტილებაა, პირველ რიგში ავანტურისტი ნაუმ-ჩიკი შევემუსროთ, დაბადების დღე ვაწყევლინოთ, რასაკვირველია, თქვენი დახმარებით და მონაწილეობით, რას იტყვიან? — შევეკითხე პარტიზანებს.

— მზადა ვართ თქვენთან ერთად ჩვენც მივიღოთ ბრძოლაში მონაწილეობა, თქვენს განკარგულებაში ვართ.

ვერწიგორამ ბრძანება ვასცა თავდაცვის გაძლიერების შესახებ. ჩემი პოლკიდან ერთი ასეული გამოვყავი, მდინარის გადაღმა გადავგზავნე და ტყეში ჩავასაფრე.

დღეები გადიოდა, მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა, მტერი არ ჩანდა. კანტაქუნტად შემოსული ცნობებით გავიგეთ ნაუმჩიკი ფაცი-ფუცშია, ძალებს აგროვებს და შემოსატყვევად ემზადება.

ამ ხანებში დივიზიის შტაბიდან ბრძანება მივიღე — ჩემი პოლკის მეორე ბატალიონის შტაბის უფროსად გრიშა კოროჩენკო დანიშნა. ამ ამბავმა ძალიან გამახარა. გრიშა კოროჩენკოს ვიცნობდი, როგორც მტკიცე მებრძოლს, შეუღრეკელ ადამიანს და ერთგულ ამხანაგს. ის საბჭოთა არმიის კადრის ოფიცერი იყო. 1943 წელს სოფელ ვიკიშჩესთან ბრძოლაში კოროჩენკო მძიმედ დაიჭრა და სამკურნალოდ დიდშიწაზე გადაიგზავნა. გამოჯანსაღების შემდეგ ის ისევ ჩვენს რიგებში დაბრუნდა.

— ესეც თქვენი მეორე ბატალიონის ახლად დანიშნული შტაბის უფროსი, ამხანაგი გრიშა კოროჩენკო, რომელ-

საც შენ კარგად იცნობდი, გეუბნები ბატალიონის უფროსს გეგზავნიან ტუტერევს.

— მოხარული ვარ, მოხარული ვარ, მე და გრიშა კარგად შევეწყობით, — თქვა სახეგაბრწყინებულმა ტუტერევმა, თან კისერი მოიქექა: — დავით ილიას-ძვე, ჩვენთან გრიშას მოსვლა ლაზათიანად რომ აღვნიშნოთ, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ?

— არაფერი!

ტუტერევმა იშვიათი სადილი გაუმართა კოროჩენკოს, როგორც ამას ჩვენში იტყვიან, ჩიტის რძეც — კი არ აკლდა, ყელის ვასასველებელიც გააჩინა. ჩემი დაკვეთით ბიჭებმა მდინარიდან ახალი თევზი მოიტანეს. ლამაზ ქებზე კობხად დაწყობილი მოხარული თევზის დანახვაზე მონადიმებმა „ცოცხალი, ცოცხალიო“, მხიარულად შესძახეს ერთხმად. ჩემგან ჰქონდათ გაგონილი ბიჭებს ეს სახელწოდება.

საღილზე ტუტერევმა ილაპარაკა ჩვენი დივიზიის საბრძოლო ტრადიციებზე და ბოლოს თქვა:

— ჩვენი პარტიზანული ბრძოლებიც მალე დამთავრდება. გამარჯვებულები სახლ-კარს დავუბრუნდებით. მადლიერი სამშობლო ჩვენ გულში ჩაგვიკრავს. მხოლოდ ჩვენ, ძვირფასო ამხანაგებო, შემდეგშიც უნდა გავიხსენოთ ერთიმეორე, დავიწყებას არ უნდა მივცეთ ერთმანეთის ხსოვნა!..

ტუტერევმა ცოლ-შვილი მოიგონა, თავისი პატარა ვიქტორი ახსენა, დიდხანია ცოლ-შვილის არავიციო-რაო, თქვა. ამ დროს ოთახში ორი წერილით ხელში მეკავშირე შემოვიდა, ერთი მე მომაწოდა, მეორე ტუტერევს გადასცა. თვითმფრინავს მოეტანა წერილები. მე და ტუტერევმა ერთდროულად წაეხიეთ წერილებს თავი და სახეები შიგ ჩაერგეთ. სიჩუმე დამკვიდრდა, პირველად სიჩუმე ტუტერევმა დაარღვია: „ის იყო, მათ ხსენებაში ვიყავი, ოლი-საგანაა წერილიო“.

— ვიქტორ კარპატსკიზე თუ რამენი იწერება? — შევეკითხე ტუტერევს.

— ჯანმრთელად ყოფილა პატარა ვიქტორი.

ჩვენი მკითხველები იცნობენ პარტიზან ქალს ოლიას, განთქმულ მეაქტომატეს. ოლია და საშა ტუტერევი ხომ პარტიზანული ბრძოლების პერიოდში შეუღლდნენ და ვაჟი შეეძინათ, რომელსაც სახელად და გვარად, ძეობასთან დაკავშირებულ ნაღიმზე, კოვპაკის თანდასწრებით, ვიქტორ კარპატსკი ვუწოდეთ.

მე კი ვანო რეხვიაშვილისაგან მივიღე წერილი. როდესაც ვანოს სახელი ვახსენე, ტუტერევი თოფის წამალივით იფეთქა.

— ვანო, ჩვენი ვანო, ჩვენი რაზმის სიამაყე. მე და ვანო პირველ ხანებში ერთ ჯგუფში ვიყავით. კოვპაკი და რუდნევი თავს დასტრიალებდნენ იმხანად ახლად ჩამოყალიბებულ რაზმს. შეუდარებელი მეტყვიამტრქვევე იყო ვანო რეხვიაშვილი, თან უშიშარი მებრძოლი. მახსოვს, 1942 წლის თებერვლის დამდეგი იყო. ჩვენი პატარა რაზმი პუტივლის მახლობელ სოფელ ვარგულში იდგა. სიმონ ვასილის-ძე რუდნევს და პარტიზანთა მეხუთე ჯგუფის უფროსს კირილენკოს სოფელ ლიტვინოვიჩში მოკალათებული პოლიციელების და გერმანელების დამსჯელი რაზმების განადგურებამ დაეკისრა. რუდნევმა და კირილენკომ დავალება პირნათლად შეასრულეს, მოსპეს და გაანადგურეს ლიტვინოვიჩში თავშეფარებული მტერი. საღამო ჟამს ვიღაც გლეხი მოვიდა ჩვენს ბანაკში და სიღორ არტემის-ძეს დიდხანს ესაუბრა.

— კოლმეურნე ვარ, ამ სოფლიდანო, — უთხრა თურმე გლეხმა კოვპაკს, — ამ სოფელში, ლიტვინოვიჩში, გერმანელებმა უფროსი ქანდარმი მოაუღინეს. დიდი თავხედი ვინმეა ეგ არამზადა, აწიოკებული ჰყავს სოფელი. მან როცა პარტიზანების მოსვლა გაი-

გო, ოთახში ჩაიკეტა და კარში არ გამოდის; როგორც მგელე გალიაში, ესეა ამჟამად ქანდარმი გამოაწყვდელი.

— გვაჩვენეთ მისი ბინა. კარგად შელამდება თუ არა, შენი თანხლებით წაველთ მასთან, თანახმა ხართ? — შევეკითხა გლეხს კოვპაკი.

— სიამოვნებით! — უპასუხა გლეხმა. კარგად რომ შელამდა, კოვპაკმა სხვა მებრძოლებთან ერთად ვანოც გამოიძახა, ამ დროს გლეხიც მოვიდა და დანიშნულების ადგილზე, რუდნევთან ერთად, მებრძოლთა ჯგუფის თანხლებით გზას გაუდგნენ.

— აი, იმ სახლში ცხოვრობს ქანდარმი, — მიუთითა სახლზე გლეხმა.

თითქოს იგრძნეს ქანდარმმა და მისმა მცველებმა, რა დღეც ელოდათ, კარი ჩუმად გამოაღეს და შესასვლელში ხელის ტყვიამტრქვევი ჩადგეს. ვანო რეხვიაშვილმა ღამის სიბნელით ისარგებლა, კარებთან მიიჭრა, ქანდარმს ხელყუმბარა ესროლა და ადგილზე გააქვავა, მისი სამი მცველი კი ცოცხლად წამოიყვანა.

მახსენდება ჩვენი რაზმის მეორე განთქმული მეტყვიამტრქვევე — ვანო ტარაკანოვი. ეს ორი ვანო, რეხვიაშვილი და ტარაკანოვი, პირდაპირ სასწაულთმოქმედნი იყვნენ. ხუტორ ვესილოვკაში ვიდექით. რუდნევმა საჩქაროდ გამოიძახა რეხვიაშვილი და უბრძანა: ამ წუთშივე შენი დაზგის ტყვიამტრქვევი გაამზადე, მტრის ალყაში ვართ მოქცეული!

რეხვიაშვილმა და ტარაკანოვმა ტყვიამტრქვევები შერჩეულ ადგილას დადგეს და ცეცხლი გააჩაღეს. პიტლერელებმა ჩვენებს გაძლიერებული ცეცხლით უპასუხეს. მტერმა ფსიქიკურ იერიშზე წამოსვლა სცადა, მაგრამ როდესაც რეხვიაშვილმა და ტარაკანოვმა მას ტყვიის ჯერები ზედიზედ მიაყარეს და საგრძნობი ზარალი აგემეს, მოწინააღმდეგე შედგა. ფაშისტების ერთი მეტყვიამტრქვევე შეუწებლად გვი-

შენდა ცეცხლს, რა არ ვეცადეთ, მაგრამ მისი თავშესაფარის აღმოჩენა ვერ შევძელით.

რუდნევემა აღმოაჩინა პირველად მისი თავშესაფარი. სიმონ ვასილის-ძე დურბინდით ხელში რეზვიაშვილთან მიიჭრა, მაგრამ მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა მოასწრო: „წისკვილთან!“ შესძახა თუ არა ეს, იქვე ჩაიკეცა. რუდნევეს ლოყაში მოხვედროდა ტყვია. მას სასწრაფოდ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. რეზვიაშვილმა და ტარაკანოვმა რუდნევეს მიერ მითითებული ორიენტირი—წისკვილი მალე ცეცხლში გახვიეს. ამ დროს, უეცრად, ტარაკანოვის ტყვიამფრქვევი ჩაჩუმდა. ტარაკანოვისათვის მტრის ტყვიას გულში გაეცლო. ბრძოლის მთელი სიძიმე შემდეგში ვანო რეზვიაშვილს დააწვა.

მახსოვს, ჩვენს რიგებში „თოვლის ბაბუად“ წოდებულმა კორნევემა მოიბრბინა ვანოსთან და წინადადება მისცა:

— აბა საჩქაროდ, ამ წუთშივე შენი ტყვიამფრქვევი მარცხნივ გადაიტანე და შტაბი დაიცავი, მტერი შტაბის ალყაში მოსაქცევად ემზადებაო.

კორნევის განკარგულება ვანომ იმ წუთშივე სისრულეში მოიყვანა, ვანიერ ბეჭებზე წამოიგდო ტყვიამფრქვევი და შტაბთან გაჩნდა, ცხვრის ფარასავით გაჰფანტა ჰიტლერელები, მაგრამ ეს დარტყმაც საბოლოო არ აღმოჩნდა. ახლა გასამეცებელი ძალებით წამოვიდნენ შეტევაზე დამპყრობლები. ოთხი პარტიზანი ძლივს-ღა ასწრებდა ლენტეხში ტყვიის ჩალაგებას და ვანოსათვის მიწოდებას. სწორედ იმ ხანებში იპოვეს თოვლში ჩაფლული ტყვიით სავსე ყუთები ჩვენმა ბეჭებმა; მიუხედავად იმისა, რომ ეს ყუთები არანაკლები სამი-ოთხი თვე რჩებოდნენ თოვლში, არც ერთი ვაზნა არ იყო გაფუჭებული.

კოვპაკის განკარგულებით, ვანო კარპენკოს მისაშველებლად გაეშურა. ვანო თავის მებრძოლების თანხლებით ახალ

ადგილზე გაჩნდა. როგორც მოვიხსენიე, ამხანად მთელს ჩვენს რაზმში ერთადერთი მძიმე დაზღვის უტყვიამფრქვევი ეანოს ტყვიამფრქვევი იყო. ვანოს მისვლამ კარპენკოს მებრძოლებში სიმხნევე შეიტანა.

დაუცხრომლად იმუშავა თავისი ტყვიამფრქვევით იმ დღეს ვანომ, მტრის განზრახვები ჩაშალა. მაგრამ რეზვიაშვილმა უეცრად შეამჩნია, რომ ტყვიის მარაგი დასასრულს უახლოვდება, მოწინააღმდეგეც ამ შემთხვევას უცდიდა: პარტიზანებს გამოეღევით ტყვია-წამალი და ტყვიამფრქვევიც დადუმდებაო. ამით ისარგებლეს ჰიტლერელებმა, ვანო ალყაში მოიქციეს, მან მძიმე ტყვიამფრქვევის ფარის უკან დიდხანს შესძლო თავის შეფარება. მტრის ტყვია სეტყვასავით მიდიოდა, მაგრამ ტყვიამფრქვევის ფარის წყალობით ვანო უვნებლად რჩებოდა. უკანასკნელი 70 ვაზნა დარჩა ვანოს, როდესაც მას ზურგიდან წამოეპარა მტრის მეავტომატე და ვანო სახეში დასჭრა.

ხედავს ვანო, რომ გული მისდის, გრძნობა ეკარგება, თვალები მინახდა და ტყვიამფრქვევზე მიდო თავი. შეამჩნია თუ არა მოწინააღმდეგემ ტყვიამფრქვევის ჩაჩუმება, ყოფინით წამოვიდა ტყვიამფრქვევის გასანადგურებლად. ვანომ ძალ-ღონე მოიკრიბა და თითქმის თავზე წამომდგარ მტერს სამოცდაათტყვიანი უკანასკნელი ლენტით გაუმსაპინძლდა. მოწინააღმდეგემ პირი იბრუნა და ცხვრის ფარასავით გაიფანტა.

სისხლიდან იცლებოდა ვანო, მაგრამ თანამებრძოლთან ერთად შესძლო მტრის რკალის გარღვევა და სიკვდილისაგან თავის დაღწევა. ოთხი თვის განმავლობაში ამ შეუღარებელი მებრძოლის პირში საკმელი არ ჩასულა, რეზინის მილით ლოყის არედან რძით კვებავდნენ მას ექიმები...

ოდნავ გამოჯანსაღდა თუ არა, ვანო კვლავ პარტიზანთა რიგებს დაუბრუნ-

და და ტყვიამფრქვევით ხელში ძველებურად იწყო მოწინააღმდეგის ცეცვა.

ტუტერევი ამ ლაპარაკში იყო, როცა პირველი პოლკის მწვერავების უფროსმა ბარსუკოვმა კარები შემოაღო, მას რამდენიმე ადგილობრივი პარტიზანი ახლდა. ბარსუკოვის შემოთეხულ სახეზე ამოვიკითხე, რომ ის კარგი ამბის მსუფყებელი არ იყო.

— ამხანაგო მეთაურო! — მომმართა მან, — განცევიდიდან და ზავოსტროვეჩიდან წამოსული მტერი გვიახლოვდება, პირდაპირ ჩვენს პოლკზე მოდის.

როგორც ერთი კაცი, ხმაამოუღებლად ზეზე წამოიჭრნენ ყველანი და თვალის დახამხამებაში ადგილზე გაჩნდნენ.

მდინარე ლანის გაღმა ნაპირას ავტომატების და ქვემეზების ჰეჰა-ჰეხილი გაძლიერდა. ჩანდა, წყლის გაღმა, ტყეში ჩასაფრებული ჩემი ასეული უკვე ჩაება ბრძოლაში. სროლამ თანდათანობით იმატა, ტყის სიღრმეში გადაიწვია, ასეულმა დატოვა გზის დაცვა. ჩანს, ვერ გაუმკლავდა მოზავებულ მტერს. განკარგულება გავეცი, მეტროპოლები სანგრებში მოწყობილყვენ, თან ვერშიგორასთან ვაფრინე მეკავშირე, საქმის ვითარება ვაცნობე.

დურბინდით გარკვევით ვხედავ — ტყიდან გამოცევიდნენ მტრის ჯარისკაცები და ჩვენსკენ წამოვიდნენ. ვიცი, მდინარე ლანის გადმოსვლას ვერ შესძლებენ, ხიღია დამწვარი. მტერმა არტილერიის ცეცხლით მოსინჯა აქაურობა, პარტიზანების ადგილსამყოფელი უნდოდა აღმოეჩინა. დუმილით შევხედით ამ საარტილერიო დაზვერვას, გარინდულები ვისხედით სანგრებში. ქუჩა და ეზოები დაიცავა, მოსახლეობამ ბინებს თავი შეაფარა და კარები მაგრად ჩაკეტა. ამ დროს ვერშიგორასგან ბრძანება მოვიდა — ცხენოსანი დივიზიონი გვერდიდან შეუტრევს მტერს და შენ შუბლიდან დაარტყიო.

აჰა, ზეზე წამოდგნენ ტყის მახლობლად ჩაწოლილი პიტლერელები,

ადგილიდან შემკიდროებულად დაიძრნენ და მდინარის ნაპირისკენ მიწყვეს ჩქარი სვლა. მეტი ცდა ვერ მოეთქვირო, ბიჭებს ცეცხლის გაჩაღება ვუბრძანე. ერთდროულად აკაჟანდნენ ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ნაღმტყორცნები, დივიზიის შტაბთან შენიღბულმა არტილერიამ დამუილი გააბა, მამაცი არტილერისტები ზედიზედ გზავნიდნენ მტრის ბანაკში ყუმბარებს. მტერი ასეთ წინააღმდეგობას არ მოელოდა. ორცეცხლშუა მოექცნენ დამპყრობლები. არტილერია ზურგიდან ცემდა, ჩვენ კი შუბლში ვურტყამდით. ამ დროს ცხენოსანი დივიზიონი გვერდიდან მიიჭრა და მტერს შევესიეთ. ადგილობრივი პარტიზანებიც ამხანად ჩვენთან ერთად იბრძოდნენ. ბევრი არ დააყოვნეს ბიჭებმა, მდინარეში გადაეშენენ და მეორე ნაპირზე ამოყვეს თავი, ჩასაფრებულ მტერთან მიიჭრნენ და თხის ჯოგით დაიფრინეს. პიტლერელთა შორის ვისაც მარდი მუხლები გააჩნდა, თავს უშველა, დანარჩენები მდინარის ნაპირებს ვერ გაცილდნენ, სამუდამოდ იქვე ჩაწყნენ. გაქეულებს ცხენოსანი დივიზიონი დაედევნა, ტყის სიღრმეში სხვადასხვა ადგილას გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. დამარცხებულმა მოწინააღმდეგემ ტყეში დაყარა საჭურველი.

ასე სამარცხვინოდ დამთავრდა ცნობილი ავანტურისტის ნაუმიჩის შემოტევა. სოფლელების სხარულს საზღვარი არ ჰქონდა: „მუდამ აწიოკებულო ვიყავით ნაუმიჩისაგან, მგლებივით დამტროდნენ მისი პოლიციელები ჩვენს სოფლებში და სიცოცხლეს გვიმწარებდნენო, — შემოგვივილეს გლეხებმა.

დამთავრდა ბრძოლა თუ არა, პოლკის უფროსები პეტრომ თათბირზე გვიხმო.

— ნაუმიჩი უნდა დაგვეტყვევებინა, ეს იქნებოდა საქმე, — გვითხრა ვერშიგორამ.

— დიდხანს ვერ მოიშუშებს კრილობებს, — ვუბასუხებთ ვერშიგორას. —

არა მგონია, ამის შემდეგ მან ბრძოლაზე იფიქროს, სამუდამოდ წელში გაეტეხეთ.

ამავე თათბირზე ვერშიგორამ დივიზიის დაზვერვის მასალები გაგვაცნო: სოფლების—ბოლშოი და მალოი როკინიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით, როგორც ეს სარწმუნოდ გავუგია ჩვენს დაზვერვას, აეროდრომი ყოფილა. ეს აეროდრომი ბელორუსულ პარტიზანებს მოუწყვიათ, ახლა საექვო არ არის, დაჭრილების დიდმიწაზე გადაგზავნას ადვილად შეეძლებოთ, — თქვა პეტრომ.

თითქოს ტელეფონით მიეწოდებინათ პეტროს სიტყვები ავადმყოფებისათვის, ცას წედნენ სიხარულით დაჭრილ-დაავადებულები: „მალე დიდ მიწაზე გავფრინდებითო“, — იძახდნენ გახარებულები.

— მაშ, დავიძრათ აქედან და აეროდრომის მახლობლად დაებანაკდეთ. ჩვენს აქ დარჩენას აზრი აღარა აქვს, — დაასვენა პეტრომ.

საჩქაროდ ტყე-ტყე განვაგრძეთ გზა, დაბურულ ტყეში მგზავრობა დღით მეტად საამური აღმოჩნდა. ის იყო შებინდდა კიდეც, როცა ერთ-ერთი აღალიდან ნაცნობი ხმა მომესმა.

— დავით ილიას-ძე ხართ? — უკან მოვიხედე, ალაღზე მწოლარე კაცი შევამჩნიე, მასთან ცხენით მივიჭერი.

— დავით, ძალიან მძიმედ ვარ დაჭრილი, არ ვიცი, რა მეშველება!

ავადმყოფს დავაცქერიდი, სერგო არუთინოვი იყო. მოვეალერსე და დავაიმდე, კარგად გამოიყურები, კიდეც ბევრ ბრძოლებს გადავიხდით ერთად-მეთქი, ვუთხარი.

— ამხანაგო დავით! თუ საშუალება გექნეთ, მინახულეთ შემდეგშია, დიდად მასიამოვნებთ!

— გახსენება არ არის საჭირო, კიდეც გინახულე.

სოფლებს — ბოლშოი და მალოი როკინებს დაუვახლოვდით და დივიზიაც შედგა. წინასწარ განაწილების

მიხედვით, პირველი პოლკი, ცხენოსანი დივიზიონი და დივიზიის მტაბი ბოლშოი როკინში დაბანაკდა, მეორე და მესამე პოლკები — მალოი როკინში და მის ირგვლივ მდებარე ხუტორებში.

ამ სოფლებში ადგილობრივი პარტიზანებიც აღმოჩნდნენ, დაინახეს თუ არა ჩვენი დაჭრილები, ბინები და გვითმეს და თვითონ ტყეში გავიდნენ. დაბანაკებისთანავე აბანოები შევაკეთეთ და ავამუშავეთ, ყველამ იბანავა, ტანსაცმელი დავირეცხეთ და დავისუფთავეთ, ამუშავედნენ ჩვენი თერძები და ფესხაცმელის მკერავეები.

ვერშიგორამ აეროდრომის ადგილმდებარეობის ზუსტად შესასწავლად მხვერავეები გაგზავნა. როგორც გამოირკვა, აეროდრომი კომაროვის პარტიზანულ შენაერთს ეკუთვნოდა. კომაროვი ძველი რევოლუციონერი იყო, სამოქალაქო ომების მონაწილე. კომაროვი ფსევდონიმი იყო, მისი ნამდვილი გვარი ჩვენ არ ვიცოდით. კომაროვზე ქვემოთ მეჭნება კიდეც ლაპარაკი.

გულთბილად მიგვიღო მოსახლეობამ, სოფელში შესვლისთანავე ჩემი ყურადღება მიიქცია ერთ შენობაში გამოკიდებულმა თუნუქის ნაჭერმა, მასზე წარწერილი იყო სიტყვები: „სასოფლო საბჭო“.

— ყოჩაღ, ბიჭებო, აქ ისევ საბჭოები? — ვკითხულობ.

— დიახ, საბჭოთა ხელისუფლება ჩვენთან ისევ ძალაშია, ერთი წუთითაც არ დარღვეულა. მტრის ფეხი ჩვენს მიწა-წყალზე ვერ გაიჭაპანებს, ეს ხომ პარტიზანული მხარეა, — მაასუხა ჩემი ბინის პატრონმა, კეთილმა მოხუცმა.

— მტკიცე ხალხი ყოფილხართ, ბარაქა თქვენს ვაეკაცობას!

— ერთი რამ გვაქვს სამწუხარო, დიდ მიწას მოწყვეტილი ვართ.

— მალე მოვლება ბოლო თქვენს ასეთ შევიწროვებას, სულ მალე მოვეგრეხთ კისერს ჰიტლერელებს.

— სწორედ ამ იმედით ვცოცხლობთ ჩვენც. მაშ მალე გავთავისუფლებით მოძალადე მტრისაგან?

— მალე, მალე, მოხუცო, მერწმუნე, მალე!

ვერშიგორამ ღია პარტიული კრება მოიწვია. ამ კრებაზე ახლანა და მთავრებული რეიდის დადებით მხარეებსა და ნაყოფანებებზე ილაპარაკა:

— ლეოვ-ვარშავის რეიდი, — განაცხადა მან, — რომელიც 1944 წლის 5 იანვარს დაიწყო, აპრილის ოცდაშვიდში დამთავრდა. ამ ხნის განმავლობაში დივიზიამ ორიათას ასი კილომეტრი გზა განვლო.

ვერშიგორამ მოიხსენია ყველა ადგილი, სადაც ბრძოლით გაიარა დივიზიამ. ასეთები იყო როვენსკის, ვოლინსკის, ლეოვის, ლიუბლინსკის, ვარშავის, ბრესტ-ლიტოვსკის, პინსკის, ბელოსტოკის ოლქები. დაასახელა აგრეთვე რეიდის დროს ფორსირებული მრავალი მდინარე და რკინიგზა.

რკინიგზის ორმოცდარვა გადასასვლელი გადავლახეთ, უმრავლესობა ბრძოლით გავიარეთ, — განაგრძობდა ვერშიგორა, — სულ ასოცდათვრამეტი ბრძოლა გადავიხადეთ, აქედან ოცდაოთხ შეუპოვარ ექვსსაათიან ბრძოლებში ვიყავით მოწინააღმდეგესთან ჩაბმული.

ამ პერიოდში მტრის მრავალი კომუნიაკცია და სხვადასხვა წარმოება გამოვიყვანეთ მწყობრიდან. ისეთი დიდი რკინიგზის ხაზი, როგორიც არის ლეოვ-ვარშავას რკინიგზა, განადგურების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში აღუდგენელი იყო. ასეთივე ხანგრძლივობით მრავალი სხვა დიდი მნიშვნელოვანი გზებიც განადგურებული და ხანგრძლივად აღუდგენელი რჩებოდა.

ამ ხნის განმავლობაში ავაფეთქეთ სამი ელექტროსადგური და ორი სამხედრო მნიშვნელობის ქარხანა. ათას ას სამოცდა თექვსმეტი მეტრი რკინიგზის ხაზი და ორი ათას ორმოცდახუ-

თი მეტრი სიგრძის ხიდებია დაშლილი და განადგურებული.

შემდეგ ვერშიგორამ რეალურად განადგურებული და მწყობრიდან გამოყვანილი ათეული და ასეული საწყობების, ტანკებისა და ჯავშნიანი მანქანების, ქვემეხების, თვითმფრინავების, მოტოციკლების, საცეცხლე წერტილის, ტელეფონისა და რადიოსადგურების შესახებ. ამას გარდა მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა დროს ამ სარეიდო ბრძოლებში განადგურებულია ხუთიათასასამოცი მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი, ტყვედ წამოყვანილია ხუთას ოთხმოცდათვრამეტი ჯარისკაცი.

— ფაშისტების ტყვეობიდან ორპი სამხედრო ტყვე! გავათავისუფლეთ, ათიათასი მშვიდობიანი მოქალაქე დავატოვებინეთ ფაშისტებს. რეიდის პერიოდში ბევრი მებრძოლი შეემატა ჩვენს შენაერთს და ამ ზრდასთან დაკავშირებით, როგორც იცით, დივიზიად იქცა ჩვენი შენაერთი.

— პოლონეთის ხალხი ამ რეიდის დროს ძალზე გულთბილად გვხვდებოდა. საკონცენტრაციო ბანაკებიდან თავდაღწეული და გამოქცეული წითელარმიელები მოსახლეობის მფარველობით სარგებლობდნენ, პოლონეთის სოფლებს აფარებდნენ ისინი თავს.

პეტრომ სრული სიცხადით გააშუქა ჩვენ მიერ განვლილი ბრძოლები.

— დააჩქარეთ დასაჯილდოებელთა სიების დამუშავება, მალე კიევში უნდა გავემგზავრო, — მოგვმართა პოლკის უფროსებს პეტრომ. ტიმოფეი სტროკაჩმა გამომიძახა.

სტროკაჩი მაშინ უკრაინის პარტიზანული შტაბის უფროსი იყო და ვერშიგორა მასთან წასასვლელად ემზადებოდა.

შტაბში ვზივარ და ვმუშაობ. „ფანცულაია დაბრუნდაო“, — მომახსენეს. ფანცულაია მდინარე ბუგთან ბრძოლების შემდეგ არ ჩანდა, უგზოუკვლოდ დაიკარგა. დიდი დრო გავიდა მას შემ-



დღე, ფანცულაიას უკვე დაღუპულად ვთვლიდით და აი უცებ მან შტაბის კარები შემოაღო და შემოსვლის ნებართვა ითხოვა.

— შემოდით, — ვუბნებები მას. ჩემს წინ გამხდარი, თვალმჩაიკვენილი კაცი იდგა.

— გამეხარდა შენი მოსვლა, ამხანაგო ფანცულაია...— ვუთხარი მას, მეტი ვერაფერი მოვახერხე. ისეთი შესახედობა ჰქონდა, სიბრაულემა ამიტანა.

— დაღუპულთა სიაში ვწერივარ ალბათ... ბუნებრივიცაა, აქ გასაყვირი, არაფერია, — ჩახლჩინილი ხმით მეუბნება ახლადმოსული.

— როგორია შენი თავგადასავალი, მზად ვარ მოსასმენად!

— მოგახსენებთ, ყველაფერს გეტყვით — ფანცულაიამ გამხმარი თხელი ტუჩები თითებით მოისრისა და თავისი ამბავი დაიწყო:

— ხიდის ქვემოთ, მდინარე ბუგის გასწვრივ გავლუბულ თხრილში ჩასაფრებული პიტლერელი სასიკვდილოდ დავჭერი. ის იყო თხრილში ჩაეხტი, ვილაცამ კუთხიდან გამოსროლილი შაშხანის ტყვიით ფეხში დამჭრა. უკან გამობრუნება ვცადე, მაგრამ ორი ნაბიჯი ვერ წავდგი წინ: დავდგები ფეხზე, წავიქცევი, ფეხი დამქიმდა და გახურდა, შევამჩნიე სისხლით აივსო ჩემკმის ყელი. ამ დროს თქვენ გააფთრებულ ბრძოლაში იყავით ჩაბმული, ვინ რა იცოდა, ხიდის ქვემოთ რა ხდებოდა. ვამჩნევ — გული მიღონდებოდა, თვალეებში ბურუსი წამომაწევა, ჩაეჯექი და აღსასრულს დაველოდე. უცებ დავინახე, რომ ცხენოსანი დივიზიონი შედგა ხიდზე და ცხენებმა საშინელი ხმაურით ზედ გადაირბინეს.

სად არის ჩემი დამჭრელი, რატომ არ ჩნდებოდა, გავიფიქრე ამ დროს გულში. არავინ ჰკატანებს ახლომახლო, ისევ თხრილში ვხეივარ. ხმაური შენელდა, იარაღის შორეული ხმა გარკვევით მესმის. ჩანდა, სამშვიდობოზე ვავიდნენ

ჩევენები, ვიცოდი მიმალული ფაშისტები ახლა სოროებიდან გამოძვრებოდნენ და ქათამივით უჩამკლავდნენ თხრილში. მტრის ხელებში ვიყავი მოვკვდე, რათ ჩაეუყვარდე ცოცხლად ხელში? თუ ეს გარდაუვალია, უმჯობესი იქნება, მე თვითონ მოვულო ჩემს თავს ბოლო. ერთხელ კიდევ ვცადე მტრის ხელიდან თავის დაღწევა, ძალღონე მოვიკრიბე, ზეზე წამოვიტყუარი და იქვე, თხრილგადაღმა, მდორედ მიმდინარე ბუგში ვადაეეშვი. წარმოიდგინეთ, გავეცურე, მეორე ნაპირას ამოვყავი თავი. ისევ მოვიკრიბე ძალღონე, ფეხზე ჩექმა წავიძვრე და ჰრიალობა მჩვრით მაგრად შევიხვე. მოვღონიერდი, თვალეებში ბურუსი გაიფანტა, გულმაც ნორმალურად იწყო ძგერა, ფეხი ავიკაუჭე და ბტუნვით ტყემდე მივაღწიე, გამხმარი ხის ტოტი დავიბიჯე და ტყის სიღრმეში შევედი, სიხმარში ვარ თუ ცხადში? — ვეკითხებოდი ჩემს თავს, გათენდა. ჰრიალობა გულდასმით დავათვალერე, ძვალი არ უნდა იყოს დაზიანებული. მთავარი იყო სოჭლამდე მიმეღწია.

ვისაც შეხვედრია მარტოდ-მარტო უჯზო-უკვლოდ უღრან ტყეში ხეტიალი, მას დაახლოვებით მაინც შეუძლია წარმოიდგინოს ჩემ მიერ განვლილი წამება და გასაჭირი. ბუგის წყლით გაედნთილი ბურის ნაჭერი ვიპოვე ჩანთაში, მას ცოტ-ცოტას ვლოკავდი და სულს ვიბრუნებდი. გაფაციცებით დავეძებდი ტყიდან გასასვლელ გზას, მაგრამ ვერ ვპოულობდი. უეცრად ნაჯახის შორეული კაკუნი შემომესმა. სიხარულისაგან მღელვარება ვიწყე. ფეხის ათრევით მიეყევი ამ ხმას. მალე გლეხს თავზე წავადექი, ის ახალ მოჭრილ ხეს სოლით აპობდა. მივესალმე. გლეხი წელში გასწორდა, წვერზე ხელი ჩამოისვა, ქუდის ყურსათი ზეზე ასწია და გაოცებით დამაკტერდა.

— არ დაეჭვდეთ, მტრად არ მიმი-  
ლოთ, მოყვარე ვარ, იცოდეთ, დაჭრი-  
ლი პარტიზანი ვარ.

გლუხმა ამხედ-დამხედა. ვამჩნევ,  
მას ჩემი ტანსაცმელი არ მოეწონა,  
გერმანული ტანსაცმელი მეცვა.

— მე თქვენთან საქმე არა მაქვს,  
შეშაზე ვარ მოსული, მშვიდობით ია-  
რეთო, — ზრდილობიანად გამისტუმრა.

— გზის დალოცვისათვის გმად-  
ლობთ, მაგრამ დაჭრილი და მშვიერი  
კაცი სად წავიდე, ძლივს-ღა ვდგავარ  
ფეხზე.

— მე რასა მთხოვ, რა გნებაეთ  
ჩემგან?

— თავშესაფარი მომეცი, მოსვენება  
მესაჭიროება, კრილობა უნდა მოვიშუ-  
შო. ახლა ჩემთვის ტყეში დარჩენა  
სიკვდილს უდრის.

ხელიდან გააგდო გლუხმა ცული,  
დოინჯი შემოიყარა.

— ჩვენი სოფელი პოლონეთის სა-  
ზღვარზეა, ბუგის ნაპირზე. დამპყრობ-  
ლები მაშინვე გიპოვნიან, შეგამჩნევენ.  
ჩემთვის გასაგები გახდა, რომ  
გლუხს არ უნდოდა შინ წავეყვანე.

კვლავ დაეუწყე მუდარა და მტკიცე-  
ბა, რომ ამ ყოფაში ჩემი დატოვება  
დანაშაული იქნება-მეთქი. შევებრალე,  
მოლბა.

— რა ვიცი, ვინა ხარ, დღეს მოყვა-  
რე მტრისაგან ძნელი გასარჩევია,  
თვალთმაქცობს ხალხი. ამას წინათ  
ჩვენს სოფელში მოსული უცხო პირე-  
ბი გვეფიცებოდნენ — პარტიზანები  
ვართო და პოლიციელები აღმოჩნდნენ.

— მერწმუნეთ, პარტიზანი ვარ, ბუგ-  
თან დავიჭერი ბრძოლაში, ჩვენებს ჩა-  
მოვრჩი, — დაწვრილებით ეუამპე  
გლუხს ჩემი თავგადასავალი.

— დაჯექი ურეშე, ჩემი მაზარა  
წამოისხი, — მითხრა ბოლოს გლუხმა.

ღვიძლ ძმასავით მიმილო გლუხმა,  
პყუდრო კუთხე დამითმო, სასაბელ-  
საქმელი უხვად მომიტანა. შვიდი დღე-  
ღამე დავყავი მის ოჯახში, სული მო-

ვიბრუნე. მას შემდეგ სოფელ-სოფელ  
დავეხეტებოდი, ჩვენი დივიზიის გზა-  
კვალს დავეძებდი. სადაცკი მგველი,  
ყველგან უნდობლად გვიხედავდნენ,  
ეკვის თვალით მიცქეროდნენ. „პარ-  
ტიზანი პარტიზანებთან უნდა იყოსო“,  
— მეუბნებოდნენ.

ვინ მოთვლის, რამდენი შეურაცხ-  
ყოფის და დამპირების ამტანი ვარ.  
ამავე დროს, ვინც კი ჩემს კეთილსამე-  
ლობაში დარწმუნდებოდა და პარტიზა-  
ნად მიმიღებდა, თავს მეულებოდა.

— ამხანაგო ფანცულაია, ასეთია  
პარტიზანის ხედვრი, პარტიზანის გზა  
ნარეკლიანია, გასაჭირი დიდია. გმირუ-  
ლად უნდა გადავლახოთ ყველა დაბრ-  
კოლება. მართალია, დიდი გასაჭირი გა-  
მოვივლია, მაგრამ კარგია, რომ სულით  
არ დაცემულხარ და სიკვდილისათვის  
თავი დაგლწევია.

ფედჩუკი ვიხმე, ვუბრძანე ფანცუ-  
ლაისათვის ტანსაცმელ-ფეხსაცმელი  
მიეცა.

ფანცულაიამ ხელი ამიღო და მორი-  
დებულად კარში გავიდა. მას მე თვა-  
ლი გავაყოლე. ხმაგაუღებლად დიდხანს  
ვიჯექი, ფიქრებს მივეცი: ამ კაცის  
დაბრუნებას და მოსვლას არ მოველო-  
დით, დაკარგულთა სიაში ჩაეწერეთ.  
მოულოდნელი იყო მისი მოსვლა. ვი-  
საც ველოდით, ის კი არსად ჩანდა.  
ოცდახუთი ღამით ვაყკაცი, აღარა-  
ვინ იცოდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ.  
გასაჭირის დროს ხომ ცეცხლში გაძე-  
რებოდნენ ისინი, კედელს გაანგრევდ-  
ნენ და განსაცდელის თავის დაღწევას  
შეძლებდნენ. გადიოდა დღეები და  
ისინი არ ჩანდნენ, არავინ იყო მათი  
მნახველი, სულ უბრალო ცნობა არ  
მოგვეპოვებოდა მათზე. არა და ბიჩ-  
კოვი შეუღარებელი ვაყკაცი, ხელ-  
მძღვანელობს იმ ოცდახუთეულს.  
ზურგზე წამოკიდებული დაჭრილი ბა-  
ზიმა მტრის საზღაპრო გარემოცვაში  
გამოატარა ბიჩკოვმა და შენაერთის  
შტაბში მოიყვანა. მაშ, რატომ არ

ჩნდება ეს მამაცი პარტიზანი, ნუთუ ის, ვინც ზღვაში დაღუპვას გადაურჩა, ახლა ცვარმა დააღრჩო!

სწორედ იმ ხანებში ვერშიგორამ გამომიძახა და მითხრა, რომ აეროდრომისათვის შესაფერი ადგილი უკვე ნაპოვნია ლენინის რაიონის სოფელ ხოროსტაში და დაპირილთა ევაკუაციამ შენ უნდა უხელმძღვანელოო.

პირველ რიგში დაპირილები გადაიყვანეთ აეროდრომებზე, იქიდან, მოგვეცემა თუ არა მოხერხებული შემთხვევა, ნაწილ-ნაწილ თვითმფრინავებით გაეისტუმრებთ კიევშიო.

პეტროსთან საუბრის შემდეგ დივიზიის შტაბიდან ბრძანება მივიღე. თადარიგს შევეუდგე. ექიმ ციმერის თანხლებით ყველა პოლკს ჩამოვტარე და კიევში გასასტუმრებელი დაპირილები აღრიცხვაზე ავიყვანეთ. ყველა პოლკში გახურებული მუშაობა მიმდინარეობდა. დახასიათებებს წერდნენ სამკურნალოდ გასაგზავნ მებრძოლებზე.

ხელმოკრედ გამომიძახა შტაბში ვერშიგორამ, განმარტება მომთხოვა, როგორ მიმდინარეობს აეროდრომზე გამგზავრების სამუშაოსიო.

სწორედ ამ დროს პარტიზანებმა შტაბში მოირბინეს და თითქმის ერთდროულად შესძახეს:

— ბიჩკოვი გამოჩნდა, ბიჩკოვი მოვიდაო!

— მარტო ბიჩკოვი მოვიდა? — შეეკითხა ბიჭებს ვერშიგორა.

— არა, მასთან სხვა პარტიზანებიც არიან!

თათბირი შეწყვეტიტ და კარში გამოვეცივდი. ყველაზე წინ მე გავრბოდი. საშინლად ეღვლეაღი. ვცდილობდი, დამეთვარა ჩემი მღელვარება, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ოცდახუთი ვაჟკაცი შურდულივით მოაქროლებდნენ ჩვენსკენ ცხენებს, თითქოს იერიშზე მოდიანო. ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ისინი ცხენებიდან ერთდროულად გადმოეშენენ. თავშეუყავებ-

ლად მივიჭერი და ბიჩკოვი გულში ჩავიკარი, შემდეგ ყველას სათითაოდ მოვეხვე. ბიჩკოვს სიხარულს ცრემლები გადმოსცვივდა.

— ცხენოსან ჯარში თქვენ არავის ჩაურიცხავხართ, მაშ ეს რა ამბავია, რომ ასეთი მერნებით დაგვიბრუნდით. — ეხუმრება ვერშიგორა მოსულებს. ბიჭებს ერთდროულად წასკდათ სიცილი.

— ალაღს ცხენი სჯობს, ამხანაგო უფროსო, — პასუხობს ბიჩკოვი.

მეტად საინტერესო და საგულისხმო აღმოჩნდა ოცდახუთი პარტიზანის თავგადასავალი.

— მას შემდეგ, რაც მდინარე ბელაიაზე გადავედით, ჩვენ ხიდგადაღმა მოვემწყედით, — გვითხრა ბიჩკოვმა, — ბევრჯერ შევეცადეთ უკან გამოვბრუნებულიყავით და თქვენთან მოვსულიყავით, მაგრამ ამაოდ, საამისო საშუალება მტრის ცეცხლის წვიმამ არ მოგვცა. მხოლოდ გარიტრაზე ცურვით შევქელით ბელაიაზე გადმოსვლა. პირველ რიგში სოფელ რეკოვკაში მივედით და გავითხეთ. წავიდნენ თქვენებო, გვითხრეს სოფლელებმა. ისიც გვითხრეს, დაღუპული ამხანაგები დაგესაფლავებიათ ვიაჟიშჩეში.

— გამოგიდექით, გვეგონა დაგეწოდით, მაგრამ მოწინააღმდეგე კვალდაკვალ გამოგვევა, ჩასაფრებები მოგვიწყო, ბევრჯერ გავუსხლტით მტრის ხელიდან, ბევრი თავდასხმა მოვიგერიეთ. გზაში მემამულეს სასახლეს წავაწყდით. ბევრი არ დაეყოვნეთ, შევანგრიეთ ალაყაფის კარები და ეზოში შევიჭერიტ. ეს ოცდახუთი ცხენი მემამულის საჯინიბოდან გამოვიყვანეთ და ჰენებით ქუჩაში გამოვედით. კვლავ წავაწყდით მტრის ჩასაფრებას, ფეხმარდმა ცხენებმა გვიხსნეს.

ამ მებრძოლების მოსვლასთან დაკავშირებით აეროდრომზე ჩვენი წასვლა ერთი დღით გადაიდო. მოსულნი უკლებლივ აბანოში გავგზავნეთ, მათ ტანსაცმელი დაირეცხეს, დასუფთავდნენ.

დანიშნულ დროზე, დანიშნულ ადგილას აღალები ოთხასამდე დაქრილით ქუჩაში გამოეფინენ, ერთი მეორეს კედში მოებნენ და აეროდრომისაკენ გაეშურნენ.

ჯერ კიდევ სოფელს არ ვიყავით გაცილებული, თვითმფრინავების ღმუილი შემოგვესმა. ყველამ ყურები ვეჭვიტეთ.

— მტრის თვითმფრინავები გვიახლოვდებიან! — აქა-იქ წამოიძახეს ბიჭებმა.

შორეულ პორტიზონტზე ეჭვსი ბომბდამშენი ამოცურდა.

— აბა, ავადმყოფებს მიეშველეთ საჩქაროდ! რამდენადაც მოახერხოთ, პირველ რიგში აღალები შენიღბეთ! — გასცეს განკარგულება მეთაურებმა.

მტრის სევებმა სოფლის თავზე წრე აღწერეს და ერთდროულად მას ყუმბარები დააყარეს. ხანძრის ენები აღიმართა, იწვოდა სოფელი, ქალების და ბავშვების წივილ-კივილი ცას წვდებოდა. აწოკებულ სოფელს ევრაგი მტერი ყუმბარებს შეუწელებლად აყრიდა თავზე. ადგილზე დარჩენილი პარტიზანები თავგანწირვით შერბოდნენ ხანძარში გახვეულ სახლებში და მყუდრო ადგილას გაჰყავდათ დაქრილები. ჩვენი სანიტარებიც ცეცხლის წვიმაში პრილობებს უხვევდნენ დაქრილებს.

— დივიზიის შტაბის ბინა იწვის! — გაჰყოლა ვიღაც პარტიზანი.

— ყუმბარის პირდაპირი დაცემით განადგურდა შტაბი! — გაჰყვიროდა მეორე.

სანახევროდ დანგრეული და ხანძარში გახვეული შტაბის ბინა ბიჭებმა წრეში მოიქციეს. ვეღაცეებმა ბინის შიგნიდან ფანჯრები ჩალეწეს. ცეცხლით გარუჯული სამი ახალგაზრდა ფანჯრიდან ძირს გადმოხტა. ჩვენი პარტიზანები იყვნენ ეს ახალგაზრდები, მათ შორის იყო ჟორჯოლიანიც, ის დროშით ხელში გადმოხტა ფანჯრიდან.

ჟორჯოლიანი ვიხმე. იმ საშინელ ცეცხლში წარბები და წამწამები/სრულიად გარუჯოდა.

დივიზიის დროშა და მთელი დოკუმენტაცია გადარჩენილ იქნა.

თვითმფრინავებმა სოფელს დაბომბვით აკმარეს, შემდეგ ტყვიამფრქვევები დაუშინეს მას.

ათი პარტიზანი და ოცდაათი გლეხი დაიპრა. დაიწვა ჩვენი საველე სტამბა. რომ არ შენელებულიყო სიანფორმაციო ბიუროს ცნობების ბეჭდვა და მოსახლეობაში მისი გავრცელება, კივილიდან საჩქაროდ გამოვიტხოვეთ სტამბის ახალი მოწყობილობა.

პარტიზანებს პოლესიეში ყოფნის დროს სადივერსიო ოპერაციები, როგორც ეს ზემოთ ვთქვი, წუთითაც არ შეგვიწინებია. მტრის გარნიზონების შევიწროვების და მატერიალურად ზარალის მიყენების მიზნით დაბებში — ზასტროვიჩეში და ზამოცევაში, სადაც მტრის მსხვილი გარნიზონები იდგა, აგრეთვე მოსკოვ-ვარშავას რკინიგზაზე, ვერშოგორას ბრძანებით, გადასროლილ იქნა მეორე პოლკი. ადგილზე მისვლისთანავე კულბაკამ სადივერსიო ოპერაციები გაშალა.

ახალ გარემოებაზე ჩემი პოლკი ასორმოცდაათი დაქრილით აეროდრომის მიმართულებით გზას გაუდგა. ათეული კილომეტრების მანძილზე გზა უწყვეტი ტყის მასივით იყო დაფენილი, ამიტომ მტრის ავიაციის თავდასხმისაგან უზრუნველყოფილი ვიყავით. ავადმყოფებზე დადებითად იმოქმედა რბილი დადავიან ტყეში, თბილ ამინდში, დღისით აღალებით მოგზაურობამ. გზა-გზა ცივი წყაროს წყალს რომ წაეაწყდებოდა, ავადმყოფებს ვასვენებდით.

აეროდრომს მივუახლოვდით, კოლონა შევავყენე და დასვენება მოვაწყვეთ.

როგორც უკვე აღვნიშნე, აეროდრომი გენერალ კომაროვის პარტიზანულ შენაერთს ეკუთვნოდა. კომაროვის შენაერთი აეროდრომთან მახლობელ ტყეში

იყო დაბანაკებული. კომაროვთან შტაბის უფროსის ბერეცნოის ხელმძღვანელობით ბიჭები გავგზავნე, დაბანაკების ნებართვა ვთხოვე მისი თავდაცვის ტერიტორიაზე. კომაროვმა პირადად მე მიხმო. წავედი, ცამდე აზიდულ ხეებშია, სახელდახელოდ აგებულ ქონის წინ გენერლის ფორმაში გამოწყობილი მოსიერნე ვაჟკაცი დაინახე. იგი კომაროვი იყო. მივესალმე და მოვახსენე, ვინც ვიყავი. კომაროვი შემომეგება, ხელი ჩამომართვა, შტაბში შემძღვრა და გულთბილი საუბარი გამიმართა.

— ისარგებლეთ აეროდრომით, მზად ვარ დაგიტოვოთ, — მე მას ვთხოვე ნება დაერთო ახლომახლო მდებარე ადგილების დაზვერვა ჩამეტარებინა, აეროდრომით შესარგებლა, დაკრილ-დაავადებულების კიევი გადაგზავნა მომეწყო.

— სიამოვნებით, დიდი სიამოვნებით — მეუბნება კომაროვი! ამავე დროს ისიც უნდა გითხრათ, ჩვენ ორი აეროდრომი გვაქვს, ნამდვილი და ფიქტიური. ნამდვილ აეროდრომს დღისით ვნიღბავთ, ფიქტიური კი მუდამ თვალსაჩინოა. შემთხვევის დროს მტრის ავიაციიდან განსაცდელი ფიქტიურს მოვლის.

იმ დღესვე დავალებით გავგზავნე დაზვერვა, რათა აეროდრომის მახლობლად მოხერხებული დასაბანაკებელი ადგილი შეერჩიათ. აეროდრომიდან თორმეტი კოლმეტრის დაცილებით მომალლო და მშრალი ადგილი აღმოჩინათ მწვერავებს; ჩვენც იქ დავბანაკდით.

ბიჭებმა სახელდახელოდ ააგეს მიწურები, რომლებშიაც დაკრილ-დაავადებულები მოვათავსეთ.

დაბანაკებისთანავე კიევის დაუუკავშირდი, ვაცნობე, თუ სად ვიყავით დაბანაკებულნი.

მეორე საღამოს, ოცდახუთ აპრილს, თვითმფრინავის ზუზუნნი შემოგვესმა, მალე თვითმფრინავი ძირს წყნარად დაეშვა. ბიჭები თვითმფრინავს შეე-

სიენენ, საომარი მასალა თვალის დახამხამებაში გადმოტყვირთეს და დაკრილდები დიდი მზრუნველობით შეეცადათ. გასტუმრებულ დაკრილთა შორის ჩემი პოლკის გვირი მებრძოლებიც იყვნენ: სერდიუკი, ბოკარევი და დოროფევი. თვითმფრინავმა კამარა ჰკრა, ცის სივრცეში შეეცურა და მალე პორიზონტს შეეფარა.

შემდეგში ყოველ დამე მოდიოდა თვითმფრინავი, ავადმოუფებს და დაკრილებს სისტემატურად ვგზავნიდით კიევიში.

ვერშიგორაც გასაფრენად ემზადებოდა. რეიდის დასრულების გამო ცენტრალური შტაბისათვის საანგარიშო მოხსენება უნდა ჩაებარებინა. თან დასაჯილდოებელ პარტიზანთა სიები უნდა წარედგინა.

უამინდობამ შეაფერხა პეტროს დროულად გამგზავრება. კარგი ამინდის დაკერას და თვითმფრინავის გამოჩენას ველოდებოდით, საღამოობით ცეცხლს ვაჩაღებდით აეროდრომზე, ვერშიგორასთან ერთად კოკონს შემოვუსხდებოდით და წარსულის გახსენებით ვერთობოდით. მოვიგონეთ პეტროს უზარმაზარი, ფართო შარვალი, პოლონეთში რომ შეიკერა. შემდეგში მას შტაბის დაბომბვის დროს დაეწვა იგი.

— ვიცით, ისტორიული შარვალი დაგეწვათ, ამხანაგო პეტრო, შესაძლოა მისი თარგი შემოგრჩათ? ჩვენც გვინდა ვისარგებლოთ მისი თარგით, — ვეუბნებით პეტროს.

პეტრომ განზე გაიხედა და გაიღიმა: — არაფერი დამრჩენია იმ შარვილიდან; პოლონეთში გაბრუნება და მის შემკერავი თერძის მოძებნა დაგჭირდებათ.

— თვითმფრინავი გამოვიდა, ამხანაგო უფროსო, ესეც არის გადმოგვცა კიევი! — მოახსენა პეტროს რადიომიმღებმა ქალმა.

— ეგ კარგია, მაშ. მოვემზადები! — პეტროს ზეზე წამოიჭრა და თადარიგს შეუდგა.

ამხანაგო უფროსო, ვთხოვთ გადასცეთ ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვს ჩვენი პარტიზანული სალამი!

— დემიან სერგეის-ძე კოროტჩენკოს, ტიმოფეი ამბროსის-ძე სტროკანს, სიღორ არტემის-ძე კოვპაკს ჩვენი სალამი გადაეცე.

— ჩვენი სალამი გმირ დედაქალაქს, საყვარელ კიევს! — პარტიზანებს შუა ჩამღვარი ვერშიგორა ზედიზედ იმეორებდა: გადაეცემ, გადაეცემ!

— გზა მშვიდობისა, პეტრე პეტრეს-ძე, კეთილი მგზავრობა, ვაშა, — დასასრულ შესძახეს ერთხმად ბიჭებმა, როდესაც ის საპაერო მანქანაში ავიდა. თვითმფრინავის გუგუნი ღამის წყვდიადში თანდათან მინელდა და მალე სულ მიწყდა.

კიევიდან მოსული თვითმფრინავების მიღება აეროდრომზე ოდნავ არ შეფერხებულა, თვითმფრინავები, თითქმის ყოველ დამე მოდიოდნენ. პირველი მაისის წინა დღეებში თვითმფრინავმა კიევიდან უხეად მოგვიტანა საჩუქრები: ტკბილეული, პაპიროსი, წინდები და ტანსაცმელი. ბიჭებმა სურვილი გამოთქვეს, ჩვენც ვაუგზავნოთ კიევს სამაგიერო საჩუქარიო. შევარჩიეთ საუკეთესო ჯიშის ძროხა, რომელიც დღემდე იმეში ოცდაათ ლიტრ რძეს იძლეოდა, და ცენტრალურ შტაბის მისამართით თვითმფრინავით კიევში გავგზავნეთ. შტაბს ვთხოვდით ჩვენი ჰოსპიტალისათვის გადაეცა ჩვენი ძღვენი.

ციმერმა გასაგზავნი დაჭრილი პარტიზანების სია წარმომიდგინა. ამ სიას გავეცანი და ექიმთან ერთად ავადმყოფების სანახავად წავედო. ავადმყოფებს ციმერმა სიცხე გაუზომა. სიცხის გაზომვის ჯერი არუთინოვზე მიდგა, ისიც უნდა გაგვეგზავნა კიევში.

— აი შენც მალე გავისტუმრებთ, — ვუბნები არუთინოვს, — კიევში კარგად მოგივლიან, საბოლოოდ განიკურნები.

— ეს კარგია, მაგრამ ცუდად ვგრძნობ თავს, რა დამემართება არ უციცი!

— უთუოდ დელაქსი ნერვების დარდი ნუ გექნება!

ექიმმა სერგოს ილლიდან სიცხის საზომი გამოუღო, დახედა და თვალი თვალში გამოყარა.

— ამას ხედავ? — ჩუმად ჩაილაპარაკა ციმერმა და სიცხის საზომი გამომიწოდა. ვერცხლის წყალს 40 გრადუსისათვის მიედწია.

— რაშია საქმე? — შევეკითხე ციმერს.

— უთუოდ პარტახტიანი ტიფი შეეყარა.

ეს ავადმყოფობა ძე მოხდილი მქონდა, ამიტომ ავადმყოფს უშიშრად აეუწიე პერანგი და მუცელზე დაეხედე. წვრილ-წვრილი წინწყლებით ჰქონდა მას სხეული მოფენილი.

— ტიფია, — ვუბნები ციმერს.

— აგრეა, სანამდე არ განიკურნება, ამის გაგზავნა შეუძლებელია. ექიმმა ალაზე მოთავსებული არუთინოვი ბანაკში გააბარუნა.

— ესეც მორიგი უბედობა, — მეუბნება სერგო.

— ნუ ჯავრობ, ჩემო სერგო, ზომ ხედავ, ტიფს ჩვენი ბიჭები სურდოსავით იხდიან, მოვლა კარგი გაქვს, სუფთა პაერზე ხარ, მალე განიკურნები.

ამინდი შეიცვალა, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას სქელი შავი ღრუბელი გადაეფარა და თან კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მეორე დღესაც გადაუღებლად იწვიმა. ავადმყოფი ამხანაგები ვინახულე. ვხედავ, ხის ქვეშ მღვარ ალაზე არუთინოვი წევს, შალის საბანშია გახვეული, ნაწიმიარი წყლის მორევი შემოდგომია, ბურანშია, თვალს ვერ ახელს.

— ვინ არის ამის მომვლელი სანიტარი? — ვიკითხე.

— ნიკარაძე უვლის, საღაღაც ამ წუთში წავიდაო, — მიპასუხეს.

— მძიმე ავადმყოფს მომვლელი მუდამ თავზე უნდა ადგეს, საჩქაროდ დაუძახეთ ნიქარაძეს! — ეუთხარი იქ მყოფთ. ცოტა წნის შემდეგ ერთმა ახალგაზრდამ მოიბრინა და ჩემ წინ აიტეხა.

— ნიქარაძე ხარ?

— გახლავართ, ამხანაგო უფროსო!

— მერე, რად დატოვე ასეთი მძიმე ავადმყოფი?

— რძის მოსატანად გეახელთ.

ნიქარაძე, მაგრად „შევახურე“. ერთი წუთითაც მარტო არ დატოვო ავადმყოფი-მეთქი, ეუბრძანე. დიდხანს არ გახანგრძლივებულა სერგოს ავადმყოფობა. მორჩა თუ არა კიევეში გაფრინდა.

## II

სწორედ იმ ხანებში ჩვენს შენაერთს გენერალ კომაროვის პარტიზანები ესტუმრნენ. მათ შორის იყო ჩემი ნაცნობი პარტიზანი ნოე იაშვილი. ომის დროს იაშვილს სოფელ ჩოლონეცში შევხვდი, 1942 წელს. მაშინ ამ სოფელში კომაროვის შენაერთი იყო დაბანაკებული. დანახვისთანავე მიცნო იაშვილმა, მოიბრინა და მომესალმა. კომაროვის შენაერთის მებრძოლთა შორის იაშვილს უწინარი მებრძოლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

სამამულო ომმა ნოე იაშვილს ბელორუსიაში, სამხედრო სამსახურში მოუსწრო, პოლკი, სადაც ის მსახურობდა, ალყაში მოექცა. ოთხი წითელარმიელის თანხლებით იაშვილმა მტრის ალყა გაარღვია და ტყვეობას თავი დააღწია, მდინარე ბუგზე, გაცურა და პოლონეთში ამოჰყო თავი. პოლონეთში ის ე. წ. „შავ ტყეში“ დაბინავდა. მერე თანდათან ტყვეობიდან გამოქცეული წითელარმიელები შემოიკრიბა. ეს ჯგუფი სულ მალე თერამეტ კაცს ითვლიდა. ჯგუფმა დაიწყო მოქმედება,

მტერს იარაღი წაართვეს და დივერსიებიც მოაწყვეს. რაჭმსკვეთილი ხელმძღვანელობდა. პიტლუკუტუტუ მანკამ შეიპყრო, თავგამოდებით იწყეს „შავი ტყის“ ჩხრეკა და იაშვილის რაზმის დევნა, ამის შემდეგ პარტიზანებს ტყეში არ ედგომებოდათ. ამიტომ მათ ისევე ბელორუსიაში გამობრუნება გადაწყვიტეს და მდინარე ბუგს მოადგნენ! ამ დროს მათ პიტლურელები წამოეწვივნენ და ბრძოლა გაუშმართეს. ერთმა მუტუა პარტიზანებმა ძლივს დააღწიეს თავი საბოლოო განადგურებას, უმრავლესობამ ბუგი გასცურა და ბელორუსიას შეაფარა თავი. ამ დროიდან ისინი ბელორუსიის ტერიტორიაზე მოქმედ კომაროვის შენაერთში ჩაეწირნენ და მას შემდეგ იაშვილი მთელი თავისი პარტიზანობის პერიოდში ამ შენაერთის დაზვერვაში ირიცხებოდა. იაშვილის მიერ შტაბისათვის მიწოდებული ცნობები მუდამ სწორი და უტყუარი იყო. იაშვილმა, როგორც მართალმა და სერიოზულმა ახალგაზრდამ, შენაერთის ხელმძღვანელობის პატივისცემა და ყურადღება დაიმსახურა. ორჯერ იყო ის დაჭრილი პარტიზანულ ბრძოლებში. როგორც ბევრი მისი ამხანაგი, ისე იაშვილიც მრავალ ბრძოლებში მონაწილეობდა და ყველა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიოდა.

მახსოვს, 1942 წელს, როდესაც კოვპაკის შენაერთი კომაროვის შენაერთს შეხვდა, იაშვილმა ჩვენთან მოიბრინა. მას ჩვენი პარტიზანები შეხვედროდნენ. როცა მათ გაიგეს, რომ იაშვილი ქართველი იყო, უთხრეს — ხომ არ გსურს ჩვენთან მყოფი ქართველების ნახვა? იაშვილი მაშინვე ჩვენსკენ გამოქცეულიყო. პარტიზანებს ის ვანო რეხვიაშვილთან მიეყვანათ — „აი ერთი ქართველთაგანია“, — ეთქვათ. როცა იაშვილმა რეხვიაშვილის გვარი გაიგო, მაშინვე უთხრა.

— რაქველი ყოფილხარ, ბიჭო, მეც რაქველი ვარ!

— რომელი სოფლიდან?

— სომინოდან!

— ერთი რაიონიდან ვართ! — ეპასუხა იაშვილისათვის რეხვიაშვილს, — მე ღებდიან ვარ!

სომინოელი და ღებელი რაქველები ერთი მეორეს მოეხვიენენ, ამ დროს მეც მივედი მათთან.

— მეზობელს შეგზვდი დღეს მოულოდნელად, ამხანაგო დავით, — მეუბნება ვანო.

— ეს არის კარგი შეხვედრა, თორემ ქუთაისში რომ ერთი მეორეს შეხვედროდით, ამას აბა რა მნიშვნელობა ექნებოდა?

აპრილის თვე მიიწურა, პირველი მაისის ზეიმის შესახებდრად ვეშხადებოდით. გადაწყვიტეთ, ეს საზეიმო დღე სამშობლოსათვის საჩუქრის მირთმევით აღგვენიშნა. საუკეთესო ბიჭები შევარჩიეთ და დივერსიების ჩასატარებლად რკინიგზის ხაზზე გავგზავნეთ. ასორმოცდაათი მეტრის სიგრძეზე აყარეს და ააფეთქეს ჩვენმა რკინიგზის ხაზი. ამას მატარებლების მოძრაობის შეწყვეტა მოჰყვა. პარტიზანების მეორე წყება მეტრის გარნიზონს თავს დაესხა და სამხედრო მასალით სავსე საწყობი დაუწვა.

პირველ მაისს მშვენიერი დილა გათენდა. კარგმა ამინდმა საზეიმო განწყობილება კიდევ მეტად გაზარდა და გაათქვია. მოსახლეობა მოაწყდა პარტიზანების ბანაკს, ჩვენებთან ერთად რადიომიმღების წინ განლაგდნენ და სული განაბეს. უეცრად გაისმა სანატრელი სიტყვები. „ლაპარაკობს მოსკოვი!“ მიკროფონი წითელ მოედანზე იდგა. დროადრო მოჰმე რესპუბლიკების სატახტო ქალაქების პარადსა და საზეიმო დემონსტრაციებსაც ვუსმენდით. როგორც ეტყობოდა, მოსკოვის ცენტრალური რადიო-სადგური ჩართავდა ზოლმე მათ.

აგერ კივიც ჩართეს უკრაინის დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე, იქ, სადაც ახლო წარბულში საშვედრო-სანსიცოცხლო ბრძოლები იყო გამართული, ამ წუთში გამარჯვების ყიფინი გაისმოდა, დემონსტრანტები სიმღერით მოდიოდნენ ქუჩაზე. საბჭოთა ქვეყნის ზეიმს მეტრის ზურგში მყოფი პარტიზანები ბელორუსიის მოსახლეობასთან ერთად ვისმენდით.

დასრულდა დაკრილ-დავალებულების გასტუმრება. მეორე ღამეს მეტრის თვითმფრინავები ფიქტიური აეროდრომის თავზე გაჩნდნენ და რამდენიმე ათეული ყუმბარა ჩამოყარეს, მთლიანად გადახნეს და ორმოებად აქციეს ცრუ აეროდრომი.

ღამით, ივნისის სამს, მოქმედ აეროდრომზე კივიციდან მოფრენილი თვითმფრინავი დაეშვა. თვითმფრინავიდან ვერშიგორა, ანდროსოვი და კორობოვი გადმოვიდნენ. ვერშიგორამ მთავრობის ჯილდოები, ორდენ-მენდლები და ჩვენი დივიზიისათვის გადმოცემული წითელი დროშა მოიტანა. დროშაზე ასეთი წარწერა იყო: საბრძოლო დავალებათა ზუსტად შესრულებისათვის! წარწერა ოქროს ვარაყით იყო შესრულებული. ჯილდოები საზეიმო ვითარებაში დაურიგდათ კარპატების რეიდის მონაწილეებს, მათ შორის მეც მივიღე ლენინის ორდენი.

კორობოვი ჩემოდანი გახსნა და დასტობით ამოაღა სურათები. მან 1942 წელს, ჩვენთან სტუმრობის დროს, მრავალი ფოტო გადაიღო და ამჟამად გამზადებული სურათები მოიტანა. ხელიდან ხელში გადადიოდა ეს სურათები, დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ მას ბიჭები. იმ იშვიათი და ძვირფასი საჩუქრისათვის კორობოვს პარტიზანებმა დიდი მადლობა გადაუხადეს.

მოფრენის პირველ დღესვე შეუდგა კორობოვი ახალი სურათების გადაღებას და მალე ნეგატივებით სავსე ჩე-



მოდნით გაბრუნდა ის დიდ მიწაზე.

ამავე ხანებში კიევის ცენტრალურმა პარტიზანულმა შტაბმა ჩვენს დივიზიას ბრძანება გამოუგზავნა — დასავლეთ ბელორუსიისაკენ გადაინაცვლეთ და ფრონტიდან უკან დახეულ მტრის ჯარებზე თავდასხმები მოაწყვეთო. ჩვენ მალე გავუდექით გზას.

ახალი გათენებული იყო, როცა სოფელ იასენცს მივალწვიეთ. ეს სოფელი განცევიჩის რაიონში მდებარეობს; მახლობელ ხუტორებში შევეხვიეთ და მოვეწყვეთ. სოფლები პირდაპირ ფიჭვ-ნაძენარის ტყეებში იყო გაშენებული.

მაგრამ იასენცი ჩვენთვის უშიშარ ადგილს როდი წარმოადგენდა, აქედან ახლო იყო რაიონული ცენტრი, სადაც მტრის ძლიერი გარნიზონი იდგა.

განცევიჩის რაიონს მაინცდამაინც დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა არა ჰქონია. იგი მთავარ მაგისტრალიდან მოწყვეტილი იყო. აქ მყოფი გერმანული გარნიზონი იმით იყო ვართული, რომ მოსახლეობას არ ჰეღდა, უკანასკნელ ლუკმაპურს ართმევდა, ბრძოლებში ამ გარნიზონის ჯარისკაცები არ მონაწილეობდნენ.

დივიზიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა რაიონულ ცენტრში მდგომი გარნიზონის განადგურება. მართლაც, პარტიზანული წესით, ღამით თავს დავესხით მტრის მძინარე გარნიზონს. ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ მტერმა ბრძოლის დაწყებამდე ვერ მოასწრო. დამფრთხალი მტერი გაიქცა და მთელი ნაძარცვი ქონება ხელუხლებლად დატოვა.

ამრიგად, პარტიზანებმა დიდძალი ნადავლი ვიგდეთ ხელთ. ტყვია-წამალით, მედიკამენტებით, ტანსაცმელით და ფურაყით დატვირთული ალალებით იასენეცში დაებრუნდით.

სალამოყამი იყო, როცა მტრის ქვემეხების ხმა მოგვესმა. ეტყობოდა, მტერს დამხმარე ახალი ნაწილი მოუ-

ვიდა, არტილერია აამუშავეს, ჰიტლერელებმა ტყეს დაუშინეს ცეცხლი. ალბათ ტყეში ვეგონეთ პარტიზანები.

არტილერიის ქუხილი თანდათანობით გაძლიერდა. სულგანაბული ვისხედით ამ დროს სოფელში და ჩუმად გვეცინებოდა მტრის დაბნეულობის გამო. ისინი ტყეს უშენდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ჩვენ იქ არ ვიყავით.

იმ ხანებში მოსკოვ-ვარშავას შარაგზა დღე-ღამით ჯარით იყო გაკედილი. უწესრიგოდ, დამდურულებივით გარბოდნენ დასავლეთის მიმართულებით ჰიტლერელები. კაცი, მანქანა, არტილერია, მოტოციკლერი, ქვეითი და ცხენოსანი — აღარ იკოდნენ, ვინ ვის გაასწრებდა და, ერთიმეორეს თავზე ახტებოდნენ. პოლიციელებიც თან მისდევდნენ დამარცხებულებს, მაგრამ ჰიტლერელები მათ უკან ერეკებოდნენ. პოლიციელი ჰიტლერელებს ახლა გროშის ფასად აღარ უღირდათ. გერმანიაზე მათ, ცხადია, არ მიიყვანდნენ. ორცეცხლშუა იყვნენ პოლიციელები მოქცეული, ვაი წასვლას და ვაი დარჩენას!

ახალი მარშრუტის მიხედვით ჩვენს დივიზიას იმ შარაზე უნდა გადაეცლო, რომელზედაც მტრის ჯარი გარბოდა. ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი იყო ამ პირობებში ჩვენთვის შარაზე გადავლა! უკან დახეული, დამარცხებული ჯარი გულზე მოწოლილ ბოლმას და შურს ჩვენზე გადმოანთხედა.

გავგზავნეთ მშვერავეები, შარაგზა უნდა შეესწავლათ და ნაკლებად სახიფათო გადასასვლელი ადგილი უნდა შეერჩიათ.

— მთელი ათეული კილომეტრების მანძილზე შევისწავლეთ შარა, — გვითხრეს უკან დაბრუნებულმა მშვერავეებმა, — ყველგან ერთი და იგივე მდგომარეობაა, თავიდან ბოლომდე გზა გაკედილია მტრის ჯარისკაცებით, სულმოუბრუნებლად გარბიან ჰიტლე-

რელებიო! შარაზე გადასვლა თუ ჩვენთვის მაინცდამაინც აუცილებელია, სულერთია სადაც გადავალთ, ყველგან ერთნაირ წინააღმდეგობას წააწყდებითო!

ამ დროს შორეული, ყრუ ბუბუნი მოგვესმა. ყველამ პორიზონტს დაუწყაო ცქერა, საიდანაც ხმა მოისმოდა:

— რა ამბავია, რა მოხდა, რას ნიშნავს ეს ჭექა-ქუხილი? — კითხულობდნენ მებრძოლები.

პორიზონტი წითლად შეღებილი იყო, ცეცხლნარევი კვალი შორეულ სივრცეში სვეტებად დადგა.

— მტრის გარნიზონებს ბომბავენ ჩვენი თვითმფრინავები, — შორიდან მოისმა ვილაცის ხმა.

— სდუმდა განცევიჩის გარნიზონი, ჩვენ დილით იქიდან შემოტევეს მოველოდით. ამ სურათის დანახვაზე განცევიჩელებს უთუოდ წელი მოსწყდათ, შეტევისთვის სადღა სცალიათ, ალბათ გასაქცევად ემზადებიან.

— ასეთ სერიოზულ წუთებში უმოქმედოდ ჯდომა გაუმართლებელია, — თქვა ვერშიგორამ.

საჩქაროდ დაეტოვეთ სოფელი იასენეცი და მოსკოვ-ვარშაეას შარაგზის მიმართულებით გავეშურეთ, სინიაესკის რაიონში გზის მახლობლად მდებარე სოფელში დავბინავდით. აქ შემოგვიერთდა აეროდრომზე დატოვებული ჩემი ბატალიონი.

შარაგზის სიახლოვე საშუალებას გვაძლევდა მტრის უკანდახვევისათვის თვალყური გვედევნებინა. არავითარი წესრიგი, არავითარი დისციპლინა, ვინ ვის გაასწრებდა, ეს იყო მთავარი! მთელ ათეულ კილომეტრებზე გამდგარი იყო მანქანების გულშემზარავი ზმუილი, მოტოციკლეტების გუგუნე, ცხენების ფრუტუნე.

ჯარისკაცებით დატვირთული საბარგო მანქანა თავიანთ ოფიცრებთან ერთად შარაგზის მახლობელ სოფელში შემოსულიყო. ჩვენმა მებრძოლებმა

დაატყვევეს მანქანა და შტაბში მორყევანეს. გერმანელი მაიორი მანქანიდან გადმოსვეს და დააკითხეს.

— მოსკოვ-ვარშაეას შარაგზაზე ამჟამად დატრიალებული ამბები თვალსაჩინოდ ნათელყოფს პიტლერის არმიის საბოლოოდ დაცემას, კიდევ სხვა მეტი რა ფაქტებია ამისათვის საჭირო, დასკვნისათვის მარტო ეს არ კმარა? — განაცხადა მაიორმა დაკითხვაზე. კბილებამდე შეიარაღებულ რეგულარული ნაწილებით გადატვირთული გზის ახლო გაელას პარტიზანები კვლავ ვერიდებით, არა და გზაზე გადასვლა აუცილებელი იყო.

ზაფხული იყო, თბილი ამინდები იდგა, მაგრამ ნაშუალამევეს ტყეში ისევ საგრძნობლად ციოდა. გარეყრავის მოახლოებისას ვარსკვლავები ნელ-ნელა ჰქრებოდნენ. შორეულ ხუტორიდან მამლის ყვილი მოისმა. მას ვილაც პარტიზანი ყვილით გამოეხმაურა.

— უხარია მამალს, რომ ცოცხალია, ამიტომაც, რომ ყვიის! — ოხუნჯობს მებრძოლი.

— ენა დაიმოკლოს, თორემ გაიგონებენ გერმანელები და თავს დააეიწყებენ! — შენიშნავს მეორე პარტიზანი. ამ ოხუნჯობას ჩუმი სიცილი მოჰყვა.

დროდადრო საშინელი გრგვინვარუხუნი გაისმოდა. ჩვენი გამანადგურებლები ბომბავდნენ შარაზე გაბმულ ჯარს და მტრის ისედაც აწეწილ რიგებში კიდევ მეტი არე-ღარევა შეჰქონდათ.

შარაზე გადასასვლელად გავმზადდით. გადასვლის ოპერაციის წესრიგაინობა დივიზიის შტაბმა ცხენოსან დივიზიონს და პირველ პოლკს დააკისრა. რომ ნისლი არა, გზის ახლომახლო ვერ გავივლიდით, სქლად დამდგარმა ბურუსმა შეგვიწყო ხელი. ამასობაში გზას მივადექით, ბურუსში ვარჩევთ, თუ როგორ გარბიან დასავლეთისაკენ შეჯგუფულად ავტომანქანები და თან გამაყრუებლად ზმუიან.

— როდემდის უნდა ვიცადოთ! — თქვა ლეხინძა და ფოლადის კედელივით აღმართული კავალერია გადასასვლელისაკენ გააქანა. მას უკან პირველი პოლკი მიჰყვა. ჯაჭვად გაბმული მტრის სწრაფი დინება შუა გაეკვეთეთ და გადასასვლელს დავეუფლეთ.

— რა ამბავია, რა მოხდა? — ერთმანეთს ეკითხებიან შემდგარი მტრის ნაწილები.

— წითელმა არმიამ გზა გადაგვიკრა! — იყო პასუხი.

პიტლერელებმა შეგჯუფებული ძალები გამალეს და ჩვენზე იერიშით წამოვიდნენ. უსწორო ბრძოლაში მოგვიხდა ჩაბმა, აქ ტყვია-წამლის დაზოგვა არ გამოგვადგებოდა, სეტყვასავეით დავაყარეთ მოიერიშეებს ტყვია და მალე ალყაში მოვიმწყვდით. ექვსი მანქანა დავატოვებინეთ, ოთხმოცდაათი ჯარისკაცი და ოფიცერი მოვსპეთ და ხუთი ტყვე ხელთ ვიგდეთ, სამი მოტოციკლი და რამდენიმე ათეული ალალი თან წამოვიყვანეთ. გადასასვლელთან ბრძოლა მიმდინარეობდა, თანაც დივიზია გადარბენას განაგრძობდა. დილის ოთხი საათისათვის გადასვლა დასრულდა. კოლონის ბოლო ჯერ კიდევ გადასასვლელზე იყო, მისი თავი სსუე-ბარანოვიჩის სახელწოდების რკინიგზას რომ მიადგა, კოლონას ხაზის მკველებმა შემოუტეეს.

ამჟამად პარტიზანთა კოლონის როგორც ბოლო, ისე თავი ბრძოლაში იყო ჩაბმული. პარტიზანელებს რკინიგზის ხაზიდან შემოუტეეს. მალე ყველამ თავი დააღწია მარცხს და სამშვიდობოზე გამოვიდა.

ამასობაში გათენდა, შემდეგში ჩვენი მხრივ ბრძოლის გაგრძელება მიზანშეწონილი არ იყო.

— გებელსის ინფორმაციებიც დასასრულს უახლოვდება, — ამბობს ლენკინი.

— სპირტის ქარხანას ვუახლოვდებით, ამხანაგო უფროსო, — მომახსენა მზვერავმა.

— ეგ ქარხანა ახლა უკვე ჩვენზე დაგვიბრუნდა. არასამხედრო დანიშნულების წარმოებების და ნაგებობების განადგურება უაზრობა იქნება, — ვასუსხობ მზვერავს.

— სპირტის დიდი მარაგი იყო ამხანაგო უფროსო, ქარხანაში!

— დაღვარეთ! ვხედავ, ბიჭები პარტიზანს მხრებში ამოდგომიან და ვაი-ვაგლახით ჩემსკენ მოჰყავთ იგი.

— რა შეემთხვა? — ეკითხულობ. პარტიზანმა გაუგებრად იწყო ლულული, ვერაფერი გაუშვა.

— სპირტის სუნით არის გაბრუნებული, ამხანაგო უფროსო, — მეუბნება მომყვანი.

— გადაკრავდა უთუოდ.

— არა, ამხანაგო უფროსო, სარწმუნოდ ვიცი, რომ არ დაუღვევია. სპირტის დასაღვრელად ოხკანი მოუშვა. ისეთი ხმაურით და სიძლიერით წამოვიდა სპირტი, რომ ქარხნის ეზოში მყოფებმა გარკვევით გავიგონეთ ჩხრიალის ხმა. ქარხანაში შევიჭვრით და სასაცილო სურათი დავინახეთ. ცვირპირში შესხმოდა ამ ამხანაგს სპირტი და წყლიდან ამოყვანილი თევზით ფეთქავდა, თან ორივე ხელებით ცვირპირს იწმენდა.

— ტუჩებს თუ ილოკავდა?

— დიახ, ტუჩებსაც ილოკავდა.

— გასაბრუებლად ესეც საკმარისია. ეს ხომ არაყი არ არის, სპირტია. პარტიზანის ამ ყოფაზე ბევრი ვიცინეთ. ჩვენს ხმაურზე სპირტით გაბრუნებულსაც ღიმილმა ბაგე გაუპო და თავშეუკავებელი სიცილი იწყო.

დივიზია სოფელ ზადევეიაში და მის ახლომახლო ხუტორებში დაბანაკდა.

პარტიზანებმა ჩემთან მოხუცი მოიყვანეს. ის ჩვენი თავდაცვის გუშაგთან მისულიყო და განეცხადებინა — თქვენი უფროსი მაჩვენეთო.

— ვინა ხარ, საიდან მოსულხარ? — შევეკითხე მოხუცს.

— ბელორუსი ვარ, ბარანოვიჩის რაიონის მცხოვრები.

— ახალს რას გვეტყვი?

— აი, სწორედ ახალი ამბის სათქმელად გეახელით. სარწმუნოდ გავიგე, თქვენ რომ შარავნაზე ბრძოლა გქონდათ მტერთან და იმ ბრძოლის შედეგად მტრის ჯარის მოძრაობა შედგა, ამაზე ხმა ბარანოვიჩამდე მისულა. ბარანოვიჩიდან შემთხვევის ადგილზე, მოძრაობის შეწყვეტის მიზეზის გასაგებად, საფანგებო დანიშნულების ნაწილი გამოუგზავნიათ, ეს ნაწილი აქამდე თქვენს კვალს დაეძგბა!

ეს ამბავი საჩქაროდ დივიზიის შტაბს ვაცნობე და ჩემი პოლიეთ შარავნაზე გავეშურე.

ადგილზე მისვლისთანავე ტყეში ჩავსაფრდი. ბევრი ლოდინი არ დაგვიჩრებია. გზაზე მალე ტანკი გამოჩნდა, მას ჯარისკაცებით დატვირთული ავტომანქანები მოჰყვა, თან ერთდროულად მსუბუქი ავტომანქანები გამოჩნდა. მთლიანად მოვიმწყვდიეთ დამპყრობლების. ეს კრებული ალყაში, ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ნაწილი გაუწყვიტეთ, ნაწილი ტყეში გაქცევა მოასწრო და მიიშალა, ერთი წყება კი დავატყვევეთ და თან წამოვიყვანეთ. ბრძოლა დავამთავრეთ თუ არა, დაზვერვამ ცნობა მოგვაწოდა, ყველა ჯარის საჭურველით შეიარაღებული ურიცხვი მტრის ჯარი ჩვენსკენ მოდიოდა. დაუყოვნებლივ დაეტოვეთ შარავნა და იმ არემარეს გავცილდით.

ჯერ მზე ამოსული არ იყო, როცა აღმოსავლეთის მხრიდან ცაზე მტრის საჰაერო ვეშაპები გამოცურდნენ. ორისამი წუთის შემდეგ თვითმფრინავების მეორე პარტიაც გამოჩნდა. წრე გაშალეს და პირველად გამოჩენილ თვითმფრინავებს გარს შემოადგნენ. ეს მეორე პარტია ჩვენები იყვნენ. საჰაერო ბრძოლა განმართა. ამაღლეებელი სანახაობა გადაიშალა: ასეთ დროს გამპრიახობა და მოქნილობა წყვეტს სა-

კითხს. სულ პატარა წინდაუხედავობა, და თვითმფრინავი ძირს დაენარცხება. უმოძრაოდ, ხმა ამოუღებლად ვაფრთხვებულები შეეცქეროდნენ თვითმფრინავების ბრძოლას.

— მოიმწყვდიეს, ჩვენებმა მოიმწყვდიეს, არა მგონია, მტერმა გასხლტომა შესძლოს!

— აგერ, მტრის თვითმფრინავი ბზრიალით წამოვიდა ქვევით!

— ვაშა, ვაშა, ძირს მოდის, ვაშა! — გაჰკვივიან ბიჭები.

ამ დროს აღმოსავლეთიდან არტილერიის შეუწელებელი ღმუილი ისმოდა, საჰაერო ბრძოლით გატაცებულ პარტიზანებს ეს განგაში შეუძნეველი დარჩათ. სტოლბცი—ბარანოვიჩის რკინიგზის ხაზზე კოლესნიკოვის ხელმძღვანელობით გაგზავნილმა ბატალიონმა სადგურ სტოლბციის მახლობლად ლიანდაგის აყრა და მტრის სამი ეშელონის დატყვევება შესძლო. ეშელონები ტანკებით, ტყვიამფრქვევებით და ნალმტყორცნელებით იყო დატვირთული. ხაფანგში მომწყვდეული ეშელონების თანმზლებნი დროდადრო ვაგონებიდან თავს გამოჰყოფდნენ და ძირს ჩამოსვლას ცდილობდნენ. თხრილებში ჩასაფრებული ბატალიონი მათ ტყვიით უმასპინძლებოდა.

სწორედ ამ დროს საბჭოთა არმიის ცენოსანი გვარდიული კორპუსიც გამოჩნდა. ჩვენმა ბატალიონმა კაზაკთა კორპუსს ახლადდატუსაღებული მტრას სამი ეშელონი ხელწერილის ქვეშ ჩააბარა. ჩვენი პარტიზანული ბრძოლების მანძილზე პირველი შემთხვევა იყო საბჭოთა არმიისათვის მტრის ეშელონების გადაბარება. ამ დროიდან კი ბრძოლების ვითარებამ ნათელჰყო, რომ საბოლოოდ ვრჩებოდით ჩვენების ზურგში.

ამ დროიდან ჩვენს დივიზიასა და საბჭოთა არმიას შორის მუდმივი ცოცხალი კავშირი დამყარდა.

ისევ წინ მივიწვევთ, გეზი ქალაქ ტურეცისაკენ ავიღეთ. ამ დროიდან ჩვენი დივიზია, გენერალ პლიევთან შეთანხმების საფუძველზე, პლიევის კორპუსის შტაბის განკარგულებაში იყო. მდინარე ნემანზე გამართულ ბრძოლაში ჩვენმა დივიზიამ სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე. სამასი ტყვე, რომელიც ამ ბრძოლაში ხელთ ვიგდეთ, საბჭოთა არმიას გადავეცით.

დამარცხებული და განადგურებული ფაშისტების მეთაურები და რიგითი მებრძოლები იარაღს და ტანსაცმელს, სამხედრო თუ პირად ქონებას, ყველაფერს ადვილად თმობდნენ, მხოლოდ ორდენ-მედლების გადაყრა ეძნელებოდათ.

ამ ჯილდოებზე გარედან გადაიკრავდნენ ხოლმე მატერიის ნაჭერს, ფუთავდნენ და მალავდნენ.

### III

მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში პიტლერი საქვეყნოდ გაკვიროდა, თუ როგორ დაიპყრობდა იგი პირველ რიგში ევროპის სახელმწიფოებს და შემდეგ სხვა კონტინენტების ქვეყნებს.

საზღვარი არა ჰქონდა ფაშისტების ბაქიობას. ჩვენთან ბრძოლა, — ამბობდა გებელსი — ფოლადის კედლისათვის შუბლით დატაკებას უდრისო. ახლა კი, როცა ვხედავდით მოსკოვ-ვარშავის შარაგზაზე დამფრთხალ ცხვრის ფარასავით გაქცეულ პიტლერის არმიას — გვეცინებოდა. გერმანული არმია უკვე უძლური იყო, თუმცა მათი ჯარის ერთი წყება დამარცხებას ვერ ურიგდებოდა და კვლავ გააფრთხებით ბრძოლას განაგრძობდა.

მალე ჩვენმა დივიზიამ სოფელ ტარასოვიჩის მიმართულებით გადაინაცვლა. სახეგანათებული სოფლებები სიმღერით და ცეკვა-თამაშით შემოგვხვდნენ.

— ჩვენი სოფლის მახლობლად ავითმფრინავებით რაღაც დესანტი გა-

დმოსხესო, — გვითხრეს სოფლებში. „წითლების დესანტი“ ეთქვათ მათ გლეხებისათვის და პიტლერის საბოლოო დამარცხება ეხარებინათ. დავეკვდით, მივხედით, რომ აქ პიტლურელების ოინი იყო. ჩვენ ზამსაბჭოთა არმიასთან კონტაქტში ვიყავით, ჩვენ უნდა გვცოდნოდა დესანტის გადმოსხმა.

— ვერ გვიჩვენებთ „დესანტელებს“? — ვეუბნებით გლეხებს.

— ადვილი საქმეა, ახლავე! სამი ახალგაზრდა სოფელი გაიქცა „დესანტელების“ მოსაყვანად და მალე ხელცარიელი დაბრუნდა. ისინი არ გამოპყლოდნენ: ასე ეთქვათ, რა საქმე გვაქვს ახლად მოსულებთან, ჩვენ ჩვენი გეგმა გვაქვს და დამოუკიდებლად ვმოქმედებთო. ორი მათგანი დაეჭირათ ბიჭებს და იძულებით წამოიყვანათ. ორივე მილიციის ფორმაში იყო გამოწყობილი, ხაფანგში გაბმული თავგებივით გამოიციკირებოდნენ. დიდი კვლევა-ძიება არ დაგვიკირებია, ორივენი გამოვეტყებთ, რომ პიტლურელების დავალებით მოქმედებდნენ.

უძილო დღე-ღამეები ერთი მეორეს ცვლიდნენ. მეტად დაძაბული დრო იყო. ძილი რომ გაეფანტათ, ალაღებიდან ძირს ჩამოდიოდნენ ბიჭები და გზას ქვეითად განაგრძობდნენ. შარაგზას თითქმის მთლიანად დავეუფლეთ, პარტიზანები ზოგჯერ დღე-ღამე უშისრად დავდიოდით შარაზე. ამჟამად დამპყრობელები ჩვენზე მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ, მორიდებულად დადიოდნენ შარაზე.

პარტიზანები ბერიოზოვიდან გამოვედით, მდინარე ნემანი გადავლახეთ და სოფლებში — პოშჩინკა-ეოლიაბო-იარსა და კრუბეტში პლაცდარმი შევქმენით; ამ გზით საბჭოთა არმიას დიდი სამსახური აღმოუვჩინეთ.

ჩვენს მთავარ ამოცანას ამჟამად საბჭოთა არმიის უშისრად წინსვლისათვის ხელისშეწყობა შეადგენდა. არანაკლე-

ბი მნიშვნელობისა იყო მეორე ამოცანა, — სახელდობრ, სახელმწიფო ქონების დაცვა. დამარცხებული მოწინააღმდეგე დაუზოგავად ანადგურებდა ყველაფერს; ასე მაგალითად, როცა მტერი იძულებული გავხადეთ დაეტოვებინა დაბა მოსტი, მან დაბის წინ ასი მეტრიანი ხიდი და რკინიგზის სადგური დანადგა. საკმარისი იყო სამი-ოთხი წუთის დაყოვნება, და ხიდიც და სადგურიც ნამსხვრევებად იქცეოდა, მაგრამ ჩემი პოლკის პირველმა ბატალიონმა მიუსწრო და ხიდი აფეთქებდასაგან გადაარჩინა. ამხანად პირველ ბატალიონს ხელმძღვანელობდა ჩემი შტაბის უფროსის მოადგილე კოლესნიკოვი, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაატარა ეს ოპერაცია. მოწინააღმდეგეს ჩვენი ბატალიონი საბჭოთა არმიის რეგულარული ნაწილი ჰგონებოდა, დამფრთხალიყო, პირველი დარტყმისთანავე სასწრაფოდ დაეტოვებინა ქალაქი და გაპარულიყო, თან დიდძალი სამხედრო ქონება გადაეყარა, გატანა ვერ მოესწრო. ტრაქტორები, საარტილერიო ბატარეა და ნაღმტყორცნელები ხელუხლებელი აღმოჩნდა. დაბაში ქვეითად წასული ბატალიონი უკან ავტომანქანებით დაბრუნდა. ბატალიონს წინ მოუძლოდა „ოპელკაპიტანის“ სისტემის მსუბუქი ავტომანქანა, რომელსაც თვითონ კოლესნიკოვი მართავდა. ამხანად ნადავლდოვლათს არ ვწვავდით და არ ვანადგურებდით. ახლო იყო ჩვენი არმია და, რაც ჩვენთვის საჭირო არ იყო, მას გადაეცემდით ხოლმე.

გზადაგზა მტრის ნაწილები, ღამ-ღამობით, სულის მოსაბრუნებლად ტყეებში შეუხვედნენ ხოლმე და იქ მეორე საღამომდე ისვენებდნენ. როგორც კი სოფლები მათს ადგილსამყოფელს გაიგებდნენ, ჩვენ გვაცნობებდნენ. ჩვენც დაუყოვნებლივ თავს ვესწრაფით დემორალიზებულ და დამფრთხალ მოწინააღმდეგეს. ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის დროს პარტიზანებმა ტყვეები

ბლომად იგდეს ხელთ და მოიყვანეს. მეორეხვით დავკითხეთ ტყვეები, ერთმა გერმანელმა საინტერესო ამბავი გადმოგვცა.

— გვარი თქვენი? ვეკითხები ტყვეს.

— ლიხმანი.

— რომელ ნაწილს ეკუთვნით?

— 50-ე ქვეითი დივიზიის, 122-ე პოლკის ეფრეიტორი გახლავართ.

— ეინ არის თქვენი დივიზიის უფროსი?

— დღემდე ვეიტლინგი იყო.

— დღეს?

— დღეს ჩვენი დივიზია განადგურებული და გაფანტულია.

— ვეიტლინგი სად არის?

— ვეიტლინგი ორი დღის წინ დივიზიის ქვედანაყოფების ხელმძღვანელთათმობრზე რიხიანი სიტყვით გამოვიდა: „დღეს რომ ფრიად სერიოზული მდგომარეობაა, ამას მტკიცება არ სჭირდება, მე ფიურერს სიტყვა მივეცი, დივიზიის ღირსება უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვა, მდგომარეობა გამოვასწორო და, რაც მთავარია ხალხი და ტექნიკა შევინარჩუნო. დასაგმობია ჩემი წინამოადგილის საქციელი, რომელმაც მძიმე მდგომარეობაში დივიზია დასტოვა და მიიმალა! ის სამარცხინო ბოძევა გასაკრავი, მომავალი თაობა მის სახელს წყევლით მოიხსენიებს!“ — თქვა ეს ვეიტლინგმა და თვითონაც ორი საათის შემდეგ თავისი წინამოადგილის გზას გაჰყვა, დივიზია დატოვა და გროდნოში გაიქცა.

ბერეზინაზე გადავედით და მის მეორე ნაპირზე გავმავრდით. ამ მდინარეზე გადასვლის შემდეგ ფრონტი კარგა ხანს უცვლელი რჩებოდა. მოწინააღმდეგემ გროდნოში სატანკო ნაწილი გადაისროლა და ამ ქალაქში გამაგრება განიზრახა. ამასობაში საბჭოთა არმია მდინარე ბუგზე გადავიდა და მტრის საწინააღმდეგო პლაცდარმი შექმნა. მტერი არა ცხრებოდა, ჩვენს წინააღ-

დღე კვლავ გადმოისროლა სატანკო ნაწილები, კერძოდ, ცნობილი პიტლერული ნაწილები „მკვდარი თავი“, „დიდი გერმანია“ და ჩვენთვის კარგად ცნობილი „ვაიკინგი“, რომლისაგან კარპატებში და პოლონეთში მოსვენება არა გვქონდა.

ამხანად საბჭოთა არმიამ დიდულის მახლობლად მტრის ნაწილები ალყაში მოამწყვდია. დივიზიის შტაბში წვედი და პეტრო ვინახულე. როდესაც ვერშიგორას ვესაუბრებოდი, სროლის ხმა გაისმა. შტაბში მყოფნი კარში გამოვცვივდით და ჩვენი ნაწილებისაკენ გავქანდით. ალყის გაგლეჯა და გარღვევა განეზრახა მტერს და ჩვენებზე იერიში იერიშზე მოქმნდა. საბჭოთა არმიამ პარტიზანული დივიზიის დახმარებით სამკერ ზედოზედ მოიგერია მტრის შემოტევა. ზუსტად სცემდნენ მტერს საბჭოთა არმიის არტილერიისტები, ოცდათექვსმეტი ტანკი გამოიყვანენ მწყობრიდან. ამ ბრძოლაში გმირულად დაეცნენ პოლკის დაზვერვის უფროსი ბარსუკოვი და მძიმედ დაიჭრა პირველი პოლკის შტაბის უფროსი ბერეჟნოი.

საბჭოთა არმია სწრაფი ტემპით დაედევნა მტერს. ჩვენი დივიზია ამასობაში საბჭოთა ჯარს უკან მოექცა და შემდეგში მთელი დროის განმავლობაში საბჭოთა არმიის ზურგში ვიყავით.

ამ დროიდან ჩვენი ბრძოლები ხასიათიც შეიცვალა. კიევიდან ბრძანება მივიღეთ — შემდეგში მტრის სადესანტო ნაწილებთან და პიტლერელების მიერ ზურგში დატოვებულ ჯაშუშ-გამცემლებთან გვებრძოლა. პარტიზანები ამ ახალ ამოცანასაც სანიშნოდ ვასრულებდით, საბჭოთა არმიის ზურგს ვშემენდით მავნე ელემენტებისაგან.

#### IV.

დივიზიამ ბელოვეშჩის ტყისაკენ გადაინაცვლა. მივედით იმ სოფელში, სადაც ოთხი თვის წინათ სამკედრო-სასი-ცოცხლო ბრძოლები გვქონდა მტერთან

გამართული. ამ სოფელს ჩაშოგვეა ქნა-დება. აქ იყო ჩვენი გმირი მებრძოლების ტოუტისა და პშენეცის საფლავები. მათ საფლავზე ძეგლები ავაგეთ და ცოცხალი ყვავილებით შევამკეთ.

ამ მძიმე წლებში, ამ სამკედრო-სასი-ცოცხლო ბრძოლის დროს, ინგლისი და ამერიკა განზე იდგნენ, თუმცა თავიანთ თავს „მოკავშირეებს“ უწოდებდნენ. საბჭოთა არმია მარტოდმარტო გაუმკლავდა ფაშისტურ გერმანიას, სტალინის გენიამ წელში გატეხა ფაშისტური გერმანიის მხედრობა, მირეკა ის ბერლინის საზღვრებამდე და თან, გზადაგზა ფაშისტური უღლის ქვეშ მგმინავი პატარა ერები გაათავისუფლა და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნა. მოკავშირეებმა მხოლოდ ახლა „გახსნეს“ მეორე ფრონტი, ჩვენც ვხნავდითო, განაცხადეს ერთი ძველი იგავის პერსონაჟივით ინგლისმა და ამერიკამ. გერმანიის ფაშისტურმა ხელისუფლებამ ფრონტი გაუხსნა ინგლის-ამერიკას, სულმა სული იცნო, და თავის ქვეყანაში შემობრძანება შესთავაზა. საბჭოთა არმიამ დაასწრო მოპატივებულ სტუმრებს, ზერხემალგატეხილი მტერი საბოლოოდ დაამარცხა და გერმანიის დედაქალაქი ბერლინი აიღო.

ზემოთ ვთქვი, რომ ჩვენი ამოცანა ახლა ის იყო: საბჭოთა არმიის ზურგი გავეწმინდა ფაშისტური ნაძირალები-საგან. და აი ერთ დღეს შტაბმა ცნობა მიიღო: „სოფელ კუკურეკის მახლობლად ტყე სავსეა პიტლერელებით, ღამ-ღამობით ისინი სოფელში შედიან, მოსახლეობას აწიოკებენ და უკანასკნელ პერანგს ხდიანო“. დივიზია მთლიანი შემადგენლობით კუკურეკაში განდდა. ერთი დაკვრით გავანადგურეთ პიტლერელთა ბანდის ნარჩენები. დღიდან ჩვენების ზურგში მოქცევისა, ძველი მეთოდი, ე. ი. პარტიზანული ბრძოლების მეთოდი, საგრძნობლად შეიცვალა. თუ წარსულში სამოქმედოდ ღამ-ღამობით გამოვდიოდით, ამჟამად როლე-

ბი შეიცვალა, ახლა ღამით მოწინააღმდეგე მოქმედებდა.

როგორც ცნობილია, იმ ხანებში სოფელი მოხუცების, ქალების და ბავშვების ამარა იყო დარჩენილი და ამიტომ თავისუფალ დროს, როდესაც ბრძოლებში არ ვიყავით ჩაბმული, პარტიზანები პურის ყანებში ვტრიალებდით, სოფელს ვშველოდით. ერთი მარცვალი არ დაგვიკარგავს, სუფთად ავიღეთ მოსავალი. „თქვენ რომ არა, ჰირნახელი აუღებელი დაგვჩაგრებოდა“. — გვეუბნებოდნენ მოხუცები. ერთ მშვენიერ დღეს კარზე მოგვადგნენ კიევის ჰოსპიტალიდან ახლადგამოწერილი ჩვენი პარტიზანები, სიხარულით შემოიჭრნენ ისინი ჩვენს ბანაკში, მოგვეხვივნენ და გამარჯვება მოგვილოცეს.

კიევიდან ჩამოსულ ამხანაგებს თან ლექტორები ჩამოჰყენენ, ლექციები წაიკითხეს საერთაშორისო მდგომარეობაზე. კიევიდან მოსულმა ერთმა ჯანლონით საესე ცქრიალა ბიჭმა მიიქცია. ჩვენი ყურადღება.

— ეგ პატარა თქვენ მოგყვით? — ეკითხება ამხანაგებს ვერშიგორა.

— ჰო, ჩვენ მოგვეყვა, არ დაიშალა, წამიყვანეთ პარტიზანთა ბანაკშიო, თავგამოდებით გვთხოვდა.

— შენი სახელი, ახალგაზრდავ? — ეკითხებით ბავშვს.

— გრიშა დვოეგლაზოვი გახლავართ!

— პიონერი ხარ?

ბავშვმა წითელი ყელსახვევი გაისწორა, „ღიას, პიონერი ვარ“.

— ავტომატის ხომ არ გეშინია?

— როგორ თუ მეშინია. 1941 წლიდან საბჭოთა არმიაში ვარ, სატანკო ნაწილის შეილობილი გახლავარ!

— ყოჩაღ, შენ მამაცი ბიჭი ყოფილხარ!

— ერთხელ, მტრის ავიაციის თავდასხმის დროს, მძიმედ დაეიჭერი, მოსკოვის საავადმყოფოში ვიწექი, სიკვდილს გადავურჩი. განკურნების შემდეგ დასასვენებლად სოჭაში გადამ-

გზავნეს, ეს იყო 1944 წელს სოჭაში დასვენებამ საბოლოოდ გამოძეჯანსაღა. დასასვენებელ სახლში ყველაზე ყურადღებას ორგზის საბჭოთა არმიის გმირი იქცედა. კოვბაკიო, მითხრეს, ცნობილი პარტიზანული შენაერთის ხელმძღვანელი. მე მუდამ მის ახლომახლო ვტრიალებდი. კეთილმა მოხუცმა შეამჩნია, მას რომ ყურადღებას ვაქცევდი, და გამომესაუბრა. სახელოვან მოხუცს ჩემი თავგადასავალი უფაბზე, რითაც დიდი კმაყოფილი დარჩა. ამ დღიდან მუდამ მასთან ვიყავი. დაბოლოს გამოვეტყდი: საბჭოთა არმიის ყოფა-ცხოვრებას კარგად ვიცნობ, დიდი სურვილი მაქვს, პარტივემულო უფროსო, პარტიზანების რიგებში მოხვედრის-მეთქი.

ამ ჩემს სიტყვებზე კოვბაკმა გაიცინა. „კარგიო, მითხრა, შენს სურვილსაც დავაკმაყოფილებო. სოჭიდან წამოსვლისას მან კიევიში წამომიყვანა და პარტიზანულ შტაბში მიმიყვანა“. ეს პატარა გაგზავნეთ ჩემს დივიზიაში, ოცნებად აქვს გადაქცეული პარტიზანობაო, უთხრა ამ ამხანაგებს. „ჩემი ოცნებაც განხორციელდა, მე დღეს თქვენს განკარგულებაში ვარ, პარტივემულო ამხანაგებო“, გვითხრა პატარამ და თან დავაკაქერდა.

ბავშვმა ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

— ჭკუამახვილი ბავშვია, — ჩემად ჩაილაპარაკა პეტრომ.

ბავშვმა მალე ყველას სიყვარული დაიმსახურა, ყველა კმაყოფილი იყო მისი გამკრიახობით. პარტიზანული დივიზიის დაშლის შემდეგ, დვოეგლაზოვი ისევ საბჭოთა არმიის რიგებს დაუბრუნდა, თავისი პოლკი მონახა და იქ მოეწყო.

ამ ხანებში დივიზიამ კვლავ გადაინაცვლა ადგილი. ცენტრალური შტაბის ბრძანებით, ვლადიმერ-ვოლინსკისავე წავედით და სოფელ გნოიანოში დაებნაკდით. ხანგრძლივი დასვენებით ვი-



სარგებლე და ამხანაგების თანხლებით მტრის მიერ გაპარტახებულ ქალაქ ვლადიმერ-ვოლინსკის სანახავად წავედი. საზარელი სურათი დამიდგა თვალწინ. უმოწყალო დაბომბვისაგან ყოველ ნაბიჯზე უზარმაზარი ორმოები იყო, სახლები მინგრეულ-მონგრეული, ხშირად ზედასართულის სახურავი თურქინის აივანი, ჰაერში იყო გამოკიდებული და მისი ძირს ჩამოვარდნა წუთობით იყო მოსალოდნელი. მიუხედავად ასეთი მძიმე სურათისა, გამარჯვებით აღტაცებული ხალხი ქუჩებში გარმონებით გამოფენილიყო, ყველგან სიცილ-ხარხარი იდგა, სიმღერა, ცეკვა-თამაში. მუშა-მოსამსახურენი გადარჩენილ შენობებში იკრიბებოდნენ, საქმეები წესრიგში მოჰყავდათ. ქალაქის საბჭო შემთხვევით გადარჩენილ შენობაში მოეთავსებინათ, მის სახურავზე აღმართულ მაღალ ანძაზე სტალინის სურათით მოქარგული წითელი დროშა ფრიალებდა.

ხალხი გვაკვირდებოდა, და როცა გაიგეს, რომ ჩვენ პარტიზანები ვიყავით, ვაშს ძახილით მოგვეგებნენ, გულთბილად მიგვიღეს.

უკან მოგვიანებით დაებრუნდით. შთაბეჭდილებები გაეუზიარეთ ამხანაგებს. გული დაწყდათ, რატომ ჩვენც თქვენთან ერთად არ წამოვედითო, თქვეს.

გლეხებმა მოირბინეს პოლკის შტაბში, — ეს ეს არის მახლობელ ტყეში საკუთარი თვალთ ვნახეთ ფაშისტები, ჩვენს დანახვაზე ხეებს ამოეფარნენ და გაირინდნენო.

მებრძოლები გავგზავნე, მეც მივიღე ბანდის ლიკვიდაციაში მონაწილეობა. მცირერიცხოვანი აღმოჩნდა ბანდა, ორსამ საათში გავანადგურეთ და უკან გამოვბრუნდით. გზაში ამხანაგები შემომხვდნენ.

— ტყუილად შეგიწუხებიათ თავი. საჭირო არ არის თქვენი დახმარება. ხომ გაგიგონიათ — ჩიტი ბრდღენად არ

ღირდაო, უმნიშვნელო ბანდა იყო, მისი განადგურებისათვის დღე-ღამე ვერ დაგვიკირებია, — ვეუბნებოდა ჩემთვის დარილ ბიჭებს.

— არა, ჩვენ სხვა მიზნით ვართ მოსული! — მეუბნებოდა ამხანაგები.

— სახელდობრ?

— დიდად სასიხარულო ამბავი უნდა გაცნობოთ?

— მაინც?

— საბჭოთა კავშირის გამირობას გილოცავთ! — მეუბნებოდა და თან ამ სიტყვებისთანავე მომცვიდნენ და გადამოკცნეს.

— საიდან, როგორ? — მღელვარე ხმით ვეუბნები ამხანაგებს.

— ნიკიტა სერგის-ძე ხრუსჩოვისაგან მოვიდა შტაბში რადიოგრამა, თქვენ და კიდევ სხვა რამდენიმე ამხანაგს ნიკიტა სერგის-ძე საბჭოთა კავშირის გამირობას გილოცავთ.

მოსვლისთანავე შტაბში შევედი. „მომილოცავს, მომილოცავს“, ამ სიტყვებით გამოქანდა ჩემსკენ ვერშიგორა, გადამეხვია და გადამოკცნა. მერე ვერშიგორამ ამ სიტყვებთან რადიოგრამა გადმოშტა. გადავიკითხე: „ბაქრაძეს — გილოცავთ საბჭოთა კავშირის გამირობის წოდების მინიჭებას, ვისურვებთ შემდგომ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ხრუსჩოვი. 8. VIII. 1944 წ.“

ასეთივე დეპეშები მიიღეს ხრუსჩოვისაგან ვოიცეხოვიჩმა, კულბაკამ ლენკინმა და ტუტუჩენკომ. თვითონ ვერშიგორამაც მიიღო რადიოგრამა გამირობის და გენერალ-მაიორის წოდების მინიჭებაზე.

17 აგვისტოს კიევიდან საპატიო სტუმრები გვეწვივნენ, ჩვენთან ჩამოვიდნენ უკრაინის პარტიზანული შტაბის წარმომადგენელი ამხანაგი დროჟინინი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული. მალე ცნობილი გახდა, რომ პარტიზანული დივიზია შინაგან საქმეთა კომისარიატის

განკარგულებაში გადადიოდა, ე. ი. პარტიზანული დივიზია, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, არ იარსებებდა. ამრიგად, ამ დროიდან დივიზიის მისია დასრულებულად ითვლებოდა.

ორი-სამი დღე გაეიდა ამის შემდეგ და ვერსიგორასთან ერთად პოლკის მეთაურები კიევში გამოგვიძახეს. დიდად კმაყოფილნი დავრჩით ამ ამბით. კერძოდ, მე უკრაინის ისტორიული დედაქალაქის — ჰიევის ნახვის საშუალება მეძლეოდა. მანქანებით გავემგზავრეთ კიევში. აღვიღზე მისვლისთანავე სასტუმროში მოგვათავსეს. პარტიზანებმ მტრის ზურგში მოკლებული ვიყავით ადამიანურ ცხოვრებას, თვალი გადაეჩვია ბინის წესრიგიან მორთულობას: პირისაბანს, აბაზანას, დანა-ჩანგალს. სასტუმროში ყველაფერი მეუცხოვა. პირსახოცით ხელში ხელის დასაბანად დერეფანში გავედი, შეიდი-რეა წლის პატარა ბიჭი წინ შემომეფეთა, გზა გადამიღობა: „ძია, თქვენ ბაქრაძე ხართ?“ — ზრდილობიანად შემეკითხა ბავშვი, გავოცდი — „ბაქრაძე ვარ, ვეუბნები“.

— თქვენ ჩემი მამის სახელობის პოლკის უფროსი ბრძანდებით, არა?

უცებ მოვედი გონს, უთუოდ რუდნევის შვილია-მეთქი, გავიფიქრე, ბავშვი ხელში ავიყვანე და გულში ჩავიკარი, მოვეალერსე, სახეში ჩავხედე, გული ამიჩუყდა. სიმონ ვასილის-ძის თვალწარბი და ღიმილი დავინახე. ბავშვით ხელში ამხანაგებთან შევიბრინე. პატარას ვინაობა რომ გაიგეს, იმათაც გადაედო მღელვარება.

— აქ ვისთან ხარ, სასტუმროში ვინ მოგიყვანა? — ვეკითხებით ბავშვს.

— დედამ, დედა აქ ჩამოსული.

— ხანგრძლივად ვეალერსეთ ბავშვს, ლექსებიც ვატქმევინეთ. საღამოთი ტელეფონით გვაცნობეს — სიღორ არტემის-ძე თავის ბინაზე გელოდებათო. საჩქაროდ გავეშაადეთ და ჩვენს საყვარელ მოხუცთან წავედით. ის ჩაბავეის

ქუჩაზე ცხოვრობდა. შევედგით თუ არა ფეხი ბინაში, მოხუცი შემოგვხვდა და გულმხურვალედ მოგვესალმე. მისთვის ჩვეული თბილი საუბარი გაგვიბა. მხნედ გამოიციქრებოდა სიღორ არტემის-ძე, დასვენებას და მკურნალობას კარგი ნაყოფი გამოეღო.

— მამ, კვლავ ერთად ვართ, ამხანაგებო, მოხარული ვარ თქვენი ნახვის, მიუხედავად იმისა, რომ კიევში კარგად ვგრძნობ თავს, უთქვენოდ, მერწმუნეთ, მომეწყინა. ცხადშიაც და სიზმარშიაც თვალწინ მიდევით.

დიდხანს ვისაუბრეთ მოხუცთან, ერთად განვილი ბრძოლები მოვიგონეთ. დიდ ინტერესს იჩენდა კოვპაკი მისი წამოსვლის შემდეგ ჩატარებული ბრძოლებისადმი. დაუსრულებლად გვეკითხებოდა უკანასკნელი რეიდის შესახებ. დაღუპული ამხანაგები მოვიგონეთ, პირველ რიგში — რუდნევი. დღეს მისი პატარა ვაჟი იყო ჩვენთანო, ვუთხარით. კოვპაკის საუბრის დროს, წვეე ჩვენს გვერდით, მაგიდაზე მოთავსებული რადიომიმღები ამუშავდა, ხმამალა წამოიძახა: ისმინეთ! დღეს კიევში საბჭოთა კავშირის გმირები, კოვპაკელები, ფრონტიდან ჩამოვიდნენო, და თან ჩვენი გვარები დაასახელა.

გარიერაჟისას დავცილდით ერთიმეორეს, სასტუმროს მივაშურეთ და ცოტა ხნით თავი მივდევი.

ადრინად დილით ყველა ფეხზე ვიყავით, სასტუმროს მორიგე ოთახში შემოვიდა: „მურნალისტები არიან მოსული, დარბაზში გელოდებიან, თუ დრო გაქვთ, თქვენს ნახვას თხოულობენ“ — თავაზიანად გვითხრა მან. ტანსაცმელი გავისწორეთ და დარბაზში გავედით. ერთიმეორეს მივესალმეთ.

— ჩვენი დედაქალაქი ამჟამად გაპარტახებულია, მტრის მიერ მიყენებული ჭრილობები ჯერ არა აქვს მოშუშებული, თქვენი შთაბეჭდილება ალბათ ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი —

ლიმილით გვეუბნება ხანში შესული ჟურნალისტი.

— კიევი რაც არ უნდა დაზიანდეს, შნოს და მიმიზიდველობას მაინც არ დაკარგავს, — პასუხობს ჟურნალისტს კულბაკა, — მე რომდეც მინახავს კიევი. ამჟამად მართლაც დიდად დაზიანებულია.

ხანმოკლე გასაუბრების შემდეგ ჟურნალისტებმა ფანქარი და ქაღალდი მოიშაღეს და კითხვები დაგვყარეს. „თქვენი სამხედრო წოდება, საიდან ხართ, რა სპეციალობის, სად მოგისწროთ ომმა, პარტიზანთა რიგებში როდის მოხდით, რა თანამდებობა გეჭირათ, სად იომეთ, დაჭრილი ხართ“ — ასეთი იყო მათი კითხვები. გამოცდებზე გაძახებულ მოსწავლესავით ვუპასუხებდით კითხვებზე.

ზოგი ენაწყლიანი მეთაური მკერმეტყველებაში ჟურნალისტებს თითქმის ჭარბობდა, მაგრამ ისეთ უსიტყვოს და ჩუმს, როგორიც ლენკინი იყო, მარწუხებით გლუჯდნენ თვითელ სიტყვას. ლენკინი მომიახლოვდა, წყნარად ჩაახველა, უღვაშები გაისწორა და მიიხრა: „გითხრა სიმართლე, ამხანაგო დავით, ამ კორესპონდენტებთან საუბარს მირჩევნია მთელი დღე ხელჩართულ ბრძოლაში ყოფნა. თუ რამე დაგცდა და უთხარი, მერე საშველს არ მოგცემენ: „კიდევ, კიდევ, აბა, აბა, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ...“ შემდეგ არ გამოჩენილან, არა? სდიეთ ბოლომდე, თუ ბანაკში დაბრუნდით? რა იარაღი ჰქონდათ? თქვენ რაღა იარაღით ებრძოდით?“ ვინ მოსთვლის რა კითხვას არ გაძლევენ. საუბრის შემდეგ ფოტორეპორტიორებმა ჩვენი სურათები გადაიღეს.

კიევიში ყოფნის დღეებშივე უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა გრეჩუხამ საზეიმო ვითარებაში გადმოგვცა მთავრობის უმაღლესი ჯილდოები — ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი.

მან ძალიან გულთბილი სიტყვით მოგმართა. სამადლობელი სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა უკრაინის მიხედვით ამხანაგ გრეჩუხას, რომ ჩვენ მომავალშიც მზად ვართ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ებრძოლოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ, მშვიდობიან ფრონტზედაც გავემართლებთ ჩვენი ხალხის ნდობას, სამშობლოს სიყვარულს, ამას გვაეძლებს ჩვენ პარტიის და დიდი სტალინის მზრუნველობა.

გულმხურვალე შეხვედრა მოგვიწყო კიევის საზოგადოებამ, მთელი დღეები და საღამოები დაწესებულებებში და წარმოებებში გვიხდებოდა ყოფნა. ორატორი ორატორს სცვლიდა, მისალმებებს დასასრული არ უჩანდა.

ორატორები პარტიზანების დამსახურებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ. შემდეგ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში გამოგვიძახეს, დემიან სერგის-ძე კოროტჩენკომ მიგვიღო, ჩვენ დანახვაზე სასწრაფოდ ზეზე წამოიჭრა და შუა ოთახში შემოგვხვდა, მაგრად ჩამოგვართვა ხელი, თან გულთბილი საუბარი გაგვიბა. პირველ რიგში მან რეიდის ნაყოფიერად და სასახლოდ ჩატარება მოგვილოცა. ჩვენი ყურადღება მის კაბინეტში კედელზე დიდი მოცულობის რუკამ და ზედ მინიატურული ალმებით გამოსულმა ქინძისთავეებმა მიიქცია.

კულბაკამ თვალები მინაბა, თითქოს ნიშანში ამოიღო, რუკაზე აღნიშნულ ნიშნებს დააკერდა — „ზომ სრული სიზუსტით არის, ამხანაგო კულბაკა, თქვენ მიერ განვლილი რეიდის მსვლელობა რუკაზე აღნიშნული“ — ეუბნება კულბაკას დემიანი.

უცებ კოროტჩენკო ზეზე წამოდგა და რუკაზე დასობილ ქინძისთავს ხელი დაადო: „აი, ის სოფელიც, სადაც შენი პოლკი გააფთრებით იბრძოდა“, — უთხრა კულბაკას.

დემიანმა ჩვენი უკანასკნელი რეიდის მოკლე მიმოხილვა გააკეთა. მან ზედმიწევნით სისწორით აღნიშნა სად, როდის, რომელი პოლიტიკური როგორი წარმატებით იბრძოდა.

დასასრულ, ამხანაგ კოროტჩენკოსთან ხანგრძლივი საუბრით გული რომ ვიჯერეთ, უალრესად ნასიამოვნები, წარუშლელი შთაბეჭდილებებით დავემშვიდობეთ მას. კიდევ ერთხელ დავემშვიდობეთ კიევის საზოგადოებას და შინსახკომის ჯარების სარდლობისათვის დივიზიის გადასაბარებელი ინსტრუქციებით აღჭურვილნი ჩვენს ბანაკში დაებრუნდით.

ასეთი იყო კოვპაკის სახელობის პარტიზანული დივიზიის მთელი გზა. 1941 წლის სექტემბერში პუტევის რაიონის უღრან ტყეში დაიწყეს ბრძოლები პატარა რაზმით მტრის ზურგში კოვპაკმა და რუდნევემა და სამი წლის შემდეგ დივიზიად იქცა ეს რაზმი.

სამშობლოს და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი პარტიზანები შინაგან საქმეთა კომისარიატის სამხედრო ნაწილებში გადარიცხეს. ამ დღიდან ჩვენი ბიჭები უკვე რეგულარული ნაწილების ჯარისკაცებად იქცნენ და მთელ ჩვენს არმიასთან ერთად ბერლინისაკენ გაეშურნენ.

პარტიზანულ მოძრაობას სიმტკიცეს და უძლეველობას ანიჭებდა ის, რომ

მის ბრძოლას წარმართავდა სახელგანთქანი ბოლშევიკური პარტიკულუნი.

დივიზიის დაშლის შემდეგ ჩვენი თემში ერთიმეორესთან დაშორება გაგვიძნელდა. ჩვენი კოლექტივი ყოველთვის მტკიცე და ერთსულოვან ოჯახს წარმოადგენდა, ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის, როგორც იტყვიან ჩვენში. რამდენჯერ ვუხსნივარ და რამდენჯერ მიხსნია მეგობარი დაღუპვისაგან გაათურებულ ბრძოლებში.

ომის დამთავრების შემდეგ თანამებრძოლებს ურთიერთშორის კავშირი არ გავიწყვეტია, მიწერ-მოწერა დღესაც გვაქვს.

დღეს სახელოვან ჩვენს მებრძოლებს თვალუწვდენელ ჩვენი სამშობლოს ყველა მხარეში შეხვდებით. ისინი გულწრფელად, თავდადებით, ენთუზიაზმით იღწვიან მშვიდობიანი მშენებლობის ფრონტზე, სამშობლოს საკეთილდღეოდ.

1944 წლის 8 ნოემბერი ჩვენი დივიზიის ლიკვიდაციის თარიღია. მთელი პარტიზანული ბრძოლების მანძილზე, ისტორიაში არნახული რეიდების ბრწყინვალედ ჩატარების დროს პარტიზანებს ძვირფასი ბელადის დიდი სტალინის სახე მუდამ წინ გვედგა. ამ დიდი ადამიანის გენიამ მიიყვანა საბჭოთა ხალხი ბრწყინვალე გამარჯვებამდე.

## 1951 წლის ქართული პროზა



კრიტიკული ანალოზი ყველა იმ პროზაული ნაწარმოებისა, რომელიც გასულ წელს დაიბეჭდა, დიდ ადგილსა და დროს მოითხოვს. ამიტომ ჩვენ მხოლოდ ისეთ ნაწარმოებებს შევეხებით, რომლებიც თავიანთი ღირსებითა და ნაკლოვანებებით ასე თუ ისე დამახასიათებელი არიან ჩვენი ლიტერატურული პროცესისათვის.

ქართველ პროზაიკოსებს — ლიტერატურული კრიტიკა სიფხიზლის მომდუნებელ იავნანას კი არ უნდა უგალობდეს, არამედ ბოლშევიკური პრინციპულობით გამსჭვალულ მხატვრული იდეური ანალოზით აფხიზლებდეს მათ, მუდმივ მობილიზებულ მდგომარეობაში ამყოფებდეს იმისათვის, რომ ძლიერ მხატვრულ ფორმაში გამოსახონ ჩვენი დროის ადამიანების მდიდარი სულიერი ცხოვრება.

ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ის ნაკლოვანებაზე მსჯელობდა ზოგადად და გაუბრბოდა ამ ნაკლოვანებათა კონკრეტულ მხილებას.

კრიტიკას მოეთხოვება ყოველი ნაწარმოების ობიექტური შეფასება. თუ დაუმსახურებელი ქება-დიდება ხელს უშლის ლიტერატურის შემდგომ განვითარებას, მით უფრო ენებს საქმეს დაუმსახურებელი გინება, რომელიმე პროზაული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმში უნდა ვეძიოთ თვით ნაწარმოების ფუნქციაში, მის საზოგადოებრივ მნიშვნელობაში. ამ ფუნქციასთან სიახლოვე კრიტიკას აახლოვებს

ქვეშარიტებასთან, ხოლო დაშორება აყალბებს მას.

კრიტიკა უნდა იყოს მკაცრი, მაგრამ მართალი.

ობიექტური კრიტიკის ერთი არსებითი მოთხოვნილება, რომელსაც უაღრესად დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს, იმაში მდგომარეობს, რომ კრიტიკოსი იყოს მიუდგომელი და პრინციპული.

მიმდინარე წელს დასრულდა ალ. ქუთათელის ოთხტომიანი რომანი „პირისპირ“.

ჩვენი განზილვის ობიექტს მხოლოდ მეოთხე ტომი წარმოადგენს. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის რამდენიმე სიტყვა ვთქვათ პირველ სამ ტომზეც: ზოგადად.

ქუთათელის რომანი, რა გინდ ნაკლოვანებანი არ უნდა ჰქონდეს მას, მხატვრული ისტორიაა მთელი ეპოქისა, რომელიც, სამწუხაროდ, ქართულ მწერლობაში შესატყვისი ფორმით ჯერ არ ყოფილა ასახული. ამ ხარვეზს ნაწილობრივ უექველად ავსებს ალ. ქუთათელის „პირისპირ“. ამ ნაწარმოების კითხვის დროს ჩვენ მოწმე ვხდებით ადამიანების სულიერი ცხოვრების განახლებისა. ცოცხალი მხატვრული ფერებით ნაჩვენებია საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება და ქართველი ხალხის ყოფა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა პერიოდში. იდეური კონფლიქტები, რომელიც მესამე ტომ-

ში დაიწყო კორნელისა და მის გარშემო არსებულ წრეს შორის, მეოთხე ტომში თავის კულმინაციურ წერტილს აღწევს. კორნელი რადიკალურად ეთიშება ამ წრეს, იგი გაბედულად გაპყვება იმ გზას, რომელიც განათებული იყო ოქტომბრის რევოლუციის შუქით.

რა მიზეზები აიძულებდნენ ახალგაზრდა კორნელის გადახალისებინა თავისი სულიერი ცხოვრება, განთავისუფლებულიყო ძველი იდეური ბარგი-საგან და შეიარაღებულიყო ახალი, მოწინავე თვალსაზრისით?

როგორც რომანიდან ვიცით, ხალხთან კავშირი კორნელის ერთ-ერთ საუკეთესო თვისებას წარმოადგენდა. კორნელისათვის გლეხი გოჯასპირი იყო არა მარტო მშრომელი ადამიანი, რომელიც მთელ სოფელს მაგალითს აძლევდა თავისი კაცური კაცობით, არამედ ეროვნული ცხოვრების გამომატველიც; ეს ადამიანი მენშევიკებმა მუხაზე ჩამოაკიდეს, როგორც უკმაყოფილო ელემენტი. გოჯასპირის სიკვდილმა კორნელის გულში ის ძარღვი ნაწყვიტა, რომელიც მას აკავშირებდა მის გარშემო არსებულ წრესთან. ამან კორნელში აღძრა ამ წრისადმი სიძულვილის გრძნობა.

მეორე ძლიერი ფაქტორი, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა იქონია კორნელის მსოფლმხედველობაზე, იყო ახალგაზრდა კომუნისტების წრე მახათაძის მეთაურობით. მახათაძე კორნელისათვის მეგზურად იქცა. კორნელიც გაბედულად გაჰყვა მას.

კორნელი თვალნათლივ ხედავს იმ წრის დეგრადაციასა და მორალურ გაზრწნას, რომელსაც წარმოშობით თვითონ ეკუთვნოდა.

კორნელის იდეური კავშირი კომუნისტებთან შეუქმნეველი არ დარჩენია მაყაშვილების წრეს; ეს წრე ცდილობს ანგარიში გაასწოროს კორნელისთან; (მაგრამ კორნელი თავის მხრივ ემზადება მძაფრი კონფლიქტისათვის). ერთადერთი ძალა, რომლის მეშვეობითაც მა-

ყაშვილებს შეუძლიათ ანგარიში გაასწორონ კორნელისთან და პიროვნულად დაამცირონ იგი, გახლავთ მაყაშვილის ქალი ნინო, კორნელის სატრფო.

კორნელისთვის ნინო იყო არა მარტო სატრფო, არამედ უერთგულესი მეგობარიც. კორნელი ოცნებობდა, რომ მისი ცხოვრების გზაზე ნინო იქნებოდა მისი თანამოაზრე, მაგრამ ის წრე, რომელსაც ნინო ეკუთვნოდა, უზიძგებდა ქალს არა კორნელისაკენ არამედ სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით.

და აი დადგა დრო ანგარიშის გასწორებისა, ოდესღაც ნაზი და უმწიკლო სიყვარული ახლა მძიმე ჯვარივით დააწვა მხრებზე ორივეს. თუმცა ტკივილებით, მაგრამ ორივე ცდილობდა მხრებიდან ამ მძიმე ტვირთის მოხსნას.

მეოთხე წიგნის იმ თავში, რომელსაც „ბარათები“ ეწოდება, გაშლილია ეს ტრაგიკული სცენა. უნდა ითქვას, რომ ეს თავი ქუთათელის მთელი რომანის გვირგვინია.

რომელ რომანისტს არ აღუწერია შეყვარებულ ახალგაზრდა ადამიანთა განშორება. სიტყვის უდიდესი ოსტატები აღბეჭდავდნენ ხოლმე ამგვარ სცენებს; და ამის შემდეგ რა უნდა ეთქვა ახალი აღ. ქუთათელს? რით უნდა განსხვავებულიყო მის მიერ აღწერილი მომენტი უკვე შექმნილ და დიდებულად დახატულ სურათებისაგან?

ოდესღაც ლევ ტოლსტოი წერდა:— არსებითად, როდესაც ჩვენ ვკითხულობთ, ან ვპკრეტთ ახალი ავტორის მხატვრულ ნაწარმოებს, ძირითადი საკითხი, რომელიც ჩვენში აღიძვრება, ყოველთვის ასეთია: აბა ვნახოთ რა კაცი ხარ? ან რით განსხვავდები ყველა ჩემთვის ცნობილ ადამიანისაგან და რა შეგიძლიან მითხრა ახალი იმის შესახებ, თუ როგორ შეეხედო ცხოვრებას? რასაც არ უნდა გამოხატავდეს მხატვარი: წმინდანებს, ავაზაკებს, მეფეებს თუ მათხოვრებს — ჩვენ ვეძებთ თვით მხატვრის სულს.

და თუ უკვე ცნობილი მწერალია, მაშინ საკითხავი ის კი არ არის, თუ ვინა ხარ შენ, არამედ: აბა რა შეგიძლია მითხრა ახალი?! რომელი ახალი მხრიდან გამიშუქებ ცხოვრებას? და ამიტომ მწერალს, რომელსაც არ გააჩნია ნათლად განსაზღვრული ახალი შეხედულება სამყაროზე, და მით უფრო ის, ვინც ფიქრობს რომ ეს არცაა საჭირო, მას არ შეუძლიან შექმნას მხატვრული ნაწარმოები.

ლევ ტოლსტოის ეს დებულება ღრმა სიმართლეს შეიცავს.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ალ. ქუთათელის რომანის ის ადგილი, რომელშიაც ნაჩვენებია კორნელისა და ნინოს დაშორება.

კორნელი სრულ 5 საათზე გამოცხადდა ნინოსთან. მხატვარს მხედველობიდან არ რჩება ამ შეხვედრის უბრალო ნიუანსიც კი. სანთლის ფერი დასდებოდა ნინოს ლამაზ სახეს; თმა დაუვარცხნელი ჰქონდა, ხელები და ფრჩხილები მოუვლელი; არისტოკრატიული არტიტიზმი თითქოს გამქარაღიყო ნინოს ბუნებაში. გარეგნულად ქალი პატიების მთხოვნელს უფრო ჰგავდა, ვიდრე მრისხანე მსაჯულს. ამ სანახაობამ შეაქრიალა კორნელი და მზად იყო ნუგეშისცემისათვის. ვაჟის თვალებში ქალმა საკუთარი თავისადმი სიბრალული ამოიკითხა და ამ შეგნებამ იგი გაამწარა, ეს ჩამქარალი მშვენიერება — ისევ იმ პირგამეხებულ დედაკაცად აქცია, რომლის რისხვა არაერთხელ უგმნია კორნელის.

ნინოს სურდა, რომ უკანასკნელი შეხვედრა ყოფილიყო ანგარიშის გასწორება არა მარტო სიყვარულთან, არამედ იმ იდეებთანაც, რომლებსაც კორნელი იცავდა.

— ასე მგონია, თქვენ ჩემი მშობლებისა და ჩემდამი შურისძიებისათვის ემზადებით. — გაბრაზებული კილოთი მიმართავს ნინო კორნელის.

— ჩემი სამშობლოს უკეთესი მერძისისათვის საბრძოლველად ვემზადები

და არა თქვენდამი შურისძიებისათვის, — უპასუხებს კორნელი ნინოს.

რამდენადაც კორნელი მტრულად განწყობილი იმ სოციალურ წრეში, რომელსაც ნინო ეკუთვნის, იმდენად ღმობიერია იგი ნინოსადმი, როგორც ადამიანისადმი.

— არ იფიქროთ, — ეუბნება კორნელი ნინოს, — მტრად მოგვეცილოთ. დადგება დრო და ეს დრომოკმული საზოგადოება დაემშობა და მაშინ მოვალ თქვენთან, მოვალ არა შურისძიებისათვის, არამედ ჩემი უანგარო გაბზარული სიყვარულის გამართლებებისათვის. მაშინ საბოლოო სიტყვა თქვენზედაც იქნება. არა, არ მინდა, არ შემიძლიან მტრად მომეცილოთ თქვენ... ნუ თუ... მართლა გგონიათ, რომ ასე უაზროდ, უეცრად და ადვილად მიგატოვებდით? არა, თქვენ ღრმად ხართ შემოპირილი ჩემს სულსა და გულში. მართალია ჩვენ ახლა ვშორდებით ერთმანეთს, მაგრამ არა მგონია, თქვენც ასე ადვილად შეგეძლოთ ჩემი დაეწეება. გაივლის დრო, რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს იგი, თუნდაც ოცი, ან ოცდაათი წელი, მე ისევ მოვალ, მოვალ როდესაც თქვენ მე სავსებით გამიგებთ... როდესაც თქვენდამი ჩემს უანგარო გრძობაში დარწმუნდებით, რაც მანამდე არ გჯეროდით. მე მოვალ... როცა ჩემი გზის სისწორეს ირწმუნებთ... მაშინ შესაძლოა თქვენ ისურვოთ ჩემი თანამგზავრობა... და თუ არ მოვედი, დაკარგულად ჩამთვალეთ, როგორც თქვენთვის, აგრეთვე სხვათათვისაც. იგულისხმეთ: მართალი საქმე დამარცხებულა, სინათლე სიბნელეს შთაუნთქავს... და მეც დაუსაბამო სიერცეში ბოლივით გავჭრები—აგზნებით ამბობდა კორნელი.

ნინოს ერთნატიელმა დაუარა ტანში და კორნელის შეევედრა:

— აგრე ნუ ლაპარაკობ... მეშინია. — ადგა საწოლზე დაგდებული შალი აიღო, შიგ გაეხვია, თითქოს შეცივდაო.

— განა რა ვთქვი ასეთი? — ჰკითხა კორნელიმ.

— თქვენს სიტყვებში სამარის სიცივის ქროლვა იგრძნობა.

— ჩემი სიტყვები დიდი ხნის ფიქრისა და განსჯის შედეგია.

— მით უარესი. თქვენს სიტყვებში მუქარაც ისმის.

— არა ეს მუქარა არ არის, ეს აღსარებაა ჩემი გულისა...

— ღმერთო ჩემო, რა ბედისწერამ მოაწია ჩვენ თავზე, — ამოიოხრა ნინომ.

— ჩემი სურვილია, თქვენ იყოთ ბედნიერი, — უთხრა კორნელიმ.

— ბედნიერება ჩვენ თვითონ დავმარბეთ. — მიუგო ცრემლმორეულმა ქალმა. თვალი გაუშტერდა და უიმედოდ, სადღაც შორს კაემნით გაიხედა, თითქოს მშობელი ყოფილიყოს და საკუთარი ბავშვი დაემარხოს.

ასე დასრულდა ორი სხვადასხვა თვალსაზრისზე მდგომი, შეყვარებული ადამიანის უკანასკნელი შეხვედრა; — ტანჯვითა და ცრემლით შორდებიან ისინი ერთმანეთს.

აღექსანდრე ქუთათელი ცდილობს მთავარი გმირის ვნებათაღელვის ჩვენებას ამ ვნებათაღელვის გარეგნული გამოვლენის ბუნებრივ ფორმად. მწერალი აღწევს თავისი გმირების ძლიერ მხატვრული ინდივიდუალიზაციას, რომელიც ერთ ხასიათს მკვეთრად გაარჩევს მეორისაგან; თანაც გმირის თვალსაზრისი, მისი მსოფლმხედველობა წინა პლანზე გამოდის.

რომანის მთავარი გმირი რომანის მეოთხე ტომის ბოლო ნაწილში — აშკარად დგება ბოლშევიკების მხარეზე და იბრძვის მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

ხელოვნება როდია ცხოვრების მხოლოდ უბრალო ანარეკლი, ის იმავე დროს მსჯავრმდებელიცაა ცხოვრებაზე. ხელოვნების ამგვარი გაგება გვიხსნის იმ მეტაფიზიკური ცალმხრივობი-

საგან, რომელიც ხელოვნებას ხან მაღლა აყენებს ცხოვრებაზე, ხან კი დაბლა.

ქუთათელის რომანის *ლიტერატურა* იმავნაირია, რომ ის ფართოდ ასახავს მწერკე საუკუნის პირველი ორი ათეული წლების მანძილზე ქართველი ხალხის ცხოვრებას. ამ აზრით, ქართული ლიტერატურის მკვლევარი, რაგინდ ტენდენციურად არ უნდა იყოს იგი განწყობილი, გვერდს ვერ აუხვევს ქუთათელის ოთხტომიან ეპოპეას, რომელშიაც ყველაზე მკვეთრად გამოიხატა ერთი დიდი რგოლი ქართველი ხალხის ისტორიის გრძელი ჯაჭვისა.

მაგრამ ჩვენი განხილვა ცალმხრივი იქნება, თუ კი ყურადღებას არ მივაქცევდით ქუთათელის რომანის ერთ არსებით ნაკლს, რაც ავტორმა უნდა გაითვალისწინოს რომანზე შემდგომი მუშაობის დროს.

სპეციფიკური ბუნება მხატვრული ლიტერატურისა იმაშია, რომ იგი იღვებს, აზრებს გამოხატავს არა ცნებების, არამედ სახეების საშუალებით. სახეების შემწევობით უნდა აღწევდეს ხელოვნური ცხოვრებაში რეალურად მომხდარი მოვლენების ჭეშმარიტი აზრის დაჭერას.

ხელოვნების სპეციფიკის წაშლის აჩრდილი დაპქრის ალ. ქუთათელის რომანის მეოთხე ტომის იმ ნაწილში, სადაც აღწერილია მეორეხარისხოვანი გმირების პოლიტიკური მსოფლმხედველობა. ავტორი ვერ პოულობს მხატვრულ ფერებს მათი განსხვავლებისათვის და მშრალ, მოსაწყენ მსჯელობაში გადადის.

ალ. ქუთათელის მეოთხე ტომის ბოლო ნაწილში აშკარად სჭარბობს თხრობა ცნებების ენით; ამის გამო რომანი მოსაწყენი ხდება მკითხველისათვის.

ეს სერიოზული ნაკლი ჩრდილს აყენებს ამ უეჭველად სერიოზულ ნაწარმოებს, რომელსაც სხვა მხრივ აზის დიდი ფიქრისა და განცდის ბეჭედი.



მეორე მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ისტორიული წარსულის ფონზეა გაშლილი, არის აკაკი ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“. ჩვენი განხილვის სფეროში შედის არა მთელი რომანი, არამედ ის ნაწილი, რომელსაც „ოქროს ჩარდახი“ ეწოდება, განსაკუთრებით კი ამ ნაწილის ის თავები, რომელიც დაიბეჭდა 1951 წელს.

მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ რომანის მთლიან კონცეფციას.

როგორც სათაურიდან სჩანს, რომანს სათავგადასავლო ხასიათი აქვს და იმ დარგის ბელეტრისტულ ნაწარმოებთ მიეკუთვნება, რომლებშიც გმირის თავგადასავალი დგას მწერლის ყურადღების ცენტრში და არა მისი სულიერი ბიოგრაფია.

აკაკი ბელიაშვილის ერთი დიდი ღირსება იმაშია, რომ იგი ოსტატურად აგებს სუჟეტს და დამაინტერესებლად მოგვითხრობს ამბავს. ძალდაუტანებელი დამაბულობით და ერთგვარი არტიზიზმით „ბესიკის“ ავტორი მთავარი გმირის მოქმედების ისეთ წიაღსვლებს აკეთებს, ამბავის ისეთ გაშლას იძლევა, რომელიც აღვიძებს მკითხველის ცნობისმოყვარეობას.

ეს უდიდესი ღირსება აკაკი ბელიაშვილისა როგორც ბელეტრისტის, მაგრამ ამ ღირსებაში არის ჩამარბული ერთგვარი სისუსტეც. ეხება მორალის სფეროს. სწორედ მორალის სფეროში გვაქვს ჩვენ სადაო აკ. ბელიაშვილიან როგორც შემოქმედთან.

აკ. ბელიაშვილის მხატვრული თვალთახედვის ისარი ზოგჯერ ისეა შემართული, რომ ის ადამიანების მხოლოდ ცუდ მხარეებს უმიზნებს და ივიწყებს საერთოდ ადამიანების კარგ მხარეებს.

ეს აიძულებს ავტორს ზოგჯერ მორალის სფერო ნაწილობრივ დაივიწყოს. „მნათობი“ № 8.

ყოს და დაუმეას ზოგიერთი ფაქტურის ხასიათის შეცდომები.

როგორია ამ შეცდომების წარმოშობა? პიველი — ბელიაშვილმა ხელოვნურად, ყოველგვარი ისტორიული წყაროების დამოწმების გარეშე, მკითხველს შეუქმნა შთაბეჭდილება თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ — ეს უდიდესი ძეგლი ქართველი ხალხის გენიისა — დაიწვა ერეკლე მეორის ბრძანებით და დასტურით.

მეორე: — ბესიკი, ეს ერთი უნაზესი პოეტი, რომელიც სამართლიანად უყვარს ქართველ ხალხს „ოქროს ჩარდახში“ წარმოდგენილია როგორც მოსყიდული მსტოვარი, ჯაშუსი.

მესამე: — „ოქროს ჩარდახში“ დასავლეთ საქართველო — ეს ულამაზესო მხარე ჩვენი ქვეყნისა წარმოდგენილია არა მთლიან საქართველოს ნაწილად, არამედ სრულიად უცხო ქვეყანად, რომლის მცხოვრებთ არც ზნე აქვთ ქართული, არც ადათი და არც ტრადიცია.

მეოთხე: — სოლომონ მეფის დროინდელი დასავლეთ საქართველო რომანში მოსჩანს როგორც ველურების ქვეყანა, სადაც წერა-კითხვა არც ერთმა კაცმა არ იცის, თვით მღვიან მწიგნობარმაც კი.

მეხუთე: — „ოქროს ჩარდახში“ პერსონაჟთა — ერთ ნაწილს არა აქვს მორალური სახე.

მექექსე: — რომანში ერეკლე მეორის და — ანა, რომელსაც, აკაკი ბელიაშვილის სიტყვით, ბესიკი შეილად შეპყროდა, გამოყვანილია როგორც უკანასკნელი მეძავი.

დავიწყეთ პირველი დებულებიდან: ავტორმა ერეკლე მეორეს დასწამა ცილი, თითქოს მან ნება დართო ვეფხისტყაოსნის დაწვისა.

რომანის 682 გვერდზე ერეკლე მეორის თანდასწრებით ანტონ კათალიკოსი „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ ამბობს:

„დიდებული თამარის დროს წიგნი ესე განდევნილიყო და სრულიად მოსპობილ. სახელი რუსთაველისა აღმოჩნდა ცილ ყოვლთა მატრანეთაგან. მხოლოდ ვიღაც განდგომილს შეუნახავს პირი ამა წიგნისა და ოდეს ჩვენს ქვეყანას თათართა ურდოები დაეპატრონენ და ურჯულოებამ დაისადგურა საქართველოს სამეფო სახლსა შინა, ესე წიგნი კვლავ აღმოცენდა, ვინაიდან ნახა იგი ნიადაგი მსუყე ფრიალ... ხოლო ამჟამად სიბილწეს ამა წიგნისას კვლავ შეურყვნია სიწმინდე ქრისტიანული. ქალნი უსირცხვილოდ იფერადებენ სახეს საღებავებით, ხოლო ვაჟნი ყოვლად უგვანო სატრფიალო ლეკსებს უსირცხვილოდ უმღერიან შორიახლოდან თავიანთ მიჯნურებს“.

კათალიკოსი სწორედ ამ საფუძველზე ითხოვს მეფისაგან „ვეფხისტყაოსნის“ დაწვის დასტურს;

„— იყოს ნება თქვენი, თქვენო უწმინდესობავ, უთხრა ერეკლემ ანტონს“. (იხილეთ გვერდი 683).

აქ ბელიაშვილი შემდეგნაირად გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“ დაწვის ცერემონიალს.

„კათალიკოსის მანდატურები დათარგმობდნენ... ქალაქში და წიგნებს აგროვებდნენ... მალე სიონის ეზოში მთელი გორა წიგნებისა დაახვევს. სტამბის წიგნების გარდა, რომელთა შორის მართო ვახტანგ მეფის მიერ დაბეჭდილი რვაასი ცალი „ვეფხისტყაოსანი“ იყო (ეს ცნობა საეჭვოა და არ ემყარება ისტორიულ წყაროებს დ. ბ.) აქ მრავლად ეყარა ძველი ქართული... ხელნაწერები... მრავალი იყო აგრეთვე ფრანგული, იტალიური და რუსული წიგნები.“

კათალიკოსმა ბრძანა, რომ მთელი ეს გროვა წიგნებისა დაეწვათ. მსახურნი მაშინვე შეუდგნენ ანტონის ბრძანების შესრულებას“. (იხ. „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ გვ. 701, 704).

იმას, რომ ერეკლე მეორის დასტურით დაიწვა „ვეფხისტყაოსანი“, —

არ გააჩნია ისტორიული წყაროები და წარმოადგენს ცილისწამებას.

ჩვენი მეორე დებულება მდგომარეობს იმაში, რომ ქართველი ხალხის საყვარელი პოეტი — ბესიკი — ავტორს გამოჰყავს მოსყიდულ ჯაშუშად.

რომანში წერია: „ბესიკმა აკანკალებული ხელით გამოართვა ბარათი, ლუქი ააგლოჯა, ჩალთა გახსნა და ოთხად შეკეცილი წერილი გაშალა.“

„მე ბატონიშვილმა ლევანმა, შენ, სასიკვდილოდ გაწირულს, თავმოსაკლავად გამზადებულს სიცოცხლე გიწყალობე. ნუ თუ დაგაიწყდა, რომ შენი თავი მე მეკუთვინის. ერთ წელზე მეტია რაც აქედან გადაიხვეწე და შენგან ერთი ფოთლის ოდენა ფარატინა ბარათიცი არ არის. რაკი მდივანმწიგნობრობა გიწყალობეს, სამეფო კარზე დიდი პატივით მიგიღეს, ყოველივე დაგაიწყდა? ან იქნებ ფიქრობ, სამშვიდობოს გახველი... ერთი რომ ხმამაღლა ვთქვა, ბესარიონ გაბაონი ჩემი მსტოვარი არის მეტქი, მაშინვე ჩვენს კარზე მოგზავნილი იმერთა მეფის აეშაგი ყოველივეს აცნობებს სოლომონს და შენი თავი რიონში მოადენს ტყაპანს... რაკი მეფეთა ბაღეში გაეხლართე, ტყუილად ასე მალე თავს ვერ დაიხსნი. წვრილად მომწერე ყოველივე, ან თუ რა გაიგე ახალი, რაც ჩვენ არ გვსმენია, ან რას თათბირობდა მეფე თავის დიდებულებთან. იცოდე ყოველივე ესე ამბავი ისე უნდა მომწერო, ვითომ მე უნდა მსმენოდეს... ბარათი მალე მომწერე, თუ არ გსურს მართლა რომ აგისრულო დანაპირები“.

ეს წერილი ბესიკს გადასცა ჯაშუშმა კათოლიკე მისიონერმა-ფრანჩესკომ. ბესიკი ასე გაიხლართა ჯაშუშთაქსელში. ბოლოს იძულებულია, წერილის პასუხად ფრანჩესკოს პირით შემდეგი შეუთვალოს დამპირავებელს:

„როდესაც საჭირო იქნება ყოველივეს ვაცნობებ ბატონიშვილს. შეუთვა-

ლე, რომ დაეაღება არ დამეწყებიათქო“.

დასავლეთ საქართველო რომანში წარმოდგენილია არა მთლიან საქართველოს ნაწილად, არამედ სრულიად უცხო ქვეყანად, რომლის მცხოვრებთ არც ზნე აქვთ ქართული, არც ადათი და არც ტრადიცია. ერეკლე მეორის კარიდან გამოქცეულ ბესიკს პირველად შეხედება სოლომონ მეფის კარის გამგებელი პაპუნა წერეთელი. პაპუნა მცირე ნადიმს უმართავს ბესიკს. ნადიმის დაწყებამდე დროებით მარტო დარჩენილი ბესიკი ფიქრობს დასავლეთ საქართველოზე. ამ ფიქრს აჯაკი ბელიაშვილი შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „ახლა ის (ე. ი. ბესიკი — დ. ბ.) იყო იმ მხარეში, სადაც უნდა დაეწყო ცხოვრება სრულიად ახალ ხალხში, ახალი თავისებურ ზნეჩვეულებების და ხასიათის ადამიანებს შორის და ვინ იცის შესძლებდა თუ არა მათ შეგუებას“.

განა მართლა ასე უყურებდნენ ერთმეორეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი?

მწერალი ვალდებული იყო უფრო ფრთხილად და მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდა ფრაზებს.

თურმე იმდროინდელ დასავლეთ საქართველოში წერაკითხვა არცერთმა კაცმა არ იცოდა: წარმოიდგინეთ თვით მეფის მდივანმწიგნობარმაც კი არ იცოდა არც ერთი ქართული ასო.

„ოქროს ჩარდახის“ იმ ნაწილში, სადაც ბესიკისა და ერეკლეს მიერ განდევნილი ამილახვარის შეხვედრაა აღწერილი, ასეთი დიალოგი იმართება ბესიკსა და ამილახვარს შორის:

„— შენისთანა განსწავლული მდივანი მეორე არც ეყოლება, მისმა მდივანთუხუცესმა გოგია აბაშიძემ წერაკითხვა არ იცის.

— არც ხუცურად იცის კითხვა? — კითხება გაკვირვებული ბესიკი.

— ხუცურიო? ერთი ასოს ამოკითხვაც არ შეუძლია.

— მაშ მდივანთუხუცესობა როგორ მიიღო?

— მემკვიდრეობით, მაგისტრანტად ფილა დიდად განსწავლული და მწიგნობარი... ეგონა, როგორც მამა, შვილიც ისეთი იქნებო. მაგრამ მოტყუებდა... ახლა კი ობერსეკრეტარია და მთელი სამეფოს ქაღალდები და მიმოწერა მაგას აბარია. მაგრამ განა მარტო მდივანთუხუცესი ჰყავს მეფეს უვიცი? —

ა. ბელიაშვილი, მწიგნობართუხუცესს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს: „ბავშვობიდანვე ასე გამიფონია. წერაკითხვა ქაღალდის საქმეა და არა ვაეკაცებისაო, თორემ ჰყავნას მეც ვისწავლიდიო“.

წერაკითხვის უცოდინარი მწიგნობართუხუცესი მხოლოდ ველურების ქვეყანაში შეიძლებოდა და არა მე-18 საუკუნის საქართველოში.

აეტორმა ერეკლე მეორის და — ანა, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით — იყო სათნო, თავმდაბალი და წესიერი — გამოიყვანა როგორც ავზორცი დიაცი, რომელმაც შეიყვარა კაცი, რომელიც მას ასაკით შვილად ეკუთვნოდა.

რომანში ვკითხულობთ:

— „ანა უცბად მიუახლოვდა ერეკლეს და ისე მწარედ ჩაავლო ხელი, თითქოს ლამობდა ხორცი ამოეგლიჯა.

— მითხარი, რისთვის შეიყვარ ბესიკი?

— შენი შეურაცხყოფისათვის...

— ჩემთვის? — უკან დაიხია ანამ.

— .. ვით გაბედა გუშინდელმა ბაღმა დედის ტოლი ბაგრატოვანთა გვარის შეურაცხყოფა. მე მას ზვალ თავს მოვკვებ.

— ააჰ, — თვალზე ხელი აიფარა ანამ, — შენ მაგას ვერ გაბედავ... მეფეც არ დაგვიწყდეს, რომ მე მიყვარს ის ჰაბუკი.

— რას ამბობ, ანა! — ჩამქრალი ხმით წამოიძახა თავზარდაცემულმა ერეკლემ, — შენ გიყვარს ჰაბუკი, რო-

მელიც შვილად შეგეტყობა? შენ მე მიბედავ კიდევ მაგის თქმას?

— მე ქალი, ვარ, რომელსაც დღის დასასრულს გამითენდა... მე მინდა ჩემი ცხოვრების უკანასკნელ საათს მაინც დავტკბე...

— ღმერთო დიდებულო, მიხსენ მე ცოდვითა ჩადენისაგან. წერას ზომ არ აუტანიხარ ქალო, რას მეუბნები. სამეფო სახლის შვილს ვით შეშვენის ევედროს მეფეს მრუშობის დასტური მომეციო.

— აჰ, ნუ მატყუებ შე ვეშაბო შენა, ქვეყნის სახელით ამ ქვეყანას სკამ და თავს გვაძადლი. ახლავე გაანთავიხუფლე ბესიკი, თორემ თვალებს ამოგაწვრავ...“ (იხ. რომანის გვ. 699).

რომანში ერეკლე მეორე — „ვეფხისტყაოსნის“ დამწველია, სოლომონი დეგენერატი და შურიანი, მწიგნობართუხუცესი წერა-კითხვის უცოდინარი და ბოროტი, ბესიკი — ჯაშუში და მოსყიდული, ანა — გარყვნილი, ხალხის წარმომადგენელი — სადუნი ცბიერი და გაიძვერა და ა. შ.

კათალიკოს იოსების განსვენებაზე დამსწრე ხალხის შესახებ აკ. ბელიაშვილი წერს:

„ზღვა ხალხი მიაწყდა სეირის საყურებლად და უმთავრესად ალაპში გასაძლომადო“.

„აღდგომის წირვისა და გარდამოხსნის ჩატარების შემდეგ—სწერს აკ. ბელიაშვილი, — ბესიკს ხობით უნდა მიემართა მეფისათვის და შეუდგა ამ მიმართვის წერას... ბესიკმა იცოდა, რომ შთაბეჭდილების მოსახდენად ისეთი სიტყვა უნდა დაეწერა, რომელსაც უმრავლესობა ვერ გაიგებდა, რაც უფრო მისი მიმართვა აღსავსე იქნებოდა ბუნდოვანი სიტყვებით და გამოთქმებით, მით უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა და გააკვირვებდა არა მარტო მდაბიო ხალხს და წვრილ მოხელეებს, თვით მეფეს და დიდებულებსაც“.

განა ხალხის ფსიქოლოგიის ასე გაგება მართებულია? *ერეკლესული*

ბელიაშვილმა ვერც მისწერს მისი წაბოლოებული მშრომელი ხალხის სულიერი ცხოვრების მხატვრული ასახვა. მთელი რომანის მანძილზე არა ჩანს ხალხის ბრძოლა ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ.

აკაკი ბელიაშვილმა კრიტიკულად უნდა გადახედოს თავის ესთეტიურ კონცეფციას, რათა განთავისუფლდეს ადამიანებისა და მოვლენების ასახვის დროს მათდამი ზოგჯერ ყალბი დამოკიდებულებისაგან.

ჩვენ ასე ვრცლად განზრახ შევჩერდით აკაკი ბელიაშვილის რომანის ნაკლოვანებებზე, რომელთა გამოსწორება სასურველად მიგვაჩნია ნაწარმოების სრულყოფისათვის. რა თქმა უნდა, ეს არ ამცირებს რომანის დიდ ღირსებას, რომელიც მას გააჩნია, როგორც საინტერესო მხატვრულ ნაწარმოებს.

• •

გასული წლის ეურნალ „მნათობის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა სერგო კლდიაშვილის მოთხრობა „უუუნა“. ეს მცირე მოცულობის ნაწარმოები ერთი საუკეთესო დადასტურებაა იმისა, თუ როგორ შეუძლია ისტატს მცირე მოცულობის ნაწარმოებშიაც კი დახატოს ადამიანი, რომელშიაც გაცოცხლებულია ჩვენი დიადი ქვეყნის მაჯისცემა. მოთხრობის ამბავი ასეთია: უდაბურ ველზე, რკინიგზის ლიანდაგიდან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით დგას ძველი საბარგო ვაგონი, რომელზედაც მიქედილია ფიციარი ოდნეგასარჩევი წარწერით: „სადგური არგვეთა“. ამ სადგურზე მუშაობდა ტელიგრაფის ტად სანდრო მინდიაშვილი, მოთხრობის მთავარი გმირი. სანდრო ენერგიული და თავდადებული მუშაკია, მაგრამ მას ხშირად იპყრობს მარტოობის გრძნობა. სანდრო ცდილობს ამ გრძნო-

ბიდან განთავისუფლებას; სანდრო საზოგადოებრივი კაცია და მას სურს გვერდით ადამიანები ჰყავდეს. მაგრამ მისი სამუშაო ამის საშუალებას არ აძლევს. ტელეფონის საშუალებით მას კავშირი აქვს მხოლოდ ერთ ადამიანთან, სადგურ ჩოლიბაურის ტელეგრაფისტ ქალთან—ეუფუნასთან. მაგრამ ეს კავშირი მას ვერ უქარევებს მარტოობის გრძნობას. სანდრო განცხადებას შეიტანს ზემდგომ ორგანოებში და დაჟინებით მოითხოვს სამსახურიდან განთავისუფლებას.

ერთ მშვენიერ დღეს სადგურ არგეთაში ჩამოვიდა სამეცნიერო ექსპედიცია. ექსპედიცია ინჟენერებისაგან შესდგებოდა, მათ შორის იყო ელენე მესხი. ერთ ღროს მყუდრო არგეთა გადაიქცა ინდუსტრიის კერად. სანდრო ახლა კმაყოფილია თავისი მდგომარეობით, იგი უკვე აღარ გრძნობს მარტოობას. მაგრამ სწორედ ამ ღროს იძახებენ მას ტელეფონზე:

„მინდიაშვილი ხარ? თქვენ გამოგზავნეთ განცხადება სამმართველოში?

— რა განცხადება?

— გადაყვანას ითხოვდით!

— რაო? გადაყვანას? ჰო, მახსოვს რაღაც, მაგრამ...

— სამმართველო თანახმაა.

— რაო?

— ზვალ ჩამოდით ჩემთან გასაფორმებლად.

— არა, აჰ, არა. სად მცალია ახლა იქით-აქით სასიარულოდ. აქ ბევრი საქმეებია...“

რა თქმა უნდა, ამბავის სქემატიურ გადაცემას არ შეუძლია შექმნას კონკრეტული შთაბეჭდილება ნაწარმოების მხატვრულ ღირსებაზე, მაგრამ ზოგად წარმოდგენას კი გვაძლევს.

სერგო კლდიაშვილის მოთხრობა გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანის კოლექტივისტურ ბუნებას, მის ღრმა საზოგადოებრივ გრძნობებს. ეს მოთხრობა ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას,

რომ მცირე ფორმის მხატვრულ ნაწარმოებში დიდი ადამიანური გრძნობების გამოხატვა მოითხოვს დიდ რესტრუქციას.

გასულ წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა ახალგაზრდა ბელეტრისტის — რევაზ ჯაფარიძის „ხევის პატარძალი“. ახალგაზრდა მწერალმა ამ ნაწარმოებს უწოდა რომანი. მაგრამ იგი რომანი არ არის, იგი არსებითად ვრცელი მოთხრობაა.

ამ მოთხრობის პირველი ვარიანტი გამოქვეყნდა ახალგაზრდა მწერლების კრებულში. მაშინ ჩვენმა პერიოდულმა პრესამ რამდენიმე წერილი მიუძღვნა ამ უეჭველად ნიჟიერად დაწერილ მოთხრობას. ეტყობა, ამ ქებამ ვერ იქონია კეთილნაყოფიერი გავლენა რევაზ ჯაფარიძეზე. მან რედაქციის მოთხრობა ხელოვნურად გააღიდა 16 ფორმამდე.

უნდა ითქვას, რომ გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენდა მოთხრობის პირველი ვარიანტი. ახალგაზრდა მწერალი რევაზ ჯაფარიძე კარგად იცნობს იმ მასალას და ადამიანებს, რომლებსაც ის აღწევს თავის მოთხრობაში.

ყველაზე კოლორიტული გმირი, რომელსაც ნამდვილად აქვს საკუთარი ხასიათი და რომლის პიროვნება წარმოადგენს თვით მყოფს, არის სარდიონი.

თავის ნაკლოვანებაშიაც და კარგ თვისებებშიაც სარდიონი ცოცხალი ადამიანია. მას აქვს ცხოვრების ღრმა პრაქტიკული ცოდნა. მის ბუნებაში მაგრად არის ჩამჯდარი ძველი ფსიქოლოგიის გადმონაშთები, მაგრამ მასში აგრეთვე ძლიერად იგრძნობა ახლისადმი მისწრაფება. ახალ ცხოვრებასთან მას აქვს ერთგვარი კონფლიქტი, მაგრამ იგი ამ კონფლიქტს სძლევს დიდი შინაგანი დარწმუნების გზით.

ცოლთან დამოკიდებულებაში სარდიონი გარეგნულად უქმეხია, მაგრამ

გულში მეუღლისადმი დიდ სიბოძის ატარებს. რევან ჯაფარიძეს თავისი მწერლური ნიჭის დასადასტურებლად მხოლოდ სარდიონი ეყოფოდა, მაგრამ მართო სარდიონი როდი იქცევა ჩვენს ყურადღებას! საყურადღებო პერსონაჟია სერგოც. იგი უსათუოდ შინაარსიანი ადამიანია, მაგრამ უცნაურია თავისი ხასიათით. ერთი მცირე წყენის გამო ის თავს ანებებს საუკეთესო მეუღლეს, მაგრამ კეთილშა გულშა ვეღარ აიტანა უკუღმართი საქმე და ამ ნიადაგზე მან თავისთავი დასაჯა.

მწერალი სერგოს ხასიათს დიდი ტაქტიკითა და ზომიერების გრძნობით ხატავს; ამ სახეში აღბეჭდილია ავტორის რეალისტური ხედვა.

ნაწარმოებში სხვა მოქმედი პერსონაჟები მხოლოდ სქემებს წარმოადგენენ.

გაუგებარია აგრეთვე რატომ ეწოდება მოთხრობას „ხევის პატარძალი“. ნაწარმოების აქცენტი არ შეეფარდება სახელწოდებას.

რამა რევან ჯაფარიძის მოთხრობის ძირითადი ნაკლოვანებანი?

ამ, მოცულობით საკმაოდ ვრცელ ნაწარმოებს, არა აქვს მკვეთრი, თანამიმდევარი, მძაფრი სიუჟეტი.

ვენახის გასხვლის ამბავი გაჭიანურებულია და მომაბეზრებელია.

მოთხრობის ფინალში ელექტროსადგურის გახსნა ტრაფარეტულია.

მოთხრობაში სოფლის ახალი ადამიანები ფერმკრთალად არიან გამოსახული. ავტორი ადამიანთა ახალი თვისებების გამოსახატავად ვერ პოულობს შესატყვის მხატვრულ ფერებს.

ხასიათი ჩვენთვის მაშინ ხდება მისაწევლომი, როდესაც ის ადეკვატური ფორმის მეშვეობით თავისთავს ავლენს გარეგანში. მაგრამ იმისათვის, რომ ეს მოხდეს, საჭიროა მრავალ შინაგან და გარეგან პირობათა ერთობლიობა. პირველ რიგში, ხასიათი მოქმედებაში უნდა მოვიდეს ობიექტურ სინამდვილესთან. ხასიათისა და სინამდვილის ურ-

თიერთობა ამბავში მეტად დაბალია. ამბავი თავისთავად მნიშვნელოვანი უნდა იყოს საზოგადოებრივი თვალსაზრისით. მაგრამ ამბავი შედგება უამრავი დეტალებისაგან, რომლებშიაც განაწილებულია ხასიათის მოქმედების ფიზიკური და სულიერი ენერჯია. ეს განაწილება ენერჯიისა შეიცავს არსებითსა და დამახასიათებელის ნიშნებს. ეს საშუალებას იძლევა მოქმედ ინდივიდების სულიერ ძალთა კონცენტრაციისათვის.

ამრიგად, ამბავის ყოველი დეტალი თავისთავს როდი ანიჭებს არსებობის უფლებას! მხოლოდ არსებითი და დამახასიათებელი დეტალი შემოინახავს ამბავში თავისებურებას. ამგვარი დეტალების ერთობლიობა ჰქმნიან დეტალების მთელ ჯაჭვს. ამ ჯაჭვს პოეტიკის ენაზე სიუჟეტი ეწოდება.

მაგრამ სიუჟეტი არარაობად იქცევა, თუ კი მან ვერ გაარჩია არსებითი არა-არსებითისაგან. ხელოვანის ოსტატობის ძალაც ამ გარჩევაშია...

სამწუხაროდ, ახალგაზრდა ბელეტრისტი თავის მოთხრობის სიუჟეტს ამძიმებს უამრავი წვრილმანი დეტალებით. რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ სიუჟეტისათვის. არარსებითი დეტალების ერთად თავმოყრამ სიუჟეტს დაუჯარგა სიცოცხლის უნარი და მკითხველის ინტერესების სფეროს დააშორა.

„ხევის პატარძალიდან“ მთელი თავების ამოგდება შეიძლება ისე, რომ არ დაზიანდება მოთხრობის ძირითადი ლერძი. განა ავტორს მოსაწყენად არ მიაჩნია განუწყვეტელი საუბარი გასხვლაზე? გაუთავებელი დავა ვაზის გასხვლის კახური თუ რაჭული მეთოდის გამო, რალაც ახირებულ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ჩვენ არასერიოზულ კონფლიქტად, ან უკეთ ვთქვათ, გამოგონილ კონფლიქტად მიგვაჩნია სამოსონა და არჩილს შორის ატეხილი დავა. ამ ბოლო

დროს რატომღაც შტამბად იქცა კოლექტივის თავმჯდომარესა და პარტორგს შორის კონფლიქტი, და როგორც წესი — სიმართლე ყოველთვის კოლმეურნეობის პარტორგის მხარეზეა! ასეთი ზელოვნური კვანძები დამაჯერებლობას უკარგავს ნაწარმოებს.

გამოგონილია აგრეთვე სამსონისა და სარდიონის დავა ვენახის თაობაზე. გაუგებარია, რატომ არ ეკარება სარდიონი თავის ვენახს, რომელიც ოდესღაც სამსონმა გაუგებრობის გამო ჩამოართვა და კოლმეურნეობის ზვარს შეუერთა.

სანდრო შანშიაშვილმა — გასულ წელს ჟურნალ „მნათობის“ მე-5 ნომერში გამოაქვეყნა მოთხრობა „ახალი ფუძე“. უნდა ითქვას, რომ იგი სუსტი ნაწარმოებია, მაგრამ სუსტია არა იმიტომ, რომ შანშიაშვილი ვერ იცნობს ცხოვრებას. პირიქით, მოთხრობაში შანშიაშვილი ამკლავნებს არა მარტო ადამიანების სულიერ ცხოვრების ცოდნას, არამედ მას ღრმად აქვს განცდილი კახეთის ბუნების კოლორიტი.

„ახალი ფუძის“ მთელი სისუსტე იმაშია, რომ ის თავიდან ბოლომდე ნატურალისტური მანერით არის დაწერილი. ს. შანშიაშვილმა რეალური მოვლენა აღწერა, მაგრამ არა მხატვრული რეალიზმის თვალსაზრისით, არამედ წერის ნატურალისტური ხერხებით. ნატურალისტურმა ხერხებმა სანდრო შანშიაშვილს არ მისცა საშუალება ხასიათები აემაღლებია ტიპიურობის დონემდე.

ამ ნიადაგზე მოთხრობის მთავარი გმირი ზალიკო ჩალიშვილი ყალბ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ზალიკო ჩალიშვილი ზარმაცი კოლმეურნეა. მისი სიზარმაცე სხვა რაიონებშიც კი არის ცნობილი. ირკვევა, რომ ზალიკოს სიზარმაცის მიზეზი ყოფილა ჯიდი ხნის წინათ გარდაცვალებული კულაკი იაკო, რომლის გავლენის ქვეშ მოექცა ჩალიშვილი. ბოლოს ამბავი იმით სრულდება, რომ ზალიკო ცულით და-

ამტვრევს იაკოს სურათს — და ამის შემდეგ იგი თავისუფლდება კერძო მესაკუთრის ფსიქოლოგიისაგან.

სანდრო შანშიაშვილი ამ სცენამ შემდეგნაირად გადმოგვცემს: „გოცებისაგან ხმა არაეის ამოუღია. ყველა ფაფით-რებული იდგა და ზალიკოს შეკუთრებდა.

— სიძულელიმა მაიძულა. ეხლა გავთავისუფლდი, თქვა ზალიკომ ყრუდ და თავი მალდა ასწია.

— თითქოს მომეშვა... ლოდივით მაწევებოდა. ამოვისუნთქე თავისუფლად“. ს. შანშიაშვილი დაასკვნის: „ამის შემდეგ ზალიკო გამოიცვალა, ორი კაცის საქმეს აკეთებდა“.

მხატვრულ ნაწარმოებში ადამიანის სულიერი ცხოვრების გარდაქმნის ღრმა პროცესის ასეთ ნატურალისტური ასახვა აყალბებს სახეს.

ყალბ კონფლიქტად მიგვიჩნია აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარე — დავითსა და პარტორგ თებროს შორის დავა. ნუ თუ მხატვრული ნაწარმოების კონფლიქტად გამოდგება — საბარგო მანქანით მეზობელ კოლმეურნეობისათვის დახმარების ამბავი.

სანდრო შანშიაშვილმა ამბავს ვერ მოუძებნა შესატყვისი მხატვრული ფორმა და ამ საფუძველზე მწერლის განზრახვამ ქეშმარიტი გარეგანი გამოხატულება ვერ იპოვა.

იაკინთე ლისაშვილის „ერთგულება“ მკითხველებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს (თუმცა პოპულარობა ყოველთვის როდია ნაწარმოების ღირსების მაჩვენებელი). რამდენადაც ადვილად ახერხებს ლისაშვილი პერსონაჟთა მკვეთრად დაპირისპირებას და ამით სიუჟეტის დაძაბვას, იმდენად იგი ვერ ახერხებს ამ ხასიათების სულიერი ცხოვრების ღრმა გახსნასა და სულის შინაგან ხვეულებში ჩაწვდომას, ლისაშვილის პერსონაჟთა დიდი ნაწილი გულმართალი ადამიანები არიან და ზოგჯერ გულუბრყვილობამდე

გულწრფელნი; მაგრამ მათ აკლიათ ან სრულიად არა აქვთ მხატვრული-ფილოსოფიური მსოფლმეგრძნება ქვეყნისა, რომელიც ეგრე საპიროა დღეს საბჭოთა ადამიანების დიდ განზრახვათა გადმოსაცემად. ლისაშვილის პერსონაჟები ცალმხრივნი არიან და არამთლიანნი. ადამიანის მხოლოდ ერთი ვნება ხდება გამოსავალ წერტილად მათი სულიერი ცხოვრების გახსნის დროს. ეს ვნება სიყვარულია.

სხვა ადამიანური ვნებები მის პერსონაჟებში მხოლოდ მთვლემარე მდგომარეობაშია და ავტორი არავითარ ზომებს არ იღებს მათ მთვლემარე მდგომარეობიდან ფხიზელ მდგომარეობაში გადასაყვანად. ლისაშვილის „ერთგულეობაში“ მთავარი ასპექტი, რომელმაც უნდა გამოაჩინოს საბჭოთა ადამიანის მორალური სახე, არის სიყვარულის ძალა. თამარმა უღალატა სიყვარულს და ავტორი ფიქრობს, რომ ამით მან უღალატა საბჭოთა ადამიანის ძირითად მოვალეობას, მის მორალს.

ჩემის აზრით, რომანის ავტორის მიერ, საკითხის ამგვარი დასმა არ არის სწორი. რატომ უნდა, სიყვარულის გრძნობას საერთოდ და მით უფრო ჩვენი დროის ადამიანების სიყვარულს აქვს მორალური საყრდენი. მაგრამ ის მაინც თავისუფალი გრძნობაა და მასზე მსჯავრი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც უხამსობაში, თავაშვებულობაში გადადის. რა თქმა უნდა, უხამსობაში გადასული სიყვარულის გრძნობა მორალური მოვლენაა, მაგრამ თამარის გრძნობა აქამდე არ მიდის და ამიტომ ავტორს უნდა ვუყვიროთ, რომ იგი თამარის მიმართ მეტად სასტიკი და უღმობელია. საერთოდ კი ლისაშვილის „ერთგულეობაში“ თამარი — რეალისტური სახეა.

სოლომონ თავაძის „ფოლადი“ რომელსაც ავტორი რომანს უწოდებს, საინტერესოა არა მარტო თავისი თემატიკური აქტუალობით, არამედ ის საინტე-

რესოა ისეთი მხარეებითაც, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ზოგიერთი დასკვნის გაკეთებისათვის პირობის სტეციფიკური ბუნების გამო.

„ყოველი იდეოლოგია—წერს ფრიდრიხ ენგელსი, რაკი ერთხელ წარმოიშვა, უკვე არსებულ წარმოდგენების ურთიერთობაში ვითარდება და თავის მხრივ მათ გადაშუქავებს იწვევს. უამისოდ ის არ ექნება იდეოლოგია, ე. ი. მას საქმე არ ექნება აზრებთან, როგორც დამოუკიდებელ არსებებთან, რომელნიც დამოუკიდებლად ვითარდებიან თავისთავის წილიდან და თავის საკუთარ კანონებს ემორჩილებიან“.

მარქსის აზრით: „გარემოებას სწორედ ადამიანები სცვლიან და მოცემულ პირობებში „სწორედ ადამიანები ჰქმნიან საკუთარ ისტორიას“.

ლენინი ამბობდა: „შეგნება არა მარტო ასახავს სინამდვილეს, არამედ ჰქმნის კიდევაც მას“. ამხანაგი სტალინი წერს: „მუშათა მოძრაობა საოცარი სისწრაფით იზრდება... არ სჩანდა მხოლოდ მოწინავე რაზმი, — სოციალ-დემოკრატია, რომ სოციალისტური შეგნება შეეტანა მოძრაობაში, შეეუღლებინა ეს მოძრაობა სოციალიზმთან და ამგვარად, სოციალდემოკრატიული ხასიათი მიეცა პროლეტარიატის ბრძოლისათვის (ი. სტალინი ტ. 1, გვ. 88).

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებიდან გამომდინარე შეგვიძლიან შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: ლიტერატურული ხასიათის ჩამოყალიბების დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იდეას, შეგნებას, რომლითაც უნდა განიმსჭვალოს გმირი, მაგრამ სახის გამსჭვალვა იდეით არ უნდა იყოს გარეგანი, თავზე მოხვეული, სახის ბუნებისათვის მიუღებელი; პირიქით, სახე თვით უნდა იყოს იმგვარი ხასიათის, რომ იდეა მასში შევიდეს, როგორც მისი ორგანიზლობა.

ყოველი ხასიათი, რომელიც შექმნილია გამოცდილი ოსტატის ხელით, და-



მოკიდებულია არა მწერლის სუბიექტურ ფანტაზიაზე, არამედ ობიექტურ დაკვირვებაზე, ცხოვრების ღრმა ცოდნაზე. გმირის სულიერი ცხოვრების გამოსახვის ღრის გმირის თვალსაზრისი ხშირად ემთხვევა მწერლის თვალსაზრისს, მაგრამ გმირის თვალსაზრისი გამოსახული უნდა იყოს თვით გმირის ხმითა და ფერით; მას ყოველთვის უნდა შერჩეს თავისი პირადი ცხოვრება. ყველაზე სახიფათო ფორმა ხასიათის შექმნისა არის სურვილი შემოქმედისა, რომ თავისი საკუთარი სურვილი მოახვიოს თავზე ხასიათს. ასეთ პირობებში იკარგება ხასიათის ინდივიდუალობა და მწერლის სუბიექტური ბუნება სახის ბუნებად იქცევა. ასეთი გზით შექმნილი ხასიათები განსაზღვრულნი და ყოველთვის მოსაწყენი არიან.

ნამდვილი გზა ხასიათების შექმნისა — არის მწერლის მიერ ცხოვრების ღრმა ცოდნა, ადამიანის სულიერ ცხოვრებაზე დაკვირვების უნარი და სურვილი — მოსძებნოს ადამიანში ყველაზე უფრო არსებითი და დამახასიათებელი. ამგვარ შემთხვევაში მწერალი უნდა მისდევდეს ხასიათების გულისთქმას, მათ ნება-სურვილს, მათი განვითარების გზას. ამა თუ იმ დაბრკოლებების გადალახვა რომანში გმირის მიერ უნდა ხდებოდეს არა მწერლის სუბიექტური სურვილის მიხედვით, არამედ თვით გმირის ხასიათის ბუნების მიხედვით.

ს. თავაძის რომანი „ფოლადი“-ს ზოგიერთი გმირი მხატვრული რეალიზმით კი არ არის განათებული, არამედ ამოგონილია მწერლის ფანტაზიის მიერ. ხასიათის ჩამოსაყალიბებლად თავაძე დიალოგის ფორმას კი არ მიმართავს, არამედ გმირებზე მსჯელობის ფორმას. ცოცხალი დიალოგების ფონზე კი არ იშლება მოქმედება, არამედ აღწერილობის ფონზე. გმირების მოქმედების მონაწილენი კი არა ვხდებით

მკითხველები, არამედ მხოლოდ მწერლის საშუალებით შედეგები ვიცით მათი მოქმედებისა. მეტად გაჭირვებული ლექსიკა ხდება სოლომონ თავაძის გმირების ბუნების გახსნის საშუალებად. გატყბილებული მეტყველება, რაც ხასიათების სულიერ ცხოვრების სიღარიბეზე მიგვიჩივებს და არა მათ სიმდიდრეზე, მომაბეზრებელი ხდება.

რამდენიმე მაგალითი შეგვიძლიან მოვიტანოთ ამგვარი მსჯელობისა: სოლომონ თავაძე მზის ამოსვლის გამო წერს: „მზე სადღაც უსახო ქაოსში იშმუშნება, ნელი-ნელ ღვივიან შორი სხივები, ბურუსს არღვევენ, ღვინისფრად იღვრებიან ღრუბლების კიდურებზე... არა აქვთ დასასრული ცისიერში გაშლილ სპეტაკ სანახებს... ადამიანი მისი უგონიერესი შვილია, მისი მზიური შემოქმედების ნაყოფი“.

ვაგის მიერ ქალის მოწონების გამო თავაძე წერს: „მაშინ ააგზნო ტარიელი მწვავედ მოზვავებულმა გრძნობამ, რადგანაც კი არ მოეჩვენა, ნამდვილად დაინახა, რომ მარინას ტუჩები შეირხა“ (33) „გარემო მისთვის იმ წამს საკუთარი ქვეყნიერების ჩარჩო იყო მხოლოდ“ (31) „თითქოს ზედა ტუჩის ოღნავ შესამჩნევი ბუსუსების ნაცვლად, სიხარულის სხივები თინათინობენო“ (31) აი ასეთი ამაღლებული — „სტილის“ შემდეგ, რაღაც გაუგებრობად მოჩანს სოლომონ თავაძის ერთი გმირის შეკითხვა: „რას შერება? როგორ მი უღის საქმე“ (43) „ტარიელს იქ ბევრი საქმე აქვს. ვაი თუ დრო არ დაუჩრჩეს და ჩვენი თხოვნა ვერ შეასრულოს“ (გვ. 65 № 9).

„ახლაც ბაზარში შეიარა, სანოვავე გაიძღვანია“ (66).

რომანში ჩვენ არაბუნებრივად მიგვაჩნია არა მარტო მეტყველება, არამედ ზოგიერთი კოლიზიაც. მაგალითისათვის ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ ნაწარმოების მთავარი გმირის — ცოლშვი-

ლიანი ტარიელის მოქმედება რუსი ქალი მარინეს მიმართ. როგორც ვიცით ტარიელს შეუყვარდება რუსი ქალი — მარინე. ამ ნიადაგზე ტარიელმა გული აიცრა აჯახზე და მზრუნველობა მოაკლო ცოლშვილს. ტარიელის საქციელთ შეწუხებულმა ცოლმა თხოვნით მიმართა მარინეს: „გეხეწებით, ნუ ჩადგებით ჩემ ცოდვაში! აგერ, ამ თქვენი ძვირფასი ქმრის სურათს ახედეთ. ხომ გამოცადეთ რა მძიმეა საყვარელი ადამიანის დაკარგვა... რატომ უნდა გახდეთ ჩემი უბედურების მიზეზი? განა უცოლო კაცები ცოტანი არიან“.

ტარიელის ცოლის მუდართ გამოწვეული შთაბეჭდილება შემდეგნაირად აქვს გადმოცემული ავტორს:

„მარინეს გუნებაში მწარედ გაელიმა. ადგა, ფანჯრიდან სივრცეს გახედა. სახეზე მკაცრი გამომეტყველება არ შორდებოდა. გულში ფიქრობდა: ეს ყბედი დედაკაცი ისე მსჯელობს, თითქოს ტარიელი უსულო საგანი იყოს და ეს უსულო საგანი იმის პირად საკუთრებას შეადგენდეს. ახლა გასაგებია, ეს მამაკაცში მხოლოდ მარჩენალს ხედავს და არა მეუღლეს, არა თანამებრძოლს. საოცარია, იმდენხანს როგორ იცხოვრა ამასთან ტარიელმა“. (გვ. 69).

ტარიელის ყოფილი ცოლი აფრთხილებს მარინეს, რომ ახლა ჩამოვიდნენ ჩემი თავზეხელაღებული ნათესაეები, რომელთაც შეუძლიათ თქვენი აჩეხვა ხანჯლებით, თუ კი აქაურობას სასწრაფოდ არ დასტოვებო.

არ ვიცი, რა აიძულებს სოლომონ თავაძეს, ყოველთვის დარჩეს მარინეს მხარეზე ფსიქოლოგიურად მაშინ, როდესაც მარინე ობიექტურად დამნაშავეა ტარიელის მეუღლის მიმართ!

ჩვენი სურვილია, სოლომონ თავაძემ ერთხელ კიდევ გადახედოს „ფოლადს“ და გაათავისუფლოს ის სერიოზული ხარვეზებისაგან.

გასულ წელს, კონსტანტინე გამსახურდიას რომანის „ვაზის ყვავილობის“ მხოლოდ ორი თავი გამოქვეყნდა. ამიტომ მის ღირსება-ნაკლოვანებაზე ლაპარაკი ნადრევი იქნება, მაგრამ ზოგიერთი რამ მაინც შეიძლება ითქვას გამოქვეყნებული ორი თავის გამო.

კ. გამსახურდიამ ამ რომანში გვერდი აუარა არქაიზმს, რომლის გამო იგი სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ჩვენს პრესაში.

გამოქვეყნებული თავები მოწმობენ, რომ რომანი მოფიქრებულა, როგორც ვრცელი, ნაწარმოები მრავალფეროვანი ხასიათებით.

როგორც ჩანს, ავტორი ცდილობს მტკიცედ დადგეს რეალისტურ პოზიციებზე.

სამწუხაროა, რომ უკანასკნელ პერიოდის ქართულ ლიტერატურიდან განიდევნა ნოველა, როგორც პროზის ერთერთი საუკეთესო ჟანრი.

გასულ წელს ანდრო ლომიძემ გამოაქვეყნა რამდენიმე ნოველა: მათ შორის საყურადღებოა „შობილიური მიწა“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“. ჩვენს ყურადღებას იქცევს ამ ნოველის არა მარტო იდეური შინაარსი, არამედ მხატვრული ფორმა.

ან. ლომიძისათვის დამახასიათებელია სიტყვათა ეკონომია და მძაფრი სიუჟეტი, მაგრამ მწერალი ყოველთვის ვერ იცავს ზომიერებას. და სიუჟეტით გატაცებული ზოგჯერ ნაკლებ ყურადღებას აქცევს ხასიათის გამოკვეთას.

ანდრო ლომიძე სიტყვათა გამოყენებისას იმდენად ეკონომიურია, რომ ნაწარმოებში ზოგჯერ იკარგება არა მარტო ქვეტექსტი, არამედ ხასიათის ზოგიერთი ნიშნებიც.

ორიოდე სიტყვა მიზეზი ორაგველიძის „მეგობრობაზე“. ნაწარმოების გასულ წელს გამოქვეყნებული თავები

მოწმობენ, რომ ორაგველიძემ კარგად იცის მასალა. მაგრამ ორაგველიძის მოთხრობაში საგნები და ადამიანები დანახული არიან ფოტოგრაფიულად, მათ აკლიათ მხატვრული განზოგადოება.

მხატვრული შესრულების თვალსაზრისით არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს დ. ბაქრაძის ნაწარმოებს — „გმირთა სისხლით“.

გასულ წელს გამოქვეყნდა ელიზბარ ზედგინიძის „დაღვიწყარი ზაფხული“, ეს მოთხრობა ცოცხლად არის დაწერილი. ქეთევან ელისაბედაშვილის მოთხრობა „მამაშვილობა“ ახალსა და საგულისხმოს არაფერს ეუბნება მკითხველს. გასულ წელს ბორის ჩხეიძემ დაბეჭდა კარგი მოთხრობა „სტუმარი“. გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობა „ასი მზე“. ჩვენს ყურადღებას იქცევს არა მარტო თავისი თემატური აქტუალობით, არამედ მხატვრული ზეგავლენის ძალითაც.



ჩვენ მოკლეთ განვიხილეთ გასულ წელს დაბეჭდილი პროზაული ნაწარმოებები. საჭიროდ მიგვაჩნია გავაკეთოთ შემდეგი ზოგადი დასკვნები:

**პირველი** — ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ჰყავს ნიჭიერი კადრი ბელეტრისტებისა, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენი პროზაიკოსები მხოლოდ იმის მინიმუმს იძლევიან, რაც მათ შეუძლიათ.

**მეორე** — მთელ რიგ ბელეტრისტულ ნაწარმოებებში აღწერილი მეთოდია გაბატონებული. იმის მაგიერ, რომ ხასიათები გვიჩვენონ ტიპიურ ვითარებასა და მოქმედებაში, ავტორები მხოლოდ მოქმედების შედეგებზე მსჯელობით კმაყოფილდებიან.

**მესამე** — ყველაზე არსებითი ნაკლი პროზაული ნაწარმოებისა ის არის, როცა მწერალი ხასიათის ბუნებრივ განვითარებას კი არ მისდევს, არამედ

ხასიათს თავზე ახვევს თავის საკუთარ ბუნებას. ამიტომ რეალური ცხოვრებისა და რეალური ხასიათების წყველად ჩვენ ხელთ გვრჩება მწერლის მიერ გამოგონილი აბსტრაქტული „სინამდვილე“, სქემატური ხასიათი.

**მეოთხე**: არც ერთი დროის ადამიანს იმდენი სათქმელი არა ჰქონია ლიტერატურაში, რამდენიც სტალინური ეპოქის ადამიანს აქვს. ამ ადამიანს პირველად კაცობრიობის ისტორიაში წილად ზედა სამყაროს კომუნისტური გარდაქმნა; სტალინური ეპოქის ადამიანების იდეალები ნათელია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ცხოვრებაში გამქრალია წინააღმდეგობა ძველსა და ახალს შორის. პარტია გვასწავლის: „ჩვენში ყველაფერი როდია იდეალურად, ჩვენში არიან უარყოფითი ტიპები, ჩვენ ცხოვრებაში ბოროტება ცოტაა როდია, და ყალბი ადამიანებიც ცოტანი როდი არიან. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ვაჩვენოთ ნაკლოვანებანი და სიძნელენი. ნაკლოვანებებს მკურნალობა უნდა. ნაკლი იქ არის, სადაც არ არის მოძრაობა, არ არის განვითარება. ჩვენ კი ვითარდებით და წინ მივდივართ — მაშასადამე გვაქვს სიძნელეებიც და ნაკლოვანებებიც.“ („პრაქტა“).

ბელეტრისტებისათვის ამ სახელმძღვანელო მითითებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ლიტერატურაში ხასიათებს მხოლოდ მაშინ აქვთ სიცოცხლე, როცა ისინი მოცემულნი არიან ერთმანეთისადმი დაპირისპირებაში, ისე როგორც ეს რეალურ ცხოვრებაშია ხოლმე.

**მეხუთე**: მხოლოდ მაშინ შეიძლება ხასიათის სრულყოფა, როდესაც გმირის შინაგანი სულიერი ცხოვრება გამააშკარავდება ადეკვატურ, შესატყვის ფორმაში. შინაგანი განზრახვა ნაწარმოების გმირისა აბსტრაქციად იქცევა, თუ კი მან ვერ იბოვა კონკრეტული, თავისი ბუნების შესაფერისი მხატვრული ფორმა. სამწუხაროდ, ჩვე-

ნი ბელეტრისტების ერთი ნაწილი ნაკლებად ზრუნავს ფორმაზე.

მეექვსე: მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს პროზაული ნაწარმოებები რიცხობრივად საკმაო იყო, ხოლო ხარისხობრივად შედარებით სუსტი, მაინც ეს ნაწარმოებები ატარებენ ისეთ ნიშნებს, რომლებიც წინსვლისა და განვითარების მაუწყებელია.

მეშვიდე: უკვე დროა ქართველმა საბჭოთა პროზაიკოსებმა აღმოაჩინონ ცხოვრებაში. დრამაში მისწავლონ საბჭოთა ადამიანები, რათა სრულყოფილ ფორმაში ასახონ მათი მდიდარი სულიერი ცხოვრება. მხოლოდ ამ გზით შეუძლია მწერლობას მოიხადოს თავისი ვალი ჩვენი დიდი სტალინური ეპოქის წინაშე.



პირველი რევიზიონი

## იოჰანეს რობერტ ბენერი



კომუნისტი მწერალი იოჰანეს რობერტ ბენერი მაქსიმ გორკიმ მოიხსენია როგორც ნიჭიერი მწერალი. დღეს ეს მწერალი თავისი ნაწარმოებებით და პრაქტიკული საქმიანობითაც ერთგულად ემსახურება მშვიდობის საქმეს, გაბედულად იბრძვის ფაშისმისა და რეაქციის წინააღმდეგ.

ბენერმა, სანამ იგი კომუნისტი მწერალი გახდებოდა, საკმაოდ რთული შემოქმედებითი გზა განვლო.

ბენერი დაიბადა 1891 წელს, მიუნხენში, ბავარიის პროკურორის ოჯახში. მისი მამა ოცნებობდა შეიღის სამხედრო კარიერაზე; მომავალმა პოეტმა კი გიმნაზიის დამთავრებისთანავე ბოჰემური ცხოვრება აირჩია. იგი დაუახლოვდა გერმანიის ახალგაზრდათა იმ ნაწილს, რომელსაც არა ჰქონდა რაიმე გარკვეული პოლიტიკური იდეალი. 1912 წელს ბენერი შეუერთდა ლიტერატურულ ჯგუფს „Aktion“ —ს, რომელიც უშეგბდა ამავე სახელწოდების ყოველკვირეულ ჟურნალს.

ბენერის ლექსების პირველი კრებული „Verfall und Triumph“ გამოვიდა 1914 წელს. ბენერის პირველი ლიტერატურული ცდები ხასიათდებიან წვრილ ბურჟუაზიულ-ბოჰემური სულისკეთებით. იგი გატაცებული იყო ექსპრესიონიზმით; ერთ დროს განიცდიდა ბოდლერის გავლენას. მართალია, იგი ლექსებს წერდა ქალაქის თემატიკაზე, მაგრამ არც ქარხანა და არც მუშათა უბანი არ იპყრობდა მის ყურადღებას. მას უფრო აინტერესებდა ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერება-

ნი იგი ხედავდა, ლუმპენ-პროლეტარიატს; უბედურ ხალხს, მეშინურ ცხოვრებას; ხედავდა წინააღმდეგობას რომელიც არსებობდა ქალაქის მდიდარსა და ღარიბ კვარტალებს შორის, მაგრამ ამ წინააღმდეგობის მიზეზი მაშინ მისთვის გაურკვეველი იყო. უფრო მეტიც. ბენერი ამ დროს იდეალისტი იყო და სოციალურ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის გზას რელიგიაში ეძებდა. ამ პერიოდში მის ლექსებს ახასიათებდა რელიგიურ-პათეტური ტონი.

ბენერის შემოქმედებაში გარდატეხა გამოიწვია პირველმა მსოფლიო ომმა. მან გააღრმავა პოეტის უარყოფითი დამოკიდებულება კაპიტალისტური სინამდვილისადმი. მაშინ როდესაც ევროპის ინტელიგენციის ერთი ნაწილი შოეინისტურ და მილიტარისტულ წუმბეში ჩაეფლო, ხოლო „Aktion“-ის გარშემო შემოკრებილ მწერალთა ჯგუფი ომის წინააღმდეგ ილაშქრებოდა პატიფიზმის ლოზუნგებით, ი. ბენერი — ევროპის მოწინავე მწერლებთან ერთად — მტკიცედ ჩადგა ომის აქტიურ მოწინააღმდეგეთა რიგებში.

გერმანიის სამხედრო ძლიერების განადგურებას მოჰყვა ნოემბრის რევოლუცია. რევოლუციის მხარეზე დადგა „Aktion“-ი, რომელიც თავის ფურცლებზე ბეჭდავდა კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლიუქსემბურგის სტატიებს. პოლიტიკურ ბრძოლაში ბენერი ჩაება 1916 წელს, ამავე წელს იგი პირველად შეხვდა როზა ლიუქსემბურგს, ხოლო ორი წლის შემდეგ ბენერი უკვე „სპარტაკის“ წევრი გახდა.

ბეხერის ამ პერიოდის ლექსები გამსჭვალულია რევოლუციის საბოლოო გამარჯვების რწმენით. 1919 წელს ბეხერმა დაწერა ლექსი. — „გერმანელი პოეტის“ სალამი რსფსრ-სადმი“, რომელშიაც იგი უმღერის დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. რევოლუცია ბეხერს მიაჩნია „სინათლის ბრძოლად სიბნელესთან, დღისა — ღამესთან“. მაგრამ ამ დროს პოეტის რევოლუციური მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ არ იყო მტკიცედ ჩამოყალიბებული. დროდადრო მის ლექსებს კვლავ გადაჰკრავს რელიგიურ-მისტიკური ელფერი. ერთ ლექსში რევოლუციონერ კარლ ლიბკნეხტს იგი ადარებს ახალგაზრდა იესო ქრისტეს, მეორე ლექსში როზა ლიუქსემბურგს წმინდა მარტილად წარმოადგენს.

ამ მისტიკური ბურჟუაზიან განთავისუფლება ბეხერმა შესძლო თანდათან.

1920 წელს ბეხერი შევიდა გერმანიის კომუნისტურ პარტიაში. 1924 წელს მან დაწერა პოეტური ნეკროლოგი „ლენინის საფლავთან“.

ამ დროიდან ბეხერის შემოქმედება მიმართულია, ერთი მხრივ, კაბიტალისტური სამყაროს, კერძოდ, გერმანიის ფაშისმის საზიზღროებათა მხილებისაკენ და, მეორე მხრივ, იმ პროგრესულ-რევოლუციურ ძალების პოეტური ასახვისაკენ, რომლებსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი. აღსანიშნავია პოემა „დიდი გეგმა“, რომელშიაც პოეტმა სცადა აესახა სსრ კავშირში გაშლილი სოციალისტური მშენებლობა.

ოცდაათიან წლებში ბეხერი უკვე გერმანიის კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწეა, რაიხსტაგის დეპუტატი. მას შემდეგ, რაც გერმანიის სახელმწიფოს სათავეში ფაშისტები მოექცნენ, ბეხერი პრატის მითითებით ემიგრაციაში წავიდა. მან მოიარა სხვადასხვა ქვეყანა და ბოლოს დაშვიდრდა საბ-

ჭოთა კავშირში, რომელშიაც მან თავისი მეორე სამშობლო პოეტურად შექმნა.

საბჭოთა კავშირში ყრბნაშ (1919) გველენა მოახდინა ბეხერის შემოქმედებაზე. აქ მას მიეცა შემოქმედებითი ზრდის დიდი შესაძლებლობა. პოეტმა საბჭოთა კავშირს უწოდა „განზორციელებული ოცნების მხარე“. საბჭოთა კავშირში ბეხერი მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. 1934 — 41 წლებში მან გამოაქვეყნა კრებულები: „ბედნიერების მაძიებელი“, „სონეტები“, „აღორძინება“, რომანი „დამშვიდობება“: ამ პერიოდის ნაწარმოებთა შორის უშუალოდ ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლის თემას ეხება: „გერმანია“, „დიმიტროვი“, „კაკი, რომელიც სდუმდა“. ამ წიგნებში კარგად გამოჩნდა ბეხერის შემოქმედებითი მეთოდის სი-ახლოვე საბჭოთა ლიტერატურასთან. პოეტს ახასიათებს სინამდვილის ღრმაცოდნა. მისი ლექსები მოუწოდებენ ბრძოლისაკენ ფაშისმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ბეხერის ლექსებისათვის დამახასიათებელია სისადავე და პოეტურ საშუალებათა ლაკონურობა. ფორმის მხრივ ბეხერი ხშირად მიმართავს გერმანული ლექსის კლასიკურ ტრადიციებს, რომელთაც იგი ამდიდრებს.

ბეხერის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია გერმანელი ხალხის რევოლუციური პოტენციის ღრმა რწმენით. იგი ხშირად მიმართავს ისტორიულ წარსულს, ეძიებს იმ საუკეთესო ტრადიციებს, რომლებიც თანამედროვე თაობას ჩააგონებენ რწმენას საკუთარი ძალებისადმი. თავის სონეტებში პოეტმა წარმოსახა გენიოსების — დანტეს, სერვანტესის, შექსპირის, გოეთეს, ჰებელის, მიქელ ანჯელოს, ლეონარდო და-ვინჩის, ბახისა და სხვათა სახეები. პოეტმა ეს გენიოსები გვიჩვენა როგორც თავისი ხალხის უკეთეს მისწრაფებათა გამომხატველი ადამიანები.

1925 წელს ბეხერმა დაწერა „გვამი სამეფო ტახტზე“, რომელშიაც მან მკაცრად ამხილა იმ დროს სახელმწიფოს სათავეში მოქცეული ჰინდერბურგის რეაქციული ბუნება. მაშინდელი გერმანიის უმსგავსი სინამდვილის განქვრებით, პოეტი მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ გერმანია პირდაპირ მიექანებოდა იმპერიალისტური ომისაკენ. ამიტომ პოეტი მოუწოდებდა გერმანიის მუშათა კლასს, რომ თვით მომზადებულიყო რევოლუციური შეტევისათვის. ამ წიგნის გამო ბეხერი საპატიმროში ჩასვეს, ხოლო წიგნს კონფისკაცია უყვეს. მაგრამ პოეტის ზიზღი ომის იმპერიალისტ განჩალებლებისადმი სულ უფროდაუფრო ძლიერდებოდა, იგი გაბედულად ქადაგებდა საბჭოთა კავშირის დაცვის იდეას.

იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომის განჩალებელთა წინააღმდეგ არის მიმართული რომანი „ლუიზიტი“, რომელშიაც მწერალი შეეხზო ქიმიური ომის პრობლემას. ამ რომანში მოთხრობილია პირველი მსოფლიო ომის უპიზოდები.

„ეს წიგნი, — წერდა ბეხერი, — ისწრაფვის იმისაკენ, რომ მომავალში, როგორც ცოცხალმა არსებამ, მიიღოს მონაწილეობა ბრძოლებში, რომელთა სისხლიანი მოწმეც იგი არის; ხელახლა წავიდეს ცეცხლში და თავის სისხლიანი ფურცლებით კიდევ უფრო მეწამული ფერის ვახალოს წითელი დროშა, რომელსაც იგი ემსახურება, როგორც რევოლუციის ჯარისკაცი“.

მ. გორკიმ ამ წიგნს უწოდა „სიყვარულითა და სიძულელით შთაგონებული მხატვრის საუკეთესო ნაწარმოები“. <sup>1</sup> ანტიიმპერიალისტური ნაწარმოებია აგრეთვე მხატვრული ნარკვევი „დოქტორ შტოლცენბერგის ფერადი ღრუბლები“.

გორკი საერთოდ დიდად აფასებდა ი. ბეხერს.

როდესაც გერმანიის იმპერიალისტულმა მთავრობამ ბეხერს საბჭოთა კავშირისადმი აშკარა სიმპათიებისა და მისი შემოქმედების რევოლუციური მიმართულების გამო სახელმწიფო ღალატი დასწამა და პასუხისგებაში მისცა მ. გორკიმ ხმა აღიმაღლა ამ უსამართლობის წინააღმდეგ. 1928 წლის 20 იანვარს „იზვესტიაში“ მ. გორკიმ დაბეჭდა პროტესტი ბეხერის გასამართლების წინააღმდეგ. „იოჰანეს ბეხერი... ნიჭიერი ადამიანია“ და მას ელის სასჯელი იმის გამო, რომ მგზნებარედ უყვარს და მგზნებარედ სძულს“. <sup>2</sup>

„ბეხერის გასამართლების დროს თქვენ, — მიმართავდა მ. გორკი მოსყიდულ ბრალმდებლებს, — იხელმძღვანელებთ პირადი შურისძიების გრძობით იმ კაცის მიმართ, რომელმაც გაბედა პატიოსნად, უშიშრად და ნიჭიერად ეჩვენებინა თქვენთვის სინამდვილე“. <sup>3</sup> პოემა „გერმანიაში“ ბეხერმა ასახა მნიშვნელოვანი მოვლენები პროლეტარიატის ბრძოლის ისტორიიდან.

„გერმანია“ კომპოზიციურად მთლიანი ნაწარმოები არ არის; მოთხრობილ ფაქტებსა და მოვლენებს შორის ლოგიკური თანამიმდევრობა ხშირად დარღვეულია. პოემაში ჯერ აღწერილია პირველმისობა მოსკოვში, მერე გერმანიიდან პოეტის გამოქცევა და საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა, ბოლოს — ისევ წითელი მოედანი მოსკოვში.

„გერმანია“ ერთგვარად ჩამოჰგავს ჰაინრიხ ჰაინეს პოემას „გერმანია — ზამთრის ზღაპარს“. თვითონ ბეხერმაც აღნიშნა, რომ მან დაწერა „რალაცა მსგავსი“ ჰაინეს პოემისა, მაგრამ განსხვავება ამ ორ პოემას შორის უფრო დიდია. ჰაინე დედის სანახავად პარიზიდან ჩავიდა გერმანიაში; პოეტმა აღ-

<sup>1</sup> М. Горкий. статьи и памфлеты, 1949 г. стр. 162.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

წერა თავის მოგზაურობა და მწარედ დასცინა გერმანიის უბადრუც სინამდვილეს. ბეხერს კი არ შეუძლია პაინესავით დასჯერდეს მხოლოდ მწარე სიცილს. იგი არა მარტო ამქადაგებს ფაშისტური სახელმწიფოს მთელ საზიზღრობას, არამედ კიდევაც მოუწოდებს ბრძოლისაკენ მის დასანგრევად.

ბეხერის „დამშვიდობება“ თანამედროვე გერმანული ლიტერატურის საუკეთესო რომანია. იგი პირველად გამოიცა საბჭოთა კავშირში 1941 წელს. მისი გამოსვლა დაემთხვა მწერლის დაბადებიდან 50 წლისთავს. „დამშვიდობებაში“ ასახულია პირველი მსოფლიო ომის კვირამაღი გერმანიაში, ნაჩვენებია, თუ როგორ მწიფდებოდა ვილჰელმის იმპერიის წიაღში აგრესიული მისწრაფებანი, ზოლოფიური შოვინიზმი და ახალგაზრდობის იდეური გაბრწნა, ე. ი. ყველა ის ელემენტი, რომლებმაც თავის სრული გამოხატულება პოვეს ფაშიზმში. „გერმანული ტრაგედიის პირველი ნაწილი“ — ასეთია ქვესათაური რომანისა. აქ ერთი ოჯახის ცხოვრების ფონზე დახატულია იმდროინდელი გერმანიის ყოფა. მწერალმა ნიღაბი ჩამოგლიჯა ბურჟუაზიული საზოგადოების ე. წ. „განათლებული“ კლასების სიყალბესა და ცრუკულტურას.

რომანის მთავარი გმირია ჰანს ჰასტლი — ბავარიელი პროკურორის შვილი. გარემო, რომელშიც მან გაატარა თავისი ნებიერი ბავშვობა თითქოს „კულტურული“ იყო. მაგრამ ამ „კულტურული“ საბურველის ქვეშ იმალება ოჯახის მემჩანური ბუნება. ბეხერი ცხადპყოფს, რომ აღზრდის ბურჟუაზიული სისტემა ახალგაზრდობას უფრო რყენის, ვიდრე ზრდის.

ჰანსი დაავადდა მომაკვდავი საზოგადოების გაბრწნილი კულტურით. ახლა მას აოარაფერი სურს და სიკვდილზე ოცნებობს. იგი შეუერთდა დეკადენ-

ტების ჯგუფს, რომელსაც თავისი ხულიგნური გამოსვლები უკეთესი ყოზადისათვის ბრძოლის ფარმად მიაჩნია.

მაგრამ გერმანიაში მარტო ჰანსის მამისა და სკოლის დირექტორისთანა ადამიანები როდი ცხოვრობენ; აქ არიან აგრეთვე გერმანელი ხალხის ნამდვილი შვილები ამ ხალხის სახელოვანი ტრადიციების მატარებელი ადამიანები: მოხუცი ქალი ქრისტიანა, მოსამსახურე ქსავერი, მეტყვევე ზიგერი და, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მუშა ფრანც ჰარტინგერი, ღარიბი მკერავის შვილი. ამათ ჰანსის ბუნებაში გამოაღვიძეს და განაკუთარეს მისწრაფება ადამიანური ცხოვრებისაკენ, ლტოლვა მეცნიერებისაკენ. ამ ადამიანების ზეგავლენით ჰანსი განიმსქვეალა იმ იდეალებით, რომლითაც სულდგმულობდა გერმანელი ხალხის მოწინავე ნაწილი. ჰანსი დაუპირისპირდა თავისი მამის წრეს, მან ახალწლის ღამეს დატოვა საკუთარი ოჯახი. ჰანსმა კავშირი გასწყვიტა მიზრწნილ სამყაროსთან, რათა ჰარტინგერთან ერთად ებრძოლა იმპერიალისტური ზრახვების წინააღმდეგ.

თუმცა შედარებით სუსტი, მაგრამ ასეთივე საწინააღმდეგო სულისკვეთება, ჰანსთან ერთად აღმოაჩნდა ჰანსის დედას, ბებიას და პირველ სატრფოს — კლერზენს. ასეთი სულისკვეთება ჰქონია ჰანსის წინაპრსაც, რომელიც კოცონზე დაუწვავთ მე-16 საუკუნეში საერო და სასულიერო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებისათვის. მაღალადამიანური დადებითი იდეალები გერმანელი ხალხის ძირითად ჯანსაღ ნაწილს ყოველთვის ჰქონდა — წინათაც და ახლაც — აი მთავარი იდეა, რომელსაც ბეხერი გამოხატავს „დამშვიდობებაში“. ჰანსი ბურჟუაზიული ბანაკის მტერი გახდა. იგი ოცნებობს ახალ საუკუნეზე, ახალ



ერაზე, რომლის გამარჯვებისთვის საჭიროა ბრძოლა.

„დამშვიდობება“ გამსჭვალულია სოციალური პროგრესის ღრმა გრძნობით. სოციალური რევოლუციის სიმბოლური სახედ რომანში ნაჩვენებია ჯავშნოსანი გემი. ბავშვობაში ჰანსმა ერთხელ მოისმინა მამის ცხარე სიტყვები იმ გემის მისამართით, რომელიც აჯანყდა რუსეთის 1905 წლის რევოლუციის დღეებში. ამ გემის სახე ჰანსმა კარგად დაიხსოვა და შემდეგ გაიგო, რომ იგი იყო ჯავშნოსანი „პოტიომკინი“. ეს გემი ჰანსის წარმოდგენაში იქცა ხალხის ბედნიერების ზღაპრულ გემად, თავისუფლებაზე ოცნების გასახიერებად. ბეხერმა ამით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ოცნება ახალ ერაზე დაკავშირებულია რუსეთისა და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის იდეასთან, რომ გერმანელების გულში ყოველთვის ცოცხლობდა მისწრაფება ბედნიერებისა, მშვიდობისა და თავისუფლებისადმი; ამ მისწრაფებათა ჩაბნობა ვერ შესძლევს ვერც ეოლპელმის და ვერც ჰიტლერის ურდობება.

„დამშვიდობება“ პირველად გამოვიდა საბჭოთა კავშირში; გერმანიაში იგი დაიბეჭდა ფაშიზმის განადგურების შემდეგ. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში იგი რამდენიმეჯერ გამოიცა და სარგებლობს დიდი პოპულარობით.

ბეხერმა — ერთმა პირველთაგანმა — შეიგნო ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო ისტორიული როლი; მან დაინახა, რომ ამ რევოლუციით დაიწყო ცხოვრების საყოველთაო განახლება, რომ იგი, როგორც საერთაშორისო მოვლენა, სახეს შეუცვლის მთელ ქვეყნიერებას. ბეხერი მიესალმა ამ რევოლუციას. „აღმოსავლეთიდან მოდის სინათლე“ — ასე იწყება ბეხერის ლექსი „გერ-  
10. „მნათობა“ № 8.

მანელი პოეტის სალაში რისდსრა-სადმი“, დაწერილი 1919 წელს.

რევოლუციისავე პერიოდში ბეხერმა განსაზღვრა თავისი დამოკიდებულება კომუნისტური პარტიისადმი. როცა გერმანიაში რევოლუციური აღმავლობა შენელდა და ბევრი ინტელიგენტი იმპერიალიზმის ბანაკში გადაბარგდა, ბეხერი კომუნისტების ერთგული დარჩა. სონეტში „პარტია“ პოეტი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა დიდად არის დავალებული კომუნისტური პარტიისაგან, ვულწრფელად აღიარებს, რომ კომპარტიის გარეშე იგი იქნებოდა „უხეში ობივატელი“, განწირული უაზრო და უმიზნო არსებობისათვის და, შესაძლოა, თვითმკვლელობისათვისაც.

ბეხერის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბჭოთა თემატიკაზე დაწერილ ლექსებს. პოეტი უმღერის მშრომელი კაცობრიობის ბელადებს — ლენინს და სტალინს, კომუნისტურ პარტიას, იმ დიად გეგმებს, რომელთაც ისახავენ და ვადაზე აღრე ასრულებენ საბჭოთა ადამიანები; იგი უმღერის აგრეთვე მოსკოვს, საბჭოთა ბავშვებს.

დასავლეთის მწერალთაგან ბეხერი თითქმის პირველი პოეტია, რომელმაც სცადა შეექმნა დიდი ლენინის მხატვრული სახე. ლექსში „მან ქაეყანა ძილისაგან გამოადვიდა“ ბეხერი ეხება ლენინის სიტყვის ძალას, ვადმოგვემს, თუ როგორ იქცეოდნენ ეს სიტყვები თოფებად, ქუხდნენ ტყვიამფრქვევებად, იზრდებოდნენ ბარიკადებად და მიაბიჯებდნენ არმიებად.

ლექსში — „ლენინი მიუნხენში“ — ბეხერი წარმოსახვით ქმნის იმის სურათს, როგორ იხილა ლენინი პირველად მიუნხენის ბაღში, სადაც იგი დაფიქრებული წიგნს კითხულობდა, შენიშვნებს იწერდა ბლოკნოტში და ირგ-

ლიე კი თამაშობდნენ ბავშვები, მათ შორის თვით იოჰანეს ბეხერიც.

ლენინისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთაგან საუკეთესოა გრანდიოზული პოეტური ნეკროლოგი „ლენინის საფლავთან“, რომელშიც პოეტი ხატავს მსოფლიო პროლეტარიატის ტრაგიკულ განცდებს, იძლევა მწუხარებას, რომელმაც მოიცვა მთელი ქვეყნის მშრომელები მათი ბელადის გარდაცვალების გამო.

პოემა „ლენინის საფლავთან“ განტვირთულია ტრადიციული პოეზიის პოეტური ინვენტარისაგან; იგი დაწერილია სასაუბრო ენით და შიგადაშიგ გამოყენებულია საგუნდო დეკლამაციის ხერხები.

1929 წელს ბეხერმა დაწერა ლექსი „ათასწლოვანი ლენინი“. გაივლის ათასი წელი, — ამბობს ბეხერი ამ ლექსში, — დავიწყებას მიეცემა მრავალი განთქმული სახელი, მაგრამ ლენინის სახელს ეამთასვლა ვერას დააილებს, იგი ყველას ემახსოვრება, მისი სახელით, ვით წითელი დროშით, შეამკობენ ქვეყანას, ყველა ქვეყნის კრემლების თავზე იფრიალებს წითელი დროშა, ლენინის სახელით, როგორც იმედი — განათებული მოციმიცმე შექით“.

„როგორც ერთი დღე  
წავა ვამი ათასწლოვანი,  
ლენინი უფრო გაიზრდება  
მომავლის თვალში  
და რტოებს ვაშლის,  
როგორც მუხა ტანახოვანი,  
რომლის ფესვები,  
მიწის მკერდში ჩახლართულაბი  
მიისწრაფიან იმ ყოველი მიმართულებით“<sup>1</sup>.

ლექსში „შურის ღირსი ადამიანები“ ბეხერი ლაპარაკობს იმ ეპოქების ადამიანებზე, როდესაც ყველაზე ძლიერ მკლავნდებოდნენ კაცობრიობის უკეთესი მისწრაფებანი, მისი ინტელექტუა-

ლური ენერჯია და რევოლუციური პოტენცია, — და პოეტს იბთქვს — შეშურს იმ ეპოქათა ადამიანების ცხოვრება. „მაგრამ, აი, აღმოსავლეთში გამოჩნდა კაცი, რომელმაც ასწავლა ხალხს, როგორ დააღწიოს თავი მონობას... ხალხისათვის მან დაამკვიდრა თავისუფლების სამეფო; დაუბრუნა ხალხს მისთვის ერთხელ წართმეული სიმდიდრე... მე მოვიხედე უკან და ჩემი დრო შევადარე იმ დროებს, რომლებზედაც ვოცნებობდი, მაგრამ, განაწარსულს შეუძლია შეედაროს ჩემს ეპოქას! ო, ერავ გმირთა ღაბაღებისა! როგორ არ მოგესალმო შენ... ბედნიერია, ვინც ცხოვრობს ამ ერაში“.<sup>2</sup>

აღმოსავლეთიდან მოსულ კაცში ბეხერი გოლისხმობს დიდ სტალინს. პოეტს სწამს, რომ პროგრესული კაცობრიობის ბედნიერება დაკავშირებულია სტალინის სახელით.

ლექსში „ბელადისადმი“ პოეტი ამბობს, რომ ბელადი არის განხორციელებული თავისუფლების სახე; იგი ზალხთან ერთად უკადავია; მისი სახე ცოცხლობს გრანიტში, ბრინჯაოში; იგი იცოცხლებს ბუნების უკადავებში, როგორც მზის ნათელი, როგორც ვარსკვლავიანი ცის თალი.

ლექსში „ბელადის ხმა“ პოეტი გადმოგვცემს იმ განცდას, რომელიც მასში გამოიწვია ბელადის მოხსენებამ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ საბჭოების სრულიდ საკავშირო საგანგებო VIII ყრლობაზე 1936 წ. 25 ნოემბერს. როცა სტალინი ლაპარაკობდა, — წერს ბეხერი ამ ლექსში, — ჰიმნს მღეროდა თვითონ ცხოვრება, რადგან თავისუფალი ადამიანი ხდებოდა კიდევ უფრო თავისუფალი და ახალ არსებად სახიერდებოდა.

<sup>2</sup> I. R. Becher, Der Glücksucher Moskau, 1938, 5. 4.

<sup>1</sup> თარგმანი ვახტანგ ბუწუკელისა.



ლექსში „სტალინის სიტყვა“ ბე-  
ხერი გადმოგვცემს იმ შთაბეჭდილე-  
ბას, რომელიც მოახდინა მასზე დიდი  
ბელადის ისტორიულმა გამოსვლამ რა-  
დიოთი 1941 წლის ივლისს. **სტალინი**  
ხალხს მოუწოდებდა ბრძოლისაკენ, მი-  
სი სიტყვა ჩქედდა იმედების ნაკადად:

„შიშე წუთებში  
მისმა ძალამ შესძრა საყარო,  
უძლევე ბელადის სიტყვის ძალას  
ზღვარი არ ჰქონდა, —  
დიდ საქმისათვის  
მისი სიტყვა ყველგან დაჰქროდა, —  
ყველა ჩვენგანში იგი იქცა  
გმირობის წყაროდ.“<sup>1</sup>

გერმანიაში ფაშისტური ხელისუფ-  
ლების დამყარების შემდეგ ი. ბეხე-  
რი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, სა-  
დაც მას მრავალი მეგობარი აღმოუჩნ-  
და. „რომ მაშინ მე ბნელმა ძაღვებმა  
არ გამსრისეს, ამაში თქვენგან ვარ  
დავალებული“, — ამბობს ბეხერი ლე-  
ქსში „მადლობა მეგობრებს საბჭო-  
თა კავშირში“, — თქვენ პატივს სცემ-  
დით ჩემს ტანჯვას... თქვენ იტანჯე-  
ბოდით ჩემი ხალხისათვის. დადგება  
საათი და ამისათვის ჩემთან ერთად  
ჩემი ხალხიც მოგიზღავეთ მადლობას.“<sup>2</sup>

ახალი ომის გამჩალებლების წინა-  
აღმდეგ ბრძოლას ბეხერი მკი-  
დროდ უკავშირებს სოციალიზმის პრო-  
პაგანდას, საბჭოთა კავშირის დაცვას.  
რევოლუციური მწერლების მიერ საე-  
რთაშორისო კონფერენციებზე გაკეთე-  
ბულ მოხსენებაში ბეხერი აღნი-  
შნავდა, რომ ყველაზე ურყუარი სა-  
შუალება ომის საფრთხის წინააღმდეგ,  
რომელიც გააჩნია სოციალისტურ მო-  
ძრაობას და, კერძოდ, რევოლუციო-  
ნურ მწერალს, ესაა პროპაგანდა საბ-  
ჭოთა კავშირის სოციალისტური მშე-  
ნებლობისა. ხუთწლიანი გეგმის თემა-

ზე ბეხერმა დაწერა ლექსი „უემ-  
ლერი ხუთწლედს“. იგი არის შესავალი  
პოემისა „დიდი გეგმა“. ამ პოემაში  
ხუთწლიანი გეგმის პოეტური ასახვით  
ბეხერი ცდილობს მკითხველებს დაა-  
ნახვოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა  
აქვს მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ  
ბრძოლაში სოციალისტურ მშენებლო-  
ბას საბჭოთა კავშირში, დასაბუთოს,  
რომ ეს ქვეყანა მსოფლიო პროლეტა-  
რიატის სამშობლოა და ომი მის წინა-  
აღმდეგ იქნება დანაშაული მსოფლიო  
პროლეტარიატის წინაშე.

„დიდი გეგმაში“ ჩაქსოვილი ღრმა  
არწმენა პროლეტარიატის საბოლოო  
გამარჯვებისა ბეხერმა ლაირმო-  
ტივად დაუღო სოციალისტური მშენე-  
ბლობის თემაზე დაწერილ სხვა ნაწარ-  
მოებებს: „თურქისბს“, „მაგნიტოგო-  
რსკის“, „ბაქოს“. პოემა „უცნობი უა-  
რისკაციის საფლავთან“ აგებულია ამა-  
ვე იდეაზე:

„დიდი გეგმა  
შესრულდება  
ოთხ წელიწადში,  
დიდი გეგმა განზრახული  
ხუთი წლისათვისა.“<sup>3</sup>

„დიდი გეგმა“ დაწერილია მაიაკო-  
ვსკის „150.000.000“-ის გავლენით.

ბეხერი ხშირად ლაპარაკობს იმ  
დიდსა და სასარგებლო გავლენაზე,  
რომელსაც ახდენს საბჭოთა კავშირი  
რევოლუციონერ მწერალთა შემოქმე-  
დებაზე. დიდია საბჭოთა კავშირის და  
საბჭოთა ლიტერატურის ეს სასარგე-  
ბლო გავლენა თვით ი. ბეხერის  
შემოქმედებაზე. ამის შესახებ ბეხე-  
რი თვითონ ლაპარაკობს სონეტში  
მაქსიმ გორკისადმი და ვლადიმერ მა-  
იაკოვსკისადმი მიძღვნილ მშვენიერ ლე-  
ქსებში. ამ უკანასკნელში გადმოცემუ-  
ლია ის შთაბეჭდილება, რომელიც ვ.  
მაიაკოვსკიმ მოახდინა თავის მსმენე-

<sup>1</sup> თარგმანი ს. ველი-ქუტიძისა.

<sup>2</sup> И. Бехер, Идут другие времена, 1950 год. 37.

<sup>3</sup> უცნობი რევოლუციური პოეტები, თბილისი, 1935 წ. გვ. 25.

ლებზე ბერლინში ერთ-ერთი გამოსვლის დროს.

ბეხერის შემოქმედება გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის უდიდესი საკაცობრიო-პროგრესიული როლის დროს შეგნებით. ბეხერმა კარგად იცის, რომ სწორედ საბჭოთა ქვეყანამ გადაარჩინა მიხაკისფერი ჭირისაგან მთელი მოწინავე კაცობრიობა. 1950 წელს დაწერილ ლექსში „იკაშკაშე ვარსკვლავად“ ბეხერი ქება-დიდებას ასხამს საბჭოთა ქვეყანას, ამ ქვეყნის აღამიანებს. იგივე განწყობილებაა გადმოცემული ლექსში „ჰიმნი საბჭოთა კავშირს“.

როცა ფაშისტური გერმანია თავს დაესხა მშვიდობისმოყვარე საბჭოთა კავშირს, ამ დროს გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობარმა ი. სტალინმა განაცხადა, რომ არ შეიძლება გერმანელი ხალხის გაიგივება გერმანულ ფაშისტებთან. „ჩვენ არა გვაქვს ისეთი ამოცანა, — თქვა დიდმა სტალინმა, — რომ მოვსპოთ გერმანია, ვინაიდან შეუძლებელია გერმანიის მოსპობა, ისევე როგორც შეუძლებელია რუსეთის მოსპობა. მაგრამ ჰიტლერული სახელმწიფოს მოსპობა შესაძლებელია და იგი კიდევაც უნდა მოვსპოთ“.<sup>1</sup>

სხვა ანტიფაშისტ პოეტებთან — გუსტავ ვანგეჰაიმთან, თეოდორ პლიევესთან და ადამ შარერთან ერთად ბეხერი აღფრთოვანებით შეხვდა ბელადის ამ განცხადებას და ხელი მოაწერა „პრავდაში“ გამოქვეყნებულ მოწოდებას გერმანელი ხალხისადმი.

„ჰიტლერის დამარცხება აუცილებელია, — ვკითხულობთ ამ მოწოდებაში, — მაგრამ ვაი გერმანიას, თუ ჰიტლერი დამსობილი იქნება ჩვენი ხალხის მონაწილეობის გარეშე. ყოველმა გერმანელმა, — არა მშინარამ, არა ჰი-

ტლერულმა დაქირავებულმა მეომარმა, არა გულგრილმა ობიექტულმა უფოვის თავში უნდა ჰპოვოს მასთან მამაცე, რომ მაგალითი მისცეს ჰიტლერის წინააღმდეგ ბრძოლისა გერმანიის გადასარჩენად“.

ბეხერის ამ პერიოდის სულისკვეთება აღიბეჭდა ლექსთა კრებულში „Deutschland ruft“<sup>2</sup>. რუსეთში დაღუპულ გერმანელთა საფლავის ჯვრებზე ამოკითხული წარწერით ბეხერი ააშკარავებს ჰიტლერის არმიის მახინჯ სახეს. „მე დავიღუპე მდიდარი ბატონის შემოსავლისათვის... რუსეთში მე წილად მხვდა შიმშილი, სიცივე, კუჭყი და ბოლოს — სიკვდილი“. — ასე ჩივის ბეხერის ლექსში ერთი დაღუპული გერმანელი. ლექსში „საჩუქრები რუსეთიდან“ პოეტი ლაპარაკობს ფაშისტი ოკუპანტების მძარცველობაზე. „სიმღერაში რუხი საშინელების შესახებ“ პოეტი აღწერს ფაშისტთა ჯარებს, როგორც რუხ საშინელებას, რომელსაც თავის სისხლიან გზაზე თან დასდევდა სახრჩობელათა მწყრები. ამ საშინელებას პირისპირ შეხვდა მოსკოვი, რომლის შორეულ მისაღამებზე იწვნია მან პირველი დიდი დამარცხება.

საბჭოთა არმიამ ბეხერი ხელაგს დიდ იმედს. მას მთელი ქვეყანა სასოებით შესცქერის. ეს იღეა პოეტმა დიდი მგზნებარებით გამოხატა ლექსში „დიდი იმედი“. აღნიშნულ კრებულში ბეხერმა მოათავსა თავისი ცნობილი ლექსი „სტალინის სიტყვა“. აქვე პოეტი ერთხელ კიდევ დაუბრუნდა თავის ამოუწურავსა და საყვარელ თემას — ლენინს. ლექსში „ეინ იყო ლენინი“ ი. ბეხერი მიმართავს ლენინის ქალაქის მისაღამებზე მდგარ გერმანელ ჯარისკაცებს, ვანუმარტაგს მათ ლენინის უბადლო დამსახურებას კაცობრიობის წინაშე.

<sup>1</sup> ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი საზამლო ომის შესახებ. თბილისი, 1949 წ. გვ. 80.

<sup>2</sup> I. R. Becher, Deutschland ruft, Moskau, 1942.

ვინ იყო ლენინი, ჯარისკაცი? — ეკითხება პოეტი ჯარისკაცს და თვითონვე იძლევა პასუხს, რომ ლენინი იყო სიმართლის კაცი, რომ იგი ყურს უგდებდა ხალხის გულის ცემას, ასწავლიდა ხალხს და სწავლობდა ხალხისაგან; თუ ხალხი თავისუფალია, მხოლოდ მაშინ შეუძლია ქვეყანას კარგად წარმართოს თავისი საქმე; სახელმწიფო მხოლოდ მაშინაა ძლიერი, მტკიცე, როცა ხალხი თავისი საკუთარი ძალით ქმნის თავისუფლებას და მშვიდობას; ხალხის მიერ შექმნილი სამუდამოდ ხალხს ეკუთვნის; ვინც ხალხის შრომას ითვისებს, იგი ხალხის მტერია. შემდეგ ბეხერი ხატავს იმ დიდ საქმეებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა განახორციელა ლენინის ხელმძღვანელობით. ბოლოს ბეხერი კვლავ ეკითხება ჯარისკაცს, ვინ იყო ლენინი და თვითონვე პასუხობს; „იგი შენი ადამიანია! ხედავ მის სურათს? იგი გიყურებს შენ და გეკითხება: რისთვის ომობ ჯარისკაცი? შენ მდიდარი ბატონების იაფფასიანი ჯარისკაცი ხარ. უკეთესია გაითავისუფლო თავი ამ ბატონებისაგან. შენ დგახარ ლენინის ქალაქის წინაშე. იფიქრე, რომ ლენინმა ხალხს თავისუფლება მისცა.“

როდესაც ფაშისტთა ურდოებმა შებლაღუს გენიოსი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის კარ-მიდამო იასნაია პოლიანაში ი. ბეხერმა დაწერა ნარკვევი „იასნაია პოლიანა“, რომელშიაც გამოხატა თავისი დიდი აღფრთოვება ოაშისტების მხეცობის გამო. „ფაშიზმი ორგანიზებული ბარბაროსობის სისტემაა, — წერდა ბეხერი ამ ნარკვევში, — ფაშიზმს არ შეუძლია ახლოს გაუაროს კაცობრიობის კულტურის ყველაზე დიდსა და ყველაზე უმნიშვნელოვანეს ძეგლს ისე, რომ არ შეურაცხოს და არ შებილწოს იგი“.

ბეხერი ასხვავებს ორ გერმანიას. ერთი გერმანია წვადა სახლებს, გა-

ბოროტებით სძარცვავდა ქალაქებს, ელტდა უმანკო ბავშვებს, მფრინავდა გერმანიის დაკეტილ ციხეებში, ცნადილეგებში, სადაც იტანჯებოდნენ ხალხისათვის თავდადებული ადამიანები, დაიბადა მეორე, ახალი გერმანია. ეს ახალი გერმანია გამოიწვევდელი იყო დახვეწებულ კედლებს შუა, სადაც კომუნისტი ფაშისტს სახეში აფურთხებდა; იგი იყო მადრიდის კედლებთან ტელმანის ასეულებში, საფრანგეთში — პატრიოტთა რაზმებში; იგი სამშობლოში შემოდინოდა ჩუმად და ხალხს ევლინებოდა ხან სახურავზე აღმართული წითელი აღმის, ხან კედელზე გაკრული პატარა ფურცლის სახით; ეს ახალი გერმანია მშობლიურ მხარეში მოვიდა — წერს ბეხერი, — აღმოსავლეთის თავისუფალი ქვეყნიდან და თან მოიყვანა თავისუფლება და მშვიდობა.

„მტერთა დამსჯელი და მეგობრის მოყვარე დიდი, ვით დიდებული მეგობარი, კვლავ დგება იგი, რომლის ლოდინით არასოდეს არ იღლებოდნენ ის შეილებს უხმობს შრომისა და დიდებისათვის და უფლებაც აქვს ქემარიტად, რომ ამისათვის იგი ყოველთვის გერმანიად იწოდებოდეს“.

ეს ახალი გერმანია დგას ბეხერის შემოქმედების ცენტრში, პოეტმა მას ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა.

ფაშიზმის განადგურების შემდეგ, 1945 წელს, ბეხერი გერმანიაში დაბრუნდა. ამავე წლიდან დღემდე იგი არის „კულტურბუნდის“ პრეზიდენტი. ბეხერი ეროვნული პრემიის ორგზის ლაურეატი. ერთი პრემია მას მიე-

1 თარგმანი ვახტანგ ბეწურელისა.

ნიჭა პროფესორ ჰანს აისლერთან ერთად გერმანიის ჰიმნის შექმნისათვის.

თავისი არსებობის შეიღი წლის მანძილზე „კულტურბუნდმა“ დიდი მემოკრატულ ძალებთან ერთად იგი იბრძოდა და იბრძვის აღამიანთა შეგნებაში ფაშისტური გადანაშთების აღმოსაფხვრელად, გერმანელი ხალხის აღსაზრდელად მშვიდობის, ერთიანობისა და დემოკრატიის სულისკვეთებით. „კულტურბუნდის“ მეორე კონგრესზე 1949 წლის 23 ნოემბერს იოჰანეს ბეხერმა განაცხადა:

„ვისაც სურს დაიცვას გერმანული კულტურა, ვისაც ნამდვილად სურს გერმანიის ერთიანობა, მას არ შეუძლია არ იგრძნოს ღრმა სიყვარული და გულწრფელი მადლობა მშვიდობისა და თავისუფლების დიდი სახელმწიფოსადმი — საბჭოთა კავშირისადმი. ვისაც მშვიდობა სურს, მან უნდა შეიგნოს საბჭოთა კავშირის არსებობის ნამდვილი არსი და ისტორიული მნიშვნელობა“.<sup>1</sup>

მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე იოჰანეს ბეხერმა თქვა:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შიკმანსთან დაკავშირებით ჩვენს პრეზიდენტს ვილაქლმ ჰიკს სტალინმა გამოუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია: „უკანასკნელი ომის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ

ომში ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღეს გერმანელმა და საბჭოთა ხალხებმა, რომ ამ ორ ხალხს ყველაზე მეტი პოტენცია აქვს ევროპაში მსოფლიო მნიშვნელობის დიდი აქციების მოსახდენად. თუ ეს ორი ხალხი გამოიჩენს მტკიცე ნებას იბრძოლონ მშვიდობისათვის თავის ძალების ისეთივე დაძაბვით, როგორითაც ისინი ომს ეწეოდნენ, მშვიდობა ევროპაში უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს“. ვიყოთ ეს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო, რომლის შესახებ ლაპარაკობდა სტალინი, ვიყოთ სახელმწიფო, რომელსაც შეეძლება საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ერთად მოახდინოს მსოფლიო მნიშვნელობის აქციები ევროპაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. — აი ეს არის ჩვენი მთავარი ისტორიული ამოცანა, ჩვენი საუკუნის გერმანელთა მოვალეობა“<sup>2</sup>.

ბეხერი თავის ქვეყნის მგზნებარე პატრიოტია, მისი პატრიოტიზმი მკიდროთაა დაკავშირებული მის კომუნისტურ მსოფლმხედველობასთან.

გასული წლის მაისს იოჰანეს რობერტ ბეხერს შეუსრულდა 60 წელი დაბადებიდან. პოეტი კვლავ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა და აქტიურად მონაწილეობს ერთიანი დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის ბრძოლაში.

<sup>1</sup> „კომუნისტი“, 1949 წ. 26 ნოემბერი.

<sup>2</sup> „Правда“, 23. II. 1950, № 327.

## ქართული საბჭოთა ქანდაკების საკითხები

(ბამოფენაზე მიღებული შთაბეჭდილებებიდან)



არაერთხელ აღნიშნულა, რომ ქართული საბჭოთა ქანდაკება ყურადღებას იქცევს თავისი მაღალი ხარისხით. ქართული ქანდაკება, საერთოდ, მთელი საბჭოთა ხელოვნების მასშტაბით, მართლაც საინტერესო მოვლენას წარმოადგენს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სრულებით არ ნიშნავს, თითქოს ამ სფეროში ჩვენ ყველაფერი რიგზე გვქონდეს; პირიქით, ქანდაკების დარგში შესამჩნევია სერიოზული ხარვეზები, რასაც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება.

ბურჟუაზიული ხელოვნებათმცოდნეობის მიხედვით, ქანდაკებას, ვითომდა თავისი სპეციფიკის გამო, მოეთხოვება ადამიანის სხეულის იზოლირებულად გამოძერწვა, პლასტიკური სახის გამოკვეთა გარემოსაგან მოწყვეტილად. ამ ყალბ შეხედულებას იზიარებდა ზოგიერთი ჩვენი მოქანდაკეც. იმავე დროს, საბჭოთა ქანდაკება ვითარდებოდა ამ შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

საბჭოთა ხელოვნების განვითარება ყოველ ნაბიჯზე აქარწყლებს ბურჟუაზიული ხელოვნებათმცოდნეობის ზემოხსენებულ თეზისს ქანდაკების სხეულზე „სპეციფიკურობის“ შესახებ. ეს თეზისი ნაგარაუდევო იყო იმისათვის, რომ ქანდაკების დარგი ექციათ ე. წ. „წმინდა ხელოვნებად“, ამ გზით მოეწყვიტათ ქანდაკება ხალხის ცხოვრებისაგან, გამოეშვივნათ იგი შინაარსისა და სიუჟეტისაგან, ექციათ ფართო

მასებისათვის გაუგებარ „ხელოვნებად“.

საბჭოთა სახეობა ხელოვნებამ ადრევე უარპყო ეს ანტიხალხური თვალსაზრისი და ჩვენი ქანდაკება სულ სხვა მიმართულებით განვითარდა. ჩვენი მოქანდაკეები ფართოდ გადმოსცემენ საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, ასახვენ საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, გვიჩვენებენ შრომის გმირების, გამოგონებლების და ნოვატორების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა ინტელიგენტების ახალ-ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ამრიგად, ზღაპარი იმის შესახებ, რომ ქანდაკებას თავისი „სპეციფიკურობის“ გამო არ შეუძლია სიუჟეტის და შინაარსის გადმოცემა, ადამიანთა შორის ცოცხალი კავშირის ასახვა და, იმდენად, ცხოვრების ცოცხალ სურათთა მოცემა—დღეს საბოლოოდ ვაცამტყერებულა.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულმა მცდარმა და უმართებულო შეხედულებამ თავისი ერთგვარი გადანაშთი დატოვა. ამის შედეგად დღემდე უსიუჟეტო ნაწარმოებების რიცხვი არცთუ ისე ცოტაა. მონუმენტური ქანდაკების დარგშიც კი, რომელშიც ქართველმა მოქანდაკეებმა თავი ისახელეს, ბევრი როდი მოგვეპოვება კონკრეტულ თემაზე აგ-

ბული, სიუჟეტურად გააზრებული მონუმენტი.

საბჭოთა მონუმენტური ქანდაკების საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს შადრის „ლენინი“, რომელიც ავტორმა საგანგებო მოძრაობით, მტკვრისაკენ გაშვებული ხელის მოტივით შესანიშნავად დაუკავშირა საქართველოს ელექტროფიკაციის უმნიშვნელოვანეს ძეგლს — შაქსს. ლენინის მონუმენტი მასურებელს მიუთითებს ხალხის მიერ დამორჩილებული და თავისი ინტერესებისათვის გამოყენებული მტკვრისაკენ.

ქანდაკების აღმართვამ ადამიანის ხელით გარდაქმნილი ბუნების წილში, მისმა მჭიდრო აზრიან კავშირში მოცემამ ინდუსტრიულ ლანდშაფტთან, შადრის ხსენებული ქანდაკების შემდეგ, როგორც პრინციპი, თავისი განვითარება მოიპოვა საბჭოთა მონუმენტური ქანდაკების სხვა ოსტატთა შემოქმედებაშიც.

ასეთიარად გააზრებული მონუმენტური ქანდაკებანი ჩვენ ბევრი როდი მოგვეპოვება. ქანდაკებები, რომლებიც აზრს ასე მკაფიოდ გადმოგვცემენ, თემას ასე კონკრეტულ-სიუჟეტური გააზრებით წარმოგვიდგენენ, ქართველმა მოქანდაკებმა ჩვენს სამშობლოს ხშირად უნდა მისცენ.

1950 — 51 წლების ქართველ მხატვართა გამოფენა ვერ იძლეოდა სრულ წარმოდგენას ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების დონეზე და ქართველ მხატვართა და მოქანდაკეთა შესაძლებლობაზე. მაგრამ ამ გამოფენის ექსპონატების განხილვას შეუძლია იმ ტიპიურ ნაკლოვანებათა ნათელყოფა, რაც ქანდაკებას ახასიათებს ჩვენში.

ხსენებულმა გამოფენამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ ქართულ ქანდაკებაში ჯერ კიდევ არა აქვს სიუჟეტს სათანადო ადგილი მოპოვებული. დამახასიათებელია ისიც, რომ ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა განეკუთვნება ქანდაკების ისეთ სახეობებს, სადაც სიუ-

ჟეტის გაშლა ყველაზე ნაკლებ მსაძლებელია.

შემთხვევითი არ არის მსგავსიდან, ის გარემოება, რომ გამოფენაზე ჯგუფური ქანდაკების სიმცირე იყო. მოქანდაკეთა უმრავლესობას მხოლოდ ერთფიგურიანი ქანდაკების, ან ბიუსტების გამოქარწყვით შემოფარგლათ თავიანთი შემოქმედება. სიუჟეტის გადმოცემა მრავალფიგურიან კომპოზიციის ბევრად უფრო შესაძლებელია, ვიდრე ერთფიგურიანში, რომელიც შედარებით შეზღუდულ ნიადაგს წარმოადგენს თემატიკურად ვრცელი და მრავალფეროვანი პლასტიკური ნაწარმოების შექმნისათვის.

კიდევ უფრო არასსურველია, რომ ქანდაკების სახეობებს შორის ქართველი ოსტატები მეტისმეტად უყურადღებოდ სტოვებენ პორელიფსა და ბარელიფს. სწორედ ეს სახეობანი იძლევა სიუჟეტის გაშლის ყველა შესაძლებლობას; კომუნიზმის იდეების, ჩვენ დიად მშენებლობაზე საბჭოთა ადამიანის გმირულ საქმეთა და მშვიდობისათვის მისი ბრძოლის ასახვისათვის მოქანდაკე უსათუოდ უნდა მიმართავდეს ბარელიფს და პორელიფსაც, როგორც თემატიკურად მრავალშედგენილ და პლასტიკურად მდიდარ ნაწარმოებთა შექმნის საუცხოო საშუალებას.

1950 — 1951 წლის გამოფენაზე, გარდა ორიოდე გამოჩაჩლისისა, ქანდაკების ამ სახეობათა ერთი ნიმუშიც კი არ მოიპოვებოდა. ასეთები ძუნწად იყო წარმოდგენილი წინა წლების გამოფენებზეც.

რატომ ვხვდებით ასე იშვიათად ჩვენი გალერეის დარბაზებში ქანდაკების ხსენებულ სახეობათა ნიმუშებს? განა ჩვენს მოქანდაკეებს მათზე მუშაობა არ შეუძლიათ? ჩვენი ფიქრით, ეს ამით არ აიხსნება. საკმარისია გავიხსენოთ, მაგალითად, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს



ფილიალის შენობის ფასადის გვერდითი არეების პორელიეფები იაკობ ნიკოლაძისა და იქვე ზედა გრძელი ფრისული პორელიეფი თამარ აბაკელიასი; ანდა ახალგაზრდა ოსტატის ვლადიმერ ხოფერიას შესანიშნავი პორელიეფი: „ი. ბ. სტალინი და ლ. პ. ბერია წყალტუბოს კოლმეურნეებთან“.

ჩვენს ოსტატებს კარგად შეუძლიათ ქანდაკების ხსენებულ სახეობებზე მუშაობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი შედარებით იშვიათად ისახავენ ფართო თემატურ ან ამოცანებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ქანდაკებაში მეტად იშვიათად ვხვდებით ქანდაკ, ჩვენი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას. მოქანდაკეები ცოტას ზრუნავენ ყოველდღიურობის მახვილი დაკვირვებისა და მისი მხატვრული გააზრებისათვის. სრულიად აშკარაა, თუ როგორ ფართო გამოხმაურებას პოულობს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებშიც საბჭოთა ადამიანები მაღალმხატვრულ ფორმებში თავის ყოველდღიურს, თვისობრივად სრულიად ახლებურ ცხოვრებას ხედავენ.

ჩვენი ქალაქები იზრდება და სულ ახალი და ახალი მრავალსართულიანი ნაგებობებით მშენდება. ქუჩების ის გრანდიოზული რეკონსტრუქცია, რაც ჩვენ თვალწინ ხდება თბილისში, საბჭოთა ქართული ქანდაკების განვითარებისათვის უსაზღვრო პერსპექტივებს იძლევა. ქანდაკებები მორთავენ ახალ მოედნებსა და გრანდიოზულ შენობებს; შენობათა ფართო კიბეები, ფასადთა ნიშები, სახურავები სტატუარული ქანდაკების ჯგუფურ კომპოზიციებს მოელიან, შენობათა ფრისები და ფასადთა სხვა თავისუფალი არეები — პორელიეფებს, რომლებზეც კომუნიზმის მშენებელი ადამიანის შრომასა და ბრძოლაში გამარჯვების ამბები იქნება ნაჩვენები.

ჩვენი ქალაქების გრანდიოზული მშენებლობანი და მათში ყოველწლიურ და ესთეტიკური პრობლემებს: ხრუსტაღ, ლირსეულად გადაჭრის ამოცანა სერგიოზულ ვალდებულებებს აკისრებს ქართულ მოქანდაკებს. მათ ყურადღება უნდა გაამახვილონ ჯგუფური ქანდაკებისა და პორელიეფთა მიმართაც. ქანდაკების ამ სახეობათა განვითარებისათვის ყოველდღიურად უნდა იზრუნონ, რათა ქალაქის რეკონსტრუქციაში მონაწილეობა უხვი საშუალებათა გაცმოყენებით მიიღონ.

ჯგუფურ ქანდაკებას, ბარელიეფსა და პორელიეფს, როგორც უკვე ითქვა, სიუჟეტის გაშლის ფართო შესაძლებლობები გააჩნია. მათ ვერ შესცვლის პორტრეტული ქანდაკება, რომელსაც თავისი დანიშნულება და საკუთარი ღირსებები აქვს. ამიტომ ის უყურადღებობა, რასაც დღემდე ქანდაკების ამ სახეობა მიმართ ვიჩენდით, დაძლეულ უნდა იქნეს.

მაგრამ როგორია თვით პორტრეტული ქანდაკების ქანდაკებანი? პირველ ყოვლისა, აქაც ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ავტორები პორტრეტის სიუჟეტურობაზე ხაკლებად ზრუნავენ, რა თქმა უნდა, პორტრეტის სიუჟეტობაზე ლაპარაკი მხოლოდ პირობითად ხერხდება, და ჩვენც ამ გაგებით ვხმარობთ ამ ცნებას.

აღნიშნული გამოფენის ქანდაკებათა შორის ცოტაა ისეთი ნიმუშები, სადაც საბჭოთა ადამიანი შრომითი საქმიანობის პროცესში იყოს მოცემული, თითოეულ თავსა და ბიუსტში ესა თუ ის პიროვნება წარმოდგენილია სრულიად უმოქმედო პოზით.

საბჭოთა ქვეყანაში შრომა დიდებისა და სახელის საქმედ იქცა, შრომა ადამიანის ღირსების საზომს წარმოადგენს. ამიტომ საბჭოთა ადამიანის სახეს უველზე უკეთ გამოხატავს პორტრეტის ის ტიპი, რომელიც მას შრომისა და მოქმედების პროცესში იძლევა.

პორტრეტის ამ ტიპმა დიდი გავრცელება მოიპოვა საბჭოთა ხელოვნებაში, განსაკუთრებით საბჭოთა ფერწერაში. სამწუხაროდ, ქართველი მხატვრები და, განსაკუთრებით, მოქანდაკეები, ამ ტიპის პორტრეტს მეტისმეტად იშვიათად მიმართავენ.

ჩვეულებრივ, ადამიანი შრომობს კოლექტივთან, სხვა ადამიანებთან ერთად და არა იზოლირებულად. ამიტომ საბჭოთა ხელოვნებაში დიდი გავრცელება ჰპოვა ჯგუფურმა პორტრეტმა.

ჯგუფური პორტრეტები, რიგობებშიც ადამიანები გარკვეულ ურთიერთობაში არიან ნაჩვენები, კარგად გადმოგვცემენ ადამიანთა მისწრაფებებსა და სასიათებს.

ქართველმა ოსტატებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ პორტრეტის ეს ტიპი, ბარელიეფსა და ჯგუფური ქანდაკების სახეობები.

პორტრეტულ ხელოვნებას მეტად დიდი და საყურადღებო ტრადიციები აქვს მთელი მსოფლიოს ხელოვნების ისტორიაში. ამ მხრივ ათასობით ძვირფასი ნიმუშის გახსენება შეიძლება საბჭოთა და უცხოეთის მუზეუმებიდან. პორტრეტული ხელოვნება განსაკუთრებით განვითარდა მე-19 საუკუნის რუსეთში, შეიქმნა სოციალ-ფსიქოლოგიური პორტრეტის იშვიათი ნიმუშები, საკმარისია გავიხსენოთ, მაგალითად, ანტოკოლსკის, სეროვის, კრამსკოის, პეროვისა და რეპინის ნაწარმოებები.

შეუძლებელია აქვე არ გავიხსენოთ დიდი ქართველი პორტრეტისტები, კერძოდ, გიგო გაბაშვილი და იაკობ ნიკოლაძე, რომელთა ქმნილებანი სრულიად სამართლიანად იმსახურებენ ყველა მოწინავე ადამიანის ყურადღებასა და მოწონებას.

მთელი ამ მდიდარი ტრადიციების, შესანიშნავი მემკვიდრეობის გათვალისწინების შემდეგ შეუძლებელია კაცმა დიდი მოთხოვნილება არ წაუყე-

ნოს ქართველ საბჭოთა პორტრეტისტებს.

ქართველმა საბჭოთა მოქანდაკეებმა პორტრეტული ენარის ბევრი საინტერესო ნიმუში შექმნა; არა ერთი ათეული ბიუსტის ჩამოთვლა შეიძლება, რომლებშიც ძლიერად არის მოცემული ქართველი საბჭოთა მუშა, ინტელიგენტი და კოლმეურნე, ჩვენი სახელოვანი სარდლების, აკადემიკოსების, სოციალისტური შრომის გმირების, ცნობილი მსახიობების, სპორტის ოსტატების იდეურად და ფსიქოლოგიურად გააზრებული სახეები.

ამ მხრივ რამდენიმე მეტად საყურადღებო ნაწარმოების დასახელება შეიძლება განსახილველ გამოფენიდანაც. ამ ქანდაკებათა უმრავლესობა შესრულებულია ახალგაზრდა სკულპტორების მიერ. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ოსტატებმა საყურადღებო წარმატებებს მიაღწიეს. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით უფროსი თაობის მოქანდაკეთა ნაწარმოებებზე.

ასე მაგალითად, უფროსი თაობის ოსტატმა, მთელი რიგი საყურადღებო ნაწარმოებების ავტორმა — მოქანდაკე სილოვან კაკაბაძემ მაყურებელს წარმოუდგინა განსვენებული პროფესორების — გრიგოლ მუხაძისა და სიმონ ჯანაშიას ბიუსტები. მაყურებელი მოელოდა, რომ მოქანდაკე მოგვცემდა ამ გამოჩენილი ადამიანების ღრმა ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებას. მაგალითად ახალი ქართული ქირურგიის ფუძემდებელი გრიგოლ მუხაძე ისე უნდა ყოფილიყო ასახული, რომ მაყურებელს, — თაბაშირში გამოყვანილი პირისახის კონფიგურაციის გარდა, — ქანდაკებაში ამოკითხა ისიც, თუ რითი იყო საყურადღებო ეს ადამიანი, მისი თვისებები და საზოგადოებრივი დახასიათება. ასევე უნდა ითქვას აკადემიკოს ს. ჯანაშიას ბიუსტზედაც: მოქანდაკემ ვერც ამ გამოჩენი-

ლი ადამიანის დახასიათება მოგვცა. საჭირო იყო დაგვეჩვენა სიმონ ჯანაშია, როგორც ფართო საზოგადოებრივი რეზონანსის მქონე. ცხადია, უნდა ასახულიყო ისიც, თუ როგორი გარეგნობა ჰქონდა მას.

პორტრეტულ ნაწარმოებში, მით უფრო ქანდაკებაში, ყველა ამ თვისების ჩვენება, რა თქმა უნდა, მეტად რთული საქმეა, მაგრამ შეუძლებელი კი არ არის. საბჭოთა ხელოვნებამ საერთოდ და კერძოდ საბჭოთა ქართულმა ფერწერამ და ქანდაკებამ ამ მხრივ საყურადღებო ტრადიცია შექმნეს. გავიხსენოთ, მაგალითად, სილოვან კაკაბაძის მონუმენტი „სტალინი“, აღმართული მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, უჩა ჯაფარიძის „სტალინი“, ივ. ვეფხვაძის „ლ. პ. ბერია ტრიბუნაზე“, ი. ნიკოლაძის „აკაკი“ — დადგმული თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბაღში; აქვე შეიძლება დაგვეხსენებინა ვ. სიღამონ-ერისთავის „თამარ მეფე“, სადაც ავტორმა, ზოგიერთი ჩვენი მხატვრისაგან განსხვავებით, გვიჩვენა თამარის არა მარტო გარეგნული სილამაზე, არამედ მაცურებელს წარმოუდგინა თამარი — სახელმწიფოს მმართველი, პოლიტიკური მოღვაწე.

სილოვან კაკაბაძეს ზემოხსენებულ ნამუშევრებში რატომღაც არ დაუსახავს ასეთი ამოცანა. გ. მუხაძისა და ს. ჯანაშიას მხატვრული ხასიათების მოცემის ნაცვლად ის დაკმაყოფილდა პირისახის კონფიგურაციის გულგრილი აღწერილობით, ფოტოსურათის თიხაში განმეორებით. მაცურებელი კი მისგან, როგორც გამოცდილი მოქანდაკისაგან, მხატვრულ ამოცანათა უფრო შინაარსიანსა და რთულ გადაწყვეტას მოელოდა.

თემისადმი მიდგომის თვალსაზრისით ს. კაკაბაძის ბიუსტებისაგან დიდად არ განირჩევა კონსტანტინე მერაბიშვილის ბიუსტი „ლ. პ. ბერია“. ავტორს იკონოგრაფიული მასალა მისთვის ჩვე-

ულებრივი ფაქიზი გემოვნებით გადაუტანია ქვაზე, მაგრამ ნაწარმოებში თემა არაა ისე ღრმად გაჩვენებული, რომ დიდი სახელმწიფო მოღვაწის სახე მნახველს უფრო მკაფიო პლასტიკურ ფორმებში ეხილა.

საბჭოთა მაცურებელს ქანდაკებასა თუ ფერწერულ პორტრეტში ვეღარ დააკმაყოფილებს პიროვნების უმოქმედო („ფოტოგრაფიული“) გამოხატვა. ჩვენმა თვალსაჩინო მოქანდაკეებმა — ვ. თოფურაძემ, კ. მერაბიშვილმა, ნ. კანდელაკმა, ს. კაკაბაძემ და სხვ. მხატვრული ამოცანებისადმი თამამი შემოქმედებითი მიდგომის მაგალითი უნდა გვიჩვენონ, მათ ჩვენი დროის საყურადღებო ადამიანები შრომის, მოქმედების და ხალხთან ურთიერთობის პროცესში უნდა გამოქრწონ, რადგან ადამიანის მოღვაწეობის ხასიათი ყველაზე მკაფიოდ შრომის პროცესში და ხალხთან ურთიერთობაში ჩანს.

ადამიანის ჩვენება ხალხთან ურთიერთობაში იმას როდი ნიშნავს, რომ პორტრეტში ხალხიც იყოს წარმოდგენილი ასახულ პიროვნებასთან ერთად. ასეთი გადაწყვეტა პორტრეტული ხელოვნების საზღვრებს გასცილდებოდა: „იზოლირებული“, ცალკე ფიგურა შეიძლება ისე გადმოიცეს, რომ მასთან დაკავშირებულ მასებს მაცურებელი ხალხის გამოუხსაველადაც კარგად გრძნობდეს.

უკანასკნელ გამოფენაზე კოტე მერაბიშვილმა გამოიტანა სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის პორტრეტული ქანდაკებაც. ამ პორტრეტს მეტი მხატვრული თავისუფლების კვალი ატყვია, ასახავი პიროვნება ჩვეულებრივ უმოძრაო, „ფოტოგრაფიულ“ პოზაში არ არის წარმოდგენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორმა მაცურებელს უჩა ჯაფარიძის სწორი ფსიქოლოგიური დახასიათება ვერ მისცა: ქანდაკებიდან მაცურებელს უცქერის ქედმაღალი, ზვიადი, ცოტათი ატლუ-

ტურა გარეგნობის პიროვნება. ჩვენს სახალხო მხატვარს კი ამ თვისებებიდან არც ერთი არ ახასიათებს; მაყურებელი ვერ ხედავს ნამდვილ უჩაჯაფარიძეს — თავდაბალს, გულისხმიერს და გულშინაარულ ადამიანს.

უკანასკნელ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჩვენი დაუეიწყარი შემოქმედის იაკობ ნიკოლაძის ნაწარმოები — „გენერალი ლესელიძე“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქანდაკება დიდი ოსტატის მაღალმხატვრული მემკვიდრეობის მკაფიო დამახასიათებელ მაგალითად ვერ გამოდგება, რადგან მასში სხეულს ძერწვის მხრივ ერთგვარი ნაწქარეობის კვალი ატყვია. მაგრამ იგი სხვა ფსიქოლოგიური სახის გახსნის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ნაწარმოებია. დიდმა ოსტატმა ქანდაკებაში სარდლის საგანგებო მოძრაობაში გადმოცემის ტრადიციას თავი აარიდა. უკუაგლო გმირულ „პოზაში“ წარმოდგენის ზერხი, რომლის გამოყენება ზოგჯერ არასასურველ შედეგს იძლევა: ასასახვე პიროვნებას ყალბ, თეატრალურ პოზაში წარმოვიდგენს. მოქანდაკემ სამამულო ომის გმირი სარდალი ხმალზე ხელებდაყრდნობილი ფიზიკურად სრულიად მშვიდ მდგომარეობაში წარმოადგინა და მისი სულიერი სამყარო პირისაზნის გამომეტყველებასა და თვალების გამოხედვაში გადმოსცა: წარბებს ქვემოდან ბრძოლის ასპარეზისაკენ თავდაჭერით იყურება, თითქოს ბრძოლის ორომტრიალს ფრთხილად თვალყურს ადევნებდეს ძლიერი ნებისყოფისა და კეთილთ მტკიცე სარდალი; მისი პირისახის ნაკვთები ფიქრით გატაცებასა და ნერვულ დაძაბულობაზე მეტყველებენ.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნიკოლოზ კანდელაკის მიერ შესრულებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის, არმიის გენერლის ანტონოვის ბიუსტიც. აშკარად ჩანს, რომ ეს ქმნილება ნატურის შეგრძნო-

ბითაა შესრულებული: მოქანდაკის შთაგონების წყარო უშუალოდ ასისახავი პიროვნებაა და არა დამხმარე რაიმე სახის იკონოგრაფიული მასალა; გამორიცხულია აგრეთვე ე. წ. ზეპირობის ყოველგვარი კვალიც. ამ თვისებებით კანდელაკის ეს ქმნილება გამოფენის თვალსაზრისით ექსპონატი იყო. ცოცხალი ნატურის ბუნებრივად გადმოცემის ოსტატია ნიკოლოზ კანდელაკი, ოღონდ სარდლის სახის, მისი ფსიქოლოგიური შინაარსის ასახვისათვის უფრო მეტი ზრუნვა იყო საჭირო. სულ ტყუილად გამორიცხავს მოქანდაკე, ძველი ბერძენი მოქანდაკეების კვალობაზე, პირისახის მთლიანობიდან თვალის კაკლებს. თვალები ფსიქოლოგიური პორტრეტის უმთავრესი ელემენტთაგანია.

მეორე მხრით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნ. კანდელაკი ხშირად თავის მეტად ცოცხალი პირისახის შემცველ პორტრეტებში, რომლებშიც ყოველი ნაკვთი ბუნებრივი სიცოცხლით სუნთქავს და ფეთქავს, გულშეკრდს (ან მთლიანად სხეულს) დაუმუშავებელ მდგომარეობაში სტოვებს. ხომ არ არის ეს შედეგი მხატვართა ერთ ნაწილში გავრცელებული ყალბა შეხედულებისა, რომლის მიხედვითაც სახე მოიგებს, თუ ყურადღების კონცენტრაციის თვალსაზრისით სხეული შედარებით ნაკლები სრულყოფით დაუმუშავდება? ეს მკდარი თვალსაზრისია.

გამოფენაზე საინტერესო კომპოზიცია წარმოადგინა მოქანდაკე გიორგი სესიაშვილმა. მისი ხორუმი — ცოცხალი და გემოვნებით შესრულებული მოცეკვავე ადამიანების ჯგუფი როგორც თემის თავისებურებით, ისე შესრულების სიმახვილითაც ადვილად იპყრობს მაყურებლის ყურადღებას, ოღონდ ესაა, რომ ცენტრში აღმართული შადრევანი, ადამიანთა ფიგურებთან შედარებით, არაა საინტერესოდ გამოქმნილი. ეს არქიტექტურული

დებული დაუნაწევრებელია და, ამდენად, იგი ადამიანთა ფიგურებთან, მოცეკვავეთა ჯგუფთან პარამონიულ მთლიანობაში არაა მოცემული. ამ დეტალის გასწორების შემდეგ სესიაშვილის ქანდაკება შადრევანის საუცხოო პროექტი იქნება საქართველოს რომელიმე ქალაქის მოედნის ან გზაჯვარედინის ცენტრში აღმართვისათვის.

მხატვრულად გაფორმებული შადრევნები ცოტა არ მოიპოვება ჩვენში, მაგრამ მათი ნაკლი ისაა, რომ ჩვეულებრივ ისინი შედგება ჩვენი ეპოქისთვის შეუფერებელი მოტივებისაგან, როგორცაა მოძველებული შინაარსისა და კლასიციზტურად გადაწყვეტილი, ნაციონალურ ფორმას მოკლებულ წყლის ღეთებათა ალეგორიული ფიგურები, ამურები და სხვა. განა შადრევნებს წარსულის მოძველებულ თემებზე უკეთ არ დაამშვენებს სოციალიზმის ეპოქაში გაფურჩქვნილი სპორტის ან ცეკვის მოტივები?! ქართული ნაციონალური ცეკვისა და სპორტის მოტივებზე აგებული შადრევანები, რომლებიც რეალიზმის ძარღვმაგარი სტილით გამოიკვეთებიან, დიდი უპირატესობით ისარგებლებენ ჩვენი მჭექფარე ქალაქის ხშიერ ატმოსფეროში და მის შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური არქიტექტურის ანსამბლში თავის მკაფიო მხატვრულ სიხალისეს შეიტანენ.

გამოფენაზე ინტერესს იწვევდა სრულიად ახალგაზრდა მოქანდაკის ეთერ კაკაბაძის ორი სერიოზული ნაწარმოები: ერთია მეტალურგის მონუმენტური ფიგურა და მეორე — სპორტსმენ ნინო ღუმბაძის ბიუსტი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მოქანდაკეთა კოლექტივს ეთერ კაკაბაძის სახით ნიჭიერი შემოქმედი შეემატა.

ეთერ კაკაბაძეს მეტალურგის ფიგურის მოცემისათვის ძლიერი აღნაგობის დამახასიათებელ გარეგნობის ადამიანი გამოუძებნია. ფიგურის ატრი-

ბუტები, როგორცაა შეზღუბე მთავრებული სათვალე, წინსაფარი და სპეციალური ხელსაწყო, უკანდაკეხეს შინაარსის განმარტავენ.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძალოვან ფიგურას ერთგვარი მოდუნება ეტყობა, მის პოზას ცოტათი დაღლილობისა და მოწყენილობის იერი დაჰკრავს. ეს ნიშნები კი მას ამორებს სინამდვილეს. საჭირო იყო ავტორს მოეცა სწორი ფსიქოლოგიური დახასიათება, ეჩვენებინა შრომის პათოსით გამსჭვალული ადამიანი, მისი მზადყოფნა ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

მეორე ქანდაკებაში ავტორს ცნობილი სპორტსმენი ნინო ღუმბაძე გამოხატული ჰყავს არა უმოქმედოდ, არა ფოტოგრაფის წინ გულმოდგინედ დამჯდარი ადამიანის პოზაში, არამედ მოძრაობაში, ბადროს გატყორცნის პროცესში. როგორც ჩანს, ეთერ კაკაბაძემ თემატიკური პორტრეტის შექმნის რთული და მეტად საინტერესო ამოცანა დაისახა. ნინო ღუმბაძე ცნობილია თავისი სპორტული რეკორდებით. მას მთელი მსოფლიო თავისი ბადროს მტყორცნელობით იცნობს. მოქანდაკემაც იგი სწორედ ამ საქმიანობის პროცესში წარმოგვიდგინა.

სპორტსმენის გამოსახულება მაყურებელს იზიდავს თავისი სილამაზითაც. კლასიკური პროპორციების მქონე ლამაზი ქართველი ქალის ფიგურამ, რომელიც რთულ სპორტულ მოძრაობაშია მოცემული, დამსახურებულად მიიქცია ყურადღება.

მაგრამ აქაც ავტორს თემის ფსიქოლოგიური გადაწყვეტის საკითხში უნდა შევედავით. საქმე ისაა, რომ ღუმბაძე მოქანდაკეს სწრაფ სპორტულ მოძრაობაში ჰყავს მოცემული და სახის გამომეტყველება კი მისთვის ისეთი დამშვიდებული და მინაზებული მიუცია, თითქმის ამ ქალს ეს-ეს არის იავნანას სიმღერა დამეთავრებინოს და

ახლად ჩაძინებულ ყრმას დაჰყურებდეს სიფრთხილით, არ გაიღვიძოსო.

ავტორს ტანის სწრაფ, სპორტულ მოძრაობასთან ერთად სახეც შესაფერისად დაძაბული სპორტული იერიით უნდა აღეჭურვა.

ახალგაზრდა მოქანდაკეს — ნელა აღექსიძეს რთული ამოცანა დაუსახავს — ქანდაკებაში ცეკვის გადმოცემა. საერთოდ, ჯგუფურ ქანდაკებას თავისი უაღრესად სპეციფიკური სიძნელეები აქვს, მით უმეტეს ეს ითქმის მოცეკვავე ადამიანების ჯგუფზე.

ნელი აღექსიძის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მან თავისი ამოცანა მარჯვედ გადაწყვიტა. მისი ფიგურები ნამდვილად ცეკვავენ და ცეკვავენ არა ცალ-ცალკე, არამედ ერთად, ერთ კომპაქტურ ჯგუფად და საერთო ფსიქოლოგიური განწყობილებით.

მოქანდაკემ ნამდვილად ქართული ტიპები დაგვიხატა, ოღონდ უკეთესი იქნებოდა, თუ იგი ქალის ფიგურის მოძრაობასა და გამომეტყველებაში მეტ კლემამოსილებას შეიტანდა. მეტი ანატომიური დაზუსტება, დახვეწა და პლასტიკური გამოძერწვა სჭირდებოდა ქალის ქვედატანს.

ირაკლი ოქროპირიძის მიერ შესრულებული ცხენოსნის ფიგურა საინტერესოა როგორც თემის, ისე ფსიქოლოგიური გადაწყვეტის მხრივ. აქ ასახულია ისინდის მონაწილე მამაკაცი, რომელიც ნიშანს უცდის, რათა თავისი ცხენით გაჰქუსლოს. ეს დაძაბული ფიზიკური მდგომარეობა ავტორს კარგად აქვს მოცემული ცხენის ფიგურაში (ცხენის თავი მოუთმენელ ნერვულ მოძრაობაშია), მაგრამ მას რომ დაძაბულობა უფრო მკაფიოდ მოეცა მშაპაკის ფიგურაშიც, ქანდაკება ბევრად უკეთეს შთაბეჭდილებას დატოვებდა. მამაკაცი, მიუხედავად ფსიქოლოგიური დაძაბულობისა, შეუფერებელ სიღინჯეს ინარჩუნებს.

გარეგნული გამოსახულების მხრივ ოქროპირიძის ქანდაკება თვალსაჩინო

ნაწარმოებია. ავტორს აქვს პროფესიული განათლება და ფაქიზი გემოვნება. საერთოდ, ირ. ოქროპირიძე უთმავლად ჰკიდებს ხელს რთულ ჯგუფურ ქანდაკებებს და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევს.

გამოფენის ექსპონატთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა თეიმურაზ ასათიანის ქანდაკება — მსახიობ ალ. ჟორჯოლიანის პორტრეტი.

თ. ასათიანის წინანდელი ქანდაკებები აშკარად მეტყველებდნენ ავტორის ნიჭზე, მაგრამ მათ სერიოზული ნაკლოვანება ემჩნეოდა: ასათიანის მიერ გამოძერწილ ადამიანებს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მიანცდამიანც ჯანსაღი გამომეტყველება არა ჰქონდათ. გავიხსენოთ, მაგალითად, მისი „მეტალორგი“. მეორე მხრივ მოქანდაკე ყოველთვის ვერ გადმოსცემდა სხეულისა და ქსოვილის ფაქტურას. ამ გამოფენაზე გამოტანილი ნაწარმოებები კი არსებითად განსხვავდებიან წინა წლების ნამუშევრებისაგან. ავტორს დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ.

თ. ასათიანის ნაწარმოებთა შორის პროფესორ გრ. წულუკიძის ბიუსტი საერთოდ მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებია. აქ კარგადაა გადმოცემული როგორც მსგავსება, ისე მთაზროვნე ადამიანის ფსიქოლოგიური სამყარო.

თ. ასათიანის მიერ შესრულებული ა. ჟორჯოლიანის პორტრეტი სიუჟეტური გააზრების ნიშნებს ატარებს: ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ავტორი ჟორჯოლიანს კომიკური როლის შესრულების მომენტში გვიჩვენებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მდიდარი პლასტიკური გრძნობა, რომლითაც შესრულებულია ეს ნაწარმოები. იგი ბევრად მოიგებდა, თვალების გამომეტყველება სახესთან უფრო მეტ კონტაქტში რომ ყოფილიყო მოცემული.

თეიმურაზ ასათიანმა ამ ქანდაკებით ნათელყო, რომ მას აქვს უნარი მოგვეცეს პიროვნების დახასიათება, გვიჩვენოს მისი შინაგანი სამყარო.

ახალგაზრდა მოქანდაკეს — ალ. გორგაძეს პატრიოტი მეშახტის საინტერესო ფსიქოლოგიური სახის გამოძერწვა უცლია. ამ ნაწარმოებში პირველ რიგში ინტერესს აღძრავს მხატვრული ძერწვის საქმის შესახებ შინაგანი ცოდნა. ამიტომაც იყო, რომ გორგაძის ეს ნამუშევარი საკავშირო გამოფენის ექსპოზიციის მიხედვით მოხვდა. ოღონდ მოქანდაკე საერთოდ ნატურის გამოყენების საქმეში საკურო სითამამეს ვერ იჩენს, საკმარისად არ აწარმოებს ნატურის განზოგადობას. რისთვისაც საკურო ნატურის კერძო, არაარსებითი მხარეების გადმოცემა.

თეიმურაზ ლენინაშვილის ქანდაკებას — „აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს“ ჩვენი მაყურებელი კარგად იცნობს. ეს ნაწარმოებიც საკავშირო გამოფენაზეა. ივანე ჯავახიშვილის ქანდაკება სამხატვრო აკადემიაში ფართოდ იქნა განხილული და სრულიად დამსახურებულად მიეცა მას მაღალი შეფასება. ლენინაშვილმა გამოფენაზე წარმოადგინა მეორე ქანდაკებაც — სოციალისტური შრომის გმირის პორტრეტი. აქ ახალგაზრდა ავტორი სასურველ შემოქმედებით სითამამეს იჩენს, პორტრეტში სოციალისტური შრომის გმირი თავისუფალ მოძრაობაშია წარმოდგენილი. ავტორი გვიჩვენებს ადამიანს, რომელიც ამაღლა გმირულმა შრომამ; სამწუხაროდ, კარგად დაწყებულ პორტრეტში ავტორი წერილმანების, პირისახის უმნიშვნელო ნაკლებების გამოყენებას გადაჭარბებით გაუტაცია. ამის გამო კონკრეტული სახის სათანადო განზოგადობა არა ჩანს.

მოსკოვის 1950 წ. საკავშირო გამოფენაზე წარმოდგენილ ქართულ საქანდაკო ნაწარმოებთაგან ყურადღება მი-

იპყრო ახალგაზრდა მოქანდაკის ლევან ცომაიას მიერ შესრულებულმა ბუესტმა — „სოციალისტური შრომის მუშაობის მიხაკო ორაგველიძე“. მაგრამ ცომაიასაც ის ნაკლი აქვს, რომ ნაწარმოებში მკვეთრად გამოიჩინეა ასასახვე პიროვნების კერძო, არაარსებითი შტრიხები.

როგორც ვხედავთ, სამ ნიჭიერ მოქანდაკეს — გორგაძეს, ლენინაშვილს და ცომაიას ერთნაირი ხასიათის შეცდომები აქვთ დაშვებული. სასურველია, რომ სამივე მეტი ყურადღებით ეკიდებოდეს კონკრეტული სახის მხატვრული განზოგადობის ამოცანას.

ახალგაზრდა მოქანდაკეს — ჯილდა იმედაშვილს ა. ჩიქობავას ბიუსტში ასასახვე პიროვნება დიდი შინაგანი სითბოთი გადმოუცია, მაგრამ აქაც სახის მხატვრული განზოგადობა არა ჩანს. ეს ნაკლი ახასიათებს ელენე ბუჩუკურის „აგრონომ ბუჩუკურის“ ბიუსტსაც.

წარსული წლების გამოფენის განხილვის დროს მოქანდაკე მორის თალაქვაძეს ხშირად უსაყვედურებდნენ, ცოტას მუშაობსო. ამჟამად ასეთი საყვედურისათვის საფუძველი არა გვაქვს.

თალაქვაძე ხსენებულ გამოფენაზე რამდენიმე ექსპონატით იყო წარმოდგენილი. მათ შორის საყურადღებოა ვანო სტურუას ბიუსტი და ორი პოლიტიკური კარიკატურა.

ავტორმა ვანო სტურუას ქანდაკებით სცადა ძველი რევოლუციონერისა და სახელმწიფო მოღვაწის მთლიანი საინტერესო სახის შექმნა. ვისაც კი თვალყური უდევნებია ამ ქანდაკების შექმნის პროცესისათვის, გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ საუცხოოდ დაწყებული ნაწარმოები ბოლომდე სასურველი ოსტატობით ვერაა მოყვანილი. ავტორს ოსტატობა არ ეყო.

ომის გამჩალებლების — ანესონის და ჩერჩილის თემაზე შესრულებული თალაქვაძის პოლიტიკური კარიკატურები

საყურადღებო სიტყვაა ქართულ სახვით ხელოვნებაში, რამდენადაც ამ ეპოქით ძლიერ ღარიბები ვართ. ამ მიმართულებით თალაქვაქემ უნდა განაგრძოს მუშაობა.

გამოფენის საუკეთესო ექსპონატთა შორის უნდა დავასახელოთ მოქანდაკის—უ. კოკოვეის ქანდაკება—მართა პლიევის პორტრეტი. ავტორს მართა პლიევა უმოძრაო მდგომარეობაში მოუხედავია. მაგრამ სახის გამომეტყველებაში ისეთი მდიდარი და მკაფიო თვისებები აქვს მას გამოკვეთილი, რომ ნაწარმოები მთლიანად მალაღ შეფასებას იმსახურებს. პლიევას სახით აქ მოცემულია საბჭოთა სახელმწიფოებრივი მოღვაწე ქალის ტიპური სახე. პლიევა მხნეობით, მამაკაცური ხასიათის სიმტკიცით და ენერგიითაა აღსავსე. ამასთანავე ეს სახე ძალზე მდიდარია ქალური სინაზით და სახალხო საქმისათვის თავდადებული, მზრუნველი, გრძნობით სავსე ადამიანის გამომეტყველებით.

პლიევას პორტრეტი გამოძერწილია ფართო „ფერწერული მანერით“.

პლიევას მკერდზე შემოხვეული აქვს შალი, რომელიც სახესთან შედარებით უფრო თავისუფალი მანერითაა შესრულებული. ყურადღებას იქცევს მკერდზე ჩამოკიდებული ორდენებიც. ამ დეტალს მოქანდაკეები ხშირად ხელოსნური გულგრილობით და უგემოვნოდ ასრულებენ, კოკოვეს კი ეს დეტალი გემოვნებით და სითბოთი აქვს გამოძერწილი.

ახალგაზრდა მოქანდაკემ — ზაურთაშვილმა გამოფენაზე წარმოადგინა საბჭოთა კავშირის გმირის ბენდელიანის ბიუსტი. მკერდზელი გრძნობს ქანდაკებაში მოცემული პიროვნების გმირულ ბუნებას. ეს, რა თქმა უნდა, საყურადღებო მიღწევაა, მაგრამ ამასთან ერთად ქანდაკებას ახასიათებს ზოგიერთი ნაკლოვანებაც: პირისაზე შესრულების მხრივ სქემატურია, მასზე არ იგრძნობა ადამიანის ნაკვეთთა პლასტი-

კური სიმდიდრე. ყოველივე ეს დამბმარე ნატურის გამოუყენებლობისა და მხოლოდ ფოტომასალაზე დაყრდნობის შედეგია.

ახალგაზრდა მოქანდაკემ — ბილანიშვილმა მეტად რთული თემის გადაწყვეტა სცადა თავის ჯგუფურ ქანდაკებაში, რომელსაც „დედა-ენა“ ეწოდება. ორი ბავშვი ათვალისკვამის „დედა ენას“. ავტორი ბავშვების ბუნებას კარგად სწევდა.

გამოფენაზე ყურადღების იმსახურებდა ნიჭიერი ახალგაზრდა მოქანდაკე თენგიზ ჭყონიას „ტყის მეგობარი“. ჩვიდმეტოიდე წლის ყმაწვილ კაცს ერთი წუთით თავი მიუხედავია რგვისათვის და ხის ნერგს დაყურებს სიყვარულით. ერთი შეხედვით ნაწარმოები ეპროვალადაა გააზრებული, მაგრამ ტყის გაშენების ნორჩ თაობასთან დაკავშირება, რაც ავტორს ღრმა ლირიკული სითბოთი აქვს გადმოცემული, ქანდაკებას იდეურ სიმახვილესაც უძლიერებს.

რაც შეეხება თენგიზ ჭყონიას ბოქსიორის პორტრეტს, როგორც წარწერიდან ვიცით, ჩემპიონის სახეს უნდა გვიხატავდეს. სინამდვილეში კი კარგად ნაცემი ადამიანია გადმოცემული. ამის მიზეზია ამოცანისადმი პასიური მიდგომა, არასაკმარისი მიზანდასახულობა. სწორედ ამიტომ არაა მასში გადაწყვეტილი ჩემპიონის იდეურ-მხატვრული სახის პრობლემა. ავტორმა სათანადოდ ვერ გაითვალისწინა ამოცანის არსი.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ რამდენიმე ბიუსტი, რომლებიც სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეკვეთით შეასრულეს ქანდაკების ოსტატებმა. ზოგიერთი ბიუსტი კარგი შენაძენია საბჭოთა ქართული სახეითი ხელოვნებისათვის. ასეთებია: ვალერიან თოფურაძის „ვახუშტი ბატონიშვილი“, „ნ. ცხვედაძე“, კონსტანტინე მერაბიშვილის „მენდელეევი“.



ახალგაზრდა მოქანდაკეების — ირაკლი ოქროპირიძის „იოვანე პეტრიწი“ და ნიკო ქუთათელაძის „სულხან-საბა ორბელიანი“. ამ პორტრეტულ ნაწარმოებთაგან არც ერთი არ წარმოადგენს წარსულში შექმნილი რომელიმე მხატვრული პორტრეტის ან ფოტოსურათის უფულო განმეორებას. თითოეულ მათგანში იკონოგრაფიული მასალა გამოყენებულია შემოქმედებითი თვალსაზრისით და მოცემულია ამა თუ იმ პიროვნების სახის ისეთ წარმოდგენით გადმოცემის ცდა, როგორი წარმოდგენაც შეიძლება ჰქონდეს ამ კონკრეტულ პიროვნებათა შესახებ საბჭოთა ადამიანს. ასე მაგალითად, ცნობილია ვახუშტი ბატონიშვილის ძველი პორტრეტი, რომელშიც კარგად არ ჩანს გამოსახავი პიროვნების პირისპირის კონკრეტული თავისებურებანი და, ამასთანავე, იგი, ძველი აზიური ჩვეულების მიხედვით, ფეხმორთხმით მჯდომარედაა გადმოცემული. ვალერიან თოფურიძემ უარყო ეს პორტრეტი; მან ვახუშტის გარეგნობა მის შთამომავალთა გარეგნობის შესწავლით აღადგინა და დიდი ისტორიკოსისა და გეოგრაფის კონკრეტული ნაკვთებიანი მოხდენილი სახის შექმნა სცადა. კარგი იქნებოდა, რომ ავტორს ვახუშტი ბატონიშვილის გამომეტყველებისათვის მეტი შთამოგონებელი იერი მიეცა. ამასთანავე, ნაწარმოები მეტ შთაბეჭდილებას მოახდენდა, სტილიზაციის კვალი რომ არ ემჩნეოდეს მას (ქანდაკების ზოგიერთ ნაწილს, მაგალითად, თმასა და წვერ-ულვაშის კულულებს), ორნამენტისათვის შესაფერისი გამოთვლილი რიტმი ახასიათებს, რაც მას ერთგვარად ამორებს ადამიანის თმის ნაწილთა ბუნებრივი სხვადასხვაობისაგან.

ჩამოთვლილ ნაკლოვანებებთაგან თავისუფალია თოფურიძის „მ. ცხვე-

დაძე“. ავტორს ამჯერად უფრო მეტი ყურადღება მიუქცევია პორტრეტის შინაარსისათვის. ამ ქანდაკებში გვეყურებს დიდი ილიას სახელოვანი თანამედროვე, თავდადებული საზოგადო მოღვაწე და გამოჩენილი პედაგოგი, მშვიდი და უაღრესად მართალი გულის პიროვნება, რომელიც მუდამ „სასტიკად გაურბოდა პირად განდიდებას“. მოქანდაკეს ამ ნაწარმოებში არ ახახიათებს სტილიზაცია: „ცხვედაძის“ ქანდაკების ყოველი დეტალი ბუნებრივი თავისუფლებით სუნთქავს და მკაფიო რეალისტური პლასტიკის ენით მეტყველებს. ყოველივე ამის გამო „ნ. ცხვედაძე“ პარტული საბჭოთა ქანდაკების თვალსაჩინო შენაძენია.

ამ ქანდაკებებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნიკო ქუთათელაძის „სულხან-საბა ორბელიანი“. ეს არის სულხანის ახლებური, პორტრეტის შექმნის თამამი ცდა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამ ახალგაზრდა მოქანდაკემ სულხანის ცნობილი ტრადიციული პორტრეტი (რომელშიც სულხან-საბა გულუბრყვილო მოხუცებულის გამომეტყველებით და ბერის ქუდითაა წარმოდგენილი) არ გაიმეორა და აქცენტი მის ბერობაზე არ გადაიტანა, მან სცადა წინ წამოეწია სულხანის საზოგადოებრივ-ისტორიული მნიშვნელობა. მაგრამ პორტრეტს აქვს ნაკლოვანებანიც. ქანდაკებაში გადმოცემულია ბედით კმაყოფილი ადამიანის სახე, რომელიც ვერ მოგვაგონებს სულხან-საბას დაჭიმულსა და სახიფათო თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრებას, საზოგადოებრივი და პოლიტიკური შეხლა-შემოხლით განაწამებ ადამიანს.

ასეთია ჩვენი შენიშვნები 1950 — 1951 წლის გამოფენაზე წარმოდგენილი ნიმუშების გამო.

# საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი



საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა საკვარტეტო კოლექტივია. კვარტეტის მსახიობთათვის სტალინური პრემიის მინიჭება ღირსეული ჯილდოა იმ საუკეთესო აღიარების გამო, რაც მათ მოაპოვეს არა მარტო საქართველოში, არამედ ჩვენს სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის, აგრეთვე ლენინგრადის საზოგადოებრიობაში, მოძველებულ საბჭოთა რესპუბლიკებში, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებში.

როგორც პროფესიული მუსიკალური კოლექტივი, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი ჩამოყალიბდა 1944 წლის ბოლოს.

საკვარტეტო შესრულების ხელოვნებისადმი უსასწერო სიყვარულმა ახალგაზრდული ენერჯით შეაერთა ნიჭიერი მუსიკოსებმა ბორის ქიაურელი, ვივი ხატიასვილი, ალექსანდრე ბეგალიშვილი და სულხან ცინცაძე.

კლასიკური მეგვიდრეობის ათვისებისათვის გულმოდგინე მუშაობაში ვანგლო ახალგაზრდა ანსამბლის შემსრულებელთა მოღვაწეობის პირველმა წლებმა, მათ იმ წლებში ხელმძღვანელობდა საკვარტეტო ხელოვნების გამოჩენილი მკოდნე პროფ. ვ. მ. გუზიკოვი (იგი აღმზრდელია მთელი რიგი პირველხარისხისა და საკვარტეტო ანსამბლებისა, როგორცაა კომიტასის და ვილიოპის სახელობის კვარტეტები).

საქართველოს კვარტეტის მონაწილეებმა შეისწავლეს შედარებით ზედა ხანში მიღწეული მნიშვნელოვანი მხატვრული შედეგებისათვის, ახალგაზრდა ანსამბლის პირველმა საანგარიშო გამოსვლებმა მიახერხეს საზოგადოების ყურადღება შესრულების სიახლით და ტემპერამენტით, სულთა ინტონირებისაკენ მისწრაფებით.

კვარტეტის ერთ-ერთი მონაწილე ს. ცინცაძე, რომელიც 1946 წელს მოსკოვში ვაქცეზაურა, შესცვალა ნიჭიერმა მუსიკოსმა გიორგი ბარნაბიშვილმა. ეს უკანასკნელი აქტიურად ჩაება ანსამბლის საქმიანობაში, გ. ბარნაბიშვილის შემომატებამ შესძლო დაეჭქარებინა კვარტეტს პროფესიული ზრდა. 1948 წლის ვახაფხულზე თბილისელი მსმენელები მოწმენი იყვნენ შესანიშნავი კონცერტისა, რომელზედაც

ქართულმა კვარტეტმა შეასრულა ჩაიკოვსკის კვარტეტები.

ამ საბასუხისმგებლო გამოსვლის პროგრამა მოწმობს ანსამბლის სწორ შეგქმნელებით გვს — რუსული კვარტეტული კლასიკური ნაწარმოებების ათვისებასა და პროპაგანდას.

კვარტეტის ჩამოყალიბება გახდა სტიმული ქართველი კომპოზიტორებისათვის, რომელთაც შექმნეს ნაციონალური კვარტეტული ფანრის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. სულხან ცინცაძის სამი კვარტეტი, მისივე სამი ციკლი კვარტეტული მინიატურისა, სიმეხანა კვარტეტი, ნიკოლოზ გულდიაშვილის მადორტეპიანო კვინტეტი, ოთარ გორდელის კვინტეტი და სხვა.

სამიტერესოა ისიც, რომ ს. ცინცაძის პირველი კვარტეტული თხზულებების ჩანაფიქრი (პირველი ციკლი მინიატურებისა) წარმოიშვა და განსორციელდა ამ კვარტეტში მისი მუშაობის დროს.

საქართველოს კვარტეტი ქართველ კომპოზიტორთა თითქმის ყველა პირველი კვარტეტული ნაწარმოებების შემსრულებელია. ს. ცინცაძის კოლორიტულმა ფიქრმა და ტემპრით მდიდარმა კვარტეტულმა მინიატურებმა („ლალი“, „ინდი-მინდი“, „საქიდლო“, „მწყემსური“ და სხვა) კვარტეტის შესრულებით ჰპოვეს ავტორის ჩანაფიქრის ფაქიზად გამოხატვა.

ს. ცინცაძის მეორე კვარტეტის ინტერპრეტაცია საქართველოს ანსამბლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა. ანსამბლმა მიიღწია ამ ნაწარმოების მთელი სიღრმის მრავალფეროვანი ნაციონალური სპეციფიკის ვახსნას.

უცვლელი და საუკეთესო წარმატება თან დაყვებოდა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის გამოსვლას ს. ცინცაძის, ნ. გულდიაშვილის ნაწარმოებთა შესრულებით (განსაკუთრებით მე-2 კვარტეტი, ტრიპტიხი კვარტეტული მინიატურებისა „ლალი“, „ინდი-მინდი“, „საქიდლო“, ახალი ციკლი მინიატურებისა, „მწყემსური“, „მუსიკალური მომენტი“, „საღეკაო“ და „სიმღერა“ — ს. ცინცაძის „ხორები“ კვარტეტურიდან და საფორტეპიანო კვინტეტი ნ. გულდიაშვილისა). მოწმობენ ახალგაზრდა ქართველი

კომპოზიტორების შემოქმედებითი მისწრაფებების ცხოველყოფილობას.

მათ ნაწარმოებებში აშკარად იგრძნობა რუსული კლასიკური კვარტეტული მუსიკის მხატვრული ტრადიციების გავლენა. ეს გავლენა მომდინარეობს ბოროდინიდან, გლაზუნოვიდან, ჩაიკოვსკისა და ტანეველიან ავრთვე იგრძნობა მათი სიხალღე ხალხურ შემოქმედებასთან, მელოდიურობასთან და ენერჯული თემატიკასთან.

გერმანელი მუსიკათმცოდნე კ. შონეოლფი სტრაინოში, რომელიც დაბეჭდილია გერმანულ გაზეთ „ნეიეს დეიხლანდ“ (27/9—1950 წ. ბერლინი) გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის გასტროლებთან დაკავშირებით გულისტკივილით წერს: „თანამედროვე გერმანული კვარტეტული მუსიკის გამოფიტულ ნადავლებზე“ მოეწოდებთ თანამემამულეებს, აიღონ მაგალითი საბჭოთა ოსტატებიდან, რომლებიც მიდიან ხალხურობისა და რეალიზმის ერთადერთი მართალი და ნაყოფიერი გზით.

ს. ცინცაძის „შორე კვარტეტი“ — არაბსტრაქტული ხელოვნება, იგი განუთვნილია არა მხოლოდ „მცოდნეთა“ ვიწრო წრისათვის, არამედ ვასაგებია ყველასათვის. ნაწარმოები მოგვიხსნის მომხიბველი ჰუმანურობით მშვენიერ სამშობლოზე მისი ძველთაძველი სიმღერებით და ცეკვებით, რომლებიც კომპოზიტორმა არა „გადმოწერა“ უბრალოდ, არამედ დაამუშავა თანამედროვე საშუალებებით: მისი „სამი მინიატურა“ ქართულ ხალხურ თემებზე გვევლინება მუსიკალურ საუნჯედ, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენი კამერული მუსიკის გამოფიტული ნადავი შეიძლება ახლად აღმოაჩინდეს მხოლოდ ხალხთან კავშირით.

ქართული სახელმწიფო კვარტეტი ითვლება ნიჭურ შემსრულებლად ისეთი შესანიშნავი პირველი ნაციონალური კვარტეტული მუსიკისა, როგორცაა „ჩელა“ ი. ტუსკიასი, „ნანა“ შ. ასლანიშვილისა, აგრეთვე „პრელუდია და ფუგა“ დ. არაიშვილის.

სწავლობენ რა რუსი და დასავლეთ ევროპის კლასიკოსების თვალსაჩინო ნიმუშებზე კვარტეტის მონაწილენი შედამ მისწრაფიან ახლებურად, სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის პოზიციიდან გახსნან მისი იდეურ-მხატვრული შინაარსი. ფრთხილად და სიყვარულით ასრულებს ანსამბლი ისეთ შედევრებს რუსი კლასიკოსებისას, როგორცაა ჩაიკოვსკის, ბოროდინის, გლაზუნოვის და სხვათა კვარტეტი და ეს შეადგენს კვარტეტის რეპერტუარის მნიშვნელოვან ნაწილს.

დიდი ინტერესს იწვევს კარგად მოფიქრებული და ნაწილობრივ განხორციელებული ციკლი — საღამოები ბეთოვენის კვარტეტული მუსიკისა. ანსამბლის მიერ შესრულებული ბეთ-

ოვენის პირველი 12 კვარტეტიდან უფრო სრულფასოვანი და დასრულებული შესრულების მხრივ გამოიჩინა 6, 7 და 8 კვარტეტები. ამ ჩანაფიქრის სრულად განხორციელებას ხელს უწყობს უფრო სრულად და ყოველმხრივ გახსნას, მუსიკის ამ „შექსპირის“, შემოქმედებითი სახის ევოლუცია.

მოცარტის კვარტეტები (რე-მინორი, მი-ბე-მოლ-მაიორი) ინსტრუმენტული სიმღერის ოსტატების საუკეთესო სკოლა, ეს ნაწარმოებები აქვთ კვარტეტის შესრულების სტილის ერთერთი დამახასიათებელი მხარეა.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის რეპერტუარშია შუმიანის კვარტეტები და საფორტეპიანო კვარტეტი შუბერტის (ლია-მინორი და რე-მინორი) შენდელსონის, ვროვის, სმეტანის, დორჯაიის კვარტეტი.

ანსამბლის ოსტატობის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ეს კოლექტივი გამოდიოდა რუსული საფორტეპიანო სკოლის გამოჩენილ წარმომადგენლებთან ა. ბ. გოლდენვეიზერთან, მ. გ. ნევიჯოთან, ს. რიხტერთან, ე. გილელსთან და სხვებთან ერთად.

საქართველოს კვარტეტის საკონცერტო საქმიანობა მრავალმხრივია. მისი მიზანია კვარტეტული ენარის პოპულარიზაცია, გახადოს იგი ფართო საბჭოთა მსმენელი მასებისათვის ვასაგები. კვარტეტის კონცერტები უწყობა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სუბუშის, საკონცერტო დარბაზებში, კელტურის სახლებში, მუშათა და კოლმეურნეთა კლუბებში.

1950 წლის შემოდგომაზე კვარტეტი მიწვეული იყო სავასტროლოდ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ბერლინში, საბჭოთა კულტურის სახლში, პირველივე კონცერტის შემდეგ ჩვენი კვარტეტისთვის გაემგზავრნენ „ფორტსმირტი“-ის ქარხნის მუშებთან, რესპუბლიკის ქალაქების მშრომელებთან: ამან განაცვიფრა ბერლინელები. „სასიხარულოა, რომ ისინი პირველი კონცერტის შემდეგ გაემგზავრნენ ნაწარმოებში და პროვინციებში, რათა იმევენებინათ ჩვენთვის, ყველასათვის, მაგალითი იმისა, რომ ნამდვილი მხატვრები თავისი შემოქმედების საუკეთესო ნუთებს აკეთებენ სწორედ ხალხს“, — წერდა ბერლინის გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნიგი“ 1950 წლის 2 ოქტომბერს.

საბჭოთა სკოლა შესრულების ოსტატობით დგას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე იგი ზრდის მუსიკოს-შემსრულებელთა ახალგაზრდა თაობებს, არა მარტო თავისი ტყვეების წარსულის კულტურული მემკვიდრეობის, არამედ უცხო-

ეთის კლასიკოსების შემოქმედებითი ათვისების ადვილებლობის შედეგებში.

ჩვენ გვიყვარს, პატავს ვცემთ და კარგად ვიცით უკვდავი ქმნილებანი გერმანული ნაციონალურა მუსიკალური კულტურისა, შემოქმედება ბახის, ჰენდელისა, ჰაიდნის, მოცარტის, ბეთოვენის, შუბერტის და შუმანისა.

უნდა გვანახათ განცვიფრება და აღტაცება გერმანელებისა, როდესაც ქართულმა კვარტეტებმა შუმანის მუზეუმში ყოფნისას, ცვიკაუში, მუზეუმის ექსპონატების გაენობის შემდეგ, შეასრულეს შუმანის კვარტეტი ღია-მაიორი.

საქართველოს კვარტეტს აქვს ინდივიდუალური შემსრულებელთა სახე, რომელიც განსაკუთრებით ნათლად შედგენება ნაციონალური (ქართული) კვარტეტული ლიტერატურის ჩაწვდომასა და რეალისტურ გახსნაში.

კვარტეტის ოთხი მონაწილე — ინდივიდუალური თავისებური მუსიკოსები არიან. პირველი ეიოლინდოცენტი ბორის ჭიაურელი, რომელმაც დაასრულა მუსიკალური განათლება ა. ი. იამპოლსკისთან (გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგი) — ჭიაურელი უკრავს ლამაზი, ოდნავ ექსპრესიული ბეგით, შემდეგი მხატვრული ტემპერამენტით, რიტმული მოდულაციების პლასტიკური მოქნილობით. სუფთა, დახვეწილი ფრაზირება ამჟღავნებს მის კარგ მუსიკალურ გემოვნებას.

გვიო ხატიაშვილი (მეორე ეიოლინი), აღზრდილი თბილისის კონსერვატორიაში (პროფ. ლ. შიუჯაშვილის კლასი) ღირსეული შემსრულებელია ანსამბლისა. განსაკუთრებით დასაფასებელია მისი ინდივიდუალური თვისებები, კვარტეტის ანსამბლის კარგი გრძნობა.

ფენომენალური მუსიკერებით და მალალი ტექნიკით გამოირჩევა ნიჭიერი ალტისტი ალექსანდრე ბეგალიშვილი, აგრეთვე აღზრდილი თბი-

ლისის კონსერვატორიაში. ეს ბრწყინვალე ვირტუოზი ყურადღებას იქცევს ნათელი და მკაფიო ინტონაციით, ძალდაუტანებელი თვალსაჩინო კოლორიტული ბეგით.

ეიოლინელი წარმოდგენილია საქართველოს კვარტეტში ნიჭიერი მუსიკოსის ვიორატი ბარნაბიშვილის სახით. მას ახასიათებს ცალკეული და ანსამბლური შესრულების მაღალი ოსტატობა. გ. ბარნაბიშვილის ეიოლინელი მღერის მეტყველად და ამაღლებულად, ბუნებრივად იწვევს საბასებო ემოციას მსმენელებში.

კვარტეტის მონაწილეთათვის სტალინური პრემიის მიყვანება და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო სახელის მიღება ამ სახელოვანი კოლექტივის შემდგომი შემოქმედებითი ზრდისა და აღმავლობის მძლავრი სტიმულია.

კვარტეტი იბრძვის შემდგომი სრულქმნილი პროფესიული ოსტატობისათვის, იგი ვაღდებულაია მთელი თავისი დამახულობით ისწრაფოს სიძნელების გადასალახაოდ, მის წინაშე დასმული ამოცანის ღრმა იდეურ-მხატვრული გადაჭრისათვის, კლასიკური მეწყვიდრეობისა და საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებითი ათვისებისათვის.

კვარტეტმა უნდა გააფართოვოს რეპერტუარის დიპაზონი ჩვენი სამშობლოს მოძმე ხალხების, და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების კომპოზიტორების საუკეთესო ნიმუშებით.

ჩვენს ქვეყანაში ისეთი კვარტეტული ანსამბლების არსებობა, როგორც არის საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, იმას მოწმობს, რომ ბეთმოვენის, გლაზუნოვის, კომიტასის სახელობის კვარტეტთა ბრწყინვალე პლეადისთან ერთად იზრდება ახალგაზრდა ანსამბლები, ღირსეული მეწყვიდრენი რუსული საკვარტეტო შემსრულებელთა კულტურის მაღალი ტრადიციებისა.

## ბიბლიოგრაფია



კალე ბოზოხიძე — ლექსები (ერთობლივი)

სახელგამი. 1952 წ.



ქართული საბჭოთა პოეზია მთელ საბჭოთა პოეზიასთან ერთად კომუნისტური მშენებლობის ზოგადი რიგებში დგას. იგი შედგება იბრაჰიმის მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების კიდევ უფრო მტკიცედ დარსებითადაც, მთელ მსოფლიოში თავისუფლებისა და ბედნიერების გამარჯვებისათვის, ახალი ომის გამაღმებელია ევრაგული ზრახვების წინააღმდეგ. დღევანდელი ეს უმნიშვნელოვანესი, შავისტრალური თემა განაპირობებს საბჭოთა პოეზიის დამარსმველ როლსა და მნიშვნელობას.

აქედან ბუნებრივია, რომ საბჭოთა პოეტის ყოველი ახალი წიგნის განხილვისას უპირველესად მკითხველის ინტერესი მიმართულია იქითკენ, რომ მან ამ წიგნში თავისი დროის შედეგად მოვლენების, თავისი მალაღი მისწრაფებების შთამავანებელი, პოეტურად განცდილი და ღრმამოციურ სახეებში აღმუშავებული გამოთხილი პოეზის.

კალე ბოზოხიძის ერთობლივი, რომელშიც ავტორის წინასიტყვაობის მიხედვით, შესულია 1926 — 51 წლებში დაწერილი ლექსების რჩეული ნაწილი, უმჯობესად იქცეის ყურადღებას თანადროულობის თემებისადმი პოეტის გულწრფელი გატაცებითა და მხატვრობით. ეს თვისება თავიდანვე დამახასიათებელია კალე ბოზოხიძის ლირიკული პოეზიისათვის. 1930 წელს დაწერილ ლექსში „დღევანე პაიასტანში“ პოეტი წერდა:

გეგანტიერი სურვილი ხალხის  
მიწურ სიფლებს ხდის ქალაქურ კერად,  
თუ არ მიჰყვები მრავალათისებს,  
ვინ დააფანებს ასეთ მომღერალს.

იგი იმთავითვე გრძნობდა, რომ შეუძლებელია პოეზიის განვითარება საბჭოთა ადამიანებთან განუწყვეტელი კავშირის, სოციალისტური მშენებლობის სიღადადის უშუალო განცდის, მასთან ორგანული სიახლოვის გარეშე. 1933 წელს კ. ბოზოხიძე მიმართავდა ლირიკოს პოეტებს: „წერილთ ლექსები გმირულ განცდებით

ლირიკული და ახალ დროისა“. უფრო ადრე კი პირდაპირ გამოხატავდა თავის მებრძოლ განწყობილებას ლექსში „პოლიტიკური გაზაფხული“.

ამ სტრიქონებით, მეგობრებო,  
მსურს ვითხრათ ბევრი:  
— დღეს კრესიერი გრიგალივით  
რეიდს ადგება;  
მეც ყოველ ლექსით ვიბრძვი,  
როგორც პარტიის წერი —  
სადარაჯოზედ მტკიცედ მდგარი  
ბარაკადებთან!

პოეტის ლირიკული შემოქმედება მართლაც გახსნა იდეური გზით მიმართება. იგი ეჭმურება ჩვენი სოციალისტური სინამდვილის ყოველ ახალ მოვლენას, ყოველ ახალ ფაქტს და ცდილობს ჩვენი ცხოვრების სწრაფად და მაჯისციემა გამოხატოს. ერთობლივულში მოთავსებული ლექსების მართოდენ სარჩევის გადათვლიერებაც კი ცხადყოფს, თუ რა შეადგენს კ. ბოზოხიძის ლექსების ძირითად საგანს. საბჭოთა საშობლოს წარმტაც სილაშხე და უძლეველობა, დიდი სტალინის ვენაღური წინამძღოლობით ჩვენი ქვეყნის შეუჩერებელი წინსვლა კომუნისტური, მშვიდობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომის სიღადად, საქართველოს განახლებული სახე — აი, თემები კალე ბოზოხიძის ლექსების უმეტესი ნაწილისა.

სტალინი — მთელი მსოფლიოს ხალხთა საყვარელი ბელადი და ჩაუქრობელი იმედი, — არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიოს პროგრესული, მოწინავე, დემოკრატიული ლიტერატურის აღმზნები და შთამავანებელი თემა. ქართულ საბჭოთა პოეზიაში მრავალი მალაღი პოეტური ნაწარმოები შექმნილია სტალინის თემაზე. კ. ბოზოხიძე ლექსში „სტალინი“, რომლითაც იხსნება ერთობლივი, ახერხებს უბრალო, მგარამ ღრმამოციური სახეებში ჩაქსოვის სტალინისადმი ხალხის

უსახლგრო სიყვარულის წრეელი ვრძნობა, ლექსი იწყება ხალხური უშუალობისა და სისადავისათვის დამახასიათებელი, ლირიკული სტრიქონებით:

არ უყვარდ ველოთა,  
ჩვენი მხარეში ვინ არი,  
ჩვენი მაცოცხლებელი,  
მზე ხარ, შექმომდინარი!

შემდეგ პოეტი გვიჩვენებს, რომ სტალინს, როგორც ხალხის პირველ რჩელსა და საყოველთაო-სახალხო დეპუტატს, ხმას აძლევს „ბუნდური და მდიპარი“ საშობლო, „მტერთა მძღველი“ დიდი რუხი ხალხი, „კლდიდან ჩამომდინარი“ ჩანჩქერი, და ზერმეხტად აბიბინებული „საქართველოს ტყეველი“, ტაჯიკი და ყირგიზი, ბელორუსი და სომეხი, მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყანა:

რამდენ ხმასაც მიიღებ,  
კვლავ იმდენ წელს გვახარებ,  
ჩვენი ველიც ჩვენი ხმაც  
შენ ბრძენსა და საყვარელს!

ასევე პოეტური შთავგონებითა და გააზრებით არის დაწერილი ლექსები „ლ. პ. ბერიას“, „მშვიდობის დილა“, „ლენინის ქეჩი — კაროვის ბაღში“, „მეზღეაური“ და სხვ.

დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ანს. ლ. პ. ბერია ქართველი ხალხის განსაკუთრებული სიყვარული სარგებლობს. ანს. ლ. პ. ბერიას სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის განახლება და აყვავება, ქართული კულტურის არსებული წინსვლა და განვითარება. ამიტომ გულში ჩაიწვიღოთ და ვაისმის პოეტის სიტყვები:

გაზაფხულდა, ფოთლებს ისხამს ვარდის  
ღეროც,  
საბუნარი ოქროს ცეკრით ნამულია  
და ჩონჯურის სიმი შენზე სასიმღეროდ  
თბილისიდან მოსკოვიმდე გაბმულია.

იმპერიალისტ ავიზაციების რისხვად ვაისმის მთელ შროფლიოში მშვიდობის მომხრეთა უძღველი ხმა. მსოფლიოს საუკეთესო ძალები ენერჯიტულად იბრძვიან მშვიდობის საქმას გამარჯვებისათვის, ინგლის-ამერიკის ყაჩაღური იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ. მშვიდობისათვის ამ გმირულ ბრძოლაში მთელ სამკოთა ხალხთან ერთად ჩამბულია ქართველი ხალხიც:

ქართველი, მომე ხალხებთან ერთად,  
მედამ ეტრფოდა მშვიდობის დილას,—

და არასოდეს სხვის დისაჩაგრად  
იპისი ხმალი არ ამოწვდილა,  
ჩვენი ოცნება იყო მარადეაზს  
გამარჯვებული მშვიდობის დილა.

სსრ კავშირი დგას, როგორც კომუნიზმის შექტრა, რომელიც გზას უნათებს მსოფლიოს დანაგრულ ხალხებს თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ. ამით გაბორტებული მტრეაც კვლავ ლომობენ „გადმოალაჯონ საზღერებს“, შეაფერხონ ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ. პოეტის ჩწმენით მტრების ეს ცდა განწირულია, „რადგან გვინათებს შექტურასათვის ბრძენი ბელადი, გმირი ლომველი“, რადგან „გამარჯვებული გმირი თაობა დიდი სტალინის დროშას დარაჯობს“. ლექსში „მშვიდობის დილა“ პოეტი წერს:

ჩვენი ოცნება არის მარადეაზს  
კაცობრიობის მშვიდობის დილა.

ერთბრმეულში პოთაცხებულ ლექსებს შორის იშვიათად ნახავთ ლექსს, რომელიც დღევანდელიობას გვაშორებდეს, ყოველდღიურ მოუღენებსა და ამბებს არ ემბურებოდეს. ეს როდია ცუდი. მაგრამ ამასთან ერთად არ შეიძლება ჩვენი შთაბეჭდილება გულწრფელად არ გავუზიაროთ პოეტს, რომლის 25 წლის პოეტურ მოღაწეობას ლირიკის დარგში ერთგვარად აჯამებს კოლეც ეს ერთბრმეული. უწინარეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ პოეტის მხატვრული ინდივიდუალობა რამდენადმე დანგრეულია ერთბრმეული წარმოდგენილ ზოგერთი მიძღვნიით ხასიათის ერთფეროვან ლექსებში, რომლებიც დაწერილია, როგორც ჩანს, მომენტის შესაფერისად, კოლმურჩეობაში თუ რომელიმე ქალაქში გადის შედეგად, ღრმა პოეტური განცდის, გააზრების, შთაბეჭდილებათა განზოგადოებისა და შალღ-მხატვრულ ემოციურ სახეებში ჩამოყალიბების ვარეშე. ამ ლექსების უმეტესი ნაწილი ტრაფარეტულია. საილუსტრაციოდ საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ორი ლექსი „სოფელი შრომა“ (მიძღვნა სოციალისტური შრომის გმირს შ. ორაველიძეს) და „სიმღერა ორგზის სოციალისტური შრომის გმირ პ. სვანიძეს“, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ პოეტის შემოქმედებითი სტილისათვის დამახასიათებელი „ექსესურები“. ლექსი „სოფელი შრომა“ ასე მთავრდება:

ტყვენ საღამო, სოფელი შრომის  
ავაკციებო  
ღღვრებელიობა გმირთა მაჯას და მარჯვენას,  
სიღამს გიძღვნით სიხარულით, აღტაცებით,  
კვლავ გისურვებთ სიცოცხლეს და  
გამარჯვებას.

ახლა მოვეხმინოთ სოციალისტური შრომის გმირ პ. სვანიძეზე დაწერილი ლექსის ბოლო სტროფებს:

რა გიმღერო იმში წითლილ შრომელ  
ვაჟაკს,  
რომ შენსავით მეც საშობლო  
ვაჟაკიყო?

სალამს გიძღვნი, სიყვარულით გეტყვი ვაჟს  
მეომარო, სასახლო შრომის გმირო!

ჩვენ სივანეზოდ მივაქციეთ ყურადღება კ. ბობოხიძის პოეტური ენის ლექსიკას და გა-  
მოირკვა, რომ „სალამს ვიძღვნი“, „ოქვენ  
სალამი“, „მოვესალმებით“, „ვაჟა“ და სხვა  
ასეთები ხშირად შეირადება, რაც ერთგვარ  
ჩრდილს აყენებს პოეტის ენას.

ლექსი „საღამო ოპაშირეში“ მოკლებულია  
სათანადო პოეტურ სიმახილესა და გააზრებას.  
თავისთავად ლექსში თითქმის ყველაფერი რიგ-  
ზეა, ოპაშირეში. მშვიდი და წყნარი საღამო.  
პალმებისა და ევკალიპტების შრიალი ბაღში.  
შორით დაღიძვას ზიდი ელვარებს. ვაზზე სიმ-  
ღერით მიდის ცირა-ცარე „ზევის ლავარდის  
ვარსკვლავის დარი“ (ვაუგუბარია, რას ნიშნავს  
„ლავარდის ვარსკვლავი“), ზღვა ბრწყინავს  
და... „რაკომის შენობის სარკმელს ეიღვრება  
ზეფური ნახი“. ყველაფერი ამას პოეტი ზე-  
დაეს, როცა ის ოპაშირის პარტიის რაიონული  
კომიტეტის შენობიდან სივრცეს გასცქერის.  
ნუთუ პოეტმა სხვა ვერაფერი დაინახა ვანო-  
ვადოებისა და პოეტური შთაგონებისათვის?

პოეტს მართებს მეტი შემოწმა იდეურად მახ-  
ვილი და მხატვრულად სრულყოფილი ლექსის  
შექმნისათვის.

ერთობელში გვხვდებიან მოგვების საღებო  
დაწერილი ლექსი, რომლებსაც გადაშვებებს  
ესაქტირობოდა. მაგალითად, ლექსში „სიყვა-  
რული“ (1934 წ.) გვითხვობთ:

იქნებ ბრძოლაში ვაგხდი უბეში,  
მაგრამ ეს გული სარკვა წმინდა,  
არ მინდა შეყვდე ცოლი უღელში ი,  
მაგრამ მზურვალე ალურსი მინდა.

„ცოლი უღელში“ ვულგარული გამოთქმა.  
ასევე ერთგვარ ემოციურობას მოკლებულია  
„ჩინელის ლექსში“ მოთავსებული სტროფი:

ღღემ გავეიმეტა, ჩამოწვა სიციხე,  
მოგვდის ოფლი და გვიბმება(ი) სისხლი,  
ცა მოწმენდილი წითელ ფერს იცხებს(ი),  
როცა ჭრილობის იარას ვისწნით.

კალე ბობოხიძეს შეუძლია ქართულ საბჭო-  
თა ლირიკულ პოეზიას ზევით კარგი ნა-  
წარმოები შემატოს, თუ ის უფრო მეტი გულ-  
მოდუნებით იმუშავებს ლექსის მხატვრული  
ფორმის ამაღლებაზე და თავს დააღწევს ერთ-  
ფეროვნებას. ამის ძალა და უნარი კი პოეტს  
უთუოდ შესწევს.

პ. თოფჩაია

ხუბა ბირსულავა „რუსული გული“.

საბჭოთა მწერალი 1952 წ.

ხუბა ბერძულავს წიგნი, რომელშიაც შეტა-  
ნლია ლექსები და პოემა „რუსული გული“,  
პოეტის ზრდის აშკარა მაჩვენებელია. პოეტის  
ლირიკული სამყარო მდიდარია. პოეტს ახასია-  
თებს ცხოვრების მოვლენების არა პასიური  
ჭერება, არამედ მათდამი აქტიური დამოკიდუ-  
ბუნება, უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ-  
ი მოვლენები განკლდითა პოეტურად. პოეტი  
მთელა თავისი არსებით ეხმარება ამ მოვლენ-  
ებს და ცდილობს ისინი აიყვანოს მხატვრულ  
განზოგადებად. მისი ლექსი „მიხილ ქიაუ-  
რული ამერიკაში“ პოლიტიკურ პოეზიის საინ-  
ტერესო ნიმუშს წარმოადგენს. აქ ყოველი სიტ-  
ყვა, ეპითეტი, მეტაფორა ემსახურება ერთ მი-  
ზანს — იმპერიალისტური ამერიკის ხელოვნების  
დაცემის, გახრწნის სურათის ჩვენებას; იგი  
მძაფრ პოლიტიკურ სატირას წარმოადგენს.

შემთხვევითი რაღია, რომ პოეტი პიტლერუ-  
ლი გერმანიის რაიხსტაგს ექავშირებს თეთრ  
სახლს:

„რაიხსტაგთან ერთად ძრწოდა  
თეთრი სახლი გულშაგი“.  
„პირსავე რაიხსტაგს ლეწდა და გრძნობდა  
რომ ვრცეოდნენ თეთრ სახლს სვეტები“.

ღღეს ამერიკელი იმპერიალისტები გერმანე-  
ლი ფაშისტების მსგავსად ოცნებობენ მსოფ-  
ლიოს დამონებაზე, ისინი ეწევიან რასობრივი  
თირობისა და ახალი იმის პროპაგანდას, პოეტი  
ამბობს:

„ეკერაც აინია ჩვენს მზებრულ ჩემს  
ვერობის მიწის ტალახის ფერი,  
და შენ კი უკვე თსზეა იმის გეგმას  
მომაკვდავ მხეცის ჭანგანს შერით.  
დოლარზე ლოცვით და პირჯერის წერით  
წერ მილიონთა მილიონს გუჯარს,  
ერთი წამით რომ შეგვისწანა ხელი  
შენ დედამიწას მთლად გადარუჯავ“.

როცა პოეტი წერს მშრომელთა შესახებ, წერს საბჭოთა ადამიანზე, ლექსი გამთბარია სიყვარულის მაღალი გრძობით. წარფელი ღირსი, პოეტური უშუალოა ახასიათებს „მალაროელის ნათურას“.

საბჭოთა ადამიანების ურთიერთმეგობრული დამოკიდებულების თემამ მშვენიერი განსახიერება პოეტი ლექსში „მეფთიაქე“. მთხუცი მეფთიაქე მუდამ იმას ცდილობს, რომ ავადმყოფის ახლობელი ადამიანი ანუ გემოს, გული გაუთბოს.

მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად ნახავთ ომში მკლავდაკარგულ ვეჯაკის სურათს, მის ვანცდებსა და თავდადასავალს. ეს თემა ძველია, მაგრამ პოეტმა მას ახალი სხივი მოაფინა, მოგვცა მისი ახლებური, კემმარტად პოეტური გააზრება:

„მე შეგამჩნიე როგორ დეღადო,  
რომ ამომიდექი ძმასავით მხარში...  
მავლოდემზე იდგა ბელადი  
და მის დიდებას გრავინავდა ტაში.  
გრავინავდა ტაში და შენც ამაოდ  
დაეკვას ცდილობდი ერთადერთ ხელით.  
მამინ პირველად იგრძენი, ძმარ,  
უმარჯვენობის ტკივილი მწველი!  
მშობლის თვალს შვილი დარდს დაუმაღავს?  
მან ტრიბუნიდან შეგინშნა ხალხში,  
და სტალინგრადთან ნაწრით გულმამაც  
თვითონ სტალინმა დაეკრა ტაში“.

ომში მკლავდაკარგული ვეჯაკი, რა თქმა უნდა, სხვა დროსაც იგრძნობდა ხელის უქონლობას, მაგრამ „უმარჯვენობის ტკივილი მწველი“ მან მამინ იგრძნო პირველად, როცა ტაშის დაკრით სურდა გამოეხატა სიყვარული ბელადისადმი. ამ შტრიხით ავტორი გვაგრძნობინებს იმ უსაზღვრო სიყვარულს, რომლითაც ბელადისადმი სავსეა ყოველი საბჭოთა მოქალაქის გული. ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში მნიშვნელოვანი აზრია გამოსახული: „თვითონ სტალინმა დაეკრა ტაში“, ამბობს ავტორი, ეს მხოლოდ მამობრივი სიყვარულის გამოხატულება როდია. აქ მოკმეულა საბჭოთა საზოგადოების კეთილშობილება, პუმანიზმი. საბჭოთა საზოგადოებაში უმარჯვენობის გამო არ დაიჩაგრება ის, ვინც საბჭოთა კვიუნიის პატრიოტი, მისი ერთგული შვილია, გვეუბნება პოეტი.

კარგი ლექსებია „ელადიმერ ლენინს“, „ხალა მედროშისა“, „ჩვენა ბერია“, „ხალხის ენა“, „მართათი სამგორიდან“, „ვარსკვლავებს მიწყდა ვარსკვლავი“ და ა. შ. დასახელებულ ლექსებში ხტა ბერულავა მიჩანს როგორც მნიშვნელოვანი თემების ნიჭიერი პოეტი. ბერულავას პოეტური ფრაზა ნათელია. იგი

ერიდება ბუნდოვან გამოთქმებს, მეფრა-ლა თუ ბრწყვიალა სიტყვებს, ნაცნობ მტრად ფორებს. მისი ლექსების უმარჯვენობის ნიჭიერიად შეარქვია, ლექსს წმინდასი გარკვეული სიუვეტი, ყოველი სიტყვა ემსახურება მთავარი აზრის მხატვრულ გასნას. პუშკინის სიტყვებით რომ ვთქვათ, სინუსტე და ლაონიერობა ახასიათებს პოეტის ლექსების უმარჯვენობას. წიგნში შეტანილია რამდენიმე შედარებითი სუსტა ნაწარმოები. ასეთებია: „რომ შენ იმღერო“, „უცნობ ქალი-შვილს“. ამ ლექსების თემა ძველია, არ იგრძნობა მოვლენათა ახლებური გააზრება, პოეტური ხერხების სიახლე.

• •

„რუსული გული“ ინდუსტრიულ თემაზე დაწერილი საკმაოდ ვრცელი პოემაა. უნდა ითქვას, რომ ამ თემაზე არ მოგვემოგება ბევრი ნაწარმოები. პირველი საბჭოთა პოეტი, რომელმაც გენიალურად უმღერა ინდუსტრიულ შრომას, იყო მიაკოვსკი. ამ თემაზე ერთ დროს წერდა კაზინი, მაგრამ მას არ იზიდავდა ქარხნის, ფაბრიკის ცხოვრება, იგი უმთავრად ასახავდა წერილი ბელონის, ოსტატის შრომასა და ცხოვრებას. მეტალურგიული ქარხნის ცხოვრება ასახა პოეტმა ლუკონინმა პოემაში — „სამუშაო დღე“. ამავე თემას ეხება ხტა ბერულავას პოემა „რუსული გული“. ბერულავას პოემაში ასახულია ქარხნის ცხოვრება, მაგრამ ამით არ ვხარბობთ მისი იდეური შინაარსი. პოემაში გატარებულია ხალხთა სტალინური მეგობრობის იდეა. ქართული კუბუკები სტალინგრადის მეტალურგიულ ქარხანაში ეუფლებიან ფოლადის გამოღობის საქმეს, რათა შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოს და რუსთაის ქარხანაში განაგრძონ მუშაობა. ქართველ კუბუკებს მამობრივი მზრუნველობით თავს დასტრიალებს რუსი ოსტატი ფროლოვი. ფროლოვი მიმზიდველი სახეა კომუნისმის ტიპური მშენებელისა, მისი ერთუხისტისა, ფროლოვის სახით ავტორმა დახატა დიდი რუსი ხალხის საუკეთესო თვისებები, მისი სულიერი სილამაზე, სილაღე, სიღრმე. ფროლოვისა და ქართველი კუბუკების ურთიერთობაში ავტორმა ჩააქსოვა შემდეგი აზრი: ქართველები დიდი რუსი ხალხისაგან სწავლობენ კომუნისმის მშენებლობის რთულ და საპატოო საქმეს.

სტალინგრადის გმირული წარსული, ფაშისტური ურდოების შემძუსერელი ქალაქის შეუდარებელი სახე და მისი ომისშემდგომი ცხოვრება სტალინის სახელთან არის დაკავშირებული. კეთილშობილთ პოემას და ეგრძნობთ, რომ ბელადი მუდამ ჩვენთან არის, ავირდება



ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას, გვარიგებს, გვასწავლის, გვაფრთხილებს, მშობლიური სიყვარულით გვათბობს და გვიჩაბებს კომუნისტების უმწვენიერესი მწვერვალებისაკენ.

ფროლოვის მოწოდებს წართველ ქაბუჯს ვანოს შეუყვარდება ფროლოვის ქალიშვილი მამა, მამა თანატერმობს ვანოს, მგებობობა ასე გადადის ნათესაობაში. ვანო პირველად თვალს რომ მოჰკრავს ფროლოვის ქალიშვილს, წამოიყვირებს: დალი! აქ თითქოს ავტობუს ხაზს უსვამს ქართველი გოგონასა და ფროლოვის ქალიშვილის ფიზიკურ მსგავსებას. მაგრამ, არა, ამ ხერხს შეგნებულად, რამდენჯერმე მიმართავს ავტობუს, იგი ამით აქაც ხაზს უსვამს ქართველისა და რუსის სულიერ ნათესაობას, ინტერესთა ერთიანობას.

მკითხველის ყურადღებას აპყრობს პოემის შესავალი. ეს არის ერთ-ერთი უძლიერესი ადგილი, სადაც მოვეხებები დიდი პოეტური სიღრმითაა გააზრებული. ფაშისტებთან ნაბრძოლი საბჭოთა ტანკი ამაყად დგას მარშარტის კვარცხლბეკზე და გადაჰყურებს ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას, ჩვენი მიღწევები ახარებს მას როგორც ცოცხალ ადამიანს. იმეე გლდა დღეფილი „მტრის ორი ტანკი ორი უჩაჩული“. კვარცხლბეკზე მდგარ საბჭოთა ტანკში სიმბოლიურად მოცემულია ჩვენი სამხედრო ძლიერება, ჩვენი მუდამ მზადყოფნა სოციალიზმის ქვეყნის დაცვისათვის. ომგაბადილი საბჭოთა ხალხი შეუდგა მშვიდობიან ცხოვრებას, კომუნისტების მშენებლობას, მაგრამ ამავე დროს იგი თვალს ფხიზლად ადევნებს ომის გამაჩლებელთა ბნელ საქმიანობას. მსოფლიოს დაპყრობის იდეით შეპყრობილი პიტლურული გერმანიის ურდოები ვანადგურა საბჭოთა არმია. ასეთივე ბედი ელის ყველას, ვინც პიტ-

ლურს მიმბაძავს და თავისუფლებისმოყვარე, ამაყ საბჭოთა ხალხის დამონებას მოაწოდებს. კვარცხლბეკზე მდგარ საბჭოთა ტანკის შესახებ ავტობუს ამბობს:

„მას არ აშინებს ღრუბელი მრუმე  
განა ენაგი აქვს, განა მანკი აქვს,  
ახლოს რომ იყოს, ვეტყვი ტრუმენს:  
— დამშვიდდი, თორემ ეს ის ტანკია.“

პოემაში ვხედავთ ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანებს. კარგად არის დახატული ოსტატი ფროლოვი, დამლაგებელი ანა, ქარხნის დარაჯი. პოემის სიუჟეტს აკლავ დინამიკობა. პოემა უთუოდ მოიგებდა, რომ ავტობუსში მგეტი დრამატისში შეეტანა, უფრო გაეღრმავებინა ის ადგილი, სადაც ვანო ფოლადის გამოღნობის საქმეს ეუფლება, როგორც ვთქვით, ავტობუსმა ცოცხლად, დამაჯერებლად დაბატა ქარხნის დარაჯი. დარაჯმა უსაშუალო ქარხანაში არ შეუშვა ქართველი ქაბუჯი. ამით პოეტმა შესანიშნავად თქვა ის, რის თქმაც უნდოდა. ხოლო შემდეგ დარაჯის მაღალფარდოვანი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქარხანა მისია, უყვარს ქარხანა და „კომუნისტის საქმეს დარაჯობს“, ვფიქრობთ, ზედმეტია.

საბჭოთა პროფესორი, რომელიც ყოველდღიურ დახმარებას უწყებს მეტალურგებს, პოეტს მეტი სისასებით უნდა დავხატა. მკითხველს სურს დაინახოს წარმოებაში უშუალოდ ჩაბმული პროფესორის კონკრეტული საქმიანობა.

საერთოდ, პოემა „რუსული გული“ საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებია.

ანდრო ლომიძე

სოფრომ მგალობლიშვილი „რჩეული მოთხრობები“

სახელგამი. 1951.



ამ კრებულით სოფრომ მგალობლიშვილი პირველად წარმოადგა ქართველ მკითხველის წინაშე ასე სრულად და სქელტანიანი წიგნი. მასში თავმოყრილია მწერლის უმოაერესი ქმნილებანი, რომელთა უმეტესობა გაფანტული იყო სხვადასხვა პერიოდულსა და ცალკე გამოცემებში.

მართალია, სოფრომ მგალობლიშვილის რჩეულ თხზულებათა კრებული 1926 წელსაც გამოიცა ორ პატარა წიგნად თედო სახოკის რედაქციით, მაგრამ ის ვერ მოიცავდა მწერლისათვის დამახასიათებელ ყველა მოთხრობას.

სარეცენზიო კრებულის გამოცემით საგრძ-

ნობი ნაბიჯია გადადგმული სოფრომ მგალობლიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისა და მისი კრიტიკული ათვისების მხრივ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გამოცემაში შეტანილია ს. მგალობლიშვილის ყველაზე ვრცელი თხზულება „წარსულიანი“, რომელიც, მართალია, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, მაგრამ იმდენად განვითარებულია და მატერულად შესრულებული, რომ საყსებით მართებულია მისი მოქცევა რჩეულ მოთხრობათა ციკლში. ეს მოთხრობა ავტობიოგრაფიულად ეურნალ „მომბეში“ (1898 — 1900 წ.წ.) დაბეჭდა. მაგრამ, იმის გამო, რომ მასში მხილუ-

ბული იყო გასული საუკუნის 60-იანი წლების ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა, სკოლებში გაბატონებული სწავლების რეაქციულ-რუსიფიკატორული ღონისძიებები და შახინჯი მეთოდები, მეფის დაგვილი აგენტების პარპაში საქართველოს სკოლებში და, განსაკუთრებით, სასულიერო სემინარიებში, ცენზურამ იგი ძალზე შეეკუცა, მთელი რიგი თავები მოთხრობიდან ამოიღო. სარეცენზო გამოცემაში კი იგი აღდგენილი და გათლიანებული სახით ეძლევა მკითხველს.

ამ კრებულში მოთავსებულია, აგრეთვე, მოთხრობები: „დედამაია“, „ღამის მებრეცეპი“, „ცერცევი“, „გმირისეული ქალი“, „მეველე“, „დემეტრეს სახლობა“, „მთიული სოსე“, „წითელი სარჩული“, „ჯორ-ჯაქარა“, „საფლავში ჩამომხაზე“, „შელა“ და „და შებდიეს“. სოფრომ მგალობლიშვილის საბავშვო მოთხრობებიდან კი კრებულში შეტანილია „თინას ვიწრო“, „ყაიბას ქურდი“, „მწერათობა“, „ტყევი“, „აღარ შემოღიან“, „პირველი სისხლი“ და „უკვდავების წყარო ვარ“.

კრებულიდან მწერალი გვეხატება, როგორც ყველაზე უფრო ტიპური წარმომადგენელი ქართული ხალხისნური მიმართულებისა და ერთერთი შესამჩნევი ფიგურა ქართველ ხალხისათა იმ პლუდასა, რომლის აქტიური და გამოჩენილი წევრები იყვნენ — სტ. შრელაშვილი, მიხ. გერგენიძე, ეგნ. იოსელიანი, ნ. ხიზანიშვილი, ნ. ლომოური, ზაქ. გელისაშვილი, ან. ფურცელაძე, გ. გაბაშვილი და სხვა ცნობილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, განსაკუთრებით ეფრ. „იმედის“ გარშემო დაჯგუფებულნი.

ეს ის ჯგუფი იყო, რომელმაც ე. წ. „ნაროდნოეული“ მიმართულება, „ხალხში გასვლა“ დანერგა. ვ. ი. ლენინის განმარტებით, თავის დროზე ამ ჯგუფის მოქმედება რევოლუციური და პროგრესული იყო, რამდენადაც ისინი „აყენებდნენ ზოგადდემოკრატიული მოთხოვნებს, ვ. ი. ბრძოლდნენ შუა საუკუნეების ეპოქისა და ბატონყმობის ყოველივე ნაშთის წინააღმდეგ“.

ხალხისნურ მოძრაობას, მართალია, საქართველოში იმდენად დიდი სარბიელი და რეზონანსი არ ჰქონია, როგორც რუსეთში, მაგრამ მას ერთგვარი გამოხატულება მაინც ჰქონდა გარკვეულ პერიოდში ქართველ „არანოინისურ“ ინტელიგენციაში. სოფრომ მგალობლიშვილი ის ქართველი „არანოინისეცი“ იყო, რომელიც გენერალდვალად გაიღო ხალხში, როგორც საზოგადო მოღვაწე. მწერალი და სახალხო მასწავლებელი. მისმა კალამმა ახალ იდეური მიმართულებით გააღწიოლი და თემატურადაც ახალი მხატვრული სახეები, ზასათები და ტა-

ბები შესძინა საზოგადოათის-ნობმოციან წლების ქართულ პროზას.

კრებულს წამოღებულნი აქვს პირობა, ვთავაზიშვილის კრეცილი შესავალმ წერილმ, რომელშიც გადაშლილია სოფრომ მგალობლიშვილის ცხოვრება, მოღვაწეობა და მისი მხატვრული შემოქმედების კრიტიკული ანალიზი. წერილში სარწმუნო საბუთებისა და პირველწეარობის გამოყენებით გაშუქებულია მწერლის ბავშვობის, მოსწავლეობის და განსაკუთრებით თბილისის სასულიერო სემინარიის პერიოდები (60—70 წ.წ.), მისი სამწერლო ასპარეზზე გამოხვლის ზანა (1872 წ.) და ვორელი ხალხისნულის მოღვაწეობა, მათი გაქტივრება და ახლო ურთიერთობა რუსეთში მოქმედ ქართველ ნაროდნიკებთან (ივ. ჯაბაძარი, ალ. ციციშვილი, ვ. ზდანოვიჩი და სხვ.). ავტორის დამაჯერებლად აქვს გარკვეული და დადგენილი ახალგაზრდა ბელეტრისტის — სოფ. მგალობლიშვილის უშუალო მონაწილეობა ხალხისნათა ამ საიდუმლო წრეების კრებებსა და კონფერენციებში. ამის შემდეგ წერილში თანმიმდევრულად დადგენილია სოფ. მგალობლიშვილის თანამშრომლობა ჯერ ეფრანალ — „იმედში“ (1881—2), შემდეგ ვახუთ „დროებაში“ და საბოლოოდ კი ილია ქავკაძაის ვახუთ „ივერიაში“ (1886 წ.).

შესავალი წერილის მეორე და უმთავრესი ნაწილი დამოხილი აქვს მწერლის მხატვრული შემოქმედების კრიტიკულ ანალიზს. მისში საკმაოდ ფართოდ გარჩეულია წიგნში მოქცეული თითქმის ყველა მოთხრობა. დამაჯერებელია ავტორის არგუმენტაცია და აქედან მიღებული დასკვნა, რომ სოფრომ მგალობლიშვილი „ხალხისნური“ ლიტერატურის ყველაზე უფრო პოპულარული წარმომადგენელია საქართველოში... მისი მხატვრული შემოქმედება თავის იდეურ-პოლიტიკური ზასათით, მთავარი თემატი და მეთოდით ხალხისნური მწერლობის ყველა ტიპიურ მომენტს შეიცავს. მის მკაფიოდ ასახა რევოლუციამდელი ქართველი გლეხობის შრომისა და ბრძოლის მრავალი ეპიზოდი, მაგრამ თუ ზოგჯერ ის ღრმად ვერ სწავლობდა გლეხთა მოძრაობის ძირითად კანონებს, სამაგიეროდ მათი ცხოვრების ასრებული სინამდვილე. მათი ვანქლები და მისწრაფებანი გადმოცემული აქვს დიდი ცოდნით და სიმართლით“.

ავტორის ეს დებულება კარგადაა გაშუქებული. ს. მგალობლიშვილი, როგორც ხალხისანი მოღვაწე, მხოლოდ სწავლა-განათლების ფართოდ გავრცელებაში ხედავდა შრომიელთა ხსნას. როგორც უმბლიციტი და მოაზროვნე, იგი გრძნობს სოციალური უკუღმართობის თანდთანობით გაშწივებას, კლასობრივ წინააღმდეგობათა სულ უფრო და უფრო გააფთრებას, მაგრამ, როგორც ეს ყოველი ტიპიური ხალხის-

ნისათვის დამახასიათებელია, იგი ვერ აღის კლასთა ბრძოლის სწორად გაგების სიმალღე-მღე, მას მთავარ ძალად ამ ბრძოლაში კერძო საკუთრების მოპოებისა და გამდიდრებისათვის მებრძოლი გლეხი მიანისა, ის ვერ ამჩნევს ახალსა და წამყვან ელემენტს, იმ ხანებში უკვე საკმაოდ გააღიერებულ ძალას — მუშათა კლასს.

ამავე პოზიციებზე დგას ს. მგალაბლიშვილი როგორც მხატვარი. ამ მხრივ მეტად კოლორი-ტულია და გლეხთა განთავისუფლების იდეების მხატვრული სიძლიერით და ექსპრესიით გად-მომცემი „ჯორ-ხაქარა“. იგი ნამდვილი მატია-ნჯა ბატონყმური ურთიერთობის უკანასკნელი პერიოდის ზეენი ქვეყნის ცხოვრებისა. მოთხ-რობის მთავარი გმირები — თავადი მარტუშიძე და მისი ყმა ზაქარია ჯიღაური დაუნდობლად ებრძვიან ერთმანეთს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ზაქარიას უკვე აქვს ვაგონილი — ბატონყმობა მალე უნდა გადავარდესო, რაც მამამის — პეტრესაც ვაუგონია ისეთი სარწმუნო პირისა-ვან, როგორც იყო „ვლუხარინი“ (დრამატურ-გი გ. ერისთავი).

ამ საკითხის ირგვლივ ზაქარიამ ისიც კი იტოლა, რომ, მართალია, ბატონყმობა გადავარ-დება, მაგრამ მიწა გლეხს არ მიეცემა და... „ესლა რამდენსაც დავერყეოთ, იმდენსა ეხნათ, შერე, თუ ბატონმა არ მოიპრიანა, ერთ კვალ-საც არ მოვახვენეინდესო... არა, თვალი სხვანა-ირად მითამაშებს, გული სხვაფრთვ შემომქვე-ნისო“, — იძახდა ზაქარია.

ბატონყმობა მართლაც გადავარდა, მაგრამ ამან ვერ უშველა ვერც ზაქარიას ოჯახს და ვერც მთელ სოფელს, მამული მარტუშიძის ხელში დარჩა, მან კი „ეგზეკუციით“ და ვაი-ძევრა მოურავის შეშფობით „ტყევი გააძრო“ მთელ სოფელს, ხალხი, რომელსაც თანდათან უჩნდებოდა თითოთროლა ქიშკი და მოციქუ-ლი, „ღელავდა, ბოზობობდა და გაისმოდა კი-დით-კიდემდე: „მიწა და თავისუფლება“. ასუ-თია ძირითადი ხაზი და უმთავრესი მოტივი ს. მგალაბლიშვილის პროზისა.

წიგნს დართული აქვს რედაქტორის შენაშე-ნები და ლექსიკონი. პირველში მოცემულია

უმათერესად ბიბლიოგრაფიული ცნობები, თუ რომელ წელს შექრის რა მოთხრობა — ან — კრე-ბული დაბეჭდილა, სად და ვინ და რა დროს და-ლა იგი, ან კიდევ, რომელი ცალკეული ნაწარ-მოები რომელ პერიოდულ გამოცემაში მოთა-ვსებულა და როგორი სახით, რედაქტორი სწო-რად მოქცეულა, რომ ამ გამოცემისათვის თვით-ავტორის მიერ გამოცემული ტექსტები დაუდ-ვია საფუძვლად, როგორც საბოლოო რედაქ-ციები.

ლექსიკონში განმარტებულია ის კუთხური სიტყვები, რომლებითაც ბელეტრისტი უხვად სარგებლობს და რომლებიც რედაქტორს ზემო-ქართულურ (თუმცა ს. მგალაბლიშვილი შეიძ-ქართულადა) დიალექტად მიუჩნევია. სწორად არ მიგვაჩნია ზოგიერთი განმარტება, მაგ. „ტუ-ცერი“ განმარტებულია, როგორც სასრული ია-რალი, ციხის თოფი. ნამდვილად კი იგი შევიცა-რული, შტუცერის სისტემის შაშხანა თოფივ აქტივი“ ეფრო ჩანგალი უნდა იყოს ვიდრე „პინცეტ“. „ალი“ თურქული სახელია და არა მხოლოდ ალის მოძღვრების მიმდევარი ოსმალ-და ა. შ.

ფაქტობრივ შეცდომა კონსტანტინე მამაცა-შვილის ეფრნალისტად მოხსენიება (გვ. V). იგი გენერალ-ლეიტენანტი იყო და ცნობილი საზო-გადო მოღვაწე. მართალია, მან მეგობრების თხოვნით 1884 წ. დაწერა და „დროებაში“ დაბეჭდა მოგონებანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე და სხვა სახის შენიშვნებსაც ათავსებდა ეფრ-ნალეში ხანდახან, მაგრამ ამით მისი მონააუ-ლა ეფრნალისტად უმართებულა. წიგნში შეი-ნიშნება აგრეთვე კორექტორული და სხვა ტექ-ნიკური ხასიათის უსწორიბანი.

ზოგიერთი მოთხრობა („ღამის მებრე ცეცო“, „ღელა-შაია“, „ჯორ-ხაქარა“ და „უაიტას ქერდი“) მოზღვნილად არის ილუსტრირებული მხატვარ გ. აბულედიანის მიერ. წიგნს დართუ-ლი აქვს სოფ. მგალაბლიშვილის ფოტოსურბ-თი. წიგნის სატიტულო ფურცელი და უდა გა-ფორმებულია მხატვრულად.

სოლ. ცაიხვილი.

Г. ТАЛИШВИЛИ. ГОГОЛЬ В ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ.



გოგოლის იუბილესთან დაკავშირებით „Взря Востока“-მ გამოსცა გ. ტალიაშვილის წიგნი „Гоголь в грузинской литературе“. წიგნის სათაური „გოგოლი ქართულ ლიტერატურაში“ აფიქტებინებს მკითხველს, რომ ავტორს უნდა

გაერკვია საკითხი, თუ როგორ აითვისა ქარ-თულმა ლიტერატურამ გოგოლი, რა ცვლილებები შეიტანა გოგოლის შემოქმედებამ ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიულ პროცესში, რა შემატა გოგოლმა ქართულ ლი-

ტერატურას იღვის, კომპოზიციის, სახეების, ფანრის, სტილის და მხატვრული ლიტერატურის სხვა ელემენტების თვალსაზრისით. ამ საკითხის გარკვევის დროს ავტორი, ცხადია, ყურადღების მიღმა ვერ დატოვებდა ქართული ლიტერატურის უმთავრეს წარმომადგენლებს, რათა მათი შემოქმედების განხილვის საფუძველზე ეჩვენებინა მკითხველისათვის, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა გოგოლმა ქართულ ლიტერატურაზე.

სამწუხაროდ, სარტყენით წივი სულ სხვა სურათს იძლევა, ნაცვლად იმისა, რომ გავრცედა თუ რა მიმართულებაში იმყოფებოდა გოგოლი ქართულ ლიტერატურასთან და რა წვლილი შეიტანა მან ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიულ პროცესში (ეს ხომ ქართული ლიტერატურის ისეთ ღრმა ცოდნას მოითხოვს, რომელიც მხოლოდ ქართული ლიტერატურის სპეციალისტის შეიძლება ჰქონდეს) გ. ტალიაშვილი წასულა გაცილებით უფრო ადვილი გზით: თავისი წიგნაკის მომეტებულ ნაწილი მას მოუხდომებია ამის გადმოცემისათვის, თუ რა უთქვამთ გოგოლის შესახებ სათუბილო დღეებში ქართულ მწერლებს, ქართულ მსახიობებს, ქართულ მასწავლებლებს და საზოგადო ქართველებს. ამის გასაკეთებლად ავტორს, ცხადია, დიდი შრომა არ დასჭირდებოდა: საკმარისი იყო გაზეთების სათუბილო ნომრების გადაფურცვლა. მაგრამ განა ამ გზით შეიძლება გაირკვეს დიდი საკითხი, თუ როგორი იყო ქართული ლიტერატურის მიმართება გოგოლთან? ცხადია, არ შეიძლება. მთავარი იყო აქ არა იმის გადმოცემა, თუ რა თქვეს ქართველმა მწერლებმა გოგოლზე, არამედ იმის გამოკვლევა, თუ რა გავლენა მოახდინა გოგოლმა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე, რა შეითვისეს ქართველმა მწერლებმა გოგოლის თხზულებებთან. ეს უკანასკნელი საკითხი კი ავტორს არ გაუშვებია, არა იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა საამის ტექნიკური საშუალება წიგნაკის მეორე მოცულობის გამო, არამედ იმიტომ, რომ მან თავი აარიდა თავის პირდაპირ ამოცანას და, ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა შესწავლის მაგიერ, მიმართა ქართულ გაზეთების სათუბილო ნომრებში მოთარგმნულ ცნობებს შესწავლას.

ავტორი ცდებოდა, როდესაც წერს, რომ მან შეისწავლა გოგოლის „ფრიად დიდი როლი კრიტიკული რეალისმის შექმნისა და განვითარებისათვის ქართულ ლიტერატურაში“ (გვ. 4). ეს დიდი საკითხი მას უნდა შეესწავლა, მაგრამ არ შეუძლავლია.

თავისი ბროშურის ერთი მეექვსედი ნაწილი ავტორს დაუთმია ნიკო ნიკოლაძის რუსული საგაზეთო სტატიებიდან ამონაწერებისათვის. ვინ

არ იცის, რომ ნიკო ნიკოლაძე დიდი ფიგურაა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მისი რუსული საგაზეთო სტატიები ქართული ლიტერატურის კლასიკურ ქმნილებად ვერა ჩათვლება. ყოველ შემთხვევაში, ავტორს, რომელიც წერს წიგნს „გოგოლი ქართულ ლიტერატურაში“, ქართველი მწერლების შემოქმედებაში უნდა ეძებნა გოგოლის გავლენა, და არა მხოლოდ ქართველი მწერლების სათუბილო სიტყვებში და საგაზეთო სტატიებში.

ქაკა კი, სადაც ავტორი ეტება ქართველ მწერალთა შემოქმედებას, იგი საცვირველ ზერელობას იტენს. მოჰყავს რა რ. ალისუბნელის შეხედვლება, თითქმის ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“ დამოკიდებული იყოს გოგოლის „ჭველი ყაიდის შემამულეთაგან“, ავტორი წერს: „გოგოლმა დიდი გავლენა მოახდინა ქართველ მწერალზე“ (გვ. 31). რა თქმა უნდა, სათაყლო იმასში, რომ გოგოლმა დიდი გავლენა მოახდინა ილია ჭავჭავაძეზე, არაფერია. განა თვითონ ილია ჭავჭავაძე არ ამბობდა, რომ „რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გააცივია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველ მისზედ, რაც ჩვენს ძალღონეს შეაღწევს“?

მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ გავმლევს უფლებას „კაცია-ადამიანი“ გოგოლის „ქველი ყაიდის შემამულეთებისადმი“ მიზაძე დავინახოთ. ამის უფლებას მოგვეცემა ჩვენ მხოლოდ საფუძვლიანი გარჩევა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებისა და ამ უკანასკნელის შედარება გოგოლის ნაწარმოებთან. სამწუხაროდ, ასეთი გარჩევისათვის, რაც ქართული ლიტერატურის დიდ ცოდნას მოითხოვდა, ავტორს თავი აერიდებოდა და რ. ალისუბნელის ავტორიტეტს ამოფარებოდა. მას არ მოუტყვევია ყურადღება იმ გარემოებისთვისაც კი, რაც თვალში ეცემა ყველას, ვისაც ეს „კაცია ადამიანი“ წაუკითხავს, რომ თვისი ტიპებით, თემის გაშუქების სატირიკული (არა ჰუმორისტული) მანერით და, ბოლოს იღვთა მარაგით „კაცია-ადამიანი“ ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებია და არა უფერული მიზაძე. მას აქვს თავისი საკუთარი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი, ქართული უროვნული სტილი, რომელიც განსხვავდება გოგოლის მხატვრული სტილის სპეციფიკისაგან, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ილია ჭავჭავაძეს არ გავლენია გოგოლის სკოლა და არაფერი შეუთვისებია გოგოლის შემოქმედებისა. ავტორი ვერ ეხმარება მკითხველს ამ რთული ლიტერატურული საკითხების გამოარკვევაში, და ამასია მისი წიგნის უმწიკობა.

საყურადღებოა გ. ტალიაშვილის მეორე აზრი ილია ჭავჭავაძის შესახებ. „რასწინაფელთა ფილოსოფიებმა და ეთნოგრაფმა შეხე-

დულებებმა ძლიერი გავლენა მოახდინეს ილია ჭავჭავაძეზე", წერს იგი (გვ. 20), ეს, რა თქმა უნდა, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. მაგრამ ავტორის უნდა მოეყვანა თავისი დებულების დამამტკიცებელი საბუთები. ამისათვის კი მას უნდა გაერჩია ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური და, კერძოდ, ესთეტიკური შეხედულებები. ეს კი მას არ გაუკეთებია, თორემ იგი წააწყდებოდა ილიას ნაწერებში არა მხოლოდ მსგავსებას რანსონიანულებთან, არამედ დამორჩებასაც.

„ბულგარიზებსა და სენკოვსებს, კატკოვებსა და სევიორინებს, პურიშკევიჩებსა და გუმკოვებს ყუადათ თავისი ეპიგონები ქართულ რეაქციონერ ლიტერატურაში“, წერს ავტორი (გვ. 12). რაზეა უნდა, ჩვენ დიდ შედომას ჩავიდინო, თუ ვიფიქრებთ, რომ მთელი ქართული ლიტერატურა იყო პრაგმატული ლიტერატურა; როგორც ყოველ სხვა ლიტერატურაში. ქართულ ლიტერატურაშიც იყო აზრთა სხვადასხვაობა, იყო ჰილილი, იყო ბრძოლა, რომელიც სოციალურ მდგომარეობათა სხვადასხვაობას ასახავდა. მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ ბულგარიზებს, კატკოვებს, პურიშკევიჩებს და სხვა მათ მსგავს რუს ველიკოდერჟავნიკებს „ყუადათ თავისი ეპიგონები“ ქართულ ლიტერატურაში. თუ ასეთები ავტორის ქართულ ლიტერატურაში მართლაც ვეულებოდა, მას ერთი ამგვარი „ეპიგონი“ მაინც უნდა დაესახებდინა.

კატკოვები და პურიშკევიჩები დასცინდნენ ქართველ ერს და ოცნებობდნენ მის გაჭრაზე. რომელი ქართველი მწერალი იქნებოდა ქართველი ერის გაჭრობის მომხრე? რომელი ქართველი მწერალი დაწერდა ქართულ ენაზე ისეთ თხზულებას, სადაც ქართველი ერის გაჭრობას მოითხოვენ? ქართული ლიტერატურა, როგორც ქართველი ერის ინტერესებს გამოჰმატველი,

ემბროზოდა არა ბულგარიზებს, კატკოვებს, პურიშკევიჩებს და სხვა ველიკოდერჟავნიკებს, არამედ რუსული ინტელიგენციის მოწინააღმდეგე ძალას, რომელიც ქართველ მწერლობას, რომელიც პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, ტურგენევის, ლევტოლსტაის სახით თავგანწირულად ებრძოდა ქართველი ერისთვის მისისხლე მტერს — რუსეთის ველიკოდერჟავნიკულ თვითმპყრობელობას და ამ თვითმპყრობელობის იგენტებს — ბულგარიზებს, კატკოვებს და პურიშკევიჩებს. როგორც მთელი ქართველი ხალხი, ისე მისი ინტერესების გამოჰმატველი ქართული ლიტერატურა იყო რუსული კლასიკური ლიტერატურის მდიდრებული, და ბულგარიზებისა და პურიშკევიჩების ეპიგონები ქართულ ლიტერატურაში არ მოიპოვებოდნენ.

ამით ჩვენ ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ კატკოვებსა და პურიშკევიჩებს არ ჰყუადათ ქართველთა შორის თავისი მომხრეები; იყვნენ ქართველთა შორისაც ისეთები, რომლებიც პირადი წარმატების მიზნით ეჭმარებოდნენ პურიშკევიჩებს, ეკეთებინათ მათი ზნელი ველიკოდერჟავნიკული საქმე. მაგრამ ქართველი ერის ეს მოღალატენი ვერ ზღვავდნენ ქართულ ლიტერატურაში გამოჩენას, და არაფერი საერთო მათ ქართულ ლიტერატურასთან არ ჰქონდათ. თქმა იმისა, რომ ბულგარიზებს, კატკოვებს და პურიშკევიჩებს ჰყუადათ „თავისი ეპიგონები ქართულ ლიტერატურაში“, ცილისწამებაა ქართულ ლიტერატურაზე.

ავტორის დანაშაულს აძლევს ის ვარემოება, რომ მისი წიგნაკი რუსულ ენაზე არის გამოცემული და რუს მკითხველს აძლევს ყალბ ცნობას ქართული ლიტერატურის შესახებ.

პროფ. ს. დანელია

**ბ. ზუნდაძე. ნარკვევები სახალხო განათლების ინსტრუქციის საპარტიველოში**  
საქ. განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა. 1951 წ.



სარეცენზიო წიგნი შეიცავს მე-19 საუკუნის სახალხო განათლების მიმოხილვას. შრომა ემყარება უმთავრესად ოფიციალურ საარტიკო მასალებს და ნაწილობრივ გამოყენებულია ცნობილი საზოგადო მოღვაწეების მოგონებებიც. საქმოდ ვრცელადა მოცემული თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ისტორია. ეს პირველი სასწავლებელი, გახსნილი თვით-

მპყრობელობის მიერ, მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. ამ სასწავლებელში სწავლობდნენ გრიკოლ და ვახტანგ ორბელიანები, ილია ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლევან მელაქიშვილი, გიორგი ერისთავი და სხვები. ამ ნარკვევს, ავტორის განცხადებით, პრობლემის ამომწურავად გაშუქების პრეტენზია არა აქვს. იგი მიზნად ისახავს მხოლოდ დახმა-

რება გაუწიოს იმით, ვინც ჩვენში სახალხო განათლების ისტორიით არის დაინტერესებული. პირველ ორ ნაწილებში — „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი და გიმნაზიები და სამაზრო სასწავლებლები 1831—70 წლებში“ სკარბობს სააქტიუო მასალები. ეს მასალები თავისთავად სინტერესოა, მაგრამ, სასურველი იყო მას წამძღვარებოდა ანალიზი ამ მასალებშია, კერძოდ, გარკვეულიყო რუსეთის თვითმპყრობელობის სასკოლო პოლიტიკა. ცარიზმში იძულებული იყო, ქართული ხალხის დანაგვარისა და გარუსების პოლიტიკა საერთო-საგანმანათლებლო პოლიტიკით შეენიღბა. ოფიციალურად რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი 1801 წ. 12 სექტემბრის მანაფესტში ფარისეულურად აღიარებდა, რომ „არა აღორძინებისათვის ძალთა, არა განგრცველებისათვის საზღვართა და ესრეთსა უკვე ვრცელსა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა მივიღებთ ჩვენ თვით ზედა ტერიტორია საქართველოს საშეფო მართებლობასა... ძალმან გარემოებათა ამით, ზოგად ამის ძალთა გრძნობამან თქვენმან და ხმამამ საქართველოსა ერთსამან მოგზიდინენ ჩვენ არ დავუტეოდ და არ მივსცეთ მსხვერპლად განსაცდელისა ენა ერთპირწმუნეთა, მომცემელთა ზედრისა თვისისა დიდ სულისა რუსეთის მფარველისადმი“. ცხადია ეს იყო ნიადაგი ცარიზმისათვის თავის მართებლობის დასამკვიდრებლად და თავისი ბატონობის გასამტკიცებლად. ნამდვილად კი, როგორც დიდი სტალინი ვეასწავლის, „ცარიზმი განზრახ ივითარებდა განაპირა ქვეყნებში პატრიარქულ-ფეოდალურ ჩაგვრას იმ მიზნით, რომ მასები მონობაში და მცონარეობაში ყოლიდა... ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმ მიზნით, რომ მასები პნელეთში დაეტოვებინა... ცარიზმი ძირშივე კვდიდა ადგილობრივ მოსახლეობის საუკეთესო აღამანათა ყოველგვარ ინიციატივას“. (რ. ბ. სტალინი: „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალურა საკითხი“, 1934 წ. გვ. 83).

ავტორის სწორედ ასეთი მიდგომა უნდა დაეწერა პირველივე ნაწილებში, ახლანდ თითქმისპყრობელობისათვის განმანათლებლობის ნიღაბი და არა ტყვედ ჩაყარდნოდა ოფიციალურ მასალებს. მასალების ტყვეობაში მყოფი ავტორი ზოგჯერ აყენებს შემცდარ დებულებებს. ასეთია ავტორის მტკიცება, რომ 1828 წელს მთავარმართებელმა პასკევიჩმა უმჯობესად სცნო მოწაფეებს მისასალმებელი წარმოთქვამთ არა ქართულად და თათრულად, არამედ რუსულად და თითქმის ეს ყოფილიყო პირველი ცდა ქართული ენის წინააღმდეგ, თითქმის მანამდე ქართულ ენას დევნა არ განეცადოს. ავტორის გულუბრყვილობა კიდევ უფრო შორს მიდის, როდესაც

წერს: „უნდა აღინიშნოს, რომ 50—60 წლებში, მით უფრო მანამდე, ქართული ენისადმი მტრულ განწყობილებასა და განმარტებულ-მწყაპათად ვხედებით მეფის მანაფესტის შინაის“. ცხადია, ეს სიმართლეს არ შეეფერება.

წიგნის მე-2 თავში „გიმნაზიები და სამაზრო სასწავლებლები 1830—1870 წლებში“ ადგილობრივ ენებისადმი ვითომდა უფრადლებას ავტორი მიაწერს იმ დიდ ვაჟუნას, რომელიც ჰქონდა ქართულ ენას მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში. ავტორის ეს მტკიცებაც მიუღებელია. ნამდვილად ბიუროკრატიული აპარატის განმტკიცება ადგილობრივ ენებისადმი დევნას აძლიერებდა. ცარიზმი ქართული ენის როლს ინგარიშს არ უწყვედა და იგი თავის პოლიტიკას ზოგჯერ შენიღბულად, ზოგჯერ აშკარად, მაგრამ ყოველთვის დიდი სისხტით ახორციელებდა.

წიგნში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საქართველოს სახალხო განათლების ისტორიის ის თავები, რომლებიც ეხება 1881 წლის სასწავლო გეგმას და მოწინავე საზოგადოების ბრძოლას მის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით. აქ ავტორი სიმართლიანად ამტკიცებს, რომ იანოვსკის უნდა გაეტარებინა თვითმპყრობელობის პოლიტიკა საქართველოს სკოლებში, ვადევნა ქართული ენა, გადაგვარებინა ქართული ახალგაზრდობა და ამით ჩაეცა ლახარი ერევნელი კულტურისათვის. იანოვსკისა და მეფის სხვა მოხელეობის შეხედულებით, სკოლა უნდა გადაეცეთიყო ადგილობრივი ერების გადაგვარებისა და ხალხის გარუსების მძლავრ იარაღად. ავტორს ოფიციალურ მასალების გარდა გამოყენებული აქვს მამინდელი ლეგალური პრესაც, რომელიც კვლავ ასახავდა ქართველთა ბრძოლას ამ პოლიტიკის წინააღმდეგ. მოყვანილია სრულად სერგეი მესხის „დროებაში“ დახედილი მოწინავე „ლია წერილი ბ. იანოვსკისადმი“. მაგრამ ასეთ მიმართვით წერილში არ შეიძლება მოლიანად გამოშვანებულყო ავტორის მსოფლმხედველობა. წერილის ავტორი იძულებული იყო ყველაფერს არ ეთქვა. ამიტომ ტ. ხუნდაძის დაგვიანებული კამათი ამ წერილის ავტორთან ზედმეტად უნდა ჩაითვალოს.

დიდი ინტერესით იკითხება მე-3 თავი: „ნატურალური“ მეთოდი საქართველოს დაწვეებით სკოლებში და მოწინავე მასწავლებლობის ბრძოლა მის წინააღმდეგ იაკობ გოგებაშვილის ხელმძღვანელობით“. „ნატურალური“ მეთოდი მუნჯურ მეთოდად ცნობილი ახალი საშუალება იყო ქართული ენის დევნისათვის. რუსული ენის სწავლებაში აღკვეთილი იყო ქართული სიტყვების გამოყენება და უშუალოდ საგანი და მოქმედება უნდა ეტყენებინათ მოწაფეებ-

სათვის რუსული სიტყვის შემწეობით. ამგვარად, ლეიტსკის გაკვეთილზე. — ამბობს იაკობ გოგებაშვილი — მასწავლებელი და მოწაფეები აუცილებლად ჭამენ, სვამენ, ასხამენ წყალს, იძულებენ მას, ამსხვერველ ჭურჭელს, ყვირიან, ღრიალებენ, ხმაურობენ, აფურთხებენ, ძინავთ, იღვიძებენ, იბანენ, რბიან, ზტუნავენ, იყოცნებიან, ეხვევიან, ხერხინავენ, ყეფენ, ცნაიან, ვაკანობენ, სურდოთი ავადდებიან, ავადყოფდებიან სხვადასხვა სენით, ცრუობენ“.

ი. გოგებაშვილი, ილაშქრებოდა რა მუნჯური მეთოდის წინააღმდეგ, რუსული ენის შესწავლას ქართული ბავშვების მიერ აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა. დიდი პედაგოგი ამბობდა: — „რუსული ენის შესწავლას ჩვენს სკოლაში დიდი უფრადლება უნდა მიეძღვის. ჩვენ ისტორიულმა ბედმა ისე დაგვაკავშირა რუსეთთან, რომ რუსული ენის უცოდინარობა მრავლად ზელს შეგვიშლის არსებობისათვის ბრძოლაში. რუსული ენის ყარგად ცოდნა საშუალებას მოგვცემს კულტურული და ეკონომიური კავშირი დაემაყაროთ დიდ რუსეთთან, რაც აუცილებელი საჭიროა დღევანდელ ჩვენს პირობებში“.

საინტერესოადაა შედგენილი, აგრეთვე, ნარკვევის მე-4 თავი: „ბრძოლა თვითმპყრობელობასა და თბილისის თვითმართველობას შორის საქალაქო სკოლებისათვის“. ავტორი აქვეყნებს დღემდე უცნობს საარქივო მასალას, ანალიზს უკეთებს და შესაფერისად აჯამებს ამ მასალას. აქაც ზედმეტია დაკვიანებული კამათი ზოგიერთი მასალის ავტორებთან.

სემინარიის ისტორიის განხილვის დროს გამოყენებულა ბევრი უცნობი, ან ნაკლებად

ცნობილი, მასალა არქივებიდან და გარეგანებაში დაბეჭდილი წერილებიდან. აქ არის მასალები სოლომონ დოდაშვილის, მისი ცხადყოფილი კეცხოველის და სხვათა მიღწეულები შესახებ, მაგრამ თხრობის ძალი იქ წუდება, როდესაც „1894 წლის სექტემბერში სემინარიის პირველ კლასში შედის ახალგაზრდა იოსებ ჯულაშვილი, პროგრესიული კაცობრიობის მომავალი ბეული“.

ამ დროისათვის სემინარიაში კიდევ უფრო მძვინვარებდა უსასტიკესი რეაქცია და იეზუიტური რეჟიმი. ახალგაზრდა სტალინი ახალბეას რევოლუციურ მუშაობას, მტკიცე კავშირს ამყარებს მუშათა წრებთან, სათავეში უდგება რევოლუციურ მოძრაობას და მარქსისტულ-ლენინური გზით წარმართავს მას.

ჩვენი აზრით, ავტორს სემინარიის ისტორია არ უნდა შემოეფარებოდა 1893 წლამდე. ნარკვევი ამით დიდად მოიგება.

წიგნში რელიეფურად არის ნაჩვენები ივანოვის ბიბლიოთეკის ისტორია, ნიკო ნიკოლაძის როლი და მონაწილეობა ამ ბიბლიოთეკის დაარსებაში, პეტრე წულუკიძის ხელმძღვანელობა. ავტორი სამართლიანად დასკვნის, რომ ეს ბიბლიოთეკა იყო ქართული მოწინავე ინტელიგენციის მიერ შექმნილი კულტურული კერა, სადაც ინტელიგენცია იკრიბებოდა საზოგადო საკითხებზე მოსათათბირებლად. ივანოვის ბიბლიოთეკა წარმოადგენდა პოლიტიკურ კლუბს, სადაც მუშავდებოდა ქართული საზოგადოებრივი აზროვნება.

ზინაპარსი



პოეზიის ფესტივალი — პიკესილი ა. შ. შ. თარგმანი ინგლისურიდან მ. ქავთარაძისა	23-
ალექსანდრე გომიზაშვილი — „დავითიანი“ დაღესტანში, ლექსი . . . . .	29
ნაზი კილასონია — ლესია უკრაინკას, ლექსი . . . . .	30
კონსტანტინე ბაშაზაშვილი — ვაზის ყვავილობა, რომანი, გაგრძელება . . . . .	31
თეიმურაზ ჯანაშვილი — თბილისთან მიმდებარე იორი, ლექსი . . . . .	51
ლადო ავალიანი — ახალი ჰორიზონტი, რომანი . . . . .	52
ხრისტო ბრძენი — ლექსები, თარგმანი გრიგოლ დარეჯანიძისა . . . . .	80
დავით ბაძრაძე — გმირთა სისხლით, დასასრული . . . . .	91
-----	
დემეტრი ბენაშვილი — 1951 წლის ქართული პროზა, წერილი . . . . .	125
ფოთა რევიშვილი — იოანეს რომერტ ბეგერი, წერილი . . . . .	142
ოთარ ფირალიშვილი — ქართული საბჭოთა ქანდაკების საკითხები, წერილი . . . . .	151
მ. თბილელი — საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, წერილი . . . . .	162
-----	
პ. თოფჩიანი — კალე ბოზოხიძე — ლექსები (ერთკომედი), ბიბლიოგრაფია . . . . .	165
ანდრო ლომიძე — ხუტა ბერულავა — „რუსული გული“, ბიბლიოგრაფია . . . . .	167
სოლ. ცაიშვილი — სოფრომ მგალობლიშვილი — „ჩვეული მოთხრობები“, ბიბლიოგრაფია . . . . .	169
პროფ. ს. დანელია — Г. Талишвили „Гоголь в грузинской литературе“, ბიბლიოგრაფია . . . . .	171
ბ. მიხეილაძე — ტ. ხუნდაძე, ნაქვეები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, ბიბლიოგრაფია . . . . .	173
ახალი წიგნები . . . . . გარეჯანის მე-3 გვერდი	



რედაქტორი  
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დემეტრი ბენაშვილი, ნიკო კაცხიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხიძე, სარგო ბილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VIII-52 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11. შპ 04076. შეკვეთის № 419. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიულ მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვას კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონის № 3-23-42.